

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი

ТБИЛИСИ

3.1978

ქურხალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал выходит раз в 3 месяца

**ს ა რ ა ე ლ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე ზ ი ა :** ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. შიშიგური (რედაქტორის მოადგილე)

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Барамидзе А. Г. (редактор),  
Гамкრелидзе Т. В., Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),  
Ломтатидзе К. В., Метрелии Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი  
Ответственный секретарь Г. А. Глонтия

---

რ ე ლ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-24-07      ტელეფონი

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.IX.1978; შეკვ. 1795; ანაწყოების ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;  
ქალაქის ზომა 7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 16.80; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 16.05; უე 12648; ტრაჟეი 2000.  
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

„შუშანიის წამების“ 1500 წლისთავი

შონიანი, იაკობ ხუცესის „წამებაა წმიდისა შუშანიისი“ . . . . .	5
მჭურციკიძე, „შუშანიის წამების“ ტექსტის ზოგიერთი საკითხისათვის . . . . .	20
ჭავედოშვილი, „შუშანიის წამების“ ერთი სადავო ადგილის გაგებისათვის . . . . .	30
ლშენაბდე, რუსთველი უცხოეთში . . . . .	37
მ. ი. ჭავჭავაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ორი ადგილის დადგენისათვის . . . . .	55
ჩხარბაქაძე, „ვეფხისტყაოსანი“ და შუა საუკუნეების ლიტერატურული ტრადიციები ფერთი სისტემების გააზრების თვალსაზრისით . . . . .	59
დღეგებუაძე, სატირული ნაქადის შესახებ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“ . . . . .	70
1. შაიხურაძე, ქართული „გეოგრაფიული“ გვარსახელები . . . . .	86
2. შანიძე, ახალდმოჩენილი წარწერები ბულგარეთში . . . . .	93
ენიკოლაიშვილი, III სუბიექტური პირის -ეს სუფიქსის -(ნ) ენ-ით შეცვლის ისტორიისათვის . . . . .	95
გოგოლაური, ფშური კილის თავისებურებანი . . . . .	114
2. ქოლბოთაძე, იობ ცისკარიშვილის ნელნაწერი წოვა-თუშური გრამატიკა ენობრივი მასალებითურთ და ანტონ შიფნერის მონოგრაფიის მიმართება მასთან . . . . .	131
ქლოშთათიძე, კვლევა აფხაზურ-აბაზურ ანცა (ღღეთაბაა) სიტყვის აგებულებისათვის . . . . .	144
შარისთაქა, წინადადების სტრუქტურული საფუძვლის კომპონენტთა კავშირის შესახებ აფხაზურ ენაში . . . . .	149
ი. ანდრონიკაშვილი, ერთი ტიპის წინადადების შესახებ არაბულში . . . . .	161
ნაიზანიშვილი, ზმნური ფორმების ტიპოლოგიური კვლევის ზოგიერთი პრობლემა (ინგლისური და ქართული ენების მასალის მიხედვით) . . . . .	164

მეცნიერთა იუბილე

ქლოშთათიძე, თ. შარაძენიძე, შ. ძიძიგური, დიდი ენათმეცნიერი . . . . .	174
აკადემიკოს არნ. ჩიქობაიას დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია . . . . .	177

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

1. ნედოსპასოვა, ს. სერებრიაკოვი — „იბნ-სინას (ავიციენას) ტრაქტატი სიყვარულზე“ . . . . .	179
---	-----

ქრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში . . . . .	183
---	-----

## „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავი

შარვალინ ონიან

ი ა კ ო ბ ხ უ ტ ვ ის ს „ წ ა მ ე ბ ა მ წ მ ი ლ ის ა შ უ შ ა ნ ი კ ის ი ს ი“

შუშანიკის „წამება“ ჯერჯერობით! პირველი ქართული ორიგინალური ნაწარმოებია, დაწერილი V საუკუნის მეორე ნახევარში. მისი ავტორია თვითონ შუშანიკის მოძღვარი და პიტიახშის კარის ხუცესი იაკობი. ამჟერად ეს თხზულება თავისი არსებობის 1500 წელს ითვის. ჩვენი საზოგადოება ზეიმიტ აღწინააღს ამ თარღს. კვლევა-ძიების დღევანდელ ეტაპზე შუშანიკის „წამება“ საკმაოდ არის შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში: დადგენილია პეტრიწულად თხზულების ტექსტი, გარკვეულია მასთან დაკავშირებული ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ივ. ჯავახიშვილის<sup>1</sup>, კ. კეკელიძის<sup>2</sup>, პ. პეტერსისა<sup>3</sup> და ილ. აბულაძის<sup>4</sup> შრომები. ჩვენ შევეცდებით ერთ მთლიანობაში წარმოვადგინოთ ყველაფერი ის, რაც ცნობილია შუშანიკის „წამების“ შესახებ და ამის მიხედვით განვსაზღვროთ მისი ადგილი ქართულ მწერლობაში.

1. **ზოგადი ცნობები შუშანიკის შესახებ.** თხზულების მიხედვით, შუშანიკი გარდაცვალებისთანავე ქართულ ეკლესიას წმინდანად შეურაცხავს და დაუწესებია მისი სახსენებელი. ამ ნიადაგზე დაწერილა შუშანიკის „წამებაც“. ისმის კითხვა: სხვა წერილობითი წყაროებით თუ დასტურდება V—X საუკუნეებში შუშანიკის კულტი ქართლში და მის შესახებ თხზულების არსებობა? აქ პირველ რიგში უნდამოვიღსენიოთ კირიონ კათალიკოსის წერილი 608 წლისა, მიმართული აბრამ სომეხთა კათალიკოსისადმი. მართალია, ის შემონახულია სომხურ ენაზე „ეპისტოლეთა წიგნში“, მაგრამ ასახავს ქართული ეკლესიის მეთაურის თვალსაზრისს. ამდენად შეიძლება ის განვიხილოთ ქართულ წყაროებთან ერთად. კირიონის დროს ადგილი ჰქონდა სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივ განხეთქილებას, რომელიც ცურტავის ეკლესიაში დაიწყო. კირიონის საეკლესიო რეფორმებით უკმაყოფილო ცურტავის ეპისკოპოსმა მოსემ ქართლი დატოვა, სომხეთში გადავიდა და სომხურ ეკლესიას აცნობა: ქართველები მართლმადიდებლურ სარწმუნოებას გადაუდგნენო. ამით დაიწყო სომეხ და ქართველ მოღვაწეთა მიწერ-მოწერა, რომელიც საბოლოოდ 609 წელს დამთავრდა სომეხთა და ქართველთა საეკლესიო განხეთქილებით. წერილებში ხშირად იხსენიება წმ. შუშანიკი და ცურტავის ეკლესია. ჩვენთვის ამჟერად საინტერესოა კირიონ კათალიკოსის ცნობები. ის წერს აბრამ სომეხთა კათალიკოსს, რომ წარსულში სომეხთა და ქართველთა შორის სარწმუნოებრივი ერთობა სუფევდა: „აზნაურები, რომლებიც სომეხთაგან ქართლს დაპოყვრებულან. წმინდა შუშანიკის მსახურებაზე და მცხეთის წმინდა ჯვარს მიდიოდნენ, რომ მოელოცათ და შჯულს ზიარებოდნენ“<sup>5</sup>. აქვე კირიონი ეხება მოსე ცურტაველსაც და მასთან დაკავშირებით იხსენიებს ცურტავის სხვა ეპისკოპოსებსაც: „მაგაზე ადრე ეპისკოპოსები, რომლებიც



ცურტავს იყენენ წმინდა შუშანიკიდან მოყოლებული: აფოცი, გარნიკ, საპაკ, ელიშა, იაკობ, იოან, სტეფანოს, ესაი, სამუელ, სტეფანოს, იოანე და სხვა ეპისკოპოსები, სომეხთაგან და ზოგნი ქართველთაგან, სომხეთში განსწავლული მეცნიერნი და მოძღვარნი იყენენ<sup>7</sup>. კირიონის წერილის მიხედვით, V—VI საუკუნეებში შუშანიკის ხსენება ქართლში დიდი ზემოთ სრულდებოდა და მას ესწრებოდნენ სომხეთიდან ჩამოსული სტუმრებიც. ამას ერთხმაჲ აღნიშნავენ სომეხი მოღვაწეებიც თავიანთ წერილებში. შუშანიკის კულტთან ერთად ეს ფაქტი გულისხმობს მისი „წამების“ არსებობასაც. რამდენადაც ეს თხზულება საჭირო იყო ღვთისმსახურების დროს. მეტიც შეიძლება ითქვას. ჩვენი აზრით, თვითონ კირიონ კათალიკოსი იცნობდა შუშანიკის „წამებას“. ამას გვაგვარაულებინებს მისი წერილის ის ადგილი, სადაც ის ჩამოთვლის ცურტავის ეპისკოპოსებს შუშანიკის დროიდან და პირველ ეპისკოპოსად ასახელებს აფოცს. ეს აფოცი ცნობილია შუშანიკის „წამებით“ როგორც პიტიახშის კარის ეპისკოპოსი, რომელიც თხზულებაში ჩანს მთელი თხრობის მანძილზე. აშკარაა, კირიონ კათალიკოსი მას ემყარება, როდესაც შუშანიკის თანამედროვე ეპისკოპოსად ასახელებს აფოცს. შუშანიკი იხსენიება აგრეთვე ძველ ქართულ ლიტურგიულ ძეგლებში: „იერუსალიმის განჩინების“ ქართულ ვერსიაში (VIII ს.)<sup>8</sup> და იოვანე ზოსიმეს კალენდარში<sup>9</sup>. იხსენიებს მას აგრეთვე მიქაელ მოდრეეელი (X ს.) თავის ერთ საგალობელში: „სძალსა ქრისტესსა ნინოს, ქართლის ქადაგსა... მოვედით, შევაამოვდეთ, გაიანეს და რიფსიმეს და მცენესა შუშანიკს მათ თანავე ეაქებდეთ“<sup>10</sup>.

შუშანიკის წამების ამბავი შემოუნახავს წმინდა საისტორიო ხასიათის ძეგლებსაც. ზოგადად იხსენიებს მას IX საუკუნის ავტორი არსენ საფარელი თავის თხზულებაში „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“<sup>11</sup>. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (IX ს.) მოკლედ აღნიშნავს: „... მეფობდა ბაკურ და კათალიკოზი იყო მაქარი. და მისა ზევე ვარსქენ პიტიახში იყო და შუშანიკი იწამა ცურტავს... და მის ბაკურისა ზევე დაესრულა მეფობაჲ ქართლისა“<sup>12</sup>. ეს ამბავი შედარებით უფრო ვრცელადაა გადმოცემული „ქართლის ცხოვრებაში“ (XI ს.): აქაც ბაკურის მეფობაშია ნაჩვენები შუშანიკის წამება. ბაკურს ამის გამო სიკვდილით დაუსჯია ვარსქენ პიტიახში<sup>13</sup>. ორივე თხზულებაში ისტორიული ანაქრონიზმია: შუშანიკი აწამეს არა VI საუკუნის პირველ ნახევარში ბაკურის მეფობისას, არამედ V საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასალის დროს. შესაძლებელია ამგვარი ცთომილების წყარო შუშანიკის „წამება“ ყოფილიყო. რამდენადაც მასში ვახტანგ ძეფე არ იხსენიება. ამის გამო შემდეგ საუკუნეებში ეს ამბავი შეცდომით გადაუტანიათ ბაკურის მეფობაში. აქ მთავარია ის, რომ შუშანიკის წამება ქართველებს თავიდანვე მიაჩნდათ ჩვენი ქვეყნის ისტორიის განუყოფელ ნაწილად. ამიტომაც აისახა ის წმინდა საისტორიო ზასიათის ძეგლებში.

ამგვარად, წერილობითი წყაროებით დასტურდება V—X საუკუნეების ქართლში შუშანიკის კულტიც და მისი „წამების“ არსებობაც. ამიტომ ამათვე უნდა უარვეყოთ პ. პეტერსის განცხადება, თითქოს ძველ ქართულ ძეგლებში არ გვხვდება ცნობები შუშანიკის შესახებ<sup>14</sup>. თავის მხრივ ეს ცნობები ადასტურებენ შუშანიკის „წამების“ მონაცემებს და საფუძველს გაძლევენ ნდობით მოვეცილოთ მათ.

2. **თხზულების ავტორი.** ავტორის შესახებ ცნობებს ეპოქაობა თვითონ თხზულებაში. არსებითად ის შუშანიკის „წამების“ ერთ-ერთი პერსონაჟია, თეიმზხილველი და მონაწილე მასში აღწერილი ამბებისა. ამიტომაც თხრობა ბევრგან პირველი პირით წარმოებს. როდესაც ვარსკენის გამაზღვანების ამბავი გაიგო შუშანიკმა, მამინ კარს ეპისკოპოსი აფოცი სხვაგან ყოფილა წასული და სასახლეში არ იმყოფებოდა. ჰაგიოგრაფი თავის თავზე ამბობს: „და მეცა ხუცესი დევლოფლისა შუშანიკისი, თანა ეპყვანდი ეპისკოპოსსა მას“ (III, 3—4)<sup>15</sup>. ის პირველი მოსულა შუშანიკთან, უნუგეშებია და გამოუციტხავს რას ფიქრობდა: «და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუაზიადრე: „ეიჲაჲ გეგულების მიტხარ მე. რამთა უწყოდი და აღეწერო შრომაჲ შენი“» (III, 20—21). სხვანაირად რომ ვთქვათ, ავტორს თავიდანვე ჰქონია განზრახული თხზულების დაწერა. ერთგან ის თავის სასელსაც გვაშენობს. როდესაც ვარსკენისაგან ნაცემი და ნატაჩაჲ შუშანიკი მოენახლებია ჰაგიოგრაფს, მას რჩევა უციტხავს: სადღეფლიჲ საშაულები დაებრუნებინა თუ არა ვარსკენისათვის. ავტორი გვიყვება: „და ჩუენ-ლა ამას განვიზრახედით, მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: „იაკობ მანდ არსა?“ და მე ვარქუ: „რაჲ გინებს?“» (VII, 30—31). ამგვარად, ჰაგიოგრაფი ყოფილა შუშანიკის მოძღვარი ანუ ხუცესი, საპიტიაწმოს კართან დიდად დაახლოებული პირი, სახელად იაკობი. ის ჩანს თხზულების სხვა ეპისოდებშიც: ვარსკენმა მეორედ ტანჯა შუშანიკი, ციხეში მოათავსა და ყველას აღკრალა მისი ნახვა. იაკობ ხუცესს მაინც მოუხერხებია მასთან შესვლა. ამჯერად უცეე ციხის მცველთან ჭრთამის გაღებით: „ხოლო მე მრავლითა ვედრებითა ვარქუ მცველსა მას და ვუქადე ჰურჭერი ერთი სამისომ, და ძნიალ თავს იღვა შეტევებაჲ ჩემი...“ (X, 7—8). ექესი წელი დაუყვია შუშანიკს ციხეში და მხოლოდ მეშვიდე წელს გარდაცვილია. მთელი ამ ხნის განმავლობაში იაკობ ხუცესი მუდმივად ნახულობდა მას. საზრდოს აწუვიდა და მზრუნველობას არ აკლებდა. შუშანიკსაც განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა ჰქონია მისადმი. ენდობოდა ყველაფერში და სარგებლობდა მისი რჩევა-ღარიგებით. სიკვდილის ეამს შუშანიკს თავისთან დაუბარებია კარის ეპისკოპოსი აფოცი და მისთვის საგანგებოდ შეუფედრებია იაკობის თავი: „შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე“ (XVIII, 3—4). ბოლოს იაკობ ხუცესს სხვებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიუღია შუშანიკის დასაფლავებაში. ერთი სიტყვით. ჰაგიოგრაფი თავიდან ბოლომდე ჩანს თხზულებაში.

**თხზულების მიხედვით.** ჩვენ წინაშე იკვეთება მწერლის კოლდრიტული ფიგურა. უპირველეს ყოვლისა ის ბალზე მგრძნობიარე აღამიანია, რომელსაც ორგანულად განუღია შუშანიკის ტახტვა-წვალება. მასთან შეხვედრისას ის ჩეულებრივ ტირის და შუშანიკი აქეთ ანუგეშებს. ამავე დროს იაკობ ხუცესი მტკიცე ნების მქონეა. შეუპოვარი და მოყვასისადმი თავდადებული. ვარსკენ პიტიაწში მკაცრად სჯიდა ყველას, ვინც შუშანიკს თანაუგრძნობდა და ემპარებოდა, აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფასაც. ასეთ პირობებში იაკობის მზრუნველობა შუშანიკისადმი და მასთან მუდმივი კავშირი პირდაპირ საარაყო და სამაგალითო. სამართლიანობა პოითხოვს ისიც აღვნიშნოთ, რომ თვითონ ვარსკენიც შედარებით უფრო „ჰუმანიური“ ყოფილა იაკობისადმი და მისთვის არაფერი არ უკადრებია. მეტიც: ერთ შემთხვევაში ვარსკენს გაუ-

გია, კიდევ, რომ იაკობი შუშანიკთან იყო, მისთვის მიუგზავნია „ყრმაჲ ერ-  
თი“, მაგრამ არ დაუსწავია ამისათვის. ეს ფაქტი იმაზეც მიგვითითებს, რომ  
ჰაგიოგრაფი დიდი პატივით სარგებლობდა პიტიაშის კარზე. თვითონ ვარს-  
ჭენსაც შუშანიკ-საგან სადედოფლო სამკაულები იაკობ ხუცესის ხელით მიუ-  
ღია. რაც შეეხება ჰაგიოგრაფისა და შუშანიკის ურთიერთობას, ეს არის  
ქალისა და კაცის სულიერი მეგობრობის იშვიათი ნიმუში, რომელსაც ანალო-  
გია არ დაეძებნება.

იაკობ ხუცესის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერ-  
თი ცნობა: 506 წლის დვინის საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის იხსენიე-  
ბა ცურტაეის ეპისკოპოსი იაკობი<sup>16</sup>. ილ. აბულაძის აზრით, რომელმაც პირვე-  
ლად მიაქცია ამაჲს ყურადღება, ეს იაკობი და შუშანიკის წამების იაკობ ხუ-  
ცესი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს<sup>17</sup>. ეს გასაზიარებელია. ჩვენი აზრით  
დავუმატებთ, რომ იაკობს ცურტაეის ეპისკოპოსობა გვიან უნდა მიეღო, რამ-  
დენადაც კირიონ კათალიკოსი ცურტაეის ეპისკოპოსთა შორის ავოცირდან  
იაკობს იხსენიებს მესამე ეპისკოპოსად<sup>18</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში იაკობს ცურტაველს უწოდებენ. როგორც  
ცურტაეის ეპისკოპოსს. ჩვენი აზრით, უმჯობესია ვინმართ იაკობ ხუცესი და  
არა იაკობ ცურტაველი: თხზულებაში იაკობი ხუცესად იხსენიება, თვითონ  
შუშანიკის „წამებაჲ“ იაკობს დაუწერა ხუცესობაში და არა ეპისკოპოსობის  
დროს. 506 წლის შემდეგ იაკობს დიდხანს არ უნდა ეცოცხლა. ასე რომ, ის  
V საუკუნის მეორე ნახევარსა და VI საუკუნის დასაწყის წლებში მოღვაწე მწე-  
რალია.

**3. თხზულების ქრონოლოგია და დაწერის თარიღი.** თხზულება იწყება  
ვარსკენ პიტიაშის სპარსეთში გამგზავრებით: „იყო მერვესა წელსა... სპარსთა  
მეფისასა კარაჲ სამედლოდ წარემართა ვარსკენ პიტიაშში 88 არშუშაისი“ (1.  
6—7). სამწუხაროდ, ხელნაწერებს სპარსეთის მეფის სახელი არ შემოუნახავთ.  
მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მეფეა პეროზი (459—484 წწ.). სპარსეთი-  
დან მობრუნების შემდეგ გამაზღვანებულ ვარსკენს ორჯერ უტანჯია შუშანიკი  
და შემდეგ ციხეში ჩაუსვაჲს (VI—IX). ციხეში შუშანიკს დაუყვია ექვსი წე-  
ლიწადი, დასნეულებულა მეშვიდე წლის დასაწყისში და გარდაცვლილა 17 ოქ-  
ტომბერს. ს. გორგაძისა<sup>19</sup> და ივ. ჭავჭავაძისა<sup>20</sup> აზრით, შუშანიკის წამებას  
აღგილი უნდა ჰქონოდა 466—472 წლებში. 1923 წელს კ. კეკელიძემ შუშანი-  
კის „წამების“ ქრონოლოგია განაზღვრა: 468—474 წლებში<sup>21</sup>, ხოლო 1941  
წელს ის გადაიტანა 469—475 წლებში<sup>22</sup>. ჩვენ შევეცდებით უფრო დავაზუს-  
ტოთ ეს წლები.

ვარსკენი სპარსეთში წასულა პეროზის მეფობის მერვე წელს ანუ 467  
წელს (459+8=467). სპარსეთიდან მობრუნების შემდეგ ვარსკენს შუშანიკი  
პირველად უტანჯია 8 იანვარს, ოთხშაბათ დღეს (XX, 1—2), ხოლო მეორედ  
— იმავე წლის აღდგომის ორშაბათს (XX, 2—3). ეს იქნება 469 წელი, რამ-  
დენადაც ოთხშაბათი 8 იანვარს მოდიოდა მხოლოდ 469 წელს. ვარსკენ პიტი-  
აშს შუშანიკი მეორედ წამების შემდეგ ჩაუსვაჲს ციხეში 469 წლის 14 აპ-  
რილს (აღდგომა 469 წელს ხდება 13 აპრილს და შუშანიკი აღდგომის მეორე  
დღეს აწამეს). ასე აქვს გამოანგარიშებული შუშანიკის წამების დასაწყისი  
კ. კეკელიძეს. ისმის კითხვა: როდის გარდაიცვალა შუშანიკი? კ. კეკელიძის  
აზრით, შუშანიკი გარდაიცვალა 475 წელს (469+6=475). ეს თარიღი საუკეთესოა

და გადასინჯვას თხოულობს. იაკობ ხუცესის სიტყვით, შუშანიკი გარდაცვლილა „თუ ესა ოკიდონ ბერსა ათჳვიღმეტსა... და დღე ხუთშაბათი იყო. რომელსა განვაწესეთ საქსენებელი წმიდისა შუშანიკისი“ (XX, 6—8). ხუთშაბათი დღე 17 ოქტომბერს მოდიოდა, არა 475, არამედ 474 წელს. კ. კეკელიძემ ამას ასეთი ახსნა მოუძებნა: შუშანიკი უწამებიათ 475 წლის პარასკევ დღეს, მაგრამ მისი სენება, თანახმად იმდროინდელი ეორტალოგიური პრაქტიკისა, გადაუტანიათ ხუთშაბათ დღეს<sup>23</sup>. ჩვენი აზრით, ტექსტის მიხედვით ხუთშაბათი არის შუშანიკის წამების დღეც და სენების დღეც. ამიტომ შუშანიკის გარდაცვალება უნდა დაედგინოთ არა 475, არამედ 474 წელს. ამას ამაართლებს სხვა მონაცემებიც. აქ მნიშვნელობა აქვს იმას 469 წელს ჩავთვლით: თუ არა შუშანიკის წამების პირველ წლად. ამჟამად, პაგოგრაფისათვის 469 წელი პირველი წელია. რის გამოც 474 იქნება შუშანიკის წამების მეექვსე წელი. გარდა ამისა, იაკობ ხუცესი, როგორც ეს აღნიშნული აქვს კ. კეკელიძეს, მიმდევარია სექტემბრის წლისა. მისთვის 474 წლის 17 ოქტომბერი იქნება მეშვიდე წელი ანუ შემდგომი 475 წელი (იანვრის წლით 474), როდესაც გარდაიცვალა შუშანიკი. აქვე უნდა მოვიშველიოთ სომხურ ენაზე დაცული წმინდა ნინოს ჯვრის ერთ-„საკითხავი“<sup>24</sup>. ეს ჯვარი გარდაცვალების ეამს შუშანიკს გადაუცია ჯოჯიკის მემვეობით სომეხი ბერის ვანშე ანდრეასისათვის, რომელსაც ის წაუღია სომხეთში. ამის შემდეგ გადმოცემულია წმ. ნინოს ჯვრის ისტორია: საღ იყო ეს დაცული და რამდენ ხანს 1239 წლამდე, როდესაც თათრებს ანისი აქლიათ (459 წელი ვანანდში, 164 — ქალაქ კარში, 142 — ქალაქ ანისში). თუ ჩვენ შევკრებთ ამ წლებს და გამოვაკლებთ 1239 წელს, მივიღებთ ზუსტად 474 წელს, რაც იუარაუღება „საკითხავით“ შუშანიკის გარდაცვალების წლად (459+164+142=765; 1239—765=474).

ამგვარად, შეგვიძლია დავასვენათ: შუშანიკის წამებას ადგილი ჰქონია 469—474 წლებში. ეს თარიღი მართლდება თხზულებაში დაცული ცნობებით და სხვა მონაცემებითაც. როდის უნდა დაწერილიყო შუშანიკის „წამება“? თავისთავად ცხადია. არა უადრეს 474 წლისა. როდესაც გარდაიცვალა შუშანიკი. შეიძლება განვსაზღვროთ ზედა ქრონოლოგიური ზღვარიც. სასიკვდილო სარეცელზე მყოფი შუშანიკი ღმერთს სთხოვს საპაგიერო მიუზღოს ვარსკენ პიტიახშს მისი სიცოცხლის ნაადრევად შეწყვეტისათვის (XVI, 26—35). ამავე დროს ცნობილია, რომ ვახტანგ გორგასალმა 483—484 წლებში მოკლა ვარსკენი და ამით დაიწყო სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყება. თხზულების წერის დროს რომ ვარსკენი გარდაცვლილი ყოფილიყო, იაკობ ხუცესი ამას უთუოდ აღნიშნავდა. როგორც ლეთისაგან დასჯას ვარსკენისა მისი უკეთური მოქმედებისათვის. ასე რომ, შუშანიკის „წამება“ დაახლოებით დაწერილია 474—483 წლებში. შეიძლება ეს წლები უფრო დავივიწროოთ. პაგოგრაფს ადრევე ჰქონია განზრახული თხზულების დაწერა, როგორც ეს ჩანს მისი საუბრიდან შუშანიკთან (III, 20—21). გარდა ამისა, ეკლესიას შუშანიკი გარდაცვალებისთანავე შეურაცხავს წმინდანად და დაუწესებია მისი სახსენებელი. ამიტომაც საჭირო იყო ლეთისმსახურების დროს ეკლესიას იმთავითვე ჰქონოდა შუშანიკის „წამება“. ერთი ორი წელი სააპიაროდ საქმარისი იქნებოდა. ყოველრევე ამის გამო შეიძლება ეს თხზულება დაეთარილოთ 474 —

476 წლებით. ამას აპართლებს თხზულებას შინაარსიც, რომელიც მომხდარი ფაქტის უშუალო შთაბეჭდილებითაა გამსჭვალული.

4. **თხზულების გეოგრაფია.** მოქმედება ხდება ქართლში, რომელიც თხზულებაში რამდენიმეჯერ პირდაპირ არის დასახელებული. აქ იგულისხმება ქვემო ქართლი, იველი ალბანეთისა და სომხეთის მოსაზღვრე მხარე, სომხურ წყაროებში გუგარქის სახელით ცნობილი. IV—VII საუკუნეებში მას განავებდნენ პიტიანშები, არშუშას საგვარეულო სახლიდან. ამიტომ ქვემო ქართლს ზოგჯერ საპიტიაანსაც უწოდებენ. ქართლის გარდა თხზულებაში იხსენიება ჰერეთი. სპარსეთიდან სამშობლოში წამოსული ვარსკენ პიტიაანში „მეოცი... სასწვართა ქართლისათა, ქუეყანასა ჰერეთისასა...“ (II, 1—2). ქართლიდან დარუბანღს (ჩორს) მიმავალ ვარსკენს მისი ძმა ჯოჯიკი „...ნიეწია საზღვართა ჰერეთისათა“ (X, 19—20). ჰერეთის სახელით ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილია ალბანეთი, მესამე დიდი ეთნიკური ერთეული კავკასიაში, სომხეთისა და ქართლის შემდეგ. ჩანს, მისი ერთი ნაწილი V საუკუნის მეოთხე ნახევარში შემოდიოდა ქართლის საზღვრებში.

ცალკე უნდა შევხვთ ცურტაეის მდებარეობას. თხზულებით ის არის პიტიაანშთა რეზიდენცია. სპარსეთიდან წამოსული ვარსკენი ჰერეთში ჩერდება ჯრობითა: „და წარმოჰმართა საღიასპანოთა ცენითა მონაჲ თჳსი, ვითარ-ნუკა მოიღია დაბასა, რომელსა სახელი ჰქქვიან ცურტავ“ (II, 5—6). ცურტავშია პიტიაანშის სასახლე, საეპისკოპოსო ტაძარი. აქ მიმდინარეობდა შუშანიკის წამება და გარდაცვალების შემდეგ ის აქვე დაუსაფლავებიათ, ეკლესიის მახლობლად. ცურტაეის აღწერილობა დაგვიტოვა X საუკუნის სომეხმა ისტორიკოსმა უსტანესმა: „ცურტავს ეს სახელი... მაშინ ერქვა, ხოლო ახლა ეწოდება გაჩიანი. მაშინ საესე და ვრცელი, დიდი და სახელოვანი დედა-ქალაქი იყო. ხოლო ახლა შენატრებული და ზომიერი დაბა ქალაქია მდინარის პირზე, რომელსა ეწოდების გაჩენავეტ. მხარეში, რომელსაც ვრაც-დაშტი (ქართველთა ველი) ჰქვია. რომელიც შუა საზღვარია სომეხთა და ქართველთა ქვეყანას შორის...“<sup>25</sup>. ეს აღწერილობა ემთხვევა შუშანიკის „წამების“ ცნობებს. ცურტაეის მდებარეობა დღესაც არაა საბოლოოდ გარკვეული. ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, ცურტაეი საბიებელია ბოლნისისა და რუსთავს შორის. ეს უნდა იყოს ხრამის ტობაში, მდინარე ხრამის ნაპირზე, სადაც ამჟერად არც სოფელი არააღ<sup>26</sup>. ეს საკითხი ისევ თხოულობს შესწავლას და ჭარბობით შეიძლება ამათ დაეკმაყოფილდეთ.

V—VI საუკუნეებში ქვემო ქართლი ანუ საპიტიაანშო თავისი ცურტაევით ქართული კულტურისა და მწერლობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. აქ დაიწერა პირველი ქართული ორიგინალური თხზულება შუშანიკის „წამება“ იაკობ ხუცესისა. ეს კუთხე იძლევა უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლებს, როგორცაა, მაგალითად, V საუკუნეში ბოლნისის ეკლესიის წარწერები. ამათგან ერთი შესრულებულია 493—494 წლებში და წარმოადგენს პირველ თაბილიან ქართულ წარწერას. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქვე ითარგმნა V—VI საუკუნეებში ქრისტიანული მწერლობის ბევრი ნაშრომი ბერძნულიდან, სომხურიდან თუ ასურულიდან. ერთი სიტყვით, ქვემო ქართლი ქართული კულტურისა და მწერლობის ერთ-ერთი აკვანია, რომელმაც მის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ძველ პერიოდში.

ქვემო ქართლი ღარი ფეოდალური ერთეულია V—VI საუკუნეების ქართლში, ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი მისი ისტორიისა მთელი ამ ხნის განმავლობაში. მას განაგებდნენ პიტიახშები არშუშას საგვარეულოდან. მეფის შემდეგ პიტიახშს შვირე ადგილი ეკავა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამათგან ყველაზე ცნობილი პირია ვარსკენის შამა არშუშა პიტიახში, რომელსაც ქებით იხსენიებენ სოპხეი ისტორიკოსები. კორიუნი საგანგებოდ აღნიშნავს მანეტოცის „ცხოვრებაჲსა“, რომ ალბანეთიდან გარდაბანზე წამოსულ მანეტოცს ქართლში ეახლა „ტამირელთა მთავარი (იშხანი). კაცი პატივცემული და ღვთისმოყვარე, რომელსაც სახელად ერქვა არშუშა“<sup>27</sup>. ეს ხდება არტანუჯის სოპხეთა მეფის დროს, 422—428 წლებში. უნდა ვიფიქროთ, არშუშას ამ დროს დაუარსებია სასულიერო სასწავლებელი თავის კარზე. ლაზარე ფარპელი მოგვითხრობს, რომ 449 წელს სპარსეთის მეფემ იეზდიდგერდმა თავის კარზე დაიბარა ქართლის, სომხეთისა და ალბანელების დიდებულები, რომელთაც მოათხოვა სარწმუნოების გამოცვლა. ქართველთაგან ისტორიკოსი მხოლოდ არშუშა პიტიახშს ასახელებს: „ხოლო ქართველთაგან იყვნენ ბდემსი არშუშა და ამ ქვეყნის სხვა ტანუტერები“<sup>28</sup>. არშუშა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თურმე სანაივ ქვეყნის დიდებულებში და წას რჩევას დიდ ანგარიშს უწყევდნენ. ლაზარე ფარპელი მას უწოდებს „შეკვიანსა და გამოძრეველ კაცს“<sup>29</sup>. მეტოცე არშუშა დიდი პატივისცემით სარგებლობდა სპარსეთის სამეფო კარზეც. ასე მაგალითად, 455 წელს მას სპარსელთა ტყუობიდან დაუხსნია მისი ქვისლის მძაიკ მამიკონიანის შვილები. ლაზარე ფარპელი გაყვრებებით წერს, რომ სპარსეთის მეფემ „ისინი უწყალობა აშუშას, როგორც ფრიად საყვარელსა და ღვაწლმოსილ კაცს და აუტრულა ყველასათვის დაუჭებელი მისი თხოვნა“<sup>30</sup>. ყოველივე აქედან ჩანს, რომ არშუშა პიტიახში იყო V საუკუნის დიდი პოლიტიკური მოღვაწე, აღიარებული პიროვნება არა მარტო ქართველთა, სომხეთსა და ალბანელთა შორის, არამედ სპარსეთის სამეფო კარზეც. არშუშას დიდ ღვაწლს ქართული ეკლესიისა და კულტურის წინაშე საგანგებოდ აღნიშნავს იაკობ ზუცესი. შუშანიცი ასე მიმართავს ვარსკენს: „...შამანან შენმან აღჰპართანა სამართკლენი და ეკლესიანი აღაშშნა. და შენ მამისა შენისა საქმენი ვანპრყუნ და სხუად გადააქციენ კეთილნი მისნი (V, 21—23). ეს არის საგნებით სამართლიანი მსჯავრი. ამიტომ როდესაც ვარსკენს პიტიახშის უკეთურ მოღვაწეობას ვეხებით, არ უნდა დაგვაიწყდეს მისი სახელოვანი შამის კეთილი საქმეები, რომელიც ერთგვარად აწონასწორებს ყოველივე ამას და ერთხელ კიდევ წარმოაჩენს საპიტიახშოს დიდ დამსახურებას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

8. შუშანიის „წამებაჲს“ თავდაპირველი შედგენილობა და იაკობ ზუცესის არმოღწეული თხზულება. შუშანიის „წამებაჲს“ მეცნიერული შესწავლა უძველესად ადასტურებს იმას, რომ მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს V საუკუნის მეორე ნახევრის თხზულებასთან. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მას შემდეგ საუკუნეებში ცვლილება არ განუცლია და ჩვენს დრომდე თავდაპირველი სახით მოაღწია. თხზულებას აკლია თავში და შიგნით ტექსტური რამდენიმე ეპიზოდი. ჩვენ შევეცდებით ზოგად ხაზებში აღვადგინოთ შუშანიის „წამებაჲს“ თავდაპირველი შედგენილობა და გავარკვიოთ იაკობ ზუცესს მის გარდა ჰქონდა თუ არა სხვა რომელიმე ნაწარმოები. ამასთან დაკავშირებით უნდა გამოვიყენოთ შუშანიის „წამებაჲს“ სომხური რედაქ-

ცია, რომელიც წარმოადგენს ქართული ტექსტის თარგმანს და შემდგომ გადაშუქვებას სომხურ ეროვნულ ნიადაგზე. ეს თარიღდება დაახლოებით VII—VIII საუკუნეებით. თავისთავად ცხადია, სომხებ მთარგმნელს ხელა ექნებოდა შუშანიკის „წამების“ უფრო ძველი რედაქცია.

ჰაგიოგრაფი თხზულების ბოლოს საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ვარსკენს პარტიკულარული მუშანიკი საჩქერ აწამა: 8 იანვარს ოთხშაბათს, იმავე წლის აღდგომის ორშაბათს და მესამედ „ვარდობისა თთუენა ათცხრაშეტსა“ (XX, 1—4). ეს ბოლო წამება შუშანიკისა აჩქერად არა გვაქვს ქართულ ტექსტში და შეიძლება თხზულებას სომხურ რედაქციას: ვარსკენი ოთხი წლის შემდეგ მობრუნებულა ჩორიდან (დარუბანდიდან) და ეტანჯა შუშანიკი. დაუსჯია ციხის მცველებიც იმის გამო, რომ შუშანიკთან წინახელები დადიოდნენ. ვარდა ამისა შვილებიც გაუმახდებანებია, შუშანიკა წამების ამბავი უცხო-ლებია სპარსეთის მეფისათვის (XII—XIII)<sup>31</sup>. ეს კარგად უდგება თხზულების თხრობას და აშკარაა იყო შუშანიკის წამების თავდაპირველ რედაქციას, როგორც ეს აღნიშნული აქვთ ილ. აბულაძეს<sup>32</sup> და კ. კეკელიძეს<sup>33</sup>. ანალოგიურია მტრე ეპიზოდიც. შემონახული აგრეთვე შალოლ სომხურ რედაქციას: როდესაც ვარსკენმა შუშანიკი პირველად აწამა და სენაკში შეაყენა. „მთა ეამთა ოდენ შიიწია შიში სადამთმე და შვილი მისნი წარიყვანეს ციხესა სა-ოამე“. მდინარეზე გადასვლისას ვარსკენს შვილი დააჩრბია და „დიდი გლო-ვაი ეწია პარტიკსა“. ამის გამო ვარსკენს შუშანიკი საპყრობილედან ეპის-კოპოსის სახლში გადმოიყვანა და ასე ჰყოლია გლოვის დღეებში (VIII, 53—120). ეს ეპისოდიც უდგება თხზულების თხრობას და კ. კეკელიძის აზრით<sup>34</sup>, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ. ისიც უნდა ყოფილიყო თავდაპირველ რედაქ-ციასში.

შუშანიკის „წამებას“ აკლია თავშიც. ამას გვაკარაულებინებს მისი და-საწყისი სიტყვები: „და აწ დამტკიცებით გაიხრა თქუენ აღ-სასარული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისა“ (I, 4—5). ჰაგიოგრა-ფი აქვე ამბობს: ვარსკენის მეუღლე იყო „ასული ვარდანისი სომეხთა სპას-პეტისა. რომლისათჳს ესე შივეწერე თქუენდა, მამისა-გან სახელით ვარდან და სიყუარულით სახელი ში-სი შუშანიკ. მოშიში ღმრთისაჲ. ვითარცა იგი ვთქუთ. სიყრნითგან თვისით“ (I, 9—12). აშკარაა, თხზულებას თავშე-წამებლარებულა ჰქონია სხვა თხრობა, სადაც საუბარი ყოფილა შუშანიკის „ღვთისმოსიშებაზე“, რომელიც ამჯერად დაკარგულია. ს. გორგაძის ვარაუ-დით, შუშანიკის „წამებას“ თავში უნდა აკლდეს თხზულების ავტორისა და მისი შემკვეთის მიწერ-მოწერა<sup>35</sup>. ივ. ჯავახიშვილმა ეს არ გაიზიარა. რამდენ-ადაც იაკობი თვითონ ამბობს, რომ მან თხზულების წერა თავისი ნებია დაიწყო და არა სხვისი შეკვეთით<sup>36</sup>. მისი აზრით, შუშანიკის „წამებას“ შეიძ-ლება აკლდეს პირველი ნაწილი, რომელშიც შუშანიკის ცხოვრება-მოღვაწე-ობის პირველი პერიოდი იქნებოდა აღწერილი<sup>37</sup>. არსებული ტექსტი არ აკარ-თლებს დიდი მეცნიერის მოსაზრებას: იაკობ ხუცესი. თუ შეიძლება ასე ითქ-ვათ, ახლად იწყებს თხრობას, დასაწყისში გვაცნობს მოკლედ ვარსკენისა და შუშანიკის ვინაობას, მათ მშობლებს. თხზულებას რომ პირველი ნაწილი ჰქონოდა, მაშინ ავტორს ყოველივე ამის შესახებ იქ ექნებოდა საუბარი და თქმულს არ გაიმეორებდა. ამავე დროს ნიშნულია ჰაგიოგრაფის სიტყვები:

„... დამტკიცებით გოთხრა თქუენ...“; „... ესე მივწერე თქუენ და...“. ეს უქველად გულისხმობს ადრესატს, თხზულების შემკვეთს. რომელსაც მიმართავს ავტორი. ანტომ, ჩვენი ვარაუდითაც, შუშანიკის „წამებას“ თავში უნდა ჰქონოდა მისი ავტორისა და შემკვეთის მიწერ-მოწერა. ასეთივე ვნთარება გვაქვს აბო თბილელის „წამებაში“, იაკობ ხუცესის თანაშემდროვე სომხურ საისტორიო მწერლობაშიც: მოსე ხორანელთან, ელიშესთან და ლაზარე ფარქელთან. სამივეს ჰყავს თხზულების შემკვეთი, მათ თხზულებებს თავში ერთვის ავტორის წერილი მეცენატისადმი. იგივე უნდა ვივარაუდოთ შუშანიკის „წამებაშიც“. მართალია, თხზულების დაწერა თავისი ნებით განუზრახავს ჰაგიოგრაფს, მაგრამ ამას ის ვერ განახორციელებდა რომელიმე მეცენატის შეკვეთისა და დახმარების გარეშე.

ამგვარად, არსებული მონაცემებით შუშანიკის „წამების“ თავდაპირველი შედგენილობა ასე უნდა წარმოვადგინოთ: თხზულებას თავში დართულა ჰქონია ავტორისა და მისი შემკვეთის მიწერ-მოწერა. გარდა ამისა, ტექსტში დამატებით ყოფილა ორი ეპიზოდი: ბავშვის დაღუპვა და შუშანიკის მესამე ტანჯვის აღწერა. ეს ორი ეპიზოდი შემონახულია შუშანიკის „წამების“ სომხურ რედაქციაში.

ჰქონდა თუ არა იაკობ ხუცესს სხვა რომელიმე თხზულება? თვითონ შუშანიკის „წამება“ გვაძლევს საფუძველს დაეუშვათ ამგვარი ვარაუდი. ჰაგიოგრაფს პირველსავე შეხვედრაზე შუშანიკისათვის ასე მიუმართავს: „ვითარ გეგულეების, მითხარ მე რაათა უწყოდო და აღწერო შრომაჲ შენი“ (III, 20—21). ძველი ავტორები ამგვარ შემთხვევაში დიდ თავმდაბლობას ამჟღავნებენ, არ თვლიან თავს ღირსად ამა თუ იმ წმინდანია ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერისა და მხოლოდ სხვისი იძულებით ასრულებენ ამას. იაკობ ხუცესის ასეთი თამამი ლიტერატურული განაცხადი იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ის ამ დროისათვის აღიარებული მწერალი იყო და საამისო უფლება ჰქონდა უკვე მოპოვებული. კ. კეკელიძის სიტყვით, „შეიძლება ახლო ვიქნეთ სიმართლესთან. თუ ვიფიქრებთ, რომ იაკობს დაწერილი ჰქონდა რაღაც ისტორიული შრომა, რომელშიც შუშანიკის შესახებ გაკრით იყო ლაპარაკი“. ამის შემდეგ იაკობს ცალკე უნდა აღწერა შუშანიკის „წამება“<sup>27</sup>. კ. კეკელიძის ფრთხილი ვარაუდით, შეიძლება ეს იყოს ვახტანგ გორგასალის „ცხოვრება“<sup>28</sup>. დიდი მეცნიერის მოსაზრება საყურადღებოა და ცალკე განხილვას თხოულობს. არა გვერინია, იაკობ ხუცესს დაეწერა ვახტანგ გორგასალის „ცხოვრება“. რამდენადაც ის პოტიახშის კარის ხუცესი იყო და მის დროს საპოტიახშო უპირისპირდებოდა ვახტანგ მეფეს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, შუშანიკის დროს, ვახტანგის სიცოცხლეში, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერა გამორიცხულია. გასაზიარებელია ის, რომ იაკობ ხუცესს ჰქონოდა შუშანიკის „წამებაზე“ საისტორიო თხზულება. რა გვაფიქრებინებს ამას და როგორი ხასიათისა უნდა ყოფილიყო ეს თხზულება? 1. შუშანიკის „წამებაში“ მისი ცხოვრების მხოლოდ ბოლო პერიოდი აღწერილი. მთლიანად გამოტოვებულია პირველი პერიოდი, სანამ მისი წამება დაიწყებოდა. ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ჩვეულებრივ მოწამის მთლიანი ცხოვრება ხოლმე წარმოდგენილი. ასეა, მაგალითად, ევსტათი მცხეთელის „წამებაში“ (VI ს.) და აბო თბილელის „წამებაშიც“ (VIII ს.), როდესაც იაკობ ხუცესი ასე ღუმს შუშანიკის ცხოვრების პირველ პერიოდზე. საფუძველი გვაქვს ე-



ფიქროთ, რომ მას ამის შესახებ სხვა რომელიმე თხზულებაში ექნებოდა საუბარი გავებით თუ საგანგებოდ, რის გამოც მან ის შემდეგში აღარ გაიმეორა; 2. ვარსკენისა და შუშანიკის მშობლები არშუშა პიტიახში და ვარდან მარჯონიანი V საუკუნის დიდი პოლიტიკური მოღვაწეები არიან. წარმოდგენილია ჰაგიოგრაფის ანუ აველო მათთვის გვერდი თხზულებაში და არაფერი ეთქვა მათზე საგანგებოდ. ესეც ცალკე ნაწარმოებს ეკავაჯუღებიანებს შაშ შენახებ.

ჩვენი აზრით, იაკობ ხუცესს შუშანიკის „წამებამდე“ დაწერილი ღნდა ჰქონოდა საპიტიახშოს ისტორია და არშუშა პიტიახშის „ცხოვრება“, რომელშიც თხრობა მოყვანილი იქნებოდა ვარსკენ პიტიახშამდე და შიგ შუშანიკის ცხოვრების პირველ პერიოდზეც იქნებოდა საუბარი. ამ შემთხვევაში გასაგებია ჰაგიოგრაფის თამაში ნიშანთვა შუშანიკისადმი მისი „წამების“ აღწერის შესახებ. ის უკვე აღიარებული მწერალია და შუშანიკის „წამების“ ამბავიც საპიტიახშოს ისტორიის ნაწილია, რომლის აღწერაც მის მოვალეობას შეადგენს. არშუშა პიტიახში დიდი პოლიტიკური მოღვაწეა, ძალზე პოპულარული პირი სომხურ საისტორიო მწერლობაში. ძნელი დასაჯერებელია მისი ცხოვრება-მოღვაწეობა ქართულშიც არ აღწერათ ისევე, როგორც ამას ჰქონდა სომხურში ადგილი ვარდან მამიკონიანის მიმართ. აქ იაკობ ხუცესი ერთადერთი პირია, რომელიც პროფესიონალი ისტორიკოსის სტილით გადმოგვცემს შუშანიკის „წამებას“. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, „ქართლის ცხოვრებას“ გვერდით უნდა ყოფილიყო ცალკეულ ფეოდალურ გვართა ისტორიებიც, რომლებიც შემდეგში დაიკარგა: „ძნელი დასაჯერებელია, რომ მეფეთა მოწინააღმდეგე ჯგუფში ერთ-ორი ისტორიკოსი მაინც არ ყოფილიყო. ძნელი დასაჯერებელია, რომ ძლიერ ერისთავთ-ერისთავს ლიბარტს, ბაგრატ მეფის ძლიერ ყმასა და მეტოქეს, თავისი მემკვიდრე არ ჰყოლოდა. საფიქრებელია მხოლოდ, რომ ამგვარი საისტორიო თხზულებები „ქართლის ცხოვრების“ კრებულში იმიტომ არ იყო შეტანილი, რაკი მიმართულება და შინაარსი „ქართლის ცხოვრების“ საერთო მიმართულებას არ უდგებოდა“. ჩვენი აზრით, იაკობ ხუცესის საისტორიო თხზულება საპიტიახშოზე და არშუშა პიტიახშე ამგვარი ფეოდალურ-გვაროვნული ხასიათისა უნდა ყოფილიყო და ამიტომაც დაიკარგა. შუშანიკის „წამება“ თავდაპირველად მისი ერთი ნაწილი იქნებოდა ისევე, როგორც „ქართლის ცხოვრებაშიც“ გვაქვს წმ. ნინოს „ცხოვრება“ და „არჩილის წამება“. ეკლესიამ მხოლოდ შუშანიკის „წამება“ შემოინახა, რომელიც ამჟამად საისტორიო ნაწილის გარეშე უსრულლო შთაბეჭდილებას სტოვებს და ხარვეზიანი ჩანს დასაწყისში.

თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ დღესდღეობით იაკობ ხუცესი არა მარტო პირველი ქართველი ჰაგიოგრაფია, არამედ პირველი ისტორიკოსიც. რაც მთავარია, მისი საისტორიო თხზულება შუშანიკის „წამებაზე“ აღე უნდა იყოს დაწერილი. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ქართულ ენაზე V საუკუნეში ორიგინალური მწერლობის არსებობას. ყველაფერი ეს ჩვენ მიგვაჩინია მხოლოდ ვარაუდად, რომელიც მომავალმა კვლევებამ უნდა დაადასტუროს ან უარყოს.

6. თხზულების ანალიზი. შუშანიკის „წამებაში“ ასახულია ქართლის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარება V საუკუნის მეორე ნახევარში. სასანიდური სპარსეთი ცდილობდა ჩვენი ქვეყნის სრულ დამორჩილებას, რის-

ვისაც მოხერხებულად იყენებდა სარწმუნოებას. მისი მიზანი იყო ქართლში აღმოეფხვრა ქრისტიანობა და მის ნაცვლად დაენერგა სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობა. იმ დროში ქრისტიანობისათვის ბრძოლა ამავე დროს ნიშნავდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასაც. ამიტომ შემთხვევითი როლია ის გარემოება, რომ V საუკუნის ქართველი მოღვაწეები დიდ ყურადღებას უთმობდნენ სარწმუნოებას და მთელი ძალით იღვწოდნენ მისი განმტკიცებისათვის. ვახტანგ გორგასალმა V საუკუნის მეორე ნახევარში დიდი საეკლესიო რეფორმა განახორციელა: ქართლში შემოიღო კათალიკოსობის ინსტიტუტი, დააარსა 12 საეპისკოპოსო კათედრა. მის მეფობაში აშენდა ბევრი ეკლესია. ეკლესიათა მშენებლობათა და სარწმუნოებრივ-ეკლტურული მოღვაწეობით ცნობილი ყოფილა ვარსკენ პიტიახშის მამა არშუშა პიტიახში, როგორც ამაზე უკვე გვქონდა საუბარი. თავის მხრივ სპარსელებსაც V საუკუნის პირველ მანძილზე არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ქართლში ქრისტიანობის აღმოსაფხვრელად. ლაზარე ფარაბელის თხრობით, 449 წელს მათ მოთხოვეს ქართველებს, სომხებსა და ალბანელებს მთლიანად გამაზღვანებდა. სამივე ქვეყნის დიდებულები იძულებული გახდნენ სპარსეთში სიამეფო კარზე უარყოთ ქრისტიანობა. ამან გამოიწვია სომხეთში და ალბანეთში დიდი სახალხო აჯანყება, რომელსაც ვარდან მამიკონიანი მეთაურობდა. აჯანყება მარცხით დამთავრდა, მაგრამ სპარსელები იძულებულნი გახდნენ ეცნოთ კავკასიის ხალხებში ქრისტიანობა და ხელი აიღეს მკაცრ რელიგიურ პოლიტიკაზე. ამიერიდან ისინი უფრო ფრთხილად მოქმედებენ, ადგილობრივ ფეოდალთა შორის იჩენენ თავიანთ აგენტებს, პოლიტიკური პრივილეგიების მინიჭებით მათში ავრცელებენ მამულებს, უპირისპირებენ მათ ეროვნულ ძალებს. ამ ნიადაგზე დატრიალდა ქვემო ქართლში, ვარსკენ პიტიახშის ოჯახში, ის დიდი ტრაგედია, რომელიც იაკობ ხუცესმა აგვიწერა შუშანიის „წამებაში“. არშუშა პიტიახშის შვილმა ვარსკენმა თავისი ნებით უარყო ქრისტიანობა, მიიღო მამულები და სპარსეთის მეფეს დაპირდა ცოლ-შვილის გამაზღვანებასაც. მისმა მეუღლემ დედოფალმა შუშანიკმა, სომეხთა ცნობილი მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანის ასულმა, საოცარი სიმტკიცე გამოიჩინა, გაუძლო მრავალ ტანჯვ-წვალებას გამაზღვანებელი მეუღლისაგან და ბოლომდე შერჩა ქრისტიანობას.

თხზულებაში ერთმანეთს უპირისპირდებიან ვარსკენი და შუშანიკი. შუშანიკი თხოების დასაწყისშივე წარმოგვიდგება როგორც ქრისტიანობისათვის თავდადებული მოღვაწე. ის ყოფილა „მომშინი ღმრთისამ... სიყრპითგან თსით“ (I, 11—12). მას ვარსკენის სპარსეთში გამგზავრებისთანავე უგბძნია სამიშროება და სხვებისთვისაც უთხოვია ელოცათ ვარსკენისათვის. როდესაც ვარსკენის მიერ მგზავნილი კაცი მისულა შუშანიკთან, ქმრის მოკითხვა გადაუცია. მაგრამ შუშანიკს ჯერ სარწმუნოების ამბავი უკითხავს: თუ ვარსკენი ქრისტიანი არაა. მაშინ მე მისი მოკითხვაც არ მინდაო (II, 7—14). შუშანიკს მაშინვე გაუწყვეტია ყოველგვარი კავშირი გამაზღვანებულ მეუღლესთან, სასახლე დაუტოვებია შვილებითურთ და თავი ეკლესიისათვის შეუფარებია. აქედან იწყება შუშანიკის არაადამიანური ტანჯვა-წვალება, რომელიც ასე მხატვრულად აქვს აღწერილი იაკობ ხუცესს: ვარსკენმა სასახლეში პურობის დროს საშინლად სცემა შუშანიკს, შემდეგ საპყრობილეში მოათავსა. კიდევ უფრო მძიმე იყო შუშანიკის მეორედ წამება. ამჯერად ვარსკენმა ის ეკლესიიდან გამოიყვანა „თრევით მიითრია თიკათა შიგან და ეკალთა შიგან

ველესიით ვიდრე ტანჯაზე“ (VIII, 15—16). სასახლეში ვარსკენმა შუშანიკი ისევ აეყვინა: „სცეს კუფროსითა სამას ოდენ“ (VIII, 22). ესეც არ აკმაბრა და ნატანგი დედოფალი ხალხის წინაშე გამოიყვანა „უქამური და თმა-გარდატე- ვიბოლი ვითარცა ერთი შეურაცხთავანი“ (IX, 6—7). ასე მოათავსა ის ვი- სკენი. სადაც შუშანიკი ექვსი წელს იტანებოდა და მეშვიდე წელს ვარდაც- ლილა. ვარსკენი ბოლომდე ცდილობდა შუშანიკის გატეხვას, ცდილობდა მას უარყო ქრისტიანობა და სასახლეს დაბრუნებოდა, მაგრამ მტარ ვალნა მეუღ- ლემ ეს ვერ შეძლო. შვიცლება პირდაპირ ვთქვათ: შუშანიკმა სეუღვიწიად სძლია და დაასაჩუქრა ფიზიკურად მასზე უფრო ძლიერი და განუსაზღვრელი უფლებ- მებით აღჭურვილი ვარსკენ პიტიაში. გვასენდება უცნობი სპარსელის სიტყ- ვები. რომელსაც უჩჩეგია ვარსკენსათვის: „ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა იტყუ მას, რამეთუ დედათა ბუნებათ იწროთ არს“ (IV, 10—11). შუშანიკის „ბუნება“ არ აღმოჩნდა „იწრო“ და ამასი ალბათ თვითონ უცნო- ბი სპარსელიც დარწმუნდებოდა. შუშანიკის მაგალითზე შეიძლება მას შე- ეცვალა თავისი აზრი „დედათა ბუნებაზე“. შუშანიკის წამებას დიდი მნიშვნე- ლობა ჰქონდა იმ დროინდელ საქართველოში, რომელიც ქრისტიანობით უპო- რისპირდებოდა ცეცხლთაყვანისმცემელურ სპარსეთს.

ვარსკენ პიტიაში შუშანიკის საპირისპიროა, სარწმუნოების უარყოფელი და სპარსელთა ზრახვების გამტარებელი ქართლში. მან თავისი ნებით უარყო ქრისტიანობა, რითაც დაიმსახურა სპარსეთის მეფის განსაკუთრებული ნდობა და პატივსცემა. ამით ვარსკენ პიტიაში დაუპირისპირდა ვახტანგ გორგასანს, სპატივში სპარსეთს დაუმორჩილა. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ შუ- შანიკის „წამებაში“ ვახტანგ მეფე არ იხსენიება: ვარსკენი ნიადაგ სპარსელ- თა სამსახურშია, ქართლის მეფის უფლებებს არ ცნობს. ამდენად ვარსკენ პიტიაში რენეგატი ფეოდალია, სარწმუნოების უარყოფელი და ეროვნული ძალებიდან დაპირისპირებული, ქართლში სპარსელთა დასაყრდენი. თხზუ- ლებით ჩვენ ის წარმოგვიდგება. როგორც პატივმოყვარე და დესპოტი ადა- მიანი. თავის ქვეყანაში მისვლამდე ის პერეთში ჩერდება, იქიდან აგზავ- ნის თავის წარმომადგენელს, რათა ქართლში მას საგანგებო საზეიმო შეჩვედრა პოლუყონ და პატივით მიიღონ. ამასთან ერთად ის ფრთხილი და ვერაგული ბუნების მატარებელია: სასულიერო პირთა და მახლობელთა მეშვეობით ცდი- ლობს შუშანიკის შემორიგებას, განგებ არაფერს ამბობს სარწმუნოებაზე. როდესაც ეს არ გამოუყვდა. მაშინ ვარსკენმა მიმართა ბარბაროსულ მეთოდებს შუშანიკის დასასჯელად, რის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი. მთელი თხზუ- ლების მანძილზე ის გვევლინება გულქვა აღაშიანად, რომელსაც არავითარი სინანული და სიბრალული არა ჰქონია თავისი მეუღლისადმი. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა. იაკობ ზუცესმა სწორი ისტორიული მსჯელობა და- დო ვარსკენ პიტიაში. როდესაც მისი მისამართით შუშანიკს ათქმევინა: „შენ შანიკა შენი სა საქმენი განჰრყუენ და სხუად გარ- დაიქციენ კეთილნი მისნი“ (IV, 22—23). ვარსკენი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, საპირისპიროა მისი სახელოვანი მამის არშუშა პიტია- შისა და ვახტანგ გორგასანისა. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ 483 წელს ის მოკლა ვახტანგმა და ამით დაიწყო სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყება. ეს ეყო ქართლში ეროვნული ძალების გამარჯვება, რომლის შემდეგაც ჩვენი ქვეყნის ისტორია კეთილი გზით წარიმართა.

შუშანიკის „წამება“ მხატვრული სიტყვის დიდებული ნიმუშია. ამჯერად არა გვაქვს საშუალება მისი სრული მხატვრული ანალიზისა. ამიტომაც ვეცდებით სათქმელი მოკლედ მოვჭრათ. იაკობ ხუცესი თბრობის საუცხოო ოსტატია. თხზულება თავიდან ბოლომდე დიდი ინტერესით იკითხება. შუშანიკის „წამებას“ ეშხსა და სილაშაზეს მატებს მოხდენილი დიალოგები, ბრწყინვალე პოეტური თქმები, შედარებები და ეპითეტები, რომლებიც უხვად არის მიმოხილული თხზულებაში. ავტორის მხატვრული მეტყველების საილუსტრაციოდ მხოლოდ ორ მაგალითს წარმოვადგინთ. სასიკვდილო სარეცელზე მყოფი შუშანიკი გოდებს თავის სიცოცხლის უდროოდ დაღუპვაზე და ღმერთს სთხოვს სამაგიერო მიაგოს ვარსკენ პიტიაშს: „მიაგოს მას უფალმან, ვითარჲნა უქამოდ ნაყოფნი ჩემნი მომსთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუაილი ჩემი დააჰკნო. შეუნიერებაჲ სიყეთისა ჩემისაჲ დაახნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა. და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემს შორის“ (XVI, 32—35). იაკობ ხუცესი ასე აგვიწერს იმ ციხის ადგილის ბუნებას, სადაც შუშანიკი ტანჯებოდა: „უამსა ზაფხულისასა ცეცხლებერ შემწუული იგი მკურვალეობი მზსაჲ, ქარნი ხორშაჲნი და წყალნი მაენებელნი, რომლისა მკვლარნიცა მის ადგილისანი საესენი სენითა, წყლითა განსიებულნი და განყითლებულნი, დაწერტილნი და დამქენარნი და დამლიერებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი: და მოხუცებული არაენ არს მათ ქვეყანათა. და ესეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ პყრობილ იყო და მძიმეთა მათი საყრველთა შინა ადიდებდა ღმერთსა“ (XIV, 21—28). ამგვარი ადგილები ბევრია თხზულებაში, რაც იაკობ ხუცესის დიდ მხატვრულ ტალანტზე მიგვითითებს.

შუშანიკის „წამება“ იშვიათი მოვლენაა ძველ ქართულ მწერლობაში. ვ. კეკელიძე მის შესახებ განზოგადებულ სახით ამბობს: იაკობ ხუცესს „წარმოუვაგენია ამ შრომაში ცოცხალი სურათი მაშინდელი ჩვენი ყოფა-ცხოვრებისა. ჩვენი უძველესი კულტურულ-საზრუნველობრივი ვითარება. სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, საეკლესიო ორგანიზაცია და კერძო საოჯახო ცხოვრება. ასე, რომ ამ მხრივ მისი შრომა არ ეტევა საეკლესიო მიზნით დაწერილ ისიც ავთოგრაფიული, თხზულების ჩარჩოებში და წმინდა ისტორიულ-ბეჭდურისტიკული პროზის ხასიათი აქვს“<sup>42</sup>.

ისმის კითხვა: რა ადგალი შეიძლება მიეკუთვნოს შუშანიკის „წამებას“ ქართული ლიტერატურის ისტორიაში და როგორია თავისთავად მისი მეცნიერული ღირებულება? უპირველეს ყოვლისა ეს თხზულება დღესდღეობით პირველი ქართული ორიგინალური ნაწარმოებია, დათარიღებული V საუკუნის მეორე ნახევრით. მასზე დამყარებით შეგვიძლია დავსკვნათ, რომ V საუკუნეში ქართული მწერლობა საკმაოდ იყო განვითარებული და მაღალ დონეზე იდგა. ქართულად უკვე თარგმნილი ყოფილა ძირითადი ქრისტიანული ლატერატურა და არსებულა აგრეთვე ორიგინალური თხზულებებიც. თხზულებაში სახელდებით არის დასახელებული „საქარება“, „დავითნი“ და „წიგნი მოწამეთანი“ ანუ პაგოგრაფიულ ძეგლთა კრებული. შუშანიკის „წამება“ წარმოადგენს ძვირფას საისტორიო წყაროს V საუკუნის ქართლის ყოფა-ცხოვრების შესასწავლად, როგორც ეს საგანგებოდ აქვს აღნიშნულა ივ. ჭავჭავაძის. ყველაფერი ეს მაინც არ ამოწურავს შუშანიკის „წამების“ მეცნიერულ მნიშვნელობასა და ღირებულებას. ის ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით საინტერესოა იმ მართო როგორც ჭრჭერობით ყველაზე ძველი ორიგინალური ძეგლი

და ძვირფასი სისტერიო წყარო, არამედ როგორც მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ნიმუში, რომელიც დღესაც გვხიბლავს თავისი უშუალობითა და პოეტური ფერადოვნებით. იაკობ ხუცესი ქართული მხატვრული პროზის პირველი კლასიკოსია. 1500 წლის მანძილზე, რომელიც გვაშორებს შუშანიკის „წამების“ ეპოქას, ქართულ ენაზე დაიწერა მსოფლიო მნიშვნელობის მრავალი წმინალება. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავსახელოთ დიდი რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. ძალზე განვითარდა და შემდგომ სრულყოფა მიიღწია ქართულმა მხატვრულმა პროზამ. შუშანიკის „წამებას“ გვერდს უშევენებენ ჩვენს მწერლობაში სხვა პაგიოგრაფიული ძეგლები, როგორცაა, მაგალითად, აბო თბილელის „წამება“ (VIII ს.) და გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრება“ (X ს.). კ. ეკელიძის სიტყვით, ძველ ქართულ მწერლობას „ხელნაწერთა და ლიტერატურულ ძეგლთა რაოდენობით, შენახულობითა და ღირებულებით, ბევრი მწერლობა ვერ შეედრება“<sup>1</sup>. როდესაც თვალს ვავლებთ ქართული ლიტერატურის ისტორიას მთელი 1500 წლის მანძილზე, ვრწმუნდებით, რომ შუშანიკის „წამება“ მის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს ეკუთვნის. ქართული მხატვრული პროზის შვიდეულში იაკობ ხუცესი შეიძლება თამამად შევიყვანოთ. ეს შვიდეული V საუკუნიდან დღემდე პირადად ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი: იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩულე, სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, მიხეილ ჭავჭავაძე და კონსტანტინე გამსახურდია. ერთი სიტყვით, შეგვიძლია ვიამყოთ იმით, რომ ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ორიგინალური ნაწარმოები ამავე დროს არის მხატვრული სიტყვის პირველი კლასიკური ნიმუში. მან გაუძლო დროის მკაცრ გამოცდას და დღესაც თავდაპირველი ბრწყინვალეობით კაშკაშებს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ცაზე.

### შენიშვნები

<sup>1</sup> ეამობთ ჭერჭერობით იმიტომ, რომ ორიგინალური თხზულებები ქართულ ენაზე ადრეც უნდა გვექონოდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ვარაუდით, თვითონ იაკობ ხუცესს შუშანიკის „წამებამდე“ დაწერილი ჰქონია საისტორიო თხზულება (იხ. § 5).

<sup>2</sup> ივ. ჭავჭავაძე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 45—54.

<sup>3</sup> კ. ეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 113—122.

<sup>4</sup> P. Peeter s. Sainte Sousanik Martyre en Arméno-Georgie. "Analekta Bollandiana", ტ. 53, 1935, გვ. 245—307.

<sup>5</sup> იაკობ ხუცესი, მარტილობა შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტი გამოსცა, გამოკლევა, ვარჩანები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფილისი, 1938.

<sup>6</sup> ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკლევიდა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 89.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 89.

<sup>8</sup> ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 033.

<sup>9</sup> კ. ეკელიძე, ეტიუდები, V, თბ., 1957, გვ. 274.

<sup>10</sup> პ. ინგოროძე, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913 გვ. 56.

<sup>11</sup> თ. ყორღანი, ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. 320.

<sup>12</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 94.

<sup>13</sup> ქართლის ცხოვრება, თბ., I, 1955, გვ. 216—217.

<sup>14</sup> პ. პეტერსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 303—305.

<sup>15</sup> ციტირებულია ილ. აბულაძის გამოცემის მიხედვით: პირველი ციფრი აღნიშნავს პარაგრაფს მეორე სტრიქონებს.

- 16 ეპისტოლეთა წიგნი, 1968, გვ. 91.  
 17 ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 060.  
 18 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 89.  
 19 იაკობ ხუცესი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი, ტექსტი, შენიშვნები და ვარიანტები ს. გორგაძისა, ქუთაისი, 1917, გვ. 37.  
 20 ივ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.  
 21 ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, ტფილისი, 1923, გვ. 122—123.  
 22 ქ. ქეკელიძე, იქვე, 1941, გვ. 108—110.  
 23 ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 59—63.  
 24 ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 118.  
 25 უსტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართულ თარგმანით და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1975, გვ. 65—66.  
 26 ლ. მელიქსეთ-ბეგი, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმების შესწავლისათვის, ქურნ. „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, 1934, გვ. 42—43.  
 27 ნ. წანაშია, ლაზარ თარგმანის ცნობები საქართველოს შეიხებზე, თბ., 1962, გვ. 175.  
 28 იქვე, გვ. 218.  
 29 იქვე, გვ. 227.  
 30 იქვე, გვ. 239—240.  
 31 სომხური ტექსტი ციტირებული გვაქვს ილ. აბულაძის გამოცემის მიხედვით (იხ. მისი დასახ. ნაშრომი).  
 32 ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 040.  
 33 ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 121.  
 34 იქვე, გვ. 121—122.  
 35 ს. გორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.  
 36 ივ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53—54.  
 37 იქვე, გვ. 54.  
 38 ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 115.  
 39 იქვე, გვ. 115, უნშ 3.  
 40 ივ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.  
 41 ნ. წანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 209—237.  
 42 ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, 116.  
 43 იქვე, გვ. 120.

Ш. С. ОНИАНИ

## ЯКОВ ПРЕСВИТЕР, «МУЧЕНИЧЕСТВО СВЯТОЙ ШУШАНИК».

### Резюме

В работе исследованы основные историко-литературные вопросы, относящиеся к «Мученичеству» Шушаник, а именно: автор произведения, дата создания памятника, география, структура и первоначальный состав. За этими вопросами следует анализ произведения.

Автором «Мученичества» является Яков Пресвитер, духовник Шушаник. Мученичество царицы имело место в 469—474 годах. Само произведение было создано приблизительно в 474—484 гг., точнее, в 474—476 гг.

Памятник дошел до нас в неполном виде: он должен был начинаться перепиской автора с заказчиком произведения. Два потерянных эпизода сохранились в армянской редакции «Мученичества», которая была вначале переведена с грузинского и затем переработана. Предполагается, что Яков Пресвитер также был автором историографического произведения о пятинахах, а именно об Аршуше Питнахше (отце Варскена, мужа Шушаник).

«Мученичество» Шушаник — блестящий памятник древнегрузинской художественной литературы, а его автор должен считаться первым грузинским классиком.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის განყოფილება  
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

ც ი ა ლ ა პ ო რ ც ი ა კ ი ა

„შუშანიკის წამების“ ტექსტის ზომიერითი საკრიტიკოსო

1. „განჩინება“ სიტყვის მნიშვნელობისათვის

„შუშანიკის წამებაში“ (V თავში) მოთხრობილია ასეთი ეპიზოდი: ხუცესების მოციქულობამ რომ ვერ გაჭრა და ეკლესიის მახლობლად პატარა სახლაკში თავშეფარებული შუშანიკი სასახლეში არ დაბრუნდა, ვარსკენმა მას თავისი ძმა ჯოჯიკი, ჯოჯიკის ცოლი და სასახლის ეპისკოპოსი მიუგზავნა. თან შეუთვალა: „აღდეგ და მოვედ ადგილსა თუსსა და ნუ ეგეეთარი გონება გიპყრინს, უკუეთუ არა, თრევით მოგიტრიო“. ავტორის გაღმარებულ მოციქულებში „მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს“ შუშანიკს, მაგრამ მისი წინააღმდეგობა ვერ გატეხეს. ბოლოს, როდესაც რჩევა-დარიგებებითა და ხეწნა-მუდართით თავი მოაბეზრეს, შუშანიკი იძულებული გახდა, მათ ნებას დაჰყოლოდა. მან თან წაიღო ევანგელე და წიგნი მოწამეთანი და დაბრუნდა სასახლეში, ოღონდ თავის სამყოფ „გალიაკში“ კი არ დაინაღდა, არამედ „სენაკსა შინა მცირესა“.

ამ ეპიზოდში ყურადღებას იქცევს ერთი ადგილი, სახელდობრ, ჯოჯიკის მიერ ვარსკენის დაბარებულის გადაცემა შუშანიკისათვის და შუშანიკის პასუხი.

აღსანიშნავია ჯოჯიკის ტაქტი: რაკი „მრავალი დასაჯერებელი სიტყუით ვერაფერს გახდა, მან მხოლოდ შემდეგ, საუბრის მიწურულს, გადასცა შუშანიკს ვარსკენის დანაბარები. თან, როგორც ჩანს, იმისათვის, რომ ქალს ნაკლებად ეგრძნო თავი შეურაცხყოფილად, ჯოჯიკმა ეს დანაბარები შუშანიკის ყურამდე ისე კი არ მიიტანა, როგორც ვარსკენის მუქარა, არამედ მხოლოდ შეახსენა, როგორც ცნობილი ფაქტი, რომ ვარსკენს ეს ხელეწიფებოდა: „უწყი შე, აწ მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ“ (ვიცი, რომ მოავლენს მსახურებს და თრევით წაგიყვანს).

ჯოჯიკი ალბათ ვარაუდობდა, რომ მოსალოდნელი შეურაცხყოფა შუშანიკს შეაკრთობდა, მაგრამ, როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, შუშანიკი ამ სიტყვებზე არ აღელვებულა. მან ასე უპასუხა ჯოჯიკს: „უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ ვით სახითა იყოს განჩინება ჩემი მისგან“, ე. ი. თუ შემკრავს და მთრევს, მიხარია, რადგან ამნაირად იქნება (ამგვარად მოხდება) ჩემი განჩინება მისგან.

როგორც ვთქვით, ვარსკენის მუქარას შუშანიკი არ აღელვებია, სამაგიეროდ მისმა პასუხმა ძალიან აღელვა იქ მყოფნი: „და ვითარცა ესმა ესე მისგან, — მოგვითხრობს ავტორი, — ცრემლოოდეს ყოველნი, და ჯოჯიკ აღდეგ და ცრემლით გარე განვიდა“, ხოლო შემდეგ უკან შემობრუნებულმა ჯოჯიკმა ვედრება დაუწყო შუშანიკს: „დაამ ჩუენი ხარ შენ, ნუ წარსწყემდ სახლსა ამას სადედოფლოსა“.

რატომ გამოიწვია შუშანიკის ზემოხსენებულმა პასუხმა ასეთი რეაქცია მსმენელებში? ცხადია, სიტყვა „განჩინებაში“ ძვეს რაღაც ისეთი შინაარსი რაც ასე ემწევათ ვარსკენის მოციქულებს.

„შუშანიკის წამების“ მკვლევრებს სიტყვა „განჩინება“ სხვადასხვაგვარად აქვთ განმარტებული.

ამ ძეგლის პირველი მეცნიერი გამომცემელი ს. გორგაძე „განჩინებას“ ამგვარად განმარტავდა: „განჩინება — აქ ეს სიტყვა ჰნიშნავს გამოჩინებას, სახელის განაოქმასა“<sup>1</sup>.

„შუშანიკის წამების“ ილია აბულაძისეულ გამოცემაში ეს სიტყვა აქსნილია, როგორც: „განკითხვა“ ე. ი. განსჯა“<sup>2</sup>.

„განჩინების“ ილია აბულაძისეულ განმარტებას ემყარებოდა ალბათ კ. ქველიძე, როდესაც მან ეს სიტყვა „შუშანიკის წამების“ რუსულ თარგმანში გადაიღო როგორც суд: «если он свяжет ления и потащит, беду раба, ибо этим самым произведен будет суд его надо мною»<sup>3</sup>.

„განჩინება“ განაჩენად გაუგია ვ. დონდუას და „შუშანიკის წამების“ მის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანში იგი приговор-ად უთარგმნაა<sup>4</sup>.

ამგვარად, „შუშანიკის წამების“ ზემოხსენებულ კონტექსტში „განჩინება“ განმარტებულია სამგვარად: 1. წარმოჩენა, სახელის განთქმა, 2. გასამართლება, განსჯა, 3. განაჩენა. ბველი ქართული ენის ძეგლებში „განჩინება“ სამივე ამ მნიშვნელობით დასტურდება.

ჩვენი აზრით, „განჩინების“ არც ერთი ეს მნიშვნელობა „შუშანიკის წამების“ აღნიშნულ კონტექსტს არ ესადაგება. თუ დავუშვებთ, რომ აქ სახელის განთქმასა და წარმოჩენაზეა ლაპარაკი, ე. ი. თუ შუშანიკის პასუხს ამგვარად გავიგებთ — თუ შეჰკრავს და მათრევეს, მიხარია, რადგან ამნაირად მოხდება ჩემი სახელის განთქმა მისგანო, მაშინ მოულოდნელი და გაუგებარი აღმოჩნდება ის რეაქცია, რაც გამოიწვია მოციქულებში მისმა ზემოხსენებულმა პასუხმა. როგორც უკვე გვქონდა ამაზე ლაპარაკი, შუშანიკის პასუხზე ყველა ატირდა, იქამდე, რომ ჯოჯიკმა ველარ გაუძლო და აცრემლებული გარეთ გავიდა, ხოლო როდესაც შემობრუნდა, ვედრება დაუწყო შუშანიკს. ჩვენი და ხარ და საღედოფლო სახლს ნუ დაღუპავო. მეორე მხრივ, ვარსკენი თუ შეკრავდა შუშანიკს და სახლში თრევით წაიყვანდა, ეს შუშანიკისთვის ალბათ საამაყო და თავმოსაწონი სრულიადაც არ იქნებოდა (გავიხსენოთ, რა ფრთხილად გადასცა ვარსკენის ეს შეურაცხყოფელი განზრახვა ჯოჯიკმა შუშანიკს).

რაც შეეხება „განჩინება“ სიტყვის სხვა მნიშვნელობებს, განკითხვა, განსჯა, იგივე суд და განაჩენი ანუ приговор, როგორც ტექსტიდან ჩანს, ამ დიალოგის დროისათვის ვარსკენი შუშანიკს უკვე აღარაფრით აღარ ემუქრება. განსჯა და განკითხვა შუშანიკისა მას უკვე დამთავრებული აქვს და განაჩენიც გამოტანილია: ვარსკენმა უკვე მიიღო მაზღვანობა. უკვე შეპფიცა ერთგულება და ცოლიც სთხოვა სპარსეთის მეფეს, გახარებულმა სპარსეთის მეფემაც „ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაა“. ვარსკენს ეხლა უკვე, პირიქით, არათუ განსჯა და განკითხვა, არამედ შუშანიკის, თავისი „ბუნებითი ცოლის“. შემორიგება უნდა და არაერთგზის მოციქულობასაც ამიტომ მიმართავს. მეორე მხრივ, შუშანიკი შეურაცხყოფილია როგორც დედოფალი და როგორც ცოლი, შელახულია მისი მრწამსი. ქრისტეს მორწმუნე და „მოშიში ღმრთისაი სიყრმითგან თქსით“ შუშანიკი, რომელიც მანამდე სულ იმას ევედრებოდა ყველას, რომ ელოცათ ვარსკენისათვის, „რამთამცა ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიერებასა ქრისტესსა“, უძლური აღმოჩნდა. რომ თავისი კეთილისყოფელი ძალით დაეთრგუნა ვარსკენის „უგუნურება“.



ე. ი. შუშანიკმა კარგად იცის, რომ თვითონ მას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის ვარსკენის წინაშე, ამიტომ მისგან განსჯისა და განაჩენის მოლოდინიც არა აქვს. ნაწარმოების შემდეგი პასაჟების მიხედვით, გაბოროტებული შუშანიკი, პირიქით, ვარსკენის განსჯასა და გასამართლებას ელის ლეთისაგან (შდრ. „განვისაჯნეთ მე და ვარსკენ პიტიანში მუნ, სადა-იგი არა არს თუაღლებად, წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსა... ნიავოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა“... და სხვ.). ასე რომ, თუ ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში შუშანიკი განსჯასა და განკითხვას ახსენებდა, ეს უნდა ყოფილიყო არა „ჩემი მისგან“, ე. ი. შუშანიკისა ვარსკენისგან, არამედ „მისი ღმრთისაგან“, ე. ი. ვარსკენისა ლეთისაგან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ მრავალ მაგალითში, რომელთა ვადათვალიერებაც მოგვიხდა, არც ერთი შემთხვევა არ დადასტურდა სინტაქსურად ისეთნაირად აგებული წინადადებისა, სადაც „განჩინება“ განაჩენის, გადაწყვეტილების მნიშვნელობით იქნებოდა ნახმარი და მასთან შეწყობილი სახელები, ამ შემთხვევაში უბრალო დამატებები, „ჩემი მისგან“ სახით შეგვხვდებოდა. ყოველთვის გვაქვს „განჩინება მის ზედა“ (მისი), ან „განაჩინა მის ზედა“ (მან) კონსტრუქცია: „ვითარი განჩინება გამოვიდა მის ზედა... არა საცნაურ ჰყო (კლემაქსი, 146, 13). „ეჰა, რამ-მე განჩინება მოსლვად არს ჩუენ ზედა?“ (კლემაქსი 112,16). „უკუანაჲსკენელი იგი განჩინება განაჩინა მის ზედა“ (ტიმ. ანტ. ეტ. VI, 368,12) და სხვ.

ძველი ქართული ენის ძეგლებში სიტყვა „განჩინება“ უმეტესად განწყობის, დადგენის, დამტკიცების, დაწესების მნიშვნელობით იხმარება. ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებში, რომლებიც ჩვენ მიერ ამ თვალსაზრისით გადაისინჯა, მაგალითების დიდ უმრავლესობაში „განჩინება“ სწორედ ამ მნიშვნელობით შეგვხვდა: „განაჩინოს იგი მათ ზედა ებისკოპოსად“ (ბალავ. 137, 26) = განაწესოს, დაადგინოს იგი მათ ეპისკოპოსად. „განაჩინეს ერისთავად გუარამ“ (მოქც. 95, 16) = განაწესეს, დაადგინეს ერისთავად გუარამი. „მდიდარმან მკველი განაჩინოს მის ზედა“ (მამ. სწ. 116, 19) = მდიდარმა მკველი დაუდგინოს მას. „განჩინებოდა მსხუერპლად და შესაწირავად კაცი ერთი“ (H-1661, 55v, 7) = განაწესდებოდა, დამტკიცდებოდა მსხუერპლად და შესაწირავად ერთი კაცი. „ცასა განუჩინა ცისა შემსგავსებული ბუნებაჲ“ (ექუს ღღ. 17, 9) = ცას დაუწესა ცისათვის შესაფერისი ბუნება და სხვ.

„შუშანიკის წამების“ შემოხსენებულ კონტექსტში არც დაწესება, დადგენა, დამტკიცება, განაწესებაა მოსალოდნელი. ასე რომ, ჩვენთვის საინტერესო „განჩინებას“ არც ეს მნიშვნელობა ეგუება.

ძველი ქართული ენის ძეგლებში ხშირად ხმარებული ეს სიტყვა ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში უხვი საილუსტრაციო მასალითაა წარმოდგენილი. როგორც ვიცით, ილია აბულაძის ლექსიკონში წყაროებას დიდი ნაწილი რამდენიმე რედაქციითაა დამოწმებული, ამიტომ განსამარტავ სიტყვებთან განმარტებების გვერდით ავტორი თავს უყრის შესატყვისებს პარალელურ რედაქციებიდანაც, ისინი ავტორს ტეხილ კავეში აქვს ჩასმული. ეს შესატყვისები უმეტესად განსამარტავი სიტყვის სინონიმებია, უფრო იშვიათად კი დამტკიცებული არიან განსამარტავი სიტყვის ძირითად მნიშვნელობას.

ილია აბულაძის ლექსიკონში „განჩინება“ პირიანი ფორმებისა და საწყვი-

სისათვის ცალ-ცალკე ერთეულებდაა გატანილი. პარალელური რედაქციებიდან მოხმობილ მაგალითებში მათ შეესაბამება: «შეწირვა», «მიცენა», «განთესება», «გამორჩევა», «გამოჩინება», «სჯა», «ჩუენება», «განსაზღვრება», «განჩემება», ხოლო განმარტებად ახლავს: განწესება, დაღგენა, დამტკიცება, გადაწყვეტა, განაჩენი.

ძველი ქართული ენის ძეგლებიდან დამოწმებული მასალის მიხედვით ილ. აბულაძის ლექსიკონი იცნობს „განჩინების“ ოთხსავე ზემოთ ჩამოთვლილ მნიშვნელობას. „განჩინება“ აქ არის: 1. დაღგენა, დამტკიცება, განწესება, დაწესება, 2. განაჩენი, და წყაროების პარალელური რედაქციებიდან მოხმობილი მასალით კი 3. «გამოჩინება» (=წარმოჩენა) და 4. «სჯა».

ამათ გარდა, ილია აბულაძის ლექსიკონში ყურადღება მიიქცია წყაროთა პარალელური რედაქციებიდან მოხმობილმა სხვა შესატყვისებმა, სახელდობრ: „განთესებამ“, „განჩემებამ“ და „გამორჩევამ“. ეს სამი სიტყვა ლექსიკონში აუთოთავის ადგილას ამგვარადაა წარმოდგენილი:

**განთესება** «განყოფა», «განჩინება» შესატყვისებით. ავტორისეული განმარტება ამ სიტყვას არ ახლავს. იქვე ენ. გეარის მიმღეობა **განთესებული** კი ავტორის მიერ ახსნილია, როგორც: განცალკევებული, საკუთარი.

**განჩემებას** პარალელური რედაქციებიდან მოხმობილი მაგალითების მიხედვით შესატყვისად აქვს: «მიღება», «განჩინება», «შესაწირავი», ხოლო დამოწმებული წყაროების საფუძველზე განმარტებულია, როგორც: განკუთვნიება, მისაკუთრება, გამორჩევა, გამოცალკევება.

რაც შეეხება **გამორჩევას**, წყაროთა პარალელური რედაქციებიდან აქ გამოვლენილია შემდეგი შესატყვისები: «განჩევა», «განჩინება», «გამოკუთვნა», «გამოყოფა», ხოლო განმარტებულია, როგორც: არჩევა, მკობინება, გამოცალკევება, განსხვავება.

ამგვარად, ძველი ქართული ენის ძეგლებში „განჩინებას“ შესატყვისად უხმარიათ: „განთესება“, „განჩემება“, „გამორჩევა“, რომელთათვისაც საერთო ჩანს მნიშვნელობები: გაყოფა, გაცალკევება, გამოყოფა, გამოცალკევება.

ბუნებრივად გაჩნდა ეჭვი, სიტყვა „განჩინებასაც“ ამ სამი სიტყვის („განთესება“, „განჩემება“, „გამორჩევა“) მსგავსად ხომ არა აქვს გაყოფა-განშორებისა და გამოყოფა-გამოცალკევების მნიშვნელობა და, მამასადამე, „შუშანიკის წამებაში“ ჯოჯიკის მიმართ შუშანიკის პასუხი ხომ არ უნდა გავვითარო ასე, რომ თუ ვარსკენი შეკრავს და ათრევს მას, შუშანიკს ეს ფაქტი იმით გაახარებს, რომ ეს იქნება საბოლოო ბოძგი მათი დაშორებისა, გაყრისა, გათვისებისა?

ძველ ქართულში „განჩინებას“ ეს მნიშვნელობა მართლაც აღმოაჩნდა.

თვითონ ილია აბულაძის ლექსიკონში რიცხვთა წიგნის ბაქარისეული რედაქტიიდან დამოწმებულ მაგალითში, „განჩინე ლევიტელნი შორის ძეთაგან ისრაელისათა და იყენენ ჩემდად“ (რიცხვ. 8. 14), „განჩინება“ სწორედ გამოყოფას, გამოცალკევების მნიშვნელობითაა ნახმარი.

კონტრასტი ეხება ღვთის ბრძანებას აარონის მიმართ ლევიტელთა ტომის ისრაელთა სხვა ტომებისაგან გამოყოფისა და გამოცალკევების შესახებ, რათა იგი ღვთის ვერად იწოდოს.

ბიბლიის რუსულ თარგმანში შესაბამისად იკითხება: «и так отдели левитов от сынов Израильских, чтобы левиты были моими»<sup>8</sup>.

რაც შეეხება ბერძნულ და სომხურ შესაბამის ადგილებს, „განაჩინეს“ სესატიყვისად ბერძნულ ბიბლიაში გვაქვს ზიათელის, ხოლო სომხურში *ყათოიესი* (ბერძნულშია: *καὶ θιאתελείς τοῦς λαιμας ἐκ μέσων σῶν Ἰσραηλ, καὶ ἐνοῦται ἐπ’ αὐτὸν*); სომხურშია: *სა ყათოიესი გჳჩიასაგჩხ ჯ მჩქოი ირჳიოყხ ხარაქცი, ხა სიქიქხ ჩხა*)<sup>10</sup>.

ბერძნული *θι-ათელის* რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება. პირველ რიგში ასახელებენ მისი გაყოფისა და გაცალკეების მნიშვნელობას. 1. *врозь ставитъ, разделять*, შემდეგ კი: *раскрывать* (მაგ. სხეულისა); *различать* (საშ. გვარის ფორმით): *разграничивать, определять*; ახალ აღთქმაში: *указывать*. ასევე სომხურში, *ყათოიესი* განმარტებულია, როგორც *отделить, разделить*; შემდეგ: *различать, отличать, разобрать*.

ბიბლიის უძველეს თარგმანებში სხვაგანაც დადასტურდა რამდენიმე მაგალითი, სადაც „განჩინება“ გამოყოფა, გამოცალკეებას და გაყოფა, გათიშვას ნიშნავს.

„ესეც განჩინებაჲ შოვრის ერსა ჩემსა და შოვრის ერისა შენისა“ (გამოსლ. ბ, 23). ამ წინადადების შინაარსი, ბიბლიის რუსული თარგმანის მიხედვით თუ წარმოვადგენთ, ასეთია: «я сделаю разделение между народом моим и между народом твоим».

პარალელურად ბიბლიის ბერძნულ და სომხურ თარგმანებშიც იმავე შინაარსის მუხლები დასტურდება. (*καὶ ὁὖτως θιათელიς ἐπὶ ἀνὰ μέσων τῶν ἔθνων ἰσραὴλ καὶ ἐπὶ ἀνὰ μέσων τῶν αὐτῶν λαῶν; ხა ითაგ ხაროიე ჯ მქე ძიიიქიქხანს ჯმქი ხა ჯ მქე ჯიიქიქხანს კი*).

ბერძნულისა და სომხურის აღნიშნულ მუხლებში „განჩინებას“ შეესაბამება *θιათელის* და *ხაროიე*, რომელთა ძირითადი მნიშვნელობებია: გაყოფა, გაცალკეება. დაშორება და თვით გათიშვა და განხეთქილება. ტექსტის ამ ადგილს სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა ეკუთვნის, რადგან მოციქულ კონტექსტში ლაპარაკია ღვთის მუქარაზე, რომელსაც იგი მოსეს პართ უთვლის ეგვიპტის ფარაონს: თუ არ გაათავისუფლებს ისრაელის ერს და არ დააბრუნებს თავის მიწაზე, მაშინ იგი (ღმერთი) განხეთქილებას ჩამოაგდებს ისრაელის ერსა და ეგვიპტელებს შორის.

საყურადღებოა ისიც, რომ გამოსლვითა წიგნის გელათურ რედაქციაში „განჩინებას“ შესატყვისად „განყოფილობა“ იკითხება: „და ვყო განყოფილობა შორის ერისა ჩემისა და შორის ერისა შენისა“.

სხვა შემთხვევაში „განჩინება“ და „გამოყოფა“ პარალელურ რედაქციებში ერთმანეთის შესატყვისად გვხვდება: „პური შესაწირავად გამოჰყოთ; ვითარცა შესაწირავი კალომასა ეგრე გამოჰყოთ იგი თავსნიერი თბეთა თქვენთა და მისცეთ იგი უფალსა“ (რიცხვ. 15, 20—21). გელათურ რედაქციაში ვკითხულობთ: „პური განაჩინები განუჩინეთ მას; ვითარცა განჩინებული კალომასაგან, ეგრეთ განუჩინეთ მას პური დასაბამად თბისა თქვენისა და მიეცეთ უფალსა“.

თითოეულ რედაქციაში ორ-ორჯერაა ნახმარი „განჩინება“ და „გამოყოფა“ და ორივეგან ერთმანეთის შესატყვისად.

რუსულ ბიბლიაში შესაბამისად გვაქვს: «возносить (от начатков теста нашего лепешку вознесите в возношение, вознесите ее так, как возношение с гуаиа)».

ბერძნულ თარგმანშია *ἀφορίζε* და *ἀφείλεται*, ხოლო სომხურში იგივე *გათოცანს* (*ձրես ԳժԻՐՁԱ Իփորէիւ ԲԻՆ; Իճ ԳՔԻՐՁԱ ԻՌԻ ՁԼ, ԻՆԿ; ԳՔԻԼԷԻ ԶԻՆ; և ԹԱՐՔԻՔ ԳՆԱԿ ԿԱՍԻՆ ՏՆԱԻՆ, ԳԱԹՈՒՍՅԻՔ ԳԱՅՆ ԱՏՆԱԻՆ ՈՐԱՅՆ ԳՆԱՆ Ի ԿԱՂԻ; ՆՈՒՆԱԿ և ԳԱՅՆ ԳԱԹՈՒՍՅԱՆԻՔԷ*).

აქოქ:ჯ-სა და აქა:რ:ა-სათვის, ორავესთვის, ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობაა სწორედ: გაყოფა, განაწილება, გამოყოფა.

გამოყოფის მნიშვნელობითაა ნახმარი „განჩინება“ II შქულთა წიგნის გელათურ რედაქციაში შემდეგ ადგილას: „განჩინა უფალმან ტომი ლევისი აღლებად კილობანი“ (II შქ. 10,8).

მცხეთურ ბიბლიაში მას „გამორჩევა“ შეესაბამება: „გამოარჩია უფალმან ტომი ლევისი აღლებად კილობნისა“.

რუსულ თარგმანშიც ამ ადგილას იმავე ლევის ტომის გამოყოფაზეა ლაპარაკი და ამ შინაარსის გულმოსაცემად იგივე *отделить* სიტყვაა ნახმარი (*«отделил Господь колена Левиино, чтобы носить ковчег завета Господня»*).

ასევეა ბერძნულსა და სომხურშიც. ლევის ტომის გამორჩევა და გამოყოფა აქაც იმავე *ἀ-α-α-α* და *გათოცანს* ზმნებითაა აღნიშნული (*ἀ-α-α-α ԻՓՐԵՍ ԻՊ ԻՄԻՐԻՆ; ԳԱԹՈՒՍ ԵՏԻ ԳԵՏԻՆ ԶԻՏԱԿ ԻԱՆՆԱԿ ԳՈՒԱՅԱՆՆԱԿ*).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვა „განჩინება“ ძველი ქართული ენის ძეგლებში უმეტესად და ძირითადად განწესების, დაწესების, დადგენისა და დამტკიცების მნიშვნელობით იხმარება. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთ შემთხვევებში „განჩინებას“ ყოველთვის ახლავს გამორჩევის, გამოყოფის, გამოცალკეების შინაარსიც. გავიმეორებთ ზემოთ დამოწმებულ მაგალითებს: „განჩინეს ერისთავად გუარამ“ ნიშნავს: გამოყვეს, გამოარჩიეს ერისთავად გუარამი. „მდიდარმან მცველი განჩინოს მის ზედა“ — მდიდარმა მცველი გამოყოფს მას. „განუჩინა ყოველნი, რაოდენნი უკმლეს მენი ეკლესიისანი“ — გამოყოფო, რამდენიც სკირდებოდათ მნე ეკლესიისათვის. „ადგილი ერთი განჩინა სალოცველად“ (A—1103, 232r, 17b) — ერთი ადგილი გამოყო, გამოცალკევა სალოცველად და სხვ.

იმ ფაქტმა, რომ ძველ ქართულში „ჩინ“ ძირიდან ნაწარმოები უზმნისწინო „ჩინება“ მიწოდებას, მიწვევას და მიპატიებებას ნიშნავს, ხოლო „ჩინებული“ წვეულს და მიპატიებულს, და ამავე დროს მათაც უთუოდ აქვეთ გამოყოფის, გამორჩევისა და გამოცალკეების მნიშვნელობა, შეიძლება მეტად საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცეს. ამჭერად საყურადღებო იქნება, რომ „განჩინება“ ძველ ქართულში უხმარიათ გამოყოფა-გამოცალკეებისა და გათიშვის მნიშვნელობით, რაც, ჩვენი აზრით, კარგად ესადაგება „შუშანიკის წამების“ ჩვენთვის საინტერესო კონტექსტს.

თუ შუშანიკის პასუხს ჯოჯიკის მიმართ ამგვარად გავიგებთ, თუ შეშქარავს და მთარევეს, მიხარია, რადგან ამგვარად, ამით მოხდება ჩემი გამოყოფა (ე. ი. ჩემი გაყრა, განშორება) მისგანო, მაშინ საესებით გასაგები იქნება ის რეაქცია, რაც შუშანიკის პასუხმა იქ მყოფებში გამოიწვია: ყველა მათგანის ატირება, ატრემლებული ჯოჯიკის გარეთ გავარდნა და მისი ვედრება შუშანიკის მიმართ: ჩვენი და ხარ და სადედოფლო სახლს ნუ დაღუპავო.

შუშანიკის პასუხის ამგვარ შინაარსს „წამების“ მთელი მომდევნო ტექსტიც ამართლებს. მანამდე თუ შუშანიკი, რაკი მოცქულები „ფრიად აურუბ-

დეს“, მაინც დაბრუნდა სასახლეში და ჯოჯიკისა და მისი ცოლის თხოვნით ვარსკენთან ერთად სასადილო სუფრასთანაც აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ვარსკენმა მის საცემრად ხელი აღმართა, შუშანიკისაგან რაიმე დათმობას უკვე აღვლი აღარ ჰქონია. სწორედ მას შემდეგ მოხდა განჩინება შუშანიკის ვარსკენისგან.

## II. ტექსტის ზოგიერთი ადგილის გახწორებისათვის

„შუშანიკის წამების“ საიუბილეო გამოცემაში, რომელსაც გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“ სცემს და რომელიც ჩვენ მიერ მომზადდა, რამდენიმე შესწორება შევიტანეთ. წიგნში მათ შესახებ მხოლოდ მითითებულა. აქ წარმოვადგენთ ამ კონიექტურათა დასაბუთებას.

1. როდესაც სპა-სეთიდან შინ მოპირუნიებული ვარსკენ პიტიახში ქაბთლის საზღვრებს მოუახლოვდა, იმისათვის, რომ მის შემოსვლას ქართლში საზღვიმო იერი ჰქონოდა<sup>11</sup>, ცურტავეში მაცნედ „სადიასპანო ცხენით“ მსახური გამოგზავნა. რათა წინ მიჰგებოდნენ „აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი ჰისნი“. მსახური პირდაპირ შუშანიკს ეახლა და შუშანიკმაც მისგან შეიტყო ვარსკენის ვამაზდენების ამბავი.

„შუშანიკის წამების“ 1963 წლის გამოცემაში<sup>12</sup>, რომელიც, თავის მხრივ, ილია აბულაძის 1938 წლის გამოცემას ეყრდნობა<sup>13</sup>, ეს ადგილი ამგვარადაა გამართული:

„და წარმოჰმართა სადიასპანომთა ცხენითა მონამ თჳსი, ვითარჴ[შ]ცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქჳან ცურტავე“.

„და ვითარცა მოიწია და შევიდა წინაშე შუშანიკისა, დედოფლისა ჩუენისა. და კითხვამ ჰრქჳა“. და სხე.

„ვითარცა“-ში შანი კავებშია ჩასმული იმის გამო, რომ იგი ხელნაწერებში არ დასტურდება და გამოცემლის მიერაა შემოტანილი „ცა“ ნაწილაკის „მცა“ ნაწილაკად შეცვლისათვის. რის შედეგადაც ამგვარი შინაარსი მივიღეთ: გამოგზავნა დესპანისათვის განკუთვნილი ცხენით თავისი მსახური, რომ მოსულიყო დაბაში, რომელსაც ცურტავეი ჰქვია.

ჩვენი აზრით, ხელნაწერების წაკითხვაში ჩარევა და „ვითარცა“-ს „ვითარცა“-დ გასწორება საჭირო არაა. თვითონ ხელნაწერების მიხედვით ეს ადგილი ამგვარად იმართება: „და წარმოჰმართა სადიასპანომთა ცხენითა მონამ თჳსი. და ვითარცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქჳან ცურტავე, და ვითარცა მოიწია და შევიდა წინაშე შუშანიკისა, დედოფლისა ჩუენისა, და კითხვამ ჰრქჳა“.

ამგვარი შინაარსი კი მოცემულ კონტექსტს საკვებით შეესაბამება.

2. როდესაც ნაცემ-ნაგვემი შუშანიკი ვარსკენმა სენაკში ჩაეკტა, იაკობ ხუცესი შეიპარა მასთან და თავისი სამსახური შესთავაზა: „მიბრძანე და მოგზანო სიხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთაცუეულ არს, და სალბუნი და წამალი დაგდევა“. ს. გორგაძის გამოცემიდან დაწვებული ყველგან გვაქვს „შთაცუეულ არს“. 1963 წლის გამოცემაში, რომელიც ყველა თერთმეტსავე ხელნაწერს ითვალისწინებს, ხელნაწერთა ჩვენება ისეა წარმოდგენილი, თითქოს A-სა და B-ში იყოს „შთაცუეულ“, დანარჩენებში — „შთახუჭულ“/„შთახეულ“ (H-ში: მოხვეულ). სინამდვილეში A-სა და B ხელნაწერებშიც „შთახუჭულ“ იკითხება. შეეძლოა გრაფიკული აღრევის შედეგია: ნუსხური ხ (ჲ) გამოცემლების მიერ ც-დაა (ღ) წაკითხული. კონ-

ტექსტსაც, სადაც თვალეზში ჩაყრილ ნაცარზეა ლაპარაკი თითქოს „შთაცუ-  
ეულ“ ფორმა უცვრო ესადაგება.

საქმე ისაა, რომ ძველ ქართულში გვაქვს „ცვენა“||„ცვენება“ და აქედან  
ნაწარმოები მიმლონები „დაცვენებული“, „ჩამოცვენებული“ და სხვ. ფორ-  
მები „შთაცუნან“ და „შთაცუეული“ ძველ ტექსტებში ვერ დავადასტურეთ.  
მართალია, არც „შთახუევა“ და „შთახუეული“ შეგვხვედრია ნაცართან მი-  
მართებით, მაგრამ ნაცრის ჩაგროვების აღსანიშნავად „შთახუევა“, „შთახუე-  
ულის“ ხმარება ძველი ქართულინათვის მაინც ალბათ უცხო არ იყო, გამო-  
ცემაში მიზანშეწონილად მივიჩნით, ხელნაწერების ჩვენების გათვალისწინე-  
ბით „შთახუეულ“ ფორმა აღგვედგინა.

3. ნაწარმოების მიხედვით, ვარსკენმა იაკობის პირით შეუთვალა შუშა-  
ნიკს, რომ მისთვის სამკაულები დაებრუნებინა. როდესაც იაკობს ამ დავალებს  
აძლეოდა, ვარსკენმა ჩაილაპარაკა: „იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი“  
(გამოჩნდება ვინმე, ვინც მას მოიხმარს, გააცეთს). ხოლო როდესაც შუშანიკმა  
იაკობისავე ხელით მას სამკაულები გაუგზავნა, ვარსკენმა იგივე ფრაზა კვლავ  
გაიმეორა. ეს ადგილი წინა გამოცემებში ამგვარადაა გამართული: „და კუ-  
ლად თქუა: მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“ (და კვლავ თქვა:  
მერმეც გამოჩნდება ვინმე, რომელიც ამას მოიხმარს, დაიმშვენებს).

ჩვენი აზრით, კონტექსტი ავტორისეულ ჩანაფიქრს გადმოსცემს, თუკი  
მას ამგვარად წარმოვადგენთ: „და კუალად თქუა მერმეცა: „იპოოს ვინმე, რო-  
მელმან ესე შეიმკოს“ — ე. ი. ადრე ნათქვამი მეორედაც („მერმეცა“) გაიმეო-  
რაო.

4. რამდენიმე შევიხვევაში A ნუსხას უპირისპირდება და უფრო ძველ  
და მართებულ წაკითხვებს რძლეა დანარჩენი 10 ხელნაწერი. მიზანშეწონი-  
ლად ჩავთვალეთ, რომ 1928 და 1963 წლების გამოცემებში A ნუსხის მიხედ-  
ვით გამართული ეს ადგილები დანარჩენი ხელნაწერების წაკითხვებით შეგვე-  
ცვალა:

ა) „თქუა მსახურისა მიმართ მისისა“ (17, 23) შეიცვალა ქართულინათვის  
უფრო ბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციით: „პრქუა მსახურისა მისისა“, რო-  
მელსაც იცაეს A-ს გარდა ყველა ათივე ხელნაწერი.

ბ) ასევე: „მოვიღე მცირედ ღვნომ და პური“ (18,2) გასწორდა დანარჩე-  
ნი ხელნაწერების წაკითხვით: „მოვიღე მცირედ ღვნომ და პური“.

გ) „დაადგინნა მცველნი მას ზედა“ (21,15) — „დაადგინნა მცველნი მის  
ზედა“.

დ) „იყვენესე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვენეს“ (23,19) —  
„იყვენესე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი“.

5. A ნუსხაში „შუშანიკის წამებას“, როგორც ვიცით, ბოლოს აკლია ტე-  
ქსტის ერთმესამედამდე ნაწილი. ჩვენს გამოცემასაც აქედან, წინა გამოცემე-  
ბის მსგავსად, საფუძვლად B ხელნაწერი დაედო (A—130). B და D (A—176)  
ხელნაწერებში სხვებისაგან განსხვავებით დასტურდება -აჟ სუფიქსით ნაწარ-  
მოები ფორმები: წუენი (CEFGHIKL) — წუენაკი BD. ალიზი (CEFGHIKL) —  
ალიზაკი BD. სასთაულა (CEFGHIKL) — სასთაულაკი BD. რაკი ტექსტის წინა  
ნაწილში „სახლის“ პარალელურად -აჟ-ით ნაწარმოები „სახლაკი“ A ნუსხასთან  
ერთად მხოლოდ და მხოლოდ B და D ნუსხებში დასტურდება, უნდა ვიფიქ-  
როთ, რომ ეს სამი ფორმაც (წუენაკი, ალიზაკი, სასთაულაკი) B-სა და D-სთან

ერთად A ნუსხის კუთვნილება იქნებოდა. ამიტომ გამოცემაში ეს სიტყვები კინობითის ფორმით დავტოვეთ.

6. შუშანიკის სიკვდილის თარიღის შესახებ ნაწარმოების ბოლოს ნათქვამია: „აღსრულება მისი თთუესა ოკლონბერსა ათრვდმეტსა, საქსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანესთა“.

შეიღ ხელნაწერში (BCEFGIL) იკითხება „კოზმან და დამიანეთა“, მხოლოდ სამში (DHK) გვაქვს „კოზმან და დამიანესთა“. ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, გამოცემაში „დამიანესთა“ შეგვეცვალა „დაიპანეთა“-თი, რომელიც, გარდა იმისა, რომ 10 ხელნაწერიდან 7-ში დასტურდება, ამ კონტექსტისათვის უფრო სწორი უნდა იყოს.

აქ რომ მხოლოდ ერთი პიროვნება „დამიანე“ იგულისხმებოდეს, ზელნაწერებში გვეჩვენებოდა წაკითხვა: „საქსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანესთახა (ან დამიანესთახა)“. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე. წ. კოლექტიური მრავლობითის ფორმასთან: დამიანეთი—დამიანეთთა. იგულისხმება დამიანე და მასთან მყოფნი, დამიანე და მისი მიმდევრები, თანამოაზრეები (მღრ. XI საუკ. H—535 ხელნაწერში: თს: უღლების სათაური: „თთუესა ოკლონბერსა იზ. საქმე წმიდათა კოზმან-დამიანეთთა და კურნებანი მათნი“).

### შ ე ნ ა შ ე ნ ე ბ ი

<sup>1</sup> იაკობ ს უ ც ე ს ი, წამება წმიდისა შუშანიკისი, ტექსტი. შენიშვნები და ვარიანტები. ს. რ. ვო რ გ ა ძ ი ს რედაქტორობით, ქუთაისი, 1917, გვ. 23.

<sup>2</sup> იაკობ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი, მარტულობა შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკლევა, ვარიანტები, ლექსიკონები და სპეციალური დაურთო ილია ა ბ უ ლ ა ძ ე შ, ტფ., 1938, გვ. 92.

<sup>3</sup> Памятники древнегрузинской агрографической литературы. грузинский текст перепел, исследованнем и примечаниями спабдил академик Академии наук Грузинской ССР проф. К. С. К е л л ძ ე, Тб., 1956, გვ. 20.

<sup>4</sup> ცნობა მოგვაწოდა ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე მ, რომელმაც ე. დონდუას მიერ თარგმნილი „შუშანიკის წამების“ რუსულ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა.

<sup>5</sup> სომხურ არც ვრცელ და არც მოკლე რედაქციაში ჯოჯიკისა და შუშანიკის ეს დილოგი არ დასტურდება. მოკლე რედაქცია ამ ეპიზოდს საერთოდ არ იცნობს, ხოლო ვრცელში შესატყვისი ადგილი შემდეგი შინაარსისაა: როდესაც ეპისკოპოსმა და ჯოჯიკმა გადასცეს შუშანიკს ვარსკვლავის დანაბარები და შუშანიკმა ვრცელ პასუხა წარმოთქვა საღმრთო წერილის ციტატებითა და მათი კომენტარებით დატვირთული, შემდეგ უკვე ეპისკოპოსს ეუბნება მას: „ოქმული გვე შენი კეთილ არიან, გარნა ესე [კამს] გულისხმისყოფად, ვითარმედ ნუუკუე უნეტეს რისხვად და შურად აღძრვის და აღადგინის ძკირ ძკრსა ზედა, ზედამდგომელთა და ურთა. არამედ აღდგე და მოვედ, რამთა მცირედ რამე დაშრტეს მრისხანება უშუქლომასა მის“. ეგრეთვე მზადცა მის პრეტანსისა ევედრებოდა. და ყოველთა აიძულეს და ფრიად აწყინეს ნეტარსა მას. დაემორჩილა ნებათა მათთა და პქუთა: „ყოო ნებათ თქუენი, მეცა უწყვი, ვნებანი მოწვევად არიან ჩემ ზედა, არამედ თქუენ წარვედით თთოველსა ავჯილსა და მე მხოლოა მიტრევეთ, არცა ვარ მარტო, რამეთუ უფალი ჩემი თანა არს, რომლისა მოსავ ვარ, და უფალი არს მწე ჩემდა. და მე არა შემეშინოს, რამ მიყოს მე ბოროტმან“. და აღდგა და წარვიდა მათ თანა“... და ა. შ.

სომხური ტექსტის ქართული თარგმანი მოგვეყვას ილია აბულაძის წიგნიდან: იაკობ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი, მარტულობა შუშანიკისი..., გვ. 16—17.

<sup>6</sup> ლექსიკონში ცალკე ერთეულებადაა გატანილი აგრეთვე: „განჩინებელი“, „განჩინებულად“ და „განუჩინებულად“.

„განჩინებულს“ პარალელური რედაქციებიდან შევსატყვისება „დაწვეებული“, „განჩინებულთა“, „გარემოდასი“, „განკუთნებულთა“, „ნაწილი“ და განმარტებულია ამგვარად: ცხადი, ნაჩვევები, საჩინო, წილი, სარგო.

„განჩინებულად“ სიტყვას პარალელური რედაქციიდან მოხმობილ მაგალითში შეესაბამება: «შესაწირავად», განმარტებულია კი სიტყვით: „ცხადად“. „განუჩინებულად“ განმარტებულია, როგორც: გაურკვეველად, შერეულად.

<sup>7</sup> ბაქარის ბიბლიაში რიცხვთა წიგნი რედაქციულად მისდევს ამ წიგნის უძველეს ქართულ რედაქციას, რომელიც A—51 და H—1207 ხელნაწერებშია დაცული.

<sup>8</sup> Библия, Книги священного писания ветхого и нового Завета, Москва, 1968.

<sup>9</sup> Septuaginta, id est vetus Testamentum graece, iuxta LXX interpretes, edidit Alfred Rahlfs, editio sexta, Stuttgart, გვ. 229.

<sup>10</sup> სათარგმანო მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლის მიხედვით, 1895.

<sup>11</sup> შტრ. ივ. ქ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წიგნი 1, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს), ტფ., 1921, გვ. 22.

<sup>12</sup> ძველი ქართული ავოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1963, გვ. 12.

<sup>13</sup> იაკობ ც უ რ ტ ა ე ე ლ ი, მარტკობაჲ შუშანიისი, ქართული და სომხური ტექსტები ვარსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფ., 1938, გვ. 5.

Ц. Н. КУРЦКИДЗЕ

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ, СВЯЗАННЫЕ С ТЕКСТОМ «МУЧЕНИЧЕСТВА СВЯТОЙ ШУШАНИК»

### Резюме

В статье установлено значение слова *განჩინება* (*gančineba*), которое употребляется в ответе Шушаники своему деверю (V глава). В данном контексте это слово имеет следующее значение: отделиться, развестись.

Учитывая данные рукописей, исправлены также некоторые места текста «Мученичества».

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა



## გ უ რ ა მ ბ ა დ ე რ ვ ი ლ ი

## „შუშანიკის წამების“ ერთი სადავო აღზრდის გაგებინათვის!

„შუშანიკის წამების“ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის ყველაზე უადრესი X საუკუნისაა. ამდენად, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ დედანის შექმნიდან 5-6 საუკუნით დაშორებულ რედაქციებში გადამწერ-რედაქტორთა თუ ინტერპოლატორთა მიერ ბევრი რამ შეიცვლებოდა, გადასწორდებოდა. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ინტერპოლაციად არის მიჩნეული მკვლევართა მიერ ის მონაკვეთი, სადაც ვარსკენ პიტიახშისა და მისი მეუღლის — შუშანიკის სიტყვიერი პაექრობაა მოცემული. ქმრის დაუკითხავად შუშანიკის სასახლიდან წასვლით თავზარდაცემული ვარსკენი კითხულობს: „რახსა კელ-იწიფა ჩემზე და ცოლმან ჩემმან ესევეთარის საქმედ? ... აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ შენ ჩემი ხატი დაამჭუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაახს, და შენი აღგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსრულ ხარ...“ დედოფალი შუშანიკი, თავის მხრივ, უპასუხებს: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და შემცა დავამჭუ...“

თუ ვარსკენის მიერ შუშანიკის მისამართით ნათქვამი საყვედურის ერთი ნაწილი აზრობრივად ნათელია (იგი მეუღლეს უსაყვედურებს ქმრის უკითხავად, ოჯახთან შეუთანხმებლად სახლიდან უცერემონიოდ წასვლას და სამეფო სარეკელზე „ნაცრის გარდასხმას“, ე. ი. დამწუხრებას), ამასვე ვერ ვიტყვიტ გამოთქმაზე: „შენ ჩემი ხატი დაამჭუ“, რადგან ის აზრობრივად აშკარად გაუპართავია. ასევე ბუნდოვანია შუშანიკის პასუხი: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და შემცა დავამჭუ...“ საქმე ისაა, რომ სიტყვა ხატი ძველ ქართულ ენაში რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდებოდა: გამოხახულება, ნახატი, მსგავსება, ფერი, სახე, სურათი, შესახედობა... (2, გვ. 561), მაგრამ ამ მნიშვნელობათაგან რომელიმეს არც დამხობა (დანგრევა, დაქცევა) შეიძლება და არც, მით უმეტეს, აღმართვა (აგება, აშენება)!

მოცემულ კონტექსტში ეს აზრობრივი შეუსაბამობა თუ ბუნდოვანება ძველ გადამწერთაც უგრძნიათ და „წამების“ ორ რედაქციაში (HK ნუსხები) ხატის ნაცვლად ტახტი შეუტანიათ. ამით გადამწერებმა ფრანზის ბუნდოვანება-შეუსაბამობა თითქოს ერთგვარად დაძლიეს (ბოლოს და ბოლოს პიტიახშის ტახტის დამხობაც შეიძლებოდა და აღმართვაც), მაგრამ ხომ ცნობილია, რომ „შუშანიკის წამებაში“ პიტიახშის სამეფო ტახტის დამხობა-აღმართვაზე ხიტყვაც არსად არის დაძრული! ასე, რომ, გადამწერ-ინტერპოლატორთა ახლოვანურ და, რაც მთავარია, იძულებით ჩარევას ტექსტისათვის ახალი გაუგებრობის გარდა სხვა რამ სიკეთე არ მოუტანია.

სადავო აღგილის გასწორება-დაზუსტება შემდგომშიც არაერთ სპეციალისტს უცდია. ცნობილი ორიენტალისტი პ. პეეტერსი მხარს უჭერდა აღნიშნულ კონტექსტში ხატის ნაცვლად ტახტის აღდგენას (საფიქრებელია,

1 წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXII სამეცნიერო სესიაზე, 1976 წ. 1 დეკემბერს (თეზისები დაბეჭდილია).

მკვლევარი იცნობდა HK ნუსხებს, რომლებშიც, როგორც ცნობილია, ხატის ადგილას ტახტი არის წარმოდგენილი).

ქ. კეკელიძემ პ. პეტერსისეული მოსაზრება არ გაიზიარა. იგი წერდა: «P. Peeters захотел восстановить в нем („წამების“ ტექსტში.—გ. ბ.) некоторые, измененные по его предположению впоследствии формы, но это не всегда ему удается. Напр., в предложении „ხატი დაამკუ“ он „ხატი“ хотел исправить «тахти». Но он не учел, что **ტახტი** персидское слово, которого не могло быть в произведении X века (ხაზი ჩვენია,—გ. ბ.), его нет в Библии» (3, გვ. 12).

თავის მხრივ ქ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ მოცემულ ფრაზაში სიტყვა ხატი სწორად იყო წარმოდგენილი; ოღონდ მკვლევარი ხატს რატომღაც რელიგიური თვალსაზრისით განიხილავდა. სადავო ადგილი („შენ ჩემი ხატი დაამკუ...“) მან ასედაც თარგმნა: «Ты разрушила молельню мою и ложе мое посыпала пеплом...» (3, გვ. 19.). აშკარაა, მკვლევარმა აქ რელიგიური **მოლელნია** (სალოცავი, ხატი, ნიში...) სადავო ფრაზის ბუნდოვანება-გაურკვევლობის დასაძლევად შემოიტანა, თორემ ნაწარმოების სხვა ადგილას დადასტურებული სიტყვა ხატი მას, როგორც მოსალოდნელი იყო, სახე-ღ (лицо) აქვს თარგმნილი: „... Увидел лицо ее растерзанное и опухшее (3, გვ. 21). (შდრ. „ვიხილე ხატი მისი დაბზარული და განსივებული“). როგორც ვხედავთ, სიტყვა ხატი ტექსტში ქ. კეკელიძის მიერ ორი მნიშვნელობითაა თარგმნილი: ხატი—საკულტო ნაგებობა, **სამლოცველო** («**МОЛЕЛЬНЯ**») და ხატი—სახე (პირისასე) «**ЛИЦО**».

საუზრადღებოა, რომ სადავო კონტექსტის ხატი, ასევე რელიგიურ-საკულტო მნიშვნელობით გაიზიარა ვ. დონდუამ: «Ты испровергла мое божество... «**Не я воздвигла это божество, чтобы я стала его испровергать...**»

აქამად სარწმუნოდ არის გარკვეული, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში ხ ა ტ ი საკულტო ნაგებობის, სამლოცველოს გაგებით არსად გვხვდებოდა და რომ სიტყვა ხატს რელიგიური შინაარსი საკმაოდ გვიან, XVIII—XIX საუკუნეებში შეუძენია (4, გვ. 87—89). მაშასადამე, „შუშანიკის წამებაში“ ხატის რელიგიური შინაარსით წარმოდგენა (ხატი — **МОТЕЛЬНЯ**) უნდა გამოირიცხოს.

უკანასკნელ ხანს ზემოხსენებულ სადავო ადგილს შეეხო ა. ჰინჭარაული, რომელმაც ფრაზა „შენ ჩემი ხატი დაამკუ“ ხატოვან გამოთქვამად მიიჩნია. მკვლევრის თვალსაზრისით, აღნიშნული კონტექსტი ასე უნდა გაეგოთ: „შენ მე (ჩემი სახე, პიროვნება) მიწასთან გამასწორე (შეურაცხყოფა მომაცენე)... ხაწოლი შემევიენე“. მაღალმხატვრული აზროვნების ნიმუშად არის ჩათვლილი შუშანიკის პასუხიც („არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამკუ...“). აქვე ა. ჰინჭარაული რატომღაც შესაძლებლად თვლის, რომ აღნიშნულ კონტექსტში შეიძლებოდა მართლაც ყოფილიყო საუბარი ვარსკენის ხატზე, სურათზე თუ გამოსახულებაზე, რომელიც შუშანიკმა შეაკმენვეინა, ხოლო შრის-სანების უამს „დაამკუა“. თუმცა მკვლევარი იქვე შენიშნავს, ტექსტის ასე პირდაპირ გაგება არ ეგუება ვარსკენისეულ იდიომატურ თქმას: „საკებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ“ (4, გვ. 89).

ჩვენი საშუალო სკოლების VIII კლასის სახელმძღვანელოში („ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“) „შუშანიკის წამების“ სადავო პიტყვა ხატი განმარტებულია როგორც სახე, პატივი. მაშასადამე, აქაც ფრაზა „შენ ჩემი ხატი დაამკუ“ ვარსკენ პიტიახზის თავმოყვარეობის, მამაკაცური პა-

ტივისა თუ ღირსების შელაპყვიად არის გაგებული, თუმცა საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში აღამიანის პირად ღირსების პატივისა და თავმოყვარეობის შელაპყვი-დამპირების სინონიმად „ხატის დამქობა“ არსად დასტურდება.

ზემოთქმულის მიხედვით ირკვევა, რომ „წამების“ სადავო აღგილის ხატი სპეციალისტ-მკვლევართა მიერ სხვადასხვაგვარად არის გააზრებული: ხატი — სალოცავი, საკულტო ნაგებობა, ხატი «ХАТЕННИИ» (კ. კეკელიძე); ხატი — ღმერთი, ღვთაება, «НИЖЕСТВО» (ვ. დონდუა); ხატი — სახე, პატივი (ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ილ. აბულაძე); ხატი — სახე, პიროვნება, სურათი, ხატი, გამოსახულება (ა. ჭინჭარაული); თუმცა ხატი-ს ზემოთ მოტანილ მნიშვნელობათგან სადავო კონტექსტს შინაარსობრივად არც ერთი არ მიესადაგება. ამდენად, ცხადია, „წამების“ ეს მონაკვეთი დამატებით კვლევას და განპარტებას მოითხოვს. ჩვენი წერილიც სწორედ ამ საკითხის გარკვევის ცდას წარმოადგენს.

პირველ ყოვლისა პრინციპული ღირებულება აქვს იმის დადგენას, ავტორისეულია თუ არა მოცემულ კონტექსტში სიტყვა ხატი? ვვარაუდობთ, რომ იაკობ ცურტაველისეული ხელნაწერის სადავო აღგილას სიტყვა ხატი არ უნდა გვქონოდა. არ უნდა გვქონოდა იმ უბრალო მიზეზით, რომ არაბული წარმოშობის სიტყვა „ხატი“ ქართულ მწერლობაში მხოლოდ „არაბობის“ შემდგომ, IX—X საუკუნეებიდან ჩნდება: პირველ ქართული წერილობით ძეგლში რომელშიც ხატი დასტურდება. 864 წლის „სინური მრავალთავი“ უნდა იყოს. უცრო ადრინდელი ქართული წერილობითი და ეპიგრაფიკული ძეგლებში ხატ-სიტყვას საერთოდ არ იცნობენ. გავიხსენოთ, როგორ პრინციპულად უარყოფდა აკად. კ. კეკელიძე პეტერსის მოსაზრებას „წამების“ სადავო აღგილას ხატის ნაცვლად ტახტის აღდგენის თაობაზე: „ტახტი“ სპარსული სიტყვაა, ქართულ მწერლობაში გვიანაა შემოსული, იმდენად გვიან, რომ მას ბაბლიაც კი არ იცნობს და ამიტომ V საუკუნის ძეგლში „ტახტი“ არ შეიძლება გვქონოდა!

შეიძლებოდა ანალოგიური „ბრალდება“ ხატ-სიტყვისათვისაც წაგვეყენებინა: არაბული წარმოშობის ეს სიტყვა ქართულ მწერლობაში მოგვიანებოდა. IX საუკუნიდან ჩნდება და, მასასადაამე შეუძლებელია „ხატი“ V საუკუნის ძეგლში გვქონოდა!

როგორი ვითარებაა საგულეებელი ცურტაველისეული ხელნაწერის მიხედვით? რა სიტყვა უნდა გვქონოდა დედანში გვიან შეტანილი ხატ-სიტყვის ნაცვლად?

ნაწარმოების შინაარსის საგულედაგულო შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ „შუშანიკის წამების“ ავტორისეულ ხელნაწერში ხატის აღგილას სიტყვა სახე უნდა გვქონოდა. ოღონდ არა დღევანდელი სახის (ХАТ) მნიშვნელობით, არამედ სახლის (ოჯახი, გვარი) გაგებით!

სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ დღევანდელი სახლი (სახ-ლი) უძველესი სახელ-||სახე (სა-ხელ-||სა-ხე) ფუძეებისაგან მომდინარეობს (5, გვ. 33, 34). ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პროფ. ე. თოფურია მეგრ. ოხორი-ს („სახლი“) ანალიზისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოხორის (ო-ხ-ორი) შესატყვისად ქართულში სა-ხ-ად და სა-ხ-ელ ფუძეები უნდა გვქონოდა (6, გვ. 66, 83). ე. თოფურიას ეს ვარაუდი შემდგომ გამოვლენილს

ძველი ქართული ენის ძეგლებმა ფაქტობრივად დაადასტურა: „ღმერთმან და-  
ამცდრნის ერთ-სახენი სახელა...“ (Бог однокких ввадиг в дом...); „სახე-  
ლისაგან ღმრთისა შენისა მოვსპო კერპები...“ (Из дома бога твоего...); „ვი-  
თარ-იგი დიდ არს სახელი ღმრთისა“... (Как велик дом божий...); „მოხაქუ-  
ნდეს ქებად სახელსა უფლისასა“... (в дом господень...) და ა. შ. (7, გვ. 39).

სახლი-ს თავდაპირველი ფორმა რომ მართლაც სახელ-ი იყო და რომ-  
ლისგანაც ლ-ს მოკვეცილ შემდგომ სახე მივიღეთ (5. გვ. 33,34), სპეციალისტ-  
თა შორის დავას თითქოს არ იწვევს.

ძველ ქართულ ძეგლებში მართლაც შენიშნულია შემთხვევები, როცა სახ-  
ლის აღსანიშნავად სიტყვა სახე არის წარმოდგენილი (უპირატესად ვითარე-  
ბით, იშვიათად მიცემით: ბრუნვაში). ქსნის ოთხთავში, შავალ-თად, ვკითხუ-  
ლობთ: „რასა შეძიებდეთ მე? არა უწყოდეთა, რამეთუ სახესა მამისა ჩე-  
შასასა ჭერ-არს ჩემი ყოფიად“ (2, გვ. 49). აღნიშნ ოთხთავის შესაბამისი ად-  
გილი ასე იკითხება: „... სახლსა მამისა ჩემისასა...“ (7, გვ. 39. სქ.)

ზემოთქმულს გათვალისწინებით სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა:  
თუ „შუშანიკის წამების“ ამ სადავო კონტექსტში ხატი გვიანდელი შენატანია  
და იაკობ ტურტაველის ხელიდან გამოსულ ტექსტში თავდაპირველად ნართ-  
ლაც სახე გექონდა, მაშინ როგორღა მოხდა ამ ფუძეების აღრევა, სახე-ს ხატით  
შეცვლა?

უვარაუდობთ, რომ „წამების“ დედანში (და, ალბათ, მის მომდევნო, X საუ-  
კუნეამდე არსებულ, ზოგიერთ ნუსხაშიც) ფიქსირებული ძველისძველი ფორმა  
„სახე“ X—XI საუკუნის გადამწერებისათვის უკვე მნიშვნელობადაბნელებუ-  
ლი სიტყვა იყო და ამიტომ მათ „სახე“ გაიგეს არა როგორც სახლი, არა-  
მედ როგორც სახე, პირისახე! და რადგან ქართულში ამ დროისათვის  
სახის (лицо) აღნიშვნა უპირატესად არაბულიდან შემოსულ და ენაში მტკი-  
ცედ დამკვიდრებულ ხატ- ფუძეს ჰქონდა დაკისრებული, გადამწერებმაც, ჩანს.  
უპირატესობა ამ უკანასკნელ ფორმას მიანიჭეს.

მეტად არაბებითი ჩანს ის ფაქტი, რომ ხატ- და სახე (лицо) ფუძეთა აღ-  
რევა-მონაცვლეობა იმავე პერიოდის (X—XI სს.) სხვა ძეგლშიც შეინიშნება (8.  
გვ. 63, 66).

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, თვითონ ნაწარმოების შინაარს-ს დაწე-  
რილებითი ანალიზიც თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ სადავო ფრაზაში ხატის  
ნაცვლად მართლაც სახე (=სახლი. გვარი, ოჯახი) უნდა გვექონოდა.

... გარკვეული პოლიტიკური ორიენტაციის გამო ქართლის პიტიახშმა  
ვარსკენმა უარყო ქრისტიანობა და მაზდეანობა მიიღო. „რათაჲცა სათნო  
ეყო შეფესა“. დედოფალმა შუშანიკმა, მეუღლის ეს თვითნებური გადაწყვეტი-  
ლება რომ შეიტყო, ასევე თვითნებურად, ქმრის დაუკითხავად ოჯახი მიატო-  
ვა და ეკლესიაში გადავიდა. დედოფლის ამგვარმა საქციელმა ვარსკენს თავ-  
ზარი დასცა, რადგან ის ვერც დაუშვებდა, რომ ქმრის „მონა-წორილი“ მე-  
უღლე ოჯახს მიუტოვებდა და ამით პიტიახშის მთელ გვარს ასე საქვეყნოდ  
თავს მოსჭრიდა. აკად. ი. ჭავჭავაძის სავანეგებოლაც კი აღნიშნავდა, კანო-  
ნიკურ მიუღლის ოჯახიდან ქმრის უკითხავად საბლიდან წასვლა ძველ საქართ-  
ველოში „სახლის დამხოვად ითვლებოდაო“. (9, გვ. 281).

შეძრწუნებული ვარსკენ პიტიახში ყოველნაირად ცდილობს დედოფლის  
კვლავ სასახლეში დაბრუნებას. მასთან „საერთო ენის“ გამონახვას და ოჯახი-

სათვის მიყენებული სამარცხვინო ლაქის როგორმე ჩამორეცხვას: ვარსკენმა შუშანიკს ჭერ ერთი სპარსი მიუგზავნა, რომელმაც დედოფალს პირველ რიგში ის შეახსენა, რომ მისი საქციელით „სახლი მშუდობისა... საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებდალ გარდაიქცა“ (1, გვ. 14). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს სიტყვები ვარსკენის დანაბარები სიტყვებია, რადგან შუამავალი სპარსი „ზრახვითა იყო იგი ვარსკენისათა და ზაყუვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებაი ნეტარისა მის. ხოლო წმიდამან მან ცნა ზაყუვითი იგი ზრახვია და მოზღუდა თავი... მტკიცედ“ (1, გვ. 14).

დამცირებულმა პიტიახშმა ოჯახიდან ქმრის უკითხავად წასული მეუღლის გადაბირების (თუ გულის მოგების) კიდევ ერთი „ზაყუვითი“ ხერხი სცადა: დედოფალს შუამავლად ახლა მახლი — ჭოჭიკი მიუგზავნა, რომლის პატივიც შუშანიკს, ჩანს, ყველაზე მეტად ჰქონდა. ჭოჭიკი „ვედრებოდა და ეტყოდა: დაა ჩუენი ხარ შენ, ნუ წარსწყმედ სახლსა ამას სადედოფლოსა“ (სამეფოსა BCDEFL, სამეფოსა GHIK). (1, გვ. 16), მაგრამ არც ჭოჭიკის შეგონებამ გაჭრა. ვარსკენი კვლავ ენერგიულად ცდილობს, განდგომილი მეუღლე, რადაც უნდა დაუჭდეს, შინ დააბრუნოს, ოჯახის მთლიანობა აღადგინოს. საპირობოდ პიტიახშმა პურის კუპად ახლა რძალი და ძმა — ჭოჭიკი მოიწვია, რომელთაც, არც მეტი, არც ნაკლები, შუშანიკის გადმობრება და მისი სახლში დაბრუნება ვეალებოდათ. პურის ერთად კანის შედეგი ცნობილია. სხვათა შორის, მხოლოდ სამეფო სახლის პრესტიჟის აღდგენას შეაგონებდა შუშანიკს ვარსკენის ფუძე-მტეც: „ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტაძრად, ნუ აობრებ სახლსა მას თქუნესა“—ო და მხოლოდ მას შემდეგ—ლა, როცა მეუღლისაგან მიტოვებულ, შეურაცხყოფილ პიტიახშს ოჯახის ერთიანობის აღდგენის ყოველგვარი იმედი გადაეწურა, „იწყო უჭეროსა გინებად ვარსკენ და... მკილითა სცემდა პირსა მისსა... და აგინებდა ვარსკენ თესლ—ტომსა მისსა და სახლისა მაოქრებლად სახელსდებდა მას“ (1, გვ. 17).

ჩვენ მიერ აქ მოყვანილი ადგილები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ ვარსკენის (და მთელი მისი სახლუელის) მთავარი საზრუნავი ის იყო, როგორმე შთაეგონებინათ შუშანიკისათვის, რომ მისი წასვლით „სახლი მშუდობისა... საწყალობელ იქმნა“, რომ დედოფალი თავისი საქციელით „სახლის მაობრებელი“, „სახლის წარმწყმედი“ იყო და სხვ. საესებით ნათელია, რომ ვარსკენს მეუღლის მიერ ქრისტიანული რელიგიისადმი ასეთი თავგამოდება და მწაღეანობის მიუღებლობა კი არ აწუხებდა, არამედ ოჯახის ერთიანობის დაშლა-დაქცევა, „სახლის დაშობა“, სიხარულის ვაეხით შეცვლა, საჩეფო საწოლზე „ნაცრის გარდასმა“ (ე. ი. დამწუხრება) და ა. შ. ამდენად სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, თუ კი „წაშების“ სადავო ადვილს გავიგებდით როგორც ოქაბური სენტენციებით აღსავსე ეპიზოდს და არა პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი მოტივებით გამოწვეულ კონფლიქტს. ეს კი უფლებას მოგვცემდა ტექსტის სადავო მონაკვეთში შინაარსობრივად შეუსაბამო ხატის ნაცვლად სახე სიტყვის არსებობა დაგვეშვა; ასეთი დაშვება მთელ ფრაზას სინათლეს მოჰფენდა: ვარსკენი მეუღლეს უსაყვედურებს — შენ მე სახლი (ოჯახი) დამიმხე, დამიკციე, სირცხვილი შემამთხვიე; დედოფალი კი უპასუხებს: მე არ ამიგია (აღმემართავს) შენი სახლი, შენი ოჯახი და არც დამიკციეია („არცა დავამკუ...“); შენი ოჯახი, სახლი, გვარი შენ თვითონ შეარცხვინე და დამიკციე, რადგან მამაშენის აგებულ წმინდა ტაძრებში „დეენი შეპოხუნე“—ო. აქ

უკვე აშკარად ჩანს იპდროინდელი ქართული ეკლესიის დოგმატიკოსთა, ამ შემთხვევაში იაკობ ტურტაველის, თვალსაზრისი ქრისტიანული მოძღვრების უპირველესობის შესახებ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა დავუშვათ, რომ „შუშანიკის წაშების“ ავტორიხელს ხელნაწერში ხატის ნაცვლად სახე (=სახლი, სახლელუი, გვარი, მოდგმა...) უნდა გვქონოდა. სადავო ფრაზაც, მაშასადამე, დედანში ისე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი:

„შენ ჩემი სახე დაამკუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ...“ და: „არა თუ მე აღმემართა სახე იგი და მემცა დავამკუ...“

#### ლიტერატურა

1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I (V—X სს.), ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1964.
2. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
3. К. С. Кежелдзс, Памятники древнегрузинской агнографической литературы, Тбилиси, 1956.
4. ა. ჭინჭარაული, „ჩუარისა“ და „ხატის“ მნიშვნელობისათვის ქართულში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 3.
5. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
6. ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართულურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, თბ., 1946.
7. ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნეთა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.
8. „მცირე სჯულის კანონი“, გამოსაცემად მოამზადა ე. გიუნაშვილმა, თბ., 1972.
9. ივ. ქავთაძე, ქართული ერის ისტორია, I, თბ., 1960.

Г. В. БЕДОШВИЛИ

### К ПОНИМАНИЮ ОДНОГО СПОРНОГО МЕСТА В «МУЧЕНИЧЕСТВЕ СЯТОЙ ШУШАНИК»

#### Резюме

В статье дана попытка установить значение слова ხატი хати в предложениях, считавшихся специалистами конъектурой. «Ты ниспровергла мой хати и ложе мое посыпала пеплом»... «Не я воздвигала твой хати, что-бы мне его низвергнуть».

В самом деле, в данных предложениях слово ხატი хати («лицо», «образ») по смыслу явно не соответствует контексту: нельзя воздвигнуть или же низвергнуть лицо, образ. Такое несоответствие слова ხატი хати было замечено редакторами-переписчиками еще в XI в., вследствие чего в двух древних редакциях вместо ხატი хати было внесено ტახტი ოახტი «престол». Такая редакция, безусловно, придала контексту определенную ясность, но вмешательство это выглядело довольно искусственным, т. к. в «Мученичестве» о воздвижении или низвержении питиахского престола нет и речи.

В связи с толкованием *ბატი ხატი* специалистами высказано множество разных предположений: *ბატი ხატი* — «культовое сооружение, церковь» (К. С. Кекелидзе); *ბატი* — «божество» (В. Д. Дондуа); *ბატი* — «лицо, честь, достоинство» (А. Г. Шакидзе, А. Г. Барамидзе, И. В. Абуладзе); *ბატი* — «образ, изображение»... (А. Л. Чинчараули).

По нашему мнению в подлиннике слова *ბატი ხატი* вообще не было, поскольку *ხატი* — слово арабского происхождения; оно могло появиться в древних грузинских памятниках лишь после нашествия арабов, примерно с IX — X в., естественно, что *ბატი ხატი* не могло фигурировать в произведении X века. Предполагается, что в подлиннике вместо *ბატი ხატი* должно было быть слово *სახე სახე*, но не в современном его понимании («лицо», «образ»), а в значении «дом». Известно, что в древнегрузинских памятниках дом обозначался словом *სახელ saxel*, *სახე saхе* (А. Г. Шакидзе).

Думается, что переписчиками X—XI веков слово *სახე saхе* уже не воспринималось в его древнем значении — «дом» и было механически заменено широко распространенным в то время словом *ბატი ხატი*. Восстановление в исследуемом контексте слова *სახე saхе* («дом») диктуется и самим содержанием произведения.

Исходя из вышесказанного, можно полагать, что спорное место в «Мученичестве» первоначально было представлено следующим образом: «Ты испровсргла мой дом (სახე) и ложе мое посыпала пеплом...» «Не я воздвигала твой дом (სახე), чтобы мне его низвергнуть...»

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება

## ლივან მენაბდი

### რუსთველი უცხოეთში

#### 1. რუსთველი საბიოქანეთში

ქართველებსა და ბერძნებს აღრე მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდათ — სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, საეკლესიო-სარწმუნოებრივი, კულტურულ-ლიტერატურული, მაგრამ ისტორიული მოვლენების გამო ეს კავშირ-ურთიერთობა გვიან ხანაში დაირღვა, რის შედეგად ლიტერატურული ინტერესი ერთმანეთის მიმართ შენეულა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საბერძნეთში, — ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, — ჯერ კიდევ არ ამეტყველებულა „ვეფხისტყაოსანი“ და რუსთველის შესახებ ბერძენმა მკითხველებმა ცოტა რამ იციან.

ჩვენთვის ცნობილ ბერძნულენოვან მასალებში რუსთველის ხსენებას მიმდინარე საუკუნის დამდეგიდან ვხვდებით. მხედველობაში გვაქვს ბერძენი ისტორიკოსის ფერდინანდ გრიგოროვიოსის კაპიტალური ნაშრომი — „შუა საუკუნეების ქალაქ ათენის ისტორია“. რომელიც თავდაპირველად გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა 1889 წელს<sup>1</sup>, ხოლო შემდეგ ითარგმნა და დაიბეჭდა რუსულად (1900 წ.)<sup>2</sup> და ბერძნულად (1904 წ.)<sup>3</sup>. მასში ვრცელადაა მიმოხილული ათენის ისტორია იუსტინიანეს დროიდან თურქთაგან დაპყრობამდე. ავტორი საგანგებოდ მსჯელობდა ათენის კულტურულ ცხოვრებაზე XII საუკუნეში და კრიტიკულად აფასებდა რუსთველის იქ სწავლის შესახებ არსებულ გადმოცემას.

უცხოელი ავტორების (მ. ბროსეს, ფ. ბოდენშტეტის, ე. მურიესა და სხვ.) შრომების საფუძველზე ფ. გრიგოროვიოსმა მკითხველებს მიაწოდა მოკლე ცნობები ქართველ პოეტზე, ხოლო შემდეგ სავსებით დამაჯერებლად უარყო ათენში მისი ყოფნისა და სწავლის შესახებ გავრცელებული აზრი. მის წიგნში ეკითხვობთ: „თამარის კარზე ცხოვრობდა შესანიშნავი ქართველი პოეტი შოთა რუსთველი. როგორც ვარაუდობენ, იგი დაიბადა 1172 წელს დაბა რუსთავში, მტკვრის პირას... მის შესახებ ამბობენ, რომ იგი 1192 წელს სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად ჩამოვიდა ათენში. აქ ვაიციო ძველი დროის გენიალური მწერლები, წაიკითხა ატიკელ ფილოსოფოსთა და ისტორიკოსთა ქმნილებანი, შეისწავლა მუსიკაც. ათენში მრავალი წლის ყოფნის შემდეგ დაბრუნდა თამარ მეფესთან, შემდეგ ჰისი ბიბლიოთეკარიც გახდა“<sup>4</sup>.

ბერძენი მეცნიერის დასკვნით, ცნობა რუსთველის ათენში სწავლის შესახებ ყალბი უნდა იყოს. მისი დაკვირვებით, XII საუკუნის ბოლოს ათენში არ იყო ხელსაყრელი პირობები სწავლა-განათლებისათვის. იმ დროს იქ მიტროპოლიტობდა მიქაელ აკომინატოსი. რომელიც „დასტიროდა თავის ბედს, რომელმაც წილად არგუნა მას ეცხოვრა ამ ქალაქში, გააბარბაროსებულ აღაშიანთა შორის, რომლებთანაც, მისი აზრით, სწავლა-განათლება აღარ იპოვებოდა“.

მიქაელ აკომინატოსის დამოწმების შემდეგ ფ. გრიგოროვიოსი ასკვნობდა, რომ „გადმოცემა რუსთველის ათენში სწავლის შესახებ აზიაში არსებულ მითებს მიეკუთვნება, ისე როგორც გადმოცემა დავით მეფის ოცი აღსაზრდე-



ლის შესახებ“ (მკვლევარს მხედველობაში ჰქონდა სომეხი მემატიანის ვარდან დიდის (XIII ს.) ცნობა დავით აღმაშენებლის მიერ ქართველი ახალგაზრდების განათლების მისაღებად დასავლეთში გაგზავნის შესახებ)<sup>5</sup>.

XII საუკუნის ათენის კულტურული დონის გათვალისწინებდა და მასთან ქართულ-სომხური გადმოცემების შეპირისპირების საფუძველზე მკვლევარმა მახვილგონიერულად შენიშნა, რომ ქართველ მოღვაწეებს უმაღლესი განათლების მიღება შეეძლოთ არა ათენში, არამედ ბიზანტიის ცენტრში, კონსტანტინოპოლში, სადაც სწავლა-აღზრდის საქმე მაღალ დონეზე იყო. მისი სიტყვით, თუკი ცნობები ქართველი ახალგაზრდების (მათ შორის, რუსთველის) ათენში სწავლის შესახებ „შემონახულია ქართველ ან სომეხ მწერალთა თხზულებებში“. მაშინ ალბათ ეს მწერლები ერთმანეთში ურევენ ათენს და ათონის მთას ან კონსტანტინოპოლს, სადაც XI საუკუნის დასასრულიდან, კომუნების მმართველობაში, კვლავ აყვავდა ბიზანტიის აკადემია<sup>6</sup>.

ჩვენი საუკუნის დამდეგიდან უნდა დავიმოწმოთ კიდევ ერთი ბერძენი ავტორის გიორგი პანამიხაილის გახმაურებული ნაშრომი „ჭერის მონასტრის ისტორია“<sup>6</sup>. მასში პარველწყაროებისა თუ ხალხური გადმოცემების საფუძველზე მოთხრობილია დასახელებული ქართული სავანის ისტორია, მოხსენიებულია რუსთველის იქ ყოფნაც<sup>7</sup>. გასაგებია, რომ ამჭერად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო სწორედ ეს ცნობაა.

გ. პანამიხაილის წერილში ვკითხულობთ: „1192 წელს შოთა რუსთველი გაემგზავრა იერუსალიმს... რუსთველს, რომელიც ჭერის მონასტერში თამარის მიერ იყო წარგზავნილი, დავალებული ჰქონდა, ყოველნაირად შეეწყობოდა არა მარტო მონასტრის სულიერი ცხოვრებისათვის, არამედ ეხელმძღვანელა კულტურული საქმიანობისათვის მონასტრისა, რომელსაც ჭვაროსნებმა ზიანი მიაყენეს. ტამარი რუსთველის იქ მისვლამდე გამოირჩეოდა მშვენიერი ფერსკებიით, მაგრამ მისი თანადგომით კიდევ უფრო მოიხატა“<sup>8</sup>.

დამოწმებულ ცნობას სანდოდ მიიჩნევდნენ და მის საფუძველზე მსჯელობდნენ 1192 წელს რუსთველის იერუსალიმში ჩასვლისა და მის მიერ ჭერის მონასტრის განახლება-აღდგენის შესახებ (ს. ლოსევი, კ. სალია, ი. სტოვბუნია და სხვ.), მაგრამ ის სარწმუნო არ აღმოჩნდა<sup>9</sup>. იგი ყოფილა უბრალო თხრობა, გადმოცემის ჩანაწერი და არა საისტორიო პირველწყაროებზე დამყარებული ჩვენება.

გ. პანამიხაილის თხრობას ერთგვარად ეხმაურება ზოგიერთი მეცნიერის (შ. ამირანაშვილის, ს. კაკაბაძის, პ. ჩატიანის, ი. ბერაძისა და სხვ.) ვარაუდი, რომ თითქოს რუსთველი 1192 წელს თამარმა გაგზავნა ელჩად სალადინთან. მართალია, არაბი ისტორიკოსები იხსენიებენ ამ ელჩობას და ელჩსაც ასახელებენ (რასულ-ალ გურჩს), მაგრამ ჭერ არვის დაუდგენია, რომ იგი რუსთველია<sup>10</sup>.

1922 წელს ათენის ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ბერძენი მწერლის ტრიკოკლიდისის მიერ არაბულიდან თარგმნილი ორი ლექსი რუსთველისა და მისივე ბიოგრაფიული ცნობები ქართველ პოეტზე. ბერძნული გაზეთიდან თარგმნილი მასალა (რუსთველის ბიოგრაფია, ლექსთა პროზაული თარგმანი) რამდენიმეჯერ დაიბეჭდა ქართულ პრესაში<sup>11</sup>.

როგორც გაირკვა, ტრიკოვლიდის რუსთველის ლექსები კი არ უთარგმნია არაბულიდან, არამედ თვით შეუთხზავს ლექსები აღმოსავლურ ყაიდაზე, ლიტერატურული გაზეთის რედაქტორისთვის მიუტანია, რუსთველის სახელით შეუთავაზებია და ასეც დაუბეჭდავს. ზელმოკლე იწერაღს თავისი მძივე ეკონომიკური მდგომარეობა რუსთველის სახელით გამოქვეყნებული ლექსებით ნაწილობრივ გამოუსწორებია. რაც შეეხება რუსთველის ბიოგრაფიულ ცნობებს, ისინი ავტორს, როგორც ჩანს, მ. ბროსეს შრომებიდან უნდა ჰქონდეს აუბული. ეს ცნობები ტრიკოვლიდის წერილში ასეთი სახითაა წარმოდგენილი: „რუსთველი — მთავარსარდალი თამარ მეფის ჯარებისა, ითვლება საქართველოს უდიდეს მგონად. ცხოვრობდა XII საუკუნის დამლევეს და უკუდევო თავისი სახელი ორი უმწვენიერესი ნაწარმოებით, რომელთაც ეწოდებოდა „ტრფობანი ტარიელისა“ და „თამარიანი“... ღრმად იცოდა ებრაული, ბერძნული და ლათინური ფილოლოგია. ამან იმდენად მოახდინა მასზე გავლენა, რომ ბევრ ადგილას მის ნაწარმოებში ვხედავთ ფრაზებს, რომლებიც კვაგონებენ ჰომეროსს, პორაციუსს, დავითის ფსალმუნს. „ქებათა-ქებას“ და სხე.“

როგორც აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსნის“ ბერძნული თარგმანი ჯერ არ გამოქვეყნებულა, საერთოდ მისი ბერძნულად თარგმნა ერთობ დაგვიანდა. მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ცნობა თეიმურაზ პირველის (1589—1663) მიერ რუსთველის პოემის ბერძნულად თარგმნის შესახებ<sup>12</sup>, მაგრამ მისი შეწყნარება (სათანადო საბუთებას უქონლობის გამო) შეუძლებლად გვეჩვენება.

უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით ერთგვარი წინსვლა შეინიშნება. ზედუელობაში გვაქვს შემდეგი სასიამოვნო გარემოება: გამოჩენილმა ბერძენმა მწერალმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა იანის რიცოსმა საგანგებო წერილით აღწერა საქართველოში მცხოვრებ ბერძენ პოეტ ჭალს ფოტულა იანაკობლოს, რომ გადაწყვიტა „გენიალური პოეტის“, „სასიქადულო ქართველი მგოსნის ქმნილებების თარგმნა ელადის ენაზე“. მისი წერილიდან დავიმოწმებთ ნაწყვეტს, რომელიც ნათლად ავლენს ავტორის პოზიციასა და მიზანდასახულობას: „იმისათვის, რომ ჩემი ნამუშევარი კარგი გამოვიდეს, გადავწყვიტე „ვეფხისტყაოსნის“ დედნის ენის დაუფლება. ამ ექვსი წლის წინათ პრაქტიკულადაც შევეუდექი ქართულის შესწავლას, რაშიც დიდად მეხმარება ქართული და კავკასიური ენების სემინარი სალონიკში. „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის იმ შედევრთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის თარგმანიდან თარგმნა ბოროტებაა დედნის მიმართ და ცოდვია დედაენის მიმართ. ასეთ თარგმანს, რაგინდ კარგიც გამოვიდეს, ფასი არ ეწება, დიდებული ორიგინალის მხოლოდ შორეულ აზრდის დაემსგავსება. კარგად ვიცი, რომ ქართველთა ერთგული სიამაყე მსოფლიოს ხალხთა 30 ენაზეა თარგმნილი, და გული მტკივა, რომ ჩემს დედაენაზე მისი გადმოღება ჯერ არავის უცდია“<sup>13</sup>.

ვიმედოვნებთ, ი. რიცოსი, — მთარგმნელი, რომელიც ასე სერიოზულად შეუდგა ფრიალ კეთილშობილურ საქმეს, — დიკსეულად გაართმევს თავს რთულ ამოცანას და ბერძენ მკითხველებს მიაწოდებს „ვეფხისტყაოსნის“ სრულყოფილ პოეტურ თარგმანს.

ჩამდენიმე წლის წინ „ვეფხისტყაოსანი“ ბერძნულ ენაზე თარგმნა სოხუ-

მელმა პედაგოგმა მანოლის მიტაფიდიშ<sup>14</sup>. მისი პოეტური თარგმანი, რომელიც ს. ყაუხჩიშვილის დასკვნით, „შესრულებულია მაღალ დონეზე“. მალე იხილავს მზის სინაულეს.

უკანასკნელად უნდა მოვიხსენიოთ ბერძნული ენციკლოპედიების ცნობები რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანზე“.

ერთი ენციკლოპედიური ლექსიკონის (1931 წ.) ცნობით, „ქართველთა ყველაზე გამოჩენილი პოეტი შუა საუკუნეებისა“ შოთა რუსთველი დაიბადა 1172 წელს დაბა რუსთავეში, მტკვრის პირას. გადმოცემით, რომელიც სარწმუნო არ არის, 1192 წელს „სიბრძნის დასაუფლებლად გაიგზავნა ათენს, სადაც თითქმის მრავალი წელი დაჰყო“. შემდეგ ცხოვრობდა თამარის კარზე. მისი „პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ჩანს, სპარსულიდანაა თარგმნილი“<sup>15</sup>.

ყველა ცნობა (რუსთველის დაბადების წელი და ადგილი, ათენს გამგზავნება 1192 წელს, „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულიდან გადმოღება და სხვ.) ფ. გრიგოროვიჩის წიგნიდან მომდინარეობს.

„დიდ ბერძნულ ენციკლოპედიაში“ (1933 წ.)<sup>16</sup> რუსთველს შედარებით სრული წერილი მიეძღვნა. მასში მოცემულია ბიოგრაფიული ცნობები ქართველ პოეტზე (გამეორებულია ხალხური გადმოცემები რუსთველის რომანზე, იერუსალიმში გარდაცვალებაზე და ა. შ.), გვხვდება მსჯელობა მის ღირსებებზეც. წერილის ავტორის სიტყვით, „სახელი შოთა გახდა სინონიმი ღრმა სიბრძნისა, დაუძლეველი სინაპისისა, უზენაესი შთაგონებისა. სულის კეთილშობილებისა“; შოთა რუსთველმა „ვეფხისტყაოსნით“ მსოფლიო სახელი მოიხვეჭა“, მისმა „ნაწარმოებმა უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს სულიერ აღორძინების საქმეზე“<sup>17</sup>.

## 2. რუსთველი იუგოსლავიაში

ვფიქრობთ შორს არ ვიქნებით კეშმარიტებისაგან, თუ განვაცხადებთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ იუგოსლავიაში ძირითადად რუსთველის საიუბილეო წელს გაიცნეს. პრესაში დაიბეჭდა წერილები, რომლებშიც საუბარია „დიდი ქართველი პოეტის“, „ქართველი პოეტის“ — რუსთველის იუბილესათვის საბჭოთა ხალხის მზადების შესახებ<sup>18</sup>. ბელგრადელი ავტორები საგანგებოდ ამახვილებდნენ ყურადღებას რუსთველის მსოფლმჭედველობაზე, ფილოსოფიურ ნაზრევზე, რენესანსულ იდეებზე, მაღალპუმანურ იდეალებზე, მხატვრულ ენაზე და სხვ. თავიანთ თანამემამულეებს ისინი აუწყებდნენ, რომ რუსთველი გამოჩენილი იტალიელების ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს სიმალეზეაო<sup>19</sup>.

საინტერესოა ასეთი ფაქტი: როდესაც იუგოსლავიის სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი გახდა ვარაუდი რუსთველის იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ყოფნის შესახებ (ვარაუდი, რომელიც ზოგს დადასტურებულად მიაჩნია), მათ წინაშე წამოიჭრა ახალი პრობლემა, რომელმაც თავი იჩინა აკად. ჯ. ს. რადოიჩიჩის გამოკვლევაში იუგოსლავთა და რუსთა კულტურული ურთიერთობის შესახებ XVIII საუკუნის დამდეგამდე.

წყაროებიდან ცნობილია, რომ სერბიის დამოუკიდებელი ეკლესიის დამაარსებელი საბა 1229 წ. იყო იერუსალიმში, სადაც იხსნულა ორი ქართული

მონასტერი, ერთ-ერთში შეწირულებაც კი მიიტანა. ხომ არ იყო ეს ჯვარი. ხომ არ შეხვედა საბა რუსთველს? — სევამს კითხვას ჯ. რადოიჩიჩი. „დიდად განათლებულ ადამიანს, რუსთველს ბევრი რამ ექნებოდა სათქმელი საბასთვის... კარგი იქნებოდა გაგვეჩვენა, რომ საბას ურთიერთობა ჰქონდა რუსთველთან“ — დასძენს მკვლევარი<sup>20</sup>.

საბა სერბი მართლაც იყო ახლო აღმოსავლეთის სავანეებში და იერუსალიმის ჯვრის მონასტერსაც ეწვია<sup>21</sup>. მაგრამ ეს არ კმარა ჯ. რადოიჩიჩის მიერ დასმული საკითხის გასარკვევად. მართალია, ზოგჯერ მსჯელობენ რუსთველის ჯვრის მონასტერში ცხოვრებაზე (თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, პ. იოსელიანი, ა. წერეთელი, გ. ფერაჟი, ს. ლოსევი, ი. სტოპუნინი, გ. პლოტკინი, კ. სალია, ხ. ვარდი და სხვ.), ზოგა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ სტროფებსაც კი მიიჩნევენ ჯვრის სავანეში დაწერილად (მ. ნუცუბიძე), მაგრამ ამ საკითხებზე კატეგორიული მსჯელობა ძნელია. ჩვენ არ მოგვეპოვება რამე ავთენტური წყარო იმის სამტკიცებლად, რომ რუსთველი იყო იერუსალიმში. მართალია, ამის ხელალებით უარყოფა ძნელია, მაგრამ არც დამადასტურებელი მასალა ჩანს (რუსთველის პორტრეტის დახატვა და აღაპის დადება, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ პოეტი ჯვარში იყო). ასე რომ, მსჯელობა საბა სერბისა და რუსთველის ჯვრის მონასტერში შეხვედრის შესახებ მყარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია.

1966 წ. რუსთველის საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად იუგოსლავიიდან თბილისში ჩამოვიდნენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მ. ბორი, პოეტები ო. დავიჩო და დ. ტადიანოვიჩი<sup>22</sup>. უკანასკნელნი გამოვიდნენ ინტერნაციონალური პოეზიის საღამოზე<sup>23</sup>. ხოლო მ. ბორმა სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს რუსთველისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე (30. IX. 1966), სადაც განაცხადა: „როცა თვითმფრინავმა კავკასიონის მწვერვალებს გადმოუარა, მომეჩვენა, რომ ზღაპრულ ქვეყანაში მოვხვდით. არ შეგძენდარევა. საქართველო მშვენიერი ზნარეა. შესანიშნავია მისი ენა, ხელოვნება. დიდია როლი, რომელსაც იგი ასრულებს მსოფლიო პოეზიაში. რუსთველი კემზარბიტა პოეტი, დიდი ფილოსოფოსია. მისი პოემა უკვდავია“<sup>24</sup>.

მ. ბორმა კორესპონდენტთან საუბარშიც მაღალი შეფასება მისცა სახელოვან იუბილარს: „ისეთი პოეტი, როგორც რუსთველია, დაამშვენებს ნებისმიერი ზალხის ლიტერატურას“, — თქვა მან და გულსტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ იყო თარგმნილი იუგოსლავიის ხალხთა ენებზე<sup>25</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის არარსებობას იუგოსლავიის ხალხთა ენებზე სხვა მოღვაწენიც მწვავედ განიცდიდნენ და ამ ნაკლის გამოსწორებას ცდილობდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ღვაწლი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაში მიუძღვის ბელგრადის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ლექტორს მ. სიბინოვიჩს. მან ჯერ კიდევ რუსთველის საიუბილეო წელს გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების პოეტური თარგმანი სერბულ-ხორვატულ ენაზე<sup>26</sup>, მომდევნო წლებში კი დაასრულა პოემის თარგმნა<sup>27</sup>.

მ. სიბინოვიჩმა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს უძღვნა მოზრდილი წერილი „შოთა რუსთველის პემანიშმი“<sup>28</sup>, რომლითაც მკითხველებს ზოგადად გააცნო

XII—XIII საუკუნეების ქართული კულტურა და „ამ ეპოქის ყველაზე სრული გამოვლინება — რუსთველის პოემა“. ავტორმა თანამემამულეებს, რომელთაც არცთუ ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ ქართველთა ძველ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, თავიდანვე ამცნო, რომ „რენესანსის ელემენტები აღმოსავლეთში თითქმის საუკუნე-ნახევრით ადრე შეიმჩნეოდა, ვიდრე იტალიაში“ და რომ „ამ მოძრაობის ცენტრალური ფიგურაა ქართველი პოეტი შოთა რუსთველი“ — „არაჩვეულებრივი მოაზროვნე და ვირტუოზი პოეტი, რომლის ქმნილება თვალს გვკრის სურათთა გამომსახველობით, გვაკვიფრებს კომპოზიციის სიბრტყლით, ღრმად იჭრება ცნობიერებაში აფორისტულობით და გვიყვრობს ლექსის კეთილშოვნებით“.

მ. სიბინოვიჩს სწორად შეუნიშნავს, რომ რუსთველი შორსაა ქრისტიანული ასკეტიზმისა და აღმოსავლური ეროტიზმისაგან. მართალია, იგი „დიდებულთა საგმირო საქმეებს უმჯერის, მაგრამ უპირველეს ყოვლისა მეგობრობასა და სიყვარულს აღიდგებს“. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები აქტიურად იბრძვიან ბედნიერებისათვის და ყოველგვარ წინააღმდეგობას ძლევენ. რუსთველის პოემაში მთავარია ადამიანი. სიყვარული ადამიანის პიროვნებას ამაღლებს. „წინა პლანზე ადამიანის პიროვნების წამოწევა არის ის ახალი, რაც ქართველმა პოეტმა შემოიტანა ლიტერატურაში“.

რუსთველი, — ასკენის მ. სიბინოვიჩი, — ქადაგებს აქტიურ მოქმედებას, თავგანწირულ ბრძოლას უცნობი მერმისისათვის. მის მოწოდებებს „პირდაპირ მივყავართ შუასაუკუნობრივი ბორკილებისაგან ადამიანის პიროვნების განთავისუფლებისაკენ“. ამიტომაც „ვეფხისტყაოსანი“ აღიქმება ვითარცა ძლიერი განაწესი ადრეული ჰუმანიტისა“.

თუ მ. სიბინოვიჩის წერილში ძირითადად რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხებია განხილული, ლ. ზახაროვის წერილში გვხვდება ცნობები რუსთველის ცხოვრების გზაზე. იერუსალიმის ჭვრის მონასტერში მოპოვებულ პორტრეტსა და წარწერაზე, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებზე, რუსთველისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღესასწაულზე და ა. შ. ქართველი პოეტი აქ რენესანსის წინამორბედადაა აღიარებული<sup>29</sup>.

1957 წ. საქართველოში იყო ცნობილი სლოვენი პოეტი, ფ. პრეშერნის სახელობის პრემიის ლაურეატი ტ. პავჩეკი. იგი მაშინვე მოხიბლა „შოთა რუსთველის გენიალურმა „ვეფხისტყაოსანმა“, დაატყვევა პოემის დიდებულმა ლექსთწყობამ“, გააოცა იმან, რომ „უძველესმა ქართულმა კულტურამ დასავლეთ ევროპის კულტურასა და ჰუმანიზმზე ორი საუკუნით ადრე თავის თემად აქცია ადამიანი და მისი ცხოვრება დედამიწაზე“.

მომდევნო წლებში ტ. პავჩეკმა გაიცნო ქართული პოეზიის ნ. ზაბოლოცისეული თარგმანი; „მისთვის ქართული პოეტური კლასიკა ნამდვილ აღმოჩენად იქცა“. მან საბოლოოდ გადაწყვიტა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა და ხელი მიპყრო ამ რთულსა და შრომატევად სამუშაოს.

ტ. პავჩეკი სარგებლობდა ნ. ზაბოლოცისა და შ. ნუტუბიძის რუსული თარგმანებით, იყენებდა აგრეთვე პოლონურსა და ფრანგულ თარგმანებს. მუშაობის პროცესში იგი თანდათან უფრო რწმუნდებოდა, რომ „თავისი შინაარსით, თავისი სათქმელით „ვეფხისტყაოსანი“ ყველა ერის კუთვნილება იყო; პოემაში გაცხადებული მეგობრობა, სიყვარული, ჰუმანურობა და ინტერნაციონალიზმი დედამიწის ყველა ხალხისათვის ახლობელი იყო“.

ტ. პეჩეკს კარგად ესმოდა „ვეფხისტყაოსნის“ სლოვენურად თარგმნის მნიშვნელობა, სწორად ჰქონდა გააზრებული კეთილშობილება და მიზანდასახულობა იმ მისიისა, რომელიც მან დაიკისრა. ამიტომაც აცხადებდა: „სლოვენები უნდა გაეცნონ მსოფლიო ლიტერატურის ისეთ ფუნდამენტურ ნაწარმოებებს, როგორც არის, კერძოდ, რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როცა ევროპული ლიტერატურა და კულტურული მემკვიდრეობა კარგავენ თავიანთ უპირატესობას მსოფლიოში, როცა მსოფლიო კულტურის პორიზონტზე ჩნდებიან მხატვრული შემოქმედების ახალი ცენტრები. ეს იგივე კულტურული პოლიცენტრიზმია. ბოლოს და ბოლოს ჩვენ შევიცანით, რომ უფიცილო კულტურული მემკვიდრეობა მართოვერობაში კი არ შობილა. იგი დედამიწის სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილა“.

ტ. პეჩეკმა ჯერ ეჟრნალ „სოდობნოსტიში“ დაბეჭდა ხოლო შემდეგ ცალკე წიგნად გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ სლოვენური პოეტური თარგმანი (1975 წ.)<sup>30</sup>, რომელიც, მართალია, რუსთველის პოემის შემოკლებული ვარიანტია, მაგრამ მკითხველს მაინც გარკვეულ წარმოდგენას უქმნის დედნის შინაარსობრივ სიმდიდრეზე, აზრობრივ სიღრმესა და მხატვრულ ღირსებაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ სლოვენურ პოეტურ თარგმანს ერთვის პროფ. ფ. ბოჰანეცის ბოლოსიტყვაობა<sup>31</sup>, რომელიც არსებითად პირველი ნარკვევია რუსთველისა და მისი პოემის შესახებ სლოვენურ ენაზე.

ფ. ბოჰანეცმა გაითვალისწინა, რომ სლოვენიაში რუსთველის შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენ და „ვეფხისტყაოსანსაც“ ცოტა ვინმე თუ იცნობდა. ამიტომ. თავიდანვე რომ გასაგები გაეხადა მკითხველთათვის, თუ რა რანგის მწერალთან ჰქონდათ საქმე, მან ბოლოსიტყვაობის დასაწყისშივე განაცხადა: რუსთველი ქართველთათვის ისე დიდი და მნიშვნელოვანი მწერალია, როგორც სლოვენთათვის ფ. პრეშერნი (1800—1849), ჩერნოგორიელთათვის პ. ნეგოში (1813—1851), იტალიელთათვის დანტე, ინგლისელთათვის შექსპირი და სხვ. ამის შემდეგ მოკლედ ვიმოიხილა საქართველოს ისტორიული წარსული და ძველი ქართული კულტურა, დაახასიათა რუსთველის პოემა და მკითხველებს საგანგებოდ ამცნო მისი ღრმადიდურობა და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხთა ნაირფერობა.

ფ. ბოჰანეცმა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ თანამემამულეებს წარუდგინა როგორც მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრი.

„ვეფხისტყაოსნის“ სლოვენურმა პოეტურმა თარგმანმა მოწონება დაიმსახურა. ლიუბლიანელი ეჟრნალისტი ფ. ვურნიკი კმაყოფილებით წერდა: „შოთა რუსთველის გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის გამოცემა ჩვენთვის დიდი კულტურული მოვლენაა. თარგმნილი ლიტერატურა გამდიდრდა მსოფლიო ლიტერატურის კიდევ ერთი ფუნდამენტური ნიმუშით, რადგან „ვეფხისტყაოსანი“ დგას ისეთი მხატვრული შედევრების გვერდით, როგორც არის: „გილაგამეში“, „ილიადა“, „ოდისეა“, „კალევალა“, „ფაუსტი“, „ეკვენი ონეგინი“, „პან თაღეუში“, რომლებიც სლოვენმა პოეტებმა გასულ ას წელიწადში თარგმნეს“<sup>32</sup>.

1975 წ. დეკემბერში საქართველოში ჩატარდა სლოვენური ლიტერატურის დღეები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ტ. პეჩეკი, ეჟრნალ „სოდობნოსტის“ მთავარი რედაქტორი ე. ზლობეცი, დრამატურგი ი. შენარტი, პოეტები ნ. მინატი, მ. კრავოსი, ტ. კუნტენერი<sup>33</sup>. სლოვენ მწერალთა დელეგაციას ხელ-

მძღვანელობდა ტ. პავჩეკი, რომელმაც ჩვენს პრესაში გამოაქვეყნა წერილები: „გესტუმრეთ ვეფხისტყაოსნით“<sup>34</sup> და „ვინ მოყვარესა არ ეძებს...“<sup>35</sup> ზოგიერთი მისი გამონათქვამი დაიბეჭდა როგორც ფ. ვურნიკის ზემოდასახელებულ, ისე სხვათა წერილებში<sup>36</sup> (ნისი ცნობები და განონათქვამები ჩვენ ზემოთ დავი-მოწმეთ).

ტ. პავჩეკმა არა ერთგზის აღნიშნა, რომ აპირებს „ვეფხისტყაოსანზე“ მე-შაობის გაგრძელებას და რუსთველის პოემის სრული პოეტური თარგმანის გამოქვეყნებას. „შემდეგ შეხვედრისას, — განაცხადა მან. — ქართველ ხალხს რუსთველის პოემის სრულ თარგმანს წარმოვუდგენ. ეს იქნება ჩემი დიდი მადლობა იმ ხალხის მიმართ, ვინც ასეთი გენიოსი პოეტი დაპადა“. ვიმედოვნებთ. ნიჭიერი პოეტი მალე შეასრულებს თავის სიტყვას<sup>37</sup>.

### 3. რუსთველი უკვირდება

როდის გაიყენეს შვეიცარიაში რუსთველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. ზუსტად არ ვიცით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იქაურმა მკითხველებმა პირველი ცნობები ქართველ პოეტზე საფრანგეთსა და გერმანიაში გამოქვეყნებული წერილებიდან (თუ წიგნებიდან) მიიღეს. საფიქრებელია არაერთი ცნობა რუსთველზე შვეიცარიის საზოგადოებრიობას იქაური უმაღლესი სასწავლებლების ქართველმა სტუდენტებმა მიაწოდეს. საგულისხმოა ასეთი ფაქტი: 1909 წელს ენევის უნივერსიტეტის 300 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულზე იქაურმა ქართველმა სტუდენტებმა რექტორს მიართვეს ოქრო-მკედით მოქარვულ შავი ხავერდის ბალიშზე დადებული „ვეფხისტყაოსნის“ გ. ქართველიშვილისეული გამოცემა, რომელიც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დიდის მადლობით მიიღო და ძვირფას საჩუქრებთან ერთად გამოაფინა<sup>38</sup>.

მოუხედავად აღნიშნულისა, „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის იუბილემდე შვეიცარიაში რუსთველზე ძალზე ცოტა რამ დააწერა. იუბილეს წინააღ ხანადან შეგვიძლია დავიმოწმოთ მხოლოდ ე. კუნეს წიგნაკი „თავისუფალი საქართველო“ (1920 წ.), რომელშიც მოყვება მიმოხილული საქართველოს წარსული და აწმყო<sup>39</sup>. მასში გვხვდება მსჯელობა ქართულ კულტურაზე, სიტყვა-კაზმულ მწერლობაზე, საგანგებოდაა წარმოჩენილი რუსთველის სიღიაღე და პოპულარობა<sup>40</sup>.

მდგომარეობა არსებითად შეიცვალა 1937 წელს. როდესაც შვეიცარიაში აღინიშნა „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავი. 1 დეკემბერს „ენევის ყურნალმა“ გამოაქვეყნა „დიდი ქართველი პოეტის“ პორტრეტი და ე. მარტენის წერილი „შოთა რუსთველი“, რომელშიც მოთხრობილია თამარის დროის საქართველოს ძლიერებაზე, ქართული კულტურის აღმავლობაზე, „ვეფხისტყაოსნის“ სიღიაღეზე, რ.-ლ. პიაშოს მიერ პოემის ფრაგმენტების თარგმნაზე და ა. შ. რუსთველი მოხსენიებულია დანტეს, შექსპირისა და გოეთეს გვერდით:<sup>41</sup> 4 დეკემბერს პრესაში კვლავ გამოჩნდა რუსთველის პორტრეტი, დაიბეჭდა ცნობა საიუბილეო საღამოს შესახებ<sup>42</sup>; იმავე დღეს ენევის უნივერსიტეტში ჩატარდა რუსთველისადმი მიძღვნილი საღამო. მისი ანგარიში მეორე დღესვე დაბეჭდა „ენევის ყურნალმა“<sup>43</sup>. როგორც ამ ანგარიშიდან, ისე გვიან გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, რომ საიუბილეო საღამომ დიდძალი ხალხი მიიზიდა. მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე შესავალი სიტყვით გამოვიდა სახელმწი-

ფო მრჩეველი ა. მალში, რომელმაც განაცხადა: „შოთა რუსთველი, მისი გენია, მისი ხმა ჩვენთანაა! ჩვენსანსის ეპოქაში დიდი მოქანდაკეები როდი თაყოლობდნენ ანტიკური ქანდაკების რესტავრაციას ჩვენც მსგავსი ბედი გვერგო — ვიპოვეთ დიდი პოეტი, შეგვიძლია მისი ნაწარმოების ფრავმენტები ვთარგმნოთ და გამოვეცეთ.“

პოეტი და შედევი — აი ჩენი თემა. ერთიცა და მეორეც საქართველოს დიდებაა. ყოველი გამქრალი და ნანგრევებიდან აღდგენილი ცივილიზაცია თავისი ხელოვნების ერთადერთ ნიმუშსლა ინახავს. რუსთველიც ამ უკვდავ პოემაზე უყეთესს ვერაფერს შესთავაზებდა თავის სამშობლოს, რომელიც თავის ძალად. არსებობის აზრად და იმედად თელის მას“.

ა. მალშის შემდეგ გამოვიდა და შეკრებილთ გულითადად მიესალმა ენევის უნივერსიტეტის რექტორი ვ. რაპარი, რომელმაც განსაკუთრებული სიპათია გამოხატა ქართველი ხალხისადმი.

მოხსენება რუსთველსა და მის პოემაზე წაიკითხა ხ. შავიშვილმა. მან მსმენელთ გააცნო ძველი ქართული კულტურა, საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება გამოჩენილ ქართველ კალმის ოსტატებზე, მიმოიხილა რუსთველის ცხოვრების გზა, დაახასიათა მისი პოემა, გააანალიზა შაირობისა და მიჯნურობის თეორია და ა. შ.

რ-ლ. პიაშომ წაიკითხა „გეჯხისტყაოსნის“ ნაწყვეტები, რომლებიც მას ფრანგულად რიტმული პროზით უთარგმნია.

დასასრულ „ქენევის ქურნალის“ რედაქტორმა ე. მარტენმა, რომელიც 1920 წ. ყოფილა საქართველოში. დამსწრეთ ეკრანზე აჩვენა საქართველოს ზედები და მიაწოდა სათანადო ახსნა-განმარტება.

რუსთველისადმი მიძღვნილი საღამოს მასალები ქენევის „პერე-ქენტილის“ გამოქვეყნობამ (1963 წ.) გამოაქვეყნა ორიგინალური სათაურით — „შოთა რუსთველი ქენევის უნივერსიტეტში“<sup>41</sup>. კრებულის შედგენილობა ასეთია: წინასიტყვაობა, რომელშიც საუბარია ქართველი პოეტისადმი მიძღვნილ საღამოზე და გულისტკივილია გამოთქმული იმის გამო, რომ დიდი შემოქმედი ჯერ კიდევ ნაკლებადაა ცნობილი მსოფლიოში<sup>42</sup>; ა. მალშის „შოთა რუსთველის მოგონება“<sup>43</sup> და ხ. შავიშვილის „შოთა რუსთველი, მისი პოემა და ეპოქა“<sup>44</sup>, რომლებიც ზემოთ უკვე დაიხმომეთ. ძველ მასალებს მოსდევს ხ. შავიშვილის ორი ახალი წერილი: „ასტროლოგიის როლი პოემაში“<sup>45</sup>, რომელშიც საუბარია „გეჯხისტყაოსანში“ მოხსენიებულ ციურ მნათობებზე, და „რუსთველის პორტრეტის აღმოჩენა“<sup>46</sup>, რომელიც მკითხველებს აცნობს იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის (1960 წ.) მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებს. აქვე დავძენთ, რომ ხ. შავიშვილმა 1963 წ. რუსთველზე პრესაშიც გამოაქვეყნა მოზრდილი წერილი, რომელშიც სათანადოდ გამოიყენა ჯერის მონასტერში უკანასკნელ ხანს მოპოვებული მასალები<sup>47</sup>. მანვე რუსთველის საიუბილეო წელს შეეცარიელ მკითხველებს ერთხელ კიდევ მიაწოდა ცნობები ქართველ პოეტზე<sup>48</sup>.

„შოთა რუსთველი ქენევის უნივერსიტეტში“ კმაყოფილებით მიიღო როგორც შეეცარიის, ისე ჩვენმა საზოგადოებრიობამ<sup>49</sup>.

შეეცარიის ლიტერატურულ ცხოვრებაში საინტერესო მოვლენა იყო „ვისრამიანის“ გერმანულად თარგმნა, რაც განახორციელეს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა ე. ჩხენკელმა (1895—1963)<sup>50</sup> და შეეცარიელმა ქართველოლოგმა რ. ნოიკომმა. რომელიც თავის თანამემამულეებთან — ი. მარ-



შევსა და ლ. ფლურთან ერთად ნაყოფიერად მუშაობს დასავლეთ ევროპაში ჩვენი წერილობითი ძეგლების პოპულარიზაციისათვის<sup>54</sup>.

ამჟერად ჩვენთვის საინტერესოა „ვისრამიანის“ გერმანული თარგმანის ბოლოსიტყვაობა<sup>55</sup>, რომელშიც მიმოხილულია ქართული ლიტერატურის განვითარების გზები და „ვისრამიანის“ ქართული რედაქციის საკითხები<sup>56</sup>.

რ. ნოიკომისა და კ. ჩხენკელის მიერ დაწერილ ბოლოსიტყვაობაში გარკვეული ადგილი ეთმობა „ვეფხისტყაოსანს“<sup>57</sup> — „ეროვნულ ეპოსს“, „ძმური სიყვარულისა და ადამიანური კეთილშობილების სიმღერათა სიმღერას“, ნათელ გამოვლინებას XII საუკუნის საქართველოს „სულიერი ცხოვრებისა, რომელმაც არა მარტო შუამავლის როლი შეასრულა მოსაზღვრე მაღალგანვითარებულ კულტურებს შორის, არამედ საკუთარი მსოფლმხედველობა შეიქმნა და საკუთარი სახე შეინარჩუნა“.

ბოლოსიტყვაობის ავტორები მართებულად აღნიშნავენ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა ერთობ ძნელი საქმეა; „გარდა ბერათა მდიდარი მონაცვლეობისა, თანაჲღერადობისა და რითმებისა, გარდა ზმნის უმაგალითო ელასტიკურობისა ქართულში არის ასეთი სიუხვე სახეებისა და უმარტივესი ამბებრს ჯაფერენცირებული გამოხატვისა“, რომ ქართულიდან თარგმნა ზოგჯერ თითქმის შეუძლებელია. ამით ხსნიან ისინი იმ სავალალო გარემოებას, რომ რუსთველის პოემას „ჩერ არ დაუკავებია მსოფლიო ლიტერატურაში საკადრისი ადგილი“.

ავტორთა სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი“ ქართველთა უსაყვარლესი თხზულებაა. მან ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა „მგოსანთა მთელ თაობებზე“, „ცოცხლად შემოინახა ენის კლასიკური ფორმა“, მოიპოვა განსაკუთრებული აღიარება და პოპულარობა.

ქართულ ლიტერატურაში „ვისრამიანის“ ადგილის გარკვევისათვის ავტორებმა საჭიროდ მიიჩნიეს მისი „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებაში განხილვა. მათი დასკვნით, „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულია „სრულყოფილი კეთილშობილების სამყარო“. მასში „მკაცრადაა წამოყენებული ყველა ზნეობრივი ნოთხოვნილება, როგორცაა სამართლიანობა, რაინდობა, უწინარეს ყოვლისა კი მეგობრის სიყვარული და ღვთის შიში“. რუსთველს პოემისაგან განსხვავებით „ვისრამიანის“ გმირებს ცხოვრებისა მეტი გაეგებათ, ადამიანის მოვალეობისა კი ნაკლები“. „ვეფხისტყაოსანში“ ციკაბოდაა აღმართული იდეალები, ვისსა და რაჟინს კი აქანკალებული, სისხლიანი ხელებით მოაქვთ ისინი დანაშაულისაგან გამუქებულ მორევში“. „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვისრამიანის“ შედარებითი განხილვის შედეგად ავტორები ასკენიან, რომ „ამ ორ თხზულებას შორის დიდი წინააღმდეგობა არსებობს, მაგრამ ღვთისა და სიყვარულის ძლიერებისადმი მუდმივი მოწოდებით მათ საერთო საფუძველი აქვთ. ამგვარი მიმართულება და ამქვეყნიური ცხოვრების მხურვალე სუნთქვასთან შეხება ამ ორ ნაწარმოებს სიცოცხლითა და სიღამაზით ავსებს. მათი სიმართლე საუკუნეებს უძლებს და ისინი მსოფლიო ლიტერატურის პირველ ქმნილებათა რიგს განეკუთვნებიან“.

1970 წ. რ. ნოიკომმა გამოაქვეყნა თანამედროვე ქართული მოთხრობების გერმანული თარგმანი, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა<sup>58</sup>. მთარგმნელმა წიგნს დაურთო ბოლოსიტყვაობა<sup>59</sup>, რომელშიც ზოგადი მსჯელობაა ქართულ მწერლობაზე (განსაკუთრებით პროზაულ თხზულებებზე), იხ-

სენიება „ვეფხისტყაოსანი“<sup>60</sup> — „განუმეორებელი შედევრი, სიყვარულს, მეგობრობისა და ადამიანის ღირსების ჰიმნი“, რომელშიც „კლასიკური გამოხატულება პოვა საქართველოს უყეთილშობილესმა სულიერმა ტრადიციამ“. რ. ნოიკომის სიტყვით, რუსთველმა თავის ხალხს მისცა ნება და უფლება „შეეცნო საკუთარი თავი და არსი მსოფლიო მასშტაბის სულიერ ჩარჩოში“. მისი დასკვნით, ამით აიხსნება ის საგულისხმო გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართველებისათვის არა მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის საგანია, არამედ მოქმედი კულტურული ღირებულებაა და „დღესაც მთელი ხალხს-ს სიყვარულსა და ღრმად თავყვანისცემას იმსახურებს“.

1974 წ. რ. ნოიკომმა გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული გერმანული თარგმანი<sup>61</sup>, რომელსაც დაურთო ვრცელი ბოლოსიტყვაობა<sup>62</sup>.

რ. ნოიკომის თარგმანი პროზაულია. თავისუფალი ლექსითაა თარგმნილი პროლოგი, რომელიც ბოლოსაა დაბეჭდილი. წიგნი, რომლის გამოქვეყნებას კმაყოფილებითა და მაღლობით შეხვდა ქართველი საზოგადოებრიობა<sup>63</sup>, შესანიშნავადაა გამოცემული, შემკულია მ. თავაქალაშვილის მინიატურებით.

ბოლოსიტყვაობაში საუბარია XII—XIII საუკუნეთა საქართველოს პოლიტიკურ ძლიერებასა და კულტურულ დაწინაურებაზე, ქართული მწიგნობრობის ადგილობრივსა და საზღვარგარეთულ კერებზე, კლასიკური ხანის ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაზე, რომლის უმაღლეს მწვერვალად მიჩნეულია „ვეფხისტყაოსანი“. მკითხველი აქ ნახავს ბევრ საინტერესო ცნობას რუსთველის ცხოვრების გზაზე, მისი პოემის ზოგადსაკაცობრიო იდეალებზე, რენესანსულ სულისკვეთებაზე, თარგმანებზე და ა. შ.

„ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანის ბოლოსიტყვაობა, რომელიც საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ნარკვევია. შვეიცარიაში გამოქვეყნებული ყველაზე მთორღილი წერილია რუსთველისა და მისი პოემის შესახებ. იგი დაწერილია საფუძვლიანი ცოდნითა და დიდი სიყვარულით.

1961 წ. ციურინის გამომცემლობა „ატლანტიმა“ საკუთარი ორგანოს — ეჟრნალ „ატლანტისის“ ერთი ნომერი (№ 10) მთლიანად საქართველოს მიუძღვნა. მასში დაიბეჭდა შ. ჰუმელის („საქართველო“), ე. ვინკლერის („ქართული ლანდშაფტი“), ნ. ჩუბინაშვილისა („შუა საუკუნეების ქართული სურათ-მოდერება“) და სხვათა წერილები<sup>64</sup>. ზოგადი ცნობები ქართულ ლიტერატურაზე გამოაქვეყნა კ. ჰოპფმა. მისი „საქართველოს ლიტერატურა“<sup>65</sup>, მართალია, შეიცავს ზოგიერთ მცდარსა და არაზუსტ ცნობას, მაგრამ საერთოდ დაწერილია საგნის ცოდნით. წერილში „ვეფხისტყაოსანი“<sup>66</sup> წარმოდგენილია ვითარცა ქართული ლიტერატურის უდიდესი ქმნილება, მისი აბსოლუტური ზენიტი, რითაც საქართველომ თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო ლიტერატურაში“.

კ. ჰოპფი ყურადღებას ამახვილებს პოემის მთავარ იდეურ-თემატიკურ მოტივებზე — სიყვარულსა და მეგობრობაზე, საგანგებოდ ჩერდება პოემის გმირებზე. მისი დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანში“ გმირთა ეროვნება ისევე უმნიშვნელოა, როგორც გერმანულ რაინდულ ეპოსში (სადაც პარცივალი ბრეტონელია, ხოლო მისი ძმა ფაირევიცი კი — ნახევრად მავრი არაბი). რუსთველის გმირი შეესაბამება ანტიკურ-აღმოსავლური გმირობის იდეალს.

კ. ჰოპფის მართებული დასკვნით, რუსთველი „აუორიზმების უბადლო ისტატია“.

შვეიცარიელი ავტორი განსაკუთრებით ვრცლად მსჯელობს „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართველი ხალხის ურთიერთობაზე. მისი სიტყვით, „ვერსად ვერ გააშალა ქართველი ხალხის სული ისე ძალუმად, როგორც რუსთველის ეპოსში“, ხოლო, თავის მხრივ, „ვეფხისტყაოსანმა“ შემოქმედი ხალხის სული განსაზღვრა; მან ხალხს ჩააგონა, თუ რას წარმოადგენს მისი ეროვნული ხასიათი ხალხს მასში თავის თავს ზედაეს, ხალხის გული ამ პოემაზეა მიჯაჭვული. „ებრაელთა გარდა არც ერთი ხალხი არ არის ეგზომ ერთგული თავისი წიგნისა, როგორც ამ შემთხვევაში ქართველები“.

1964 წ. ციურიხში გამოქვეყნდა ე. ფონ აინზიდელის მიერ შედგენილი კრებული — „ზოფლიო ლიტერატურები მათ ზეპირსიტყვიერებასა და წერილობით ვაღმომცემებში“. რომელშიც მრავალი ქვეყნის ლიტერატურაა მიმოხილული. მასში დაბეჭდილია წერილი — „აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურა“, რომელშიც ერთიგვარის მიყოლებითაა დასასიათებელი სირიული, ქრისტიანულ-პალესტინური, კობტური, ქრისტიანულ-არაბული, სომხური და ქართული ლიტერატურა<sup>67</sup>. მისი ავტორია ცნობილი გერმანელი მეცნიერი მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი ი. ასფალგი, რომელიც კარგა ხანია სწავლობს ძველ ქართულ ენასა და ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას.

ი. ასფალგის წერილში ვკითხულობთ: „საქართველოს საერთო კულტურულ აყვავებას აღმაშენებლად წოდებულ მეფე დავითის და ბრწყინვალე თამარ მეფის დროს შეესაბამებოდა საერო პოეზიის აღმავლობა, რომელიც შუა საუკუნეების ევროპის საკარო პოეზიის ანალოგიურია. როგორც ეს ხშირად ხდება, საქართველოშიც დასაწყისში გამოჩნდა აღზატებული შედეგები — „ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუსთველისა (XII ს.), რომელიც თამარ მეფის კარზე მოღვაწეობდა. ეს არის საქართველოს ეროვნული ეპოსი, ერთადერთი ნაწარმოები „ღაღი, ლაღად ჩამოძვრული პერსონაჟებისა და ამბების სიმრავლის მდიდრულ ფანტაზიით და მშობრჩილებელი საერო ეპიკისა, რომლის მსგავსი იმ ეპოქამ არ იქნა“ (ა. ბაუმშტარკი). ეს დღემდე ქართული ლიტერატურის კლასიკურ თხზულებაა. ლექსებში, რომელთა ოსტატობას შემდეგ ვერც ერთმა ქართველმა პოეტმა ვეღარ მიაღწია, აღწერილია რაინდის მსახურება და მიჯნურობა“<sup>68</sup>.

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ ე. არნოლდის „ქართული ეროვნული ეპოსის ისრაელში (შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანისათვის)“<sup>69</sup>. მასში საუბარია ბ. გაბონოვის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულად თარგმანზე, რაც ნამდვილ სენსაციადაა მიჩნეული. რუსთველის, — „თავისი დროს დიდი ჰუმანიტის, რომელიც ქადაგებს თავისუფალსა და წმინდა სიყვარულს და ერთა შორის ურთიერთგაგებას“, — პოემის ამეტყველება კლასიკურ ებრაულზე განსაკუთრებული მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული მოვლენაა. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი ისრაელის ლიტერატურის შენაძენია, ხოლო მთარგმნელი შ. ჩერნიხოვსკის სახელობის ლიტერატურული პრემიის ღირსია, — ასეთია რუსთველის პოემით აღტაცებული და მისი ებრაული თარგმანით აღფრთოვანებული რეცენზენტის დასკვნა.

რამდენიმე სიტყვა ლიტერატურულ ლექსიკონებზე.

რუსთველისა და მისი პოემის ჩვენებას შვეიცარიაში გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ლექსიკონებში კარგა ხანია ვხვდებით, თუმცა მკითხველებისათვის ნაწოდებელი მასალა ყოველთვის სრულად ვერ წარმოაჩენს „ვეფხისტყაოსნის“ კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობასა და მხატვრულ ღირსებას. ზ.

გალითად, 1958 წ. ბერნში დაიბეჭდა „მცირე ლიტერატურული ლექსიკონი“, რომელშიც წერილები აღმოსავლეთის ქვეყნების (ყერძოდ საქართველოს) ლიტერატურის შესახებ ეკუთვნის ო. შპისს. მასში ქართული ლიტერატურა ძალზე მკრთალადაა წარმოდგენილი<sup>71</sup>; ძველი ქართველი მწერლებიდან გვხვდება მხოლოდ რუსთველი<sup>72</sup> და ისიც არასრულად. მართალია, ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ განდიდებულია რაინდული სიყვარული და კულტად ქვეული მეგობრობა, იგი რუსთველის მხატვრულ მეტყველებასაც მაღალ შეფასებას აძლევს, მაგრამ არაფერს აპზობს ქართველი პოეტის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე, მის მაღალპუბლიურ იდეალებზე და ა. შ.<sup>73</sup>

1963 წ. შეეიცარიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (ბერნსა და მიუნხენში) გამოვიდა „მცირე ლიტერატურული ლექსიკონის“ ორტომეული, რომელსაც, შ. რევიშვილის დაკვირვებით. ბევრი რამ აქვს საერთო ზემოდასახელებულ ლექსიკონთან. ცნობები ქართული ლიტერატურის შესახებ ეკუთვნის რ. კარმანს.

ორტომეულში სპეციალური წერილები ეძღვნება ძველი ქართული ლიტერატურის ოთხ წარმომადგენელს — რუსთველს, სულხან-საბა ორბელიანს, დ. გურამიშვილს, ბესიკს. გარკვეულ ინტერესს იწვევს წერალი რუსთველის შესახებ<sup>74</sup>. მასში რუსთველის პოემა ძირითადად სწორადაა გაშუქებული.

„ვეფხისტყაოსანში“ — ვკითხულობთ „მცირე ლიტერატურულ ლექსიკონში“, — შექმნილია რაინდული სიყვარული და მეგობრობა. პოემის მოქმედება რომანტიკულ-რაინდულია, ლექსი — პლასტიკური და მონუმენტური. საკანონისტრფიალო პოეზიის — შინეზანგის აყვავების ხანაში ეს პოემა უმღეროდა მიჯნურობასა და ვასალურ ერთგულებას. საქართველოში იგი ყველა პოეტურ აზრებზე მეტადაა დაფასებული<sup>75</sup>.

„მცირე ლიტერატურული ლექსიკონის“ (1958 წ.) ანარეკლი შეინიშნება კიდევ ერთ ლექსიკონში, რომელშიც შემდეგი იკითხება: „რუსთველი შოთა — XII საუკუნის ქართველი პოეტი, გადმოცემით, თამარ მეფის მრჩეველი და მეჭურჭლეთუხუცესი. შემდეგ ბერად შემდგარა იერუსალიმში. დავეიტოვა ერთგული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“, რაინდული სიყვარულისა და კულტად ქვეული მეგობრობის ამბავი, რომელშიც შეინიშნება გილგამეშის ეპოსის მიოთერი ბირთვი“<sup>76</sup>.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე „მაიერის ლიტერატურული ცნობარი“ (ყველა ლიტერატურის პოეტთა და მწერალთა ლექსიკონი გამოცემული ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის სალექსიკონო რედაქციის მიერ). რომელიც მანჰატენს, ეენასა და ციურხში გამოქვეყნდა 1970 წელს. მასში რუსთველზე გვხვდება სტატია<sup>77</sup>, რომელშიც ვკითხულობთ: „რუსთველი შოთა, ქართველი პოეტი XII საუკუნისა, თანაირ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი უნდა ყოფილყო. მისი სახელით მოღწეულია ქართული ერთგული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც სპარსული სარაინდო რომანების გავლენით განაღვივებს უოყვე მიჯნურობასა და ვასალურ ერთგულებას. შემდგომ თაობებზე ნაწარმოების გავლენა დიდი იყო, შემდეგდროინდელი მწერლები ბაძავდნენ რუსთველს“<sup>78</sup>.

საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ ვ. ბომპიანის მიერ შეეიცარიაში გამოცემული „რაინდლის ლიტერატურული ლექსიკონის“ შეიღბტომეული<sup>79</sup>. რომელშიც ნიშნისაღულია ასზე მეტი ქვეყნის ლიტერატურა. ამასთან. ანბანის მიხედვით დალაგებული და წარმოდგენილია არა მწერლები. როგორც ეს აითქმის

წესადაა მიღებული ლიტერატურულ ლექსიკონებში, არამედ თხზულებანი. მაგალითად, პირველ ტომში დაბეჭდილია წერილები: „აბდულმესია“, „აბო თბილელის წამება“, „ამირანდარეჯანიანი“ და სხვ.; მეორეში — „დავითიანი“, „დიდმოურავიანი“ და სხვ.<sup>80</sup>; მესამეში — „გობრონის წამება“; მეოთხეში — „ქალმასობა“<sup>81</sup> და ა. შ.

„კინდლერის ლიტერატურულ ლექსიკონში“ რუსთველსა და მის პოემაზე ორჯერაა მსჯელობა; სახელდობრ, ი. ასფალგის უკვე დასახელებულ წერილში — „დომოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურა“<sup>82</sup>, კერძოდ იმ ნაკვეთში, რომელშიც ქართული ლიტერატურაა მიმოხილული<sup>83</sup> (ი. ასფალგის წერილი, გადმობეჭდილია ე. ფონ აინზიდელის კრებულიდან) და რ. ნოიკომის წერილში — „ვეფხისტყაოსანი“<sup>84</sup>. მასში გადმოცემულია პოემის შინაარსი, დახასიათებულია გმირები. მოცემულია ცნობები ავტორზე, გვხვდება მსჯელობა ლექსთწყობაზეც. ავტორი საგანგებოდ ჩერდება „ვეფხისტყაოსნის“ სტილზე, ენაზე, მუსიკალობაზე, მეტაფორებზე, „რომლებიც ისეა მიმობნეული ტექსტში. როგორც ძვირფასი ქვები, ტექსტს ელვარებას რომ ანიჭებენ“<sup>85</sup>.

### ლიტერატურა

1. F. Gregorovius, Geschichte der Stadt Athen im Mittelalter, I, Stuttgart, 1889.
2. Ф. Грегоровиус, История города Афин в средние века, СПб., 1900.
3. Ф. Γρηγοριδης, 'Ιστορία της πόλεως Ἀθηνῶν κατὰ τοὺς αἰῶνας, I, ἐν Ἀθήναις, 1904.
4. იქვე, გვ. 305. რადგან ბერძნულად წიგნი გამოქვეყნდა შესწორებებითა და დამატებებით, ჩვენ ის ვირჩიეთ და სათანადო აღვლილი იქიდან დაეძმოწმეთ.
5. В ардан Великий, Всеобщая история, М., 1861, გვ. 147.
6. «Nea Sion», 1905, II, გვ. 646—666.
7. იქვე, გვ. 650—651.
8. ამ ნაწევრის რუსული თარგმანი რამდენჯერმე დაბეჭდა (С. Лосев, О могиле Шота Руставели, «Вечерний Тбилиси», 17.VI.1960, № 143 (2143); П. Коринтელ, В. Харазов. Вновь о «меске безвестном», «Вечерний Тбилиси», 27.IX. 1960, № 230 (2230); И. Стовбун, О Крестном монастыре в Иерусалиме, портрете и могиле Шота Руставели, «Вечерний Тбилиси», 9. VI. 1965, № 134 (3664). გამოქვეყნდა მისი ქართული (ს. ლოსევი, შოთა რუსთაველის საფლავის შესახებ. „კომუნისტი“, 19. VI. 1960, № 141 (11752) და ფრანგული თარგმანიც (K. S a l i a, Les moines et les monastères géorgiens à l'étranger, «Bedi Kartlisa», VII—IX (№ 34—35), 1960, გვ. 53; N. S a l i a, Un portrait in connu de Chotha Rousihveli, «Bedi Kartlisa», XI—XII (№ 36—37), 1961, გვ. 166). ი. სტოვბუნმა გამოაქვეყნა გ. პანაშიხილის სტატიის ჩვენთვის საინტერესო ნაწევრის ფოტოკოპირიც.
9. Ш. Н у ц ы н д з е, Мои рассуждения о «Руставелевской колонне», «Вечерний Тбилиси», 27.IX. 1960, № 230 (2230); А. Б а р а м и д з е, Предположение не подтвердилось, იქვე. იხ. აგრეთვე მისივე, რუსთველს იერუსალიმში ყოფნის ვარაუდო, „კომუნისტი“, 13. VI. 1965, № 138 (13223); მისივე, შოთა რუსთველი და ქართველთა ჯვარის მონასტერი იერუსალიმში, წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1975, გვ. 79—80.
10. ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ახალი რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 2. რუსთველის საბოცრადო საკითხები, წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1971, გვ. 140—141; მისივე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 55—56.
11. ბერძნული ვახუთი შოთა რუსთაველის შესახებ, „ლემისი“, 8. X. 1922, № 6; ნ. მ ა თ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ქართული პოეზია ბერძნულ ენაზე, „ბახტრიონი“, .10. XII. 1922, № 22; მ. მ ა შ ლ ა შ ვ ი ლ ი, ბერძენი ტრიკოპოლისი — რუსთაველის ინტერპოლატორი,

- „ქუთაისი“. 17. X. 1965, № 205 (9953); შ ი ს ი ე ე, რუსთაველის ბერძენი ინტერპოლაციონი, „დროშა“, 1966, № 3, გვ. 17.
12. ზ. შთაწმინდელი, [ქიტიონაძე], შოთა რუსთაველი, თბ., 1884, გვ. 66; А. Х а х а н о в, Общий взгляд на состояние грузинологии, ЧОИДР, 1889, II, გვ. 12.
13. ი. რ ი ც ი ს ი, [ვევლაზე საპატოო საქმე], „თბილისი“, 10. VIII. 1965, № 187 (3724). (დაბეჭდილია სარედაქციო წერილში: „ელადის ენაზეც“).
14. На языке Гомера, «Заря Востока», 29. I. 1965, № 23 (12259); «ვეფხისტყაოსანი» ჰომეროსის ენაზე, «ახალგაზრდა კომუნისტი», 30. I. 1965, № 13 (7545); «სოფლის ცხოვრება», 31. I. 1965, № 25 (1215); «Витязь в тигровой шкуре» на языке Гомера, «Вечерний Тбилиси», 2. II. 1965, № 26 (3556); В. Г в а с а л и я, «Витязь в тигровой шкуре» на греческом языке, «Вечерний Тбилиси», 13. VIII. 1965, № 190 (3720); «ვეფხისტყაოსნის» მთარგმნელი, «საბჭოთა აფხაზეთი», 17. VII. 1966, № 134 (8040); В. К а и ш а у р и, Бессмертный «Витязь» на языке Гомера, «Вечерний Тбилиси», 16. XII. 1971, № 297 (5663); ე. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, გვაქვს «ვეფხისტყაოსნის» ბერძენული მთარგმნელი, «ლიტერატურული საქართველო», 21. I. 1972, № 3 (1796); შ ი ს ი ე ე, «Витязь в тигровой шкуре» на греческом языке, «Вечерний Тбилиси», 16. II. 1974, № 40 (8816).
15. Ῥουσατζῆς Στέφαν, Ἐπισημειωμένη ἐγκυκλοπαίδεια, XI, ἐν Ἀθήναις, 1931, გვ. 192.
16. Ῥουσατζῆς Σῶμα, Μεγάλη Ἐλληγική ἐγκυκλοπαίδεια, XXI, ἐν Ἀθήναις, 1933.
17. წერილში გამოყენებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტის მასალა, რომლის ნაწილი კაბინეტს გადასცეს რ. სირაძემ, ა. ურუშაძემ, ე. ჩაჩანაძემ, მთარგმნა ა. ურუშაძემ.
18. Осамстогодишница Шоте Руставелија, «Борба», 23. VIII. 1966, გვ. 7.
19. Б. Б., Осмовековни Шота Руставели, «Борба», 25. X. 1966, გვ. 11.
20. Борне Сп. Радожичи, Јужнословенско-руске културне везе до почетка XVIII века (ძალეე ამონაბეჭდი), გვ. 274; А. Р о м а н е н к о, По следам Руставелия, «Литературная газета», 20. VIII. 1966, № 98 (4021); ა. რ ო მ ა ნ ე ნ კ ო, რუსთველის ნაკვალეზე, «კომუნისტი», 23. VIII. 1966, № 191 (13585).
21. Путешествие святого Саввы, архиепископа Сербского, ППС, 5 (II, 2), 1884, გვ. 31.
22. საღამო რუსთველის სტუმრებს! «კომუნისტი», 25. IX. 1966, № 219 (13603); სტუმართმოყვარე საქართველოში, «თბილისი», 26. IX. 1966, № 226 (4071).
23. А. А л е к с и д з е, Переключка друзей, «Заря Востока», 30. IX. 1966, № 225 (12769); ხუთი კონტინენტის პოეტების ლექსები, «ლიტერატურული საქართველო», 7. X. 1966, № 41 (1522).
24. «კომუნისტი», 1. X. 1966, № 224 (13609); «თბილისი», 1. X. 1966, № 231 (4076). (დაბეჭდილია საქდესის წერილში — «პოეტის უკვდავება»); «ლიტერატურული საქართველო», 7. X. 1966, № 41 (1522). (დაბეჭდილია საქდესის წერილში — «ქართული კულტურის დღესასწაულები»); «Заря Востока», 1. X. 1966, № 226 (12770); «Вечерний Тбилиси», 1. X. 1966, № 231 (4069). (დაბეჭდილია საქდესის წერილში — «Бессмертие поэта»).
25. М. Б о р, [Руставели украсит литературу любого народа], «Вечерний Тбилиси», 26. IX. 1966, № 226 (4064). (გამონათქვამი დაბეჭდილია წერილში — «Смысл и слово шедевра»).
26. «Knjizevne novine», 1. X. 1966, № 286, გვ. 10.
27. Ш. Т о д у а, «Мы не можем стоять в стороне», «Вечерний Тбилиси», 12. II. 1971, №35 (5402).
28. М. S i b i n o v i c, Humanizam Šote Rustavelija, «Knjizevne novine», 1. X. 1966, № 286, გვ. 9.
29. Л. З а х а р о в, Шота Руставели и Ђегова знаменита поема, «Политика», 2. X. 1966, გვ. 19.
30. Š o t a R u s t a v e l i j, Vitez v tigrovi kozl (izbor). Po ruskih prevodih priredil in poslovenil T. P a v č e k, Ljubljana, 1975.
31. F. B o h a n e c, Spremnna beseda, ი ქ ე ე, გვ. 118—127.

32. ღ. ე უ რ ნ ი ე ი, მეგობრობის ახალი ფურცელი („ვეფხისტყაოსანი“ სლოვენურ ენაზე ჟღერდა), „თბილისი“, 13. VIII. 1975, № 188 (6790).
33. Первые встречи в городе-побратиме, «Вечерний Тбилиси», 12. XII. 1975, № 289 (9370); ვეხოვროთ მეგობრულად! „კომუნისტი“, 13. XII. 1975, № 290 (16416); „ახალგაზრდა კომუნისტი“, 16. XII. 1975, № 149 (9366); В братстве нам жить! «Заря Востока», 13. XII. 1975, № 290 (15354); უ. ზ ლ ბ ე ც ი, ღრმადება შემოქმედებითი კონტაქტები, „თბილისი“, 13. XII. 1975, № 290 (6892); ლიტერატურების მეგობრობა, ხალხთა მეგობრობა, „თბილისი“, 16. XII. 1975, № 292 (6894); „კომუნისტი“, 17. XII. 1975, № 293 (16419); Дружба народов, дружба литератур, «Заря Востока», 17. XII. 1975, № 293 (15357) გულთბილი შეხვედრები, „ლიტერატურული საქართველო“, 19. XII. 1975, № 51 (1928)
34. ტ. პ ა ვ ჩ ე კ ი, გესტუმრეთ „ვეფხისტყაოსნით“, „თბილისი“, 12. XII. 1975, № 289 (6891)
35. ტ. პ ა ვ ჩ ე კ ი, ვინ მოყვარესა არ ეძებს..., „კომუნისტი“, 19. XII. 1975, № 290 (16416)
36. Топе Павчек — переводчик Руставели, «Вечерний Тбилиси», 13. XII. 1975, № 290 (9371) მაღლობა ქართულ ხალხს..., „ლიტერატურული საქართველო“, 19. XII. 1975, № 51 (1998); „საშობლო“, XII. 1975, № 25—26.
37. წერილში გამოყენებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტის მასალები, რომელთა ნაწილი კაბინეტს გადასცეს გ. გაჩეჩილაძემ, დ. კახაბერმა და ბელგარად უნივერსიტეტმა, თარგმნეს ო. გოლიაძემ და ე. კვაჭიძემ.
38. ი. ა რ ქ ე ვ ა ნ ი ძ ე. „ვეფხისტყაოსანი“ ენევის უნივერსიტეტის იუბილეზე, „სახალხო განათლება“, 6. VII. 1966, № 27 (1919).
39. E. Kuhnle, La Géorgie Libre. Son passé — Son présent — Son avenir (Avec une carte), Genève, 1920.
40. ი ქ ვ ე. გვ. 20—21, 87; შოთა რუსთველი უცხოეთის ლიტერატურაში (ბიბლიოგრაფიულ შიშობილზე), კ. შარქაის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, შრომები, IV (1938), გვ. 142; გ. ი მ ე დ ა შ ე ი ლ ი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა (1712—1956 წლები), თბ., 1957, გვ. 373.
41. J. M[art]in, Chota Rousthavéli, «Journal de Genève», 1. XII. 1937, № 330.
42. «La Suisse», 4. XII. 1937, № 338.
43. L' hommage à Chota Rousthavéli, «Journal de Genève», 5. XII. 1937, № 334.
44. Chota Rousthavéli à l' Université de Genève, Genève, 1963.
45. Introduction, ი ქ ვ ე, გვ. 11—13.
46. A. M[iche]l, Souvenir de Chota Rousthavéli, ი ქ ვ ე, გვ. 15—19.
47. Kh. Chavichvily, Chota Rousthavéli, son œuvre et son temps, ი ქ ვ ე, გვ. 21—31.
48. Kh. Chavichvily, Le rôle de l'astrologie dans le poème, ი ქ ვ ე, გვ. 39—41.
49. Kh. Chavichvily, Découverte d'un portrait de Rousthavéli, ი ქ ვ ე, გვ. 43—45.
50. Kh. Chavichvily, Chota Rousthavéli le plus grand poète géorgien, a prêché au XII-e siècle déjà, l'égalité de l'homme et de la femme, «La Tribune de Genève», 24. XII. 1963, № 301.
51. Kh. Chavichvily, Le Chevalier à la Peau de Tigre, «Tribune magazine», 22. I. 1966, № 247.
52. მ. ჭ ა ე ე ლ ი, „შოთა რუსთველი ენევის უნივერსიტეტში“, „თბილისი“, 4. IV. 1961, № 81 (3310); მ. მ ა მ უ ლ ა შ ე ი ლ ი, რუსთველი ენევის უნივერსიტეტში, „კომუნისტი“, 26. VI. 1965, № 149 (13234); გამოცემა შეიქცაოდაში, „ლიტერატურული საქართველო“, 24. XI. 1965, № 52 (1481).
53. J. Assfalg, Pierre Kita Tschenkeli, «Bedi Kartlisa», XVII—XVIII (№ 45—46), 1964, გვ. 188—190; ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, კიტა ჩხენკელის ბოლოქმე, „საშობლო“, 9. VI. 1972, № 11 (271).
54. ქ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, თორმეტი დღე შეიქცაოდაში. „ლიტერატურული საქართველო“, 11. I. 1967, № 3 (1536); მ ი ს ი ე ვ. შეიქცაოდა ქართული ქართულილოგები, „საქართველოს ქალი“, 1967, № 3, გვ. 10—11; „საშობლო“, 23. IV. 1971, № 8 (264); გ. ნ ი ნ ო შ ე ი ლ ი, შეიქცაოდა ქართულილოგები შოთა რუსთველს, „თბილისის უნივერსიტეტი“, 24. VI. 1967, № 23 (725); ციურიხელი ქართველოლოგები, „თბილისის უნივერსიტეტი“, 15. XI. 1967, № 35 (774); მ. მ ა მ უ ლ ა შ ე ი ლ ი, გამოქმედება „ამირანი“ და ციურიხელი ქართველოლოგები, „წიგნის საყარო“, 28. V. 1969, № 10 (22); მ ი ს ი ე ვ. „ამირანი“ და მქ.

- საქმები. „სამშობლო“, 24. X. 1969, № 6 (227); შ ი ს ი ე ე, სამედიკოლო საქმის განმარტობნი, „თბილისი“, 10. XII. 1969, № 288; ა. ლ ლ ო ნ ტ ი, ახალი ქართულ-გერმანული ლექსიკონის გამოცემის გამო, „მნათობი“, 1971, № 7, გვ. 161—165; ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, ქართული ენის შიშობავე ქალები, „სამშობლო“, XII. 1974, № 25—26; ბ. ს ა ბ ა შ ე ი ლ ი, K. Tschenkéli, Georgisch-Deutsches Wörterbuch, „მაინე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1976, № 2, გვ. 186—190.
55. R. Neukomm und K. Tschenkéli, Nachwort. წიგნში: Wisramiani. Übertragung aus dem Georgischen und Nachwort von R. Neukomm und K. Tschenkéli, Zürich, 1957, გვ. 197—221.
56. „ვისრამიანი“ გერმანულად, „თბილისი“, 2. IV. 1959, № 76 (1776); „ვისრამიანი“ გერმანულ ენაზე, „კომუნისტი“, 8. V. 1959, № 104 (11410).
57. Wisramiani, გვ. 202—203, 210—211, 214—216.
58. ბ. ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, ტიურინში გერმანულად..., „სამშობლო“, 22. V. 1970, № 10 (242); ა. გ ე ლ ო ე ა ნ ი, „ამირანის“ საჩუქარი, „ლიტერატურული საქართველო“, 22. V. 1970, № 21 (1710); „მეგობრობა გზად და ხიდად“, „წიგნის სამყარო“, 22. VII. 1970, № 14 (50); ა. გ ე ლ ო ე ა ნ ი, „საოცარი ხალხია ქართველები“, „ლიტერატურული საქართველო“, 8. I. 1971, № 2 (1743).
59. R. Neukomm, Nachwort, წიგნში: Georgische Erzähler der neueren Zeit. Aus dem Georgischen übertragen von R. Neukomm, Zürich, 1970, გვ. 395—419.
60. ი ქ ე ე, გვ. 400, 403—404.
61. R. Neukomm, Nachwort, წიგნში: Schota Rustaveli, Der Mann im Pantherfell. Übertragung aus dem Georgischen und Nachwort von R. Neukomm, Zürich, 1974.
62. R. Neukomm, Nachwort, ი ქ ე ე, გვ. 453—481.
63. გ. ქ ა რ თ ე ე ლ ი შ ე ი ლ ი, გამოცემა შვეიცარიაში („ვეფხისტყაოსნის“ ახალი გერმანული თარგმანი), „კომუნისტი“, 18. XII. 1974, № 294 (16115); „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გერმანული თარგმანი, „სამშობლო“, XII. 1974, № 25—26; გამოცემა შვეიცარიაში, „წიგნის სამყარო“, 8. I. 1975, № 1 (157).
64. ნ. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ნ. რ უ ხ ა ძ ე, საქართველო „ატლანტისის“ ფურცლებზე. „ლიტერატურული საქართველო“, 14. IV. 1967, № 16 (1549).
65. C. Hohoff, Die Literatur Georgiens, „Atlantis“, 1961, № 10, გვ. 555—560.
66. ი ქ ე ე, გვ. 555—556.
67. J. Assfalg, Die georgische Literatur. კრებულში: „Die Literaturen der Welt in ihrer mündlichen und schriftlichen Überlieferung“, hrsg von W. von Einsiedel, Zürich, 1964, გვ. 139—143.
68. ჩენი სტუმარი, „თბილისის უნივერსიტეტი“, 29. III. 1965, № 11 (479); კ. შ ე ე ი ლ ა ძ ე, ქართველ მეცნიერთა სტუმარი, „ლიტერატურული საქართველო“, 23. IV. 1965, № 17 (1446); ი. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, იულიუს ასფალგი, „ლიტერატურული საქართველო“, 19. VII. 1969, № 28 (1613); „სამშობლო“, 10. IX. 1971, № 17 (273); შ. რ ე ვ ი შ ე ი ლ ი, იულიუს ასფალგი და ქართული მწერლობა, „უცხოეთი ენები სკოლაში“, 1977, № 1, გვ. 76—78.
69. ნ. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მხატვრული სიტყვის უკვდავება (შოთა რუსთველი—უახლეს გერმანულ-ენოვან ლიტერატურულ ლექსიკონებში), „კომუნისტი“, 24. III. 1977, № 69 (16806). იხ. აგრეთვე შ. რ ე ვ ი შ ე ი ლ ი, ისევ ჩენი მწერლობის გერმანულ მკვლევარებზე, „დროში“, 1972, № 2, გვ. 8; შ. მ ი ს ი ე ე, იულიუს ასფალგი და ქართული მწერლობა, „უცხოეთი ენები სკოლაში“, 1977, № 1, გვ. 77.
70. W. J. Arnold, Das georgische Nationalepos in Israel (Zur hebräischen Uebersetzung des «Recken im Pantherfell» von Schota Rusthaveli), „Basler Nachrichten“, 18. IX. 1969, № 389. ქართული თარგმანი დაიბეჭდა „მაინეში“ (1969, № 6, გვ. 242).
71. შ. რ ე ვ ი შ ე ი ლ ი, ქართველი მწერლები გერმანულ ლექსიკონში, „ლიტერატურული გაზეთი“, 18. I. 1963, № 3 (1329).
72. [O. Spies], Rusthaveli, Kleines Literarisches Lexikon, Bern, 1958, გვ. 483.
73. შ. რ ე ვ ი შ ე ი ლ ი, საქართველო და რუსთველი უახლეს გერმანულ ცნობარებში, „ლიტერატურული საქართველო“, 4. II, 1966, № 6 (1487); შ ი ს ი ე ე, გერმანული ავტორები



- „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, თსუ საიუბილეო კრებულო: „შოთა რუსთველი“, თბ., 1964, გვ. 454; შიხიძე, გერმანულ-ქართული ეტიუდები, თბ., 1977, გვ. 214.
74. [R. Karmann], *Rusthaweli Schota, Kleines Literarisches Lexikon*, hrsg von W. Kayser, I, Bern-München, 1963, გვ. 650.
75. შ. რევიშვილი, ისევ ლიტერატურული ლექსიკონების შესახებ, „მნათობი“, 1968, № 12, გვ. 147; შიხიძე, გერმანულ-ქართული ეტიუდები, გვ. 216.
76. *Rustaweli Schota, Schweizer-Lexikon*, VI, Zürich, 1967, გვ. 706.
77. *Rustaweli Schota, Meyers Handbuch über die Literatur. Ein Lexikon der Dichter und Schriftsteller aller Literaturen. 2., neubearbeitete Auflage. Mannheim-Wien-Zürich, 1970, გვ. 770.*
78. ნ. კაკაბაძე, მხატვრული სიტყვის უკვდავება (შოთა რუსთველი—უახლეს გერმანულ ენოვან ლიტერატურულ ლექსიკონებში), „კომუნისტი“, 24. III. 1977, № 69 (16806).
79. *Kindlers Literatur Lexikon*, hrsg von V. Bompiani, I—VII, Zürich, 1964—1972.
80. შ. რევიშვილი, ისევ ლიტერატურული ლექსიკონების შესახებ, „მნათობი“, 1968, № 12, გვ. 149—150.
81. შ. რევიშვილი, „კინდლერის“ ახალი ტომები, „მნათობი“, 1970, № 6, გვ. 149—152.
82. J. Assfalg, *Die christlichen Literaturen des Orients*, Kindlers Literatur Lexikon, VII, Zürich, 1972, გვ. 65—76.
83. J. Assfalg, *Die georgische Literatur*, Kindlers Literatur Lexikon, VII, გვ. 74—76.
84. R. N[eukom], «Vep'chis Tqaoani», Kindlers Literatur Lexikon, VII, Zürich, 1972, გვ. 674—675 (ფოტომექანიკურად გამოქვეყნდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში).
85. ნ. კაკაბაძე, მხატვრული სიტყვის უკვდავება (შოთა რუსთველი—უახლეს გერმანულ ენოვან ლიტერატურულ ლექსიკონებში), „კომუნისტი“, 24. III. 1977, № 69 (16806).
- ჩვენს წერილში გამოყენებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კამპუსის მასალები, რომელთა ნაწილი კაბაქეტს გადასცეს ი. მარშევმა (ყენევა), ნ. კაკაბაძემ, რ. ნოიკოშმა (ციურჩიხი), ლ. ფლერბა (ციურჩიხი), ქ. სიხარულიძემ, ს. ჭობენაძემ, თარგმნეს ნ. აბაშუკელა და ნ. ქაღვიშვილა.

J. V. МЕНАБДЕ

## РУСТАВЕЛИ ЗА ГРАНИЦЕИ

### Резюме

В статье проанализированы материалы о Руставели и поэме «Визязь в тигровой шкуре», опубликованные в Греции, Югославии и Швейцарии. Показано, как познакомились читатели этих стран с грузинской поэмой, уделено особое внимание тем сведениям греческих авторов, которые имеют определенное значение для изучения биографии Руставели.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ლიტერატურის ისტორიის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

## შოთა ჩიჯავაძე

## „ვეფხისტყაოსნის“ ორი ადგილის დადგენისათვის

1). „ზედა ტანსა“. შოთა რუსთველის ზემის 1276-ე სტროფში ვკითხულობთ:

ფატნან მისცა დაწერილი მას გრძნულსა; ხელოვანსა:

-ეხე წიგნი მთართიო ქალსა, მზისა დასაგვანსა“.

მან გრძნულმან შოლი რამე წამოსხა ზედა ტანსა,

მასვე წამსა დოქარა, ვარდაჯრინდა<sup>1</sup> ბანის-ბანსა<sup>2</sup>.

ენიდან „ზედა ტანსა“ (ტანზე) და „ზედატანსა“ (ზედატანი და ქვედატანი) სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებია, ჩვენი მ-ზანია გავარკვიოთ, ამ სტროფის მესამე ტაეპის ავტოგრაფში გეჭონდა „ზედა ტანსა“ თუ „ზედატანსა“? წინასწარ უნდა აღენიშნოთ, რომ „ტანი“ სპარსული სიტყვაა და, როგორც ივ. ჯავახიშვილი განმარტავს, „ქართულად გვაში ეწოდება. „ტანი“ მეათე საუკუნიდან შემოვიდა და გვაქვს ზედატანი და ქვედატანი, ძველად ზედაგვაში და ქვედაგვაში ეწოდებოდა. ხევისურეთში დღესაც ასე უწოდებენ“ [3, გვ. 81].

აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ლექსიკური ერთეული ტანი საში მნიშვნელობით გვხვდება: ა) ცოცხალი და არაცოცხალი საგანი საერთოდ („ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“ [2]); ბ) ადამიანის სხეული („ტანსა ჩააცევს შესამოსელი ქალისა“. 1187; „შეიმოსა ტანსა მხნესა“. 1256); გ) ერთად თუ ცალკე სახმარი ნივთების ან საგნების ნაყრები — კომპლექტი („კიღობანი გახსნეს, ჰპოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი“. 1369 და ა. შ.). პოემაზე დართულ ლექსიკონებში კი „ტანის“ ასეთი განმარტება არა გვაქვს.

აქ საჭიროა ითქვას, რომ „ზედატანი“ და „ქვედატანი“ აღნიშნავს არა პარტო ადამიანის სხეულის წელზედა და წელქვედა ნაწილებს, არაჲდ გადატანით ქალის წელზევით და წელქვევით ჩასაცმელსაც: „თინათინმა გაიძრო კაბის ზედატანი და მიაგდო იქით“ (აკაკი): „კაბა ქადრაკული ეცვა და ზედატანი სახელოგამოშვებული, წითელი“ (ნ. ლორთქიფანიძე); [4]. (ჭალმა) „სასწრაფოდ ჩაიცვა ქვედატანი, წამოსხა შალი და წაყო ტბეველი ფეხი ჩუტებში“ (ვ. ბარნოვი) [5].

ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევისათვის საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ „ზედატანი“ კაცების სამოსელსაც რქმევია. მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგი მოგზაური შარდენი წერს: „ქართველების ტანსაცმელი თითქმის მსგავსია პოლონელების სამოსლისა, ისინი მათს მსგავს ჩაჩებს ატარებენ. მათი ზედატანი გახსნილია ჰუეელზე და ღილ-კილოებით იკვრება“ [3, გვ. 65]. მისივე ცნობით, სპარსეთში კაბის ზემოდან „ზედატანს“ იცვამენ სეზონის მიხედვით (იქვე). ამასთან ისიც საგულისხმოა, რომ მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა (თეიმურაზ ბაგრატიონი [6, გვ. 24],

<sup>1</sup> ამ სიტყვის განმარტება იხ.: 1, გვ. 737—740.

<sup>2</sup> ამ სიტყვის განმარტება იხ.: 2, გვ. 747—750.

<sup>3</sup> ციტირებულია 1957 წლის გამოცემიდან.

დავით ჩუბინაშვილი [7, გვ. 320], დ. კარიჭაშვილი [8, გვ. 325], იუსტ. აბუ-ლაძე [9], ს. კაკაბაძე [10], ივ. ჭავჭავაძე [3, გვ. 114], დ. კობიძე [11, გვ. 228] და სხვანი) „მეფეხისტყაოსნის“ „მოლს“ ტანისამოსის ერთ-ერთ სახელად — წამოსასხამად — მიიჩნევენ, რაც შემდგომი კვლევითაც დადასტურდა.

უდავოა ის გარემოება, რომ ზღვათა ქვეყნის ყველაზე მდიდარი ბოქალაქის (ვაჭართა უფროსის) უსენის მალემსრბოლ მონას ფატმანის სასახლეში მყოფ უცხო სტუმართან — ავთანდილთან მისვლისას წელზემთ რაღაც უნდა სცმოდა. ამ სამოსის სახელი ყოფილა „ზედატანი“ და სწორედ ეს სიტყვა ნახმარი ჩვენთვის საინტერესო ტაეპში („მან გრძნეულმან მოლი რაჟე წამოსისა ზედა ტანსა“). აქედან გამომდინარე, რომ სიტყვა „ზედატანი“ არ შეიძლება იყოს ადამიანის სხეულის წელზედა ნაწილის აღმნიშვნელი. ამ გარემოებას იხილავთ ადასტურებენ, რომ წამოსასხამს (პოემით „მოლს“) უმეტესწილად ზედატანზე წამოსასხამდნენ ხოლმე და ქვედატანსაც ფარავდა.

ვინაიდან „ზედა“ ზედატანის პირველი ნახევარი გადაშწერმა აღიქვა თანდებულად, ზოლო ეს უკანასკნელი და არსებითი სახელი კლასიკურ ხანაში შირად ცალ-ცალკე იწერებოდა, „ზედა ტანსა“ ვაგებულ იქნა როგორც ტანსაზედა ანუ ტანზე. ტანისამოსის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული „ზედატანი“ ამ შეცდომაში შეიწირა.

„ზედატანსა“ სიტყვის მნიშვნელობის ჩვენი აზრით რომ სწორია (ე. ი. ამ სიტყვაში „ზედატანი“ უნდა ვიგულისხმოთ და არა „ტანზე“ და არც ადამიანის სხეულის ზედა ნაწილი), ჩანს შემდეგი გარემოებებით: ა) „მეფეხისტყაოსანში“ „ზედა“ და „ზედ“ თანდებულები სამოცდაცამეტჯერ გვხვდება და ერთხელაც არაა ისინი ნახმარი სახელის წინ, ყველგან სახელის შემდეგ ვაქვს: „მეფეთა ზედა მფლობელი“ (114, 311), „ამას ზედა გამოცდილნი“ (165), „პირსა ზედა“ (238) და ა. შ. ჩვენთვის საინტერესო ტაეპში კი ეს თანდებულები სახელის წინაა („ზედა ტანსა“); ბ) პოემაში „ტანზე“ სიტყვის მაგიერ ყველგან ვაქვს „ტანსა“: „მას ტანსა კაბა ემოსა“ (85), „გაძრკვილს ტანსა ემოსნეს“ (123). „თაცსა და ტანსა ემოსა“ (204), „ტანსა აბჯართს ცმულია“ (424), „მას მზესა ტანსა ემოსნეს“ (480) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, „ტანზე“ სიტყვის მნიშვნელობის გამოსახატავად პოეტს არასოდეს არა აქვს გამოყენებული „ზედა“, „ზედ“ ან „ზე“ თანდებულები. იქნებ რითმის საჭიროებისათვის დაუშვა პოეტმა გამონაკლისი? არა, გამონაკლისი აქ არა ვაქვს. ეს საჭიროება რომ ყოფილიყო, მაშინ რუსთველს თავისუფლად შეეძლო დაეწერა „ტანზე“ სიტყვის მაგიერ „ტანსა“: „წამოსისა სწრაფით ტანსა“. ზმნიზედა „სწრაფით“ პოეტს არაერთხელ აქვს გამოყენებული: „წყალი სწრაფით რაღ დაეასხი“ (1343), „წავე დიდით სწრაფითა“ (441), „სწრაფა სწრაფითა ხშირითა“ (1283). რითმისთვის შეეძლო გამოყენებინა აგრეთვე ზმნიზედა „ჩქარად“ („წამოსისა ჩქარად ტანსა“). „ჩქარად“ ზმნიზედა სამჯერ (113, 490, 1343) ვაქვს პოემაში, კონტექსტის მიხედვით კი ორივე ზმნიზედა (სწრაფით, ჩქარად) საჭიროების თვალსაზრისით გამართლებულია.

ამრიგად, ავტოგრაფის 1276-ე სტროფში უნდა გვექონოდა არა „ზედა ტანსა“ (ანუ ტანზე), არამედ „ზედატანსა“ (წელზემთ ჩასაცმელი, ანუ ზედატანი მიცემით ბრუნვაში).

2. „წამოისვა“ თუ „წამოისხა“? „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო კომიტეტის 1966 წლის გამოცემის ზემოსწვრივ სტროფში იკითხება: „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა“, ხოლო ა. შანიძისა და ა. ბარამიძის იმავე წლის გამოცემასა და პ. ინგოროყვას 1940 წლის გამოცემაში გვაქვს: „...წამოისვა ზედა ტანსა“. რომელი წაკითხვა უნდა იყოს მართებული ანუ ავტოგრაფისეული? როგორც ქვემოთ ვნახავთ. დედნისეული უნდა იყოს „წამოისხა“. საქმე ისაა, რომ ვინიანი ფორმა ემყარება მე-17 საუკუნის მხოლოდ და მხოლოდ ორ ხელნაწერს (H 599 და ოქსფორდის 27). ამ ხელნაწერებში ეს წაკითხვა შედეგია გადამწერთა მექანიკური შეცდომის ან „მოლი“ სიტყვის უმართებულო გაგებისა. მე-17 საუკუნის ცამეტი ხელნაწერი და მე-18 საუკუნის ყველა ხელნაწერი გვაძლევს „წამოისხა“ წაკითხვას.

ეს წაკითხვა რომ დედნისეულია, დასტურდება შემდეგი გარემოებებით: ა) პოემის თითქმის ყველა საუკეთესო ხელნაწერში იკითხება „წამოისხა“. ბ) „მოლი“ (წამოსასხამი) „წამოისვა ზედატანსა“, უაზრობაა. გ) „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა „მოლი“ კიდევ რომ აღნიშნავდეს თხევად ნივთიერებას (მაღაპოსებრს) [12, გვ. 148—149], მას ტანზე წაისვამდნენ და არა ტანისამოსზე ანუ ზედატანზე. დ) წაშლის ტანზე წასმის აღსანიშნავად ზნა „წამოისვა“ კლასიკურ ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართული ენის დიალექტებში არის და გვხვდება. წაშალი წამოისვაო — საქართველოში არავინ იტყვის. „წამოისვა“ ზნა რუსთველის ენისათვის უცხო და შეუსაბამოა. ე) პოეტს თუ სურდა თხევადი ნივთიერების წასმა აღენიშნა, ის გამოიყენებდა ტმესს და გვექნებოდა — წა-ცა-ისვა. ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ „ცა“ ნაწილაკიანი ტმესი პოემაში ოცდაცხრამეტჯერ გვხვდება. პოეტს შეეძლო იგივე აზრი უტმესოდაც გადმოეცა: „გადაისხა“ ან „გადაისვა“ ზნებით.

ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ:

1. „ვეფხისტყაოსნის“ ავტოგრაფის 1276-ე სტროფში უნდა გვქონოდა არა „ზედა ტანსა“ (ტანზე), არამედ „ზედატანსა“ (ზედატანი მიცემით ბრუნვაში).

2. ზემომოყვანილა სტროფის ავტოგრაფში უნდა გვქონოდა „წამოისხა ზედატანსა“ და არა „წამოისვა ზედა ტანსა“.

#### ლიტერატურა

1. შ. ჩიჭავაძე, „გრძნეული“ ვეფხისტყაოსანში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 72, № 3, 1973.
2. შ. ჩიჭავაძე, ორი სიტყვის მნიშვნელობის საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXVI, № 3, 1964.
3. ივ. ჭავჭავაძე, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 3—4, თბილისი, 1962.
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 4, თბილისი, 1955.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 7, თბილისი, 1962.
6. თედორაზ ბაგრატიონი, განმარტება ვეფხისტყაოსანისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლეით და საძიებლით, თბილისი, 1960.
7. ქართულ-რუსულ-ფრანგულ-იტალიურ ლექსიკონი, თბილისი, 1840.
8. შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1903.
9. შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1926—1951 წლების გამოცემები.
10. შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1927.

11. დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობა, თბილისი, 1963.  
 12. ივ. ლოლაშვილი, პოპეროსი, შავეთელი, შ. რუსთაველი, ჟურნ. „მნათობი“, 1960, № 2.

Ш. И. ЧИДЖАВЛДЗЕ

## К УСТАНОВЛЕНИЮ ДВУХ МЕСТ В «ВЕПХИСТКАОСАНИ»

Резюме

В «Вепхисткаосани» лексическая единица «tani» (ტანი) употребляется в тройном значении: а) одушевленного и неодушевленного предмета (2), б) человеческого тела (1187, 1256), в) комплекта вещей или предметов, употребляемых вместе или отдельно (1369).

В 1276-ой строфе «Вепхисткаосани» исследователями «zeda tansa» (ზედა ტანსა) понимается как слово «tanze» (ტანზე).

В труде выяснено, что здесь «zeda tansa» (ზედა ტანსა) обозначает один из видов женского одеяния «zedatani» (ზედატანი), существует и слово «kwedatani» (ქვედატანი).

Если в настоящее время «zedatani» (ზედატანი) называется женское одеяние выше поясницы, то в средние века этим словом обозначалось также и аналогичное мужское одеяние.

В указанной (1276-ой) строфе должно было иметься не «t s a m o i s w a z e d a t a n s a» «წამოისვა ზედატანსა» а «tcamoischa zedatansa» (წამოისნა ზედატანსა).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩიბლაძემ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება

რუსულან ბარბაქაძე

„ვეფხისტყაოსანი“ და შუა საუკუნეების ლიტერატურული  
ტრადიციები ფერითი სისტემების გააზრების თვალსაზრისით\*

(პარალელები და შენიშვნები)

ტრადიციული შეხედულებით. შუა საუკუნეების ლიტერატურაში ფერითი ელემენტი სუსტად ან სულაც არაა წარმოდგენილი და ეს იმით აიხსნება, რომ შუა საუკუნეების ესთეტიკა არ სცნობდა ფერს, არ სჭირდებოდა იგი და ამდენად, „ფერი რჩებოდა მხატვრული პროზის გარეთ“<sup>1</sup>.

წარმოდგენილი თეზა მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს რეალურ ვითარებას. ფერითი ელემენტის არა მარტო შემთხვევითი გამოყენება, არამედ გარკვეული მთლიანი ფერითი სისტემების მხატვრულ-ესთეტიკური გააზრებაც კი შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურაში. — ჩვენ მხედველობაში გვაქვს ძირითადად საერო მწერლობის ძეგლები. — საკმაოდ თვალსაჩინო ფაქტია. მაგალითისთვის, ვფიქრობთ, „ვეფხისტყაოსნის“ დასახელებაც იკმარებს.

შეპირისპირებათა გზით ნაწარმოებში წარმოდგენილია დავიკრებები შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანეს ძეგლებზე, როგორცაა: „სიმღერა როლანდზე“, „სიმღერა ჩემს სიღზე“. „სიმღერა ნიბელუნგებზე“, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, „ღვთაებრივი კომედია“ დანტე ალიგიერისა, „ტრისტან და იზოლდა“, „ვისრაჰიანი“, ნიზამი განჯელის პოემები — „ლეილი და მაჯნუნი“, „ბოსროვი და შირინი“<sup>2</sup>. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა მხოლოდ ძირითადი, უმთავრესი მომენტები და დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, შეხვედრისა და დაშორების, ან განსხვავების წერტილები ფერითი სისტემების გააზრების თვალსაზრისით ქანრის. თემატიკისა და წარმომავლობის მხრივ ამ

\* ლიტერატურული ნაწარმოების ფერითი სისტემაზე მსჯელობა მასში ფერის ფენომენის ფუნქციონირების ყველა ასპექტის კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს. ეს ფაქტი — ფერის ფენომენის ფიგურაცაა მხატვრულ ლიტერატურაში, ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთ აისახება გამოთქმაში — „ლიტერატურული ფერწერა“.

ლიტერატურული ფერწერა კარგა ხანია სპეციალისტთა ყურადღების საგნად იქცა. მისი, როგორც მეცნიერული კვლევის ობიექტისადმი მკვლევართა პირველი სერიოზული დაინტერესების, პატრი ფრანკ სიმბოლისტებს უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა გადაჭრით ამის თქმაც ძნელდება, რადგან საზოგადოდ ფერის ფენომენის შესწავლა ნებისმიერი დარგის პოზიტივიზიდან, როგორც წესი, ენის ლექსიკური მონაცემების ვათეალისწინებასაც მოითხოვს, რასაც ძალზე ხშირად მხატვრულ ლიტერატურაშივე მოუვათ მკვლევარი.

დღეისათვის მეტად საინტერესო გამოკვლევები არსებობს ლიტერატურული ფერწერის განხილვით. დაეახელებთ მხოლოდ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ რამდენიმე ნაშრომს: В. П. Га й д у к, К вопросу о цветовой символике «Божественной Комедии» Данте, Дантовские чтения, М., 1971; А. П. К а ж д а н, Цвет в художественной системе Никиты Хонната; Взгляд на Южные славяне и древняя Русь, Западная Европа, Искусство и культура, М., 1973; А. М. П а н ч е н к о, О цвете в древней литературе восточных и южных славян, Труды отдела древне-русской литературы, ХХIII, Л., 1968; С. М. С о л о в ъ е в, Колорит произведений Достоевского, Достоевский и русские писатели, М., 1971.

ერთმანეთისგან განსხვავებულ ძეგლებში. ცალკეული ნაწარმოებების ფერთამეტყველებათა გამოწველილეთი შესწავლა და წარმოღვენა ჩვენს მიზანს არ შეადგენდა.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ შუა საუკუნეების ლიტერატურულ ფერწერაზე ნათლას სიმბოლიკის გათვალისწინების გარეშე მსჯელობა შეუძლებელია; ფერთა მთლიანი ქრომატული გამა ხომ სწორედ ნათლიდან იღებს სათავეს და ნათელსა და ბნელს შორის გრადაციის სახით ვლინდება (როგორც გოეთე წერს, «*Глаз обязан своим существованием свету*»<sup>3</sup>), რაც, ბუნებრივია, ლიტერატურის ყურადღების გარეშე არ დარჩენილა. მაგრამ ამჟერად ჩვენ შემოვიდა ზღვრეთ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ობიექტურად მოცემული ფერთა სპეციფიკური ტერმინოლოგიური მასალით და როცა ვმსჯელობთ ფერთი სისტემების შესახებ, სწორედ ასეთი—ფერთა წმინდა ფერწერული მხატვრულ სისტემები გვაქვს მხედველობაში. ნათლის ფენომენის აღნიშნული თვალსაზრისით განხილვა კი სპეციალური შესწავლის საგანია და ამჟერად ჩვენი ინტერესების სფეროს სცილდება.

ფერის ფენომენის გამოყენების, ერთი მხრივ, რაოდენობრივ-პროცენტული მაჩვენებლების (რა თქმა უნდა, მიახლოებითი)<sup>4</sup>, ხოლო, მეორე მხრივ, მათი მხატვრულ-ესთეტიკური გააზრების შესწავლა ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლთა მასშტაბით საერთო ლიტერატურულ ნაკადში ორი განსხვავებული მიმართულების გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა. მათგან პირველი, რომელიც ჩვენ პირობითად „დასავლეთის ლიტერატურის“ რეპრეზენტაციით გავაერთიანეთ, შედარებით იშვიათად იყენებს ფერთს ელემენტს. ამასთან, მასში შესუსტებულია ფერის მხატვრულ-ესთეტიკური შინაარსი და ან მის სიმბოლურ მნიშვნელობაზეა გადატანილი აქცენტი, ან არადა სულაც უშუალო ვიზუალური შთაბეჭდილების პრიმიტიული ფიქსაციის საშუალებად იგაქცეული. მეორე მიმართულება, — „აღმოსავლური ლიტერატურის“ ძეგლთა ტრადიციების გამომსჯეველი, — ფერს ანიჭებს უძირითადეს ესთეტიკურ და სიმბოლურ მნიშვნელობებს იდეათა მხატვრული გამოსახველს საშუალებათა შორის.

რა თქმა უნდა, ამგვარი დეფინიცია პირობით ხასიათს ატარებს. მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში, როგორც იდეურ-თემატიკური, ისე ესთეტიკური აზრის განვითარების მხრივ საესებთ თვალსაჩინოა საერთო, ზოგად კანონზომიერებათა არსებობა და ასეთ კანონზომიერებებს ლიტერატურული ფერწერის შესწავლაც ამჟღავნებს. ეს მით უფრო მასალოდნელი იყო, რომ საზოგადოდ ფერის ფენომენის ფიგურირების ფაქტი ყველა შემთხვევაში უწინარეს მის მხატვრულ საშუალებად გამოყენებას გულსანზომის: საქმე ეხება ამა თუ იმ ასპექტის შეტი ან ნაკლები სიმკვეთრით წარმოჩენას მხატვრულ ნაწარმოებში და არა მის სრულ აბსოლუტიზაციას ან აღნორირებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც გვაქვს მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლები, რომელნიც ზემოთ მოკვანილი კლასიფიკაციის კანონზომიერებებს მთლიანად არ ემორჩილებიან. მათში ფერთი ელემენტის გამოყენების ხასიათს გარკვევამ შესაძლოა გარკვეული როლი შეასრულოს ზოგიერთი ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემის გადაჭრის საქმეში.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, ჩვენ მიზანშეუონილად მიგვაჩნია მოკვივანოთ ის ძირითადი დებულებანი, რომელთაც ამ პოემის ფერთი სისტემის შესწავლა იძლევა:

ა. „ვეფხისტყაოსანში“ ფერი იდეათა მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთ უძირითადეს საშუალებას წარმოადგენს.

ბ. ფერის ფენომენს პოემაში გააჩნია როგორც მხატვრულ-ესთეტიკური, ისე სიმბოლური მნიშვნელობები<sup>7</sup>. მათგან ორივე გულისხმობს ნაწარმოების სიუჟეტურ მსვლელობასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური მომენტის დახასიათებას და უმეტესწილად, როგორც წესი, ორივე მნიშვნელობა ერთ მთლიანობად რეალიზდება.

გ. ფერები სხვადასხვა საშუალებითა და ხერხითაა გადმოცემული: გამოყენებულა როგორც ნეიტრალური, ისე სპექტრული ფერები, ხოლო მათი და შუქ-ჩრდილების ნიუანსირების საფუძველზე შექმნილია ფერთა კომბინაციები და სინთეზის სახით გადმოცემული უმშვენიერესი ესთეტიკურა ხატები: განსაკუთრებულ როლს ასრულებს „მეტაფორული ფერწერა“.

დ. პოემის მხატვრულ სისტემაში ძნელდება ე. წ. „რჩეულ ფერთა ტრიადის“ ჰეგეტრი გამიჯვნით გამოყოფა: სიხშირის მხრივ კი შავი, თეთრი და წითელი ფერები გამოირჩევა.

ე. ფერთა სიმბოლური მნიშვნელობანი „ვეფხისტყაოსანში“ სტაბილურ ხასიათს ატარებენ. მაგრამ მათგან ზოგიერთი, სახელდობრ, შავი, წითელი და ყვითელი ფერები, გაორებული სახითაა წარმოდგენილი: ისინი ხან პოზიტიურ ემოციებს იწვევენ, ხან — ნეგატიურს. შესაბამისად, გაორებულია მათი მკითხველისეული შეფასებაც.

ფერის ფენომენის შესახებ მსჯელობისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის სპეცოფიკა, რომელსაც აღნიშნული მიმართებით ამჟღავნებს მხატვრული ლიტერატურა, როგორც ესთეტიკური აღქმის ობიექტი.

ლიტერატურაში, სადაც ნებისმიერი ესთეტიკური ფენომენის წარმოსახვას ისი სიტყვიერი გამოხატულება უძღვის წინ, განსხვავებულ ფერთა ერთად მოცემა სხვადასხვა ხარისხითა და პროპორციით, უწინარეს სიმბოლური მისაზარებებით სტომულირდება, მაშინ როცა იმავე მომენტის საფუძველი ფერწერაში ფერთა წმინდა ვიზუალური თვისებებითაა შეპირობებული. მაგრამ ეს გამიჯვნაც პრობითია: როგორც მწერლის, ისე ფერმწერისათვის სხვა ფაქტორებთან ერთად ფერის ობიექტურ სინამდვილეში განცდის ემოციური და ესთეტიკური მხარეა უპირველესი ამოსავალი. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ზოგადად ფერთა სიმბოლური მნიშვნელობები მხატვრულ ლიტერატურაში (ფოლკლორულ ტრადიციებზე აღარაფერს ვამბობთ) უმეტესწილად სტაბილურ ხასიათს ატარებენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არა გვაქვს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის პოეზია, რომელშიც, როგორც მ. კვესელავა წერს, „სინესთეზიური წარმოდგენებს ფსიქოლოგიურად შესაძლებელი საზღვრებიც მოიშალა და თავიანთი ფარმოსახვის დინებას დაემორჩილა“<sup>8</sup>. არა! შუა საუკუნეები შუა საუკუნეებია; მისი ლიტერატურული კორიფები ფერმწერთა აპლუაში უწინარეს რეალისტები არიან: ისინი, ცოტა უხეშად რომ ვთქვათ, პრაქტიკას ეყრდნობიან და წმინდა ვიზუალურ შთაბეჭდილებებს დიდოსტატური ბინატიფით აზაეებენ მხატვრულ წარმოსახვასა და შთაგონებასთან: მათთან ვერ ნახავთ უჩველად, თუნდაც ერთი შეხედვით დაუშვებლად მისაჩნევ მხატვრულ სახეებს. რომლებშიც მხატვრულ-ესთეტიკური ან სიმბოლური ქვეტექსტების წყაიანჯე: XX საუკუნის სიმბოლისტთა „ფერწერული რებუსების“ მსგავსად



უპირველეს ყოვლისა მკითხველის წარმოსახვით უნარზე იქნებოდა დამოკიდებული.

და თუ აქა-იქ მაინც ვხვდებით მოულოდნელ ფერით მეტაფორებს, რომელთაც ვერც რომელიმე კანონიზებული მხატვრული სისტემის ტრადიციებს მივაკუთვნებთ და ვერც მათად ავტორის თავისუფალი. ინდივიდუალური წარმოსახვის შედეგად მივიჩნევთ, — (მხედველობაში გვაქვს ცნობილი რუსთველური სტროფი: „იგი მზე დაჰკრთა, ეგონა სამისო რამე ზნანი. შეცვალა ვარდი ზაფრანად, ლაქვარდისფერად იანი“ (1278, 3—4). სადაც მეტაფორული კონსტრუქცია („შეცვალა... ლაქვარდისფერად იანი“) თავისუფალი ქვეტექსტის შესაბამისი რამე პირდაპირი ვიზუალური ასოციაციისაგან, — ზიგურირებს ფერის მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა და გარკვეულ ემოციურ დატვირთვას აძლევს პოეტურ სახეს), — ასეთი შემთხვევები უბრალოდ გენოუსურ ანომალიებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ანალოგიური მხატვრული სახეების, ე. ი. ფერთა მხოლოდ სიმბოლურ მნიშვნელობებზე დამყარებული პეტაფორული მხატვრული სახეების ძეგბა შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურაში შედეგს არ იძლევა. დასავლეთის მწერლობაში, როგორც წესი, ფერის ფენომენის გამოყენება ვიზუალურ შთაბეჭდილებას ეყრდნობა და მასში გაურკვეველობა ან ორიენტაციის დაკარგვა სავსებით გამორიცხულია, აღმოსავლური ლიტერატურა კი მისთვის ტრადიციულ, — სიმბოლურ და, ამდენად, მხატვრული ფუნქციით დატვირთულ მეტაფორულ ფერწერას იყენებს ფერწერული კოლორიტი<sup>9</sup> შექმნის პროცესში. ხოლო თუ მისთვის ჩვეული მეტაფორული კასკადები თანამედროვე მკითხველისათვის ზოგჯერ თითქოს ბურუსითაა მოცული, ეს ძირითადად თხრობის აღმოსავლური სტილისათვის კანონიზებული მეტაფორული პოეტური აზროვნების მოთხოვნით უნდა აიხსნას, რაც საერთო-ლიტერატურულ პროცესში (აღმოსავლური ლიტერატურა), ერთი მხრივ, ხალხში გაბნეული და გავრცელებული, ხოლო, მეორე მხრივ, ამა თუ იმ ეპოქის ტონის მიმცემი შემოქმედის (ასეთები კი ეროვნულ საფუძველს არასოდეს წყდებიან) მახასიათებელ, ტრადიციულად ქცეულ პოეტურ სახეთა გამეორებებითა და ვარიანტებით რეალიზდებოდა. ამ ეტაპზე კი ზომიერების გრძნობის შენარჩუნება მხოლოდ ქვეშარბიტ ხელოვანთ ძალუძდათ. ეს სავსებით დასტურდება, მაგ., სპარსული ლიტერატურის ისტორიით.

რაც შეეხება საზოგადოდ ფერის ფენომენის სიმბოლურ და მხატვრულ-ესთეტიკურ მნიშვნელობათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხს მხატვრულ ლიტერატურაში, შეინიშნება ერთი ტენდენცია, დამახასიათებელი როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მწერლობისათვის: მისწრაფება ფერის სიმბოლური და მხატვრულ-ესთეტიკური შინაარსების ერთ მთლიანობად წარმოდგენისაკენ ფერწერული ხატების სახით<sup>10</sup>, თუმცა არცთუ იშვიათად რომელიმე ერთი ასპექტის წინ წამოწევის ფაქტებიც სავსებით ავალსაჩინოა. მაგ., სტროფში —

შეფე მარსილმა თავის კაცებს. თათბირის პოლს

კვლავ მოახსენა: „ბატონებო. წახვალთ კარლოსთან,

ხელთ დაბვირეთ ზეთასხილის მწვანე რტობი...“ (სიმღ. როლანდზე, გვ. 3)

მწვანე ფერი უპირველეს ყოვლისა სწორედ სიმბოლოს სახით წარმოგვიდგება: — მშვიდობის, ზავის, იმედის სიმბოლოდ, თუმცა არც მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებისგანაა დაკლილი; ასევე, სვიატოსლავის სიზმარში ნახსენა

ნებ შავ და ლურჯ ფერებში („ამბავი იგორის ლაშქრობისა“, გვ. 28) არ შეიძლება მომავალი უბედურების სიმბოლო არ დაეინახათ.

ანალოგიური, ფერთა ტრადიციულ სიმბოლურ მნიშვნელობებზე დამყარებული მხატვრული სახეები, რომელთა მსგავსს თვით საეკლესიო ხასიათის ძეგლებშიც კი საკმაოდ ხშირად ვხვდებით (რა თქმა უნდა, „საკმაოდ ხშირად“ აქ შეფარდებითაა ნახმარი), ნიშანდობლივია და დამახასიათებელი დასავლეთის ლიტერატურისათვის.

დასავლეთის ლიტერატურისათვის დამახასიათებელია მეორე უკიდურესობაც: ხშირად ფერის ფენომენის ფუნქციონირების შეზოზლუდვა მხოლოდ ვიზუალური შთაბეჭდილების გადმოცემით განაპირობებს მისი სიმბოლური შინაარსის შესუსტებას და ზოგჯერ სრულ იგნორირებასაც კი. პარალელურად კლებულობს ფერწერული ხატების ემოციური ზემოქმედების ძალაც, კლებულობს იმდენად, რომ მის მხატვრულ ღირსებებზე მსჯელობა რაღაც უკმარისობის გრძნობას იწვევს. მაგ.:

და შემდეგ დაჟდა მწვანე პოლზე თვის კარავის წინ („სინღ. როლანდზე“, გვ. 24)

ან კიდევ:

Но горе ждет бедных, чуть день забелеет ... («Песнь о Сиде», гл. 128).

რაც შეეხება აღმოსავლური ლიტერატურის ძეგლებს, აქ თითქოს უშუალო ვიზუალური შთაბეჭდილებით შექმნილი პოეტური სახეებიც კი მთლიანი მხატვრული ქსოვილის მნიშვნელოვან ელემენტად გვევლინება. სანადიროდ წასული ხოსროვის შესახებ ნიზამი წერს:

როცა გაწყვიტა მან ნადირი აურაცხელი, 1  
იმ დროს გამოჩნდა შორით ერთი ტურფა სოფელი.  
რომ დაინახა იმ სოფელთან მწვანე ახალი,  
იმ მწვანე ველზე გაიფინა საჭლოში ხალი.  
იმ მწვანე ველზე იგი წითელ ღვინოსა სვამდა... (გვ. 68).

როგორც ჩანს, ფერის, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული აქსესუარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტის შესწავლისას, კონკრეტული ნაწარმოების მხატვრული ქსოვილის თავისებურებათა საერთო დონის გარდა, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ზოგადი, საერთო-ლიტერატურული ტრადიციები აღნიშნული მიმართებით და პირიქით. ყოველ შემთხვევაში, ფერითი სისტემების გააზრების მხრივ შუა საუკუნეების ლიტერატურული ტრადიციების შესწავლა თავისებურ საფუძველს ქმნის დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა საერთო კანონზომიერებათა ჩარჩოებში მოქცეული ლიტერატურული ნაკადების ძირითად ტენდენციათა დასადასტურებლად. რ. სამაჩინის ზოგადი ფორმულირება რომ გამოვიყენოთ, „მეგობერთა პოეტური ტილოები, რომელნიც ამ ხანებში (იგულისხმება რუსთველის თანამედროვე ეპოქა — რ.ბ.) შეიქმნა როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, გამოირჩევიან შედარებით უხეში პოეტური ქსოვილითა და პრიმიტიული აქსესუარით (დასავლეთი) ან უკიდურესი მრავალსიტყვაობითა და ევრისფიკატორული გატაცებით (აღმოსავლეთი)“<sup>11</sup>.

ფერის ფენომენის გამოყენების ხასიათი უწინარეს მელანდრება ავტორების დამოკიდებულებაში ფერთა სიმრავლის მიმართ. იმის მიხედვით, თუ როგორ აფასებენ ისინი მრავალფერადოვნებას, სიჭრელეს, — პოზიტიურად თუ ნეგატიურად, — ფერები მათ ნაწარმოებებში შესაბამისად ჰარბად ან იშ-

ვითად რეალიზდებიან, ხოლო ეს დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება, როგორც წესი, გარკვეული ესთეტიკური კონცეფციის კანონზომიერებებს ითვალისწინებს.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი კანონიზებული ესთეტიკური კონცეფციის გამოვლინებასთან გვაქვს საქმე, როცა ვმსჯელობთ ფერითი ელემენტის შესახებ შუა საუკუნეების ბიზანტიურ ლიტერატურაში. ბიზანტიელმა მწერალმა კარგად უწყის, რომ სინამდვილე განსხვავებულია სტაბილურობის ქრისტიანული იდეალისაგან და რომ სიჭრელე მის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს, მაგრამ აპრიორულად ნეგატიური დამოკიდებულება ამ უკანასკნელს მიმართ (და არა ხედვის სიღარიბე), აიძულებს მას შეზღუდოს ფერთა ქრომატიული გამა. ბიზანტიელი მკითხველისათვის ხომ არა მართო უჩვეულოს, არამედ ესთეტიკურადაც სრულიად უცხოს წარმოადგენდა მრავალფერადობა: აღწერა. ამიტომაც, რომ ბიზანტიური ლიტერატურის ტრადიციულ ფერის სისტემაში, განსაკუთრებით, პორტრეტულ ფერწერაში, როგორც ვმინდა ესთეტიკურ, ისე სინბოლურ მნიშვნელობათა გათვალისწინების თვალსაზრისით. სამი ძირითადი ფერი, ე. წ. რჩეულ ფერთა სამეული — ოქროსფერი (იგივე ყვითელი), ალისფერი (წითელი) და თეთრი დომინირებს<sup>12</sup>.

მსგავსი მდგომარეობა გვაქვს შუა საუკუნეების დასავლეთის ლიტერატურის სარაინდო პოეზიაშიც: სიმღერებში — როლანდზე, სიდზე, ნიბელუნგებზე და იგორის ლაშქრობის ამბავში. მაგრამ აქ უნდა გაკითვალისწინოთ, რომ ეს ნაწარმოებები ტრუბადურების, ხალხის კოლექტიურ ქმნილებას წარმოადგენდა და ამდენად, ხშირად უფრო უპირიანი მათში ზოგადი ხასიათის ესთეტიკურ ტენდენციებზე მსჯელობა, ვიდრე, ვაქვია, ამა თუ იმ ავტორის შემოქმედებითს პრიზმაში გატარებული, მაგრამ საერთო ლიტერატურული პროცესისათვის „ტრადიციულად“ კანონიზებული და სახელდებული მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპების მთლიანი სისტემის ძიება.

როგორც საერთო-ქრომატიული გამის, ისე ფერის ფენომენის გამოყენების სიბშირით ზემოთ დასახელებული ეპიკური ტილოები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ ამასთან ამ ნაწარმოებებს მოეპოვებათ აღნიშნული თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად საერთო თავისებურებანიც, რომლებიც, ერთი მხრივ, ჩქმალავს მათი ურთიერთგანსხვავების წერტილებს, ხოლო, მეორე მხრივ, მათ, როგორც გარკვეული მხატვრულ-ესთეტიკური კონცეფციის მარეალიზებელ ლიტერატურულ ძალას. უპირისპირებს აღმოსავლური მწერლობის ტრადიციებს. ამასთან, აღნიშნულ ორ მიმართულებას შორისაც (დასავლეთისა და აღმოსავლეთის ლიტერატურები) არსებობს შეხვედრის წერტილები და თანაც საკმაოდ ხშირად.

ფერთა ქაოსური სინრაველ დასავლეთის საგმირო-სარაინდო პოეზიაში უარყოფითადაა შეფასებული. ამით აიხსნება მასში ფერთა შედარებით ღარიბი პალიტრის არსებობა (შედარებით, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთის ლიტერატურასთან). თვით ტერმინი „პრელი“ კი ნეგატიურ კონტექსტშიც გვხვდება და პოზიტიურშიც. მაგრამ როცა საქმე ეხება „სიჭრელის“ დაზუსტებას „ავტორები“ ჩვეულებრივ, ან საერთო ბრწყინვალეება-ელეარების, ნათელ-ოქროსფერის შუქში ახავებენ მას და ამ გზით ერთიან ფონს ქმნიან ნათელის ფერისას<sup>13</sup>. ან არადა ორ-სამ ფერზე დაიყვანენ და მის ქვეშ, როგორც წესი, უმეტესწილად რჩეულ ფერთა ერთობლიობას გვათვანობენ. ასე მაგ., ზოგჯერ

დის ამალის შესახებ („სიმღერა ნიბელუნგებზე“) ნათქვამია: „მის ამაღლს აქლევდენს ჭრელსა და რუხსა სამოსსა“ (59,4), შემდეგ კი იგივე სპოსი ოქროსფერადაა წარმოდგენილი: „ოქროსაყერი სამოსის ელავედნენ კულისპირები...“ (71,2). დასავლეთის ლიტერატურაში ფერიით სისტემების თაისებურებებს განაპირობებს, ერთი მხრივ, გარკვეული ესთეტიკური პრინციპების ტრადიციები; როგორცაა, მაგ., სილაპაზის სიმღიდობით შეუასების ტრადიცია, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ნაწარმოების სიუჟეტური აგებულების სპეციფიკა — ამ შემთხვევაში სამხედრო-ჟეოდალური არისტოკრატის ყოფა და იდეოლოგია ფეოდალიზმის სიმწიფის ხანაში. აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივ, დასავლეთის ლიტერატურის ფერიით სისტემებში დომინირებენ ყითელი, — იგივე ძვირფაი ოქროს ფერი, — სიმღიდობისა და წარჩინებულობის ნიშანი, წითელი — სამეფო პორფირისა და ბოწეულის, აგრეთვე სარაინო ყოფისათვის სპეციფიკური სისხლის ფერი და თეთრი — უმაღლესი სილაპაზის, სიკეთის, ძალაუფლებისა და ბედნიერების სიმბოლო. აღნიშნული ფერები რჩეულ ფერთა სამეფულს ქმნიან. სწორედ მათი საშუალებით, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთმანეთთან კონბინაციების სახით, დახასიათებულია ბრითადი სიტუაციები და საუკეთესო პერსონაჟები. ამ უკანასკნელთა ტანსაცმლის ფერადოვან აღწერებს ძალზე დიდი ადგილი ეთმობა დასავლეთის ლიტერატურულ ფერწერაში: ეს მით უნეტეს იაქნის „ნიბელუნგებს გასაქირზე“. რომლის პალიტრა უმთავრესად სწორედ გმირთა სამოსის დახასიათებისას ვლინდება. შეინიშნება ისიც, რომ ოქროსფერს, წითელსა და თეთრს, სამეფო ტანსაცმლის ფერთა ერთობლიობას, არცთუ იშვიათად ერევა შავი — ერთი მხრივ სილაპაზის, მეორე მხრივ კი უბედურების სიმბოლო: ერევა სხვა ფერებაც, (თუმცა უფრო იშვიათად), მაგრამ, როგორც წესი, ქაოსური სიჭრელე, ქაოსური მრავალფერადოვნება პოზიტიური კონტექსტებით დასახლებულ ნაწარმოებებში საეხებით გამოიხატულია. ოქროსფერი, სამეფო ტანსაცმლის აუცილებელ ატრიბუტად ქცეული, თავისი დიდებულ სიმბოლური და მხატვრული შინაარსებით ამკობს ფერწერულ ხატებს და გარკვეულ წესრიგსა და სიმწყობრეს ანიჭებს მათ საერთო ქრომატულ გაპას.

ფერიით ასოციაციებს შუა საუკუნეების ლიტერატურულ ნაწარმოებებში ძალზე ხშირად ძვირფასი ქვების დასახლებმა იწვევს. დასავლეთის მწერლობაში, ჩვეულებრივ, თვალი პატიოსანი უმეტესწრულად პირდაპირი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი და, როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ფერიით შინაარსის ავტორსიულ გააზრებას მოკლებულია. აღმოსავლური ლიტერატურის ძეგლებში მსგავსი შემთხვევები მრავალადაა, მაგრამ მდიდარია ეს ძეგლები მეტაფორული ფერწერის შესანიშნავი მარგალიტებია. ნათვან ნაწარმოების საერთო მხატვრულ სისტემაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს სწორედ ძვირფასი ქვების მომხველებით შექმნილი მეტაფორული ფერწერული ხატები ასრულებენ. ვანსაუთარებთ ხშირია აღმოსავლური სილაპაზის შემამკობელი, ტრადიციულად ქცეული ეპითეტური მეტაფორები: „...გიშორს ზღაფები აშშვენებთ და იაგუნდის ბაგენ...“ („ლეალი და მაჩუნე“, გვ. 131). „...საუთრნი ვარსკელავთაებრ უჩნდეს ბროლისა ყურისა ძირათ...“ („ვიისრ-ზიანი“, გვ. 189) და მისთ.

საერთოდ კი მეტაფორული ფერწერა, ამასთან ძალზე მრავალსახოვანი,

აღმოსავლური ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი თავისებურებათაგანია დასავლურთან შედარებით.

მნიშვნელოვან თავისებურებად უნდა ჩაითვალოს აღმოსავლური ლიტერატურისათვის ელემენტარული ფერიითი პალიტრისა და უშესანიშნავესი მეტაფორული სახეების შერწყმა-მთლიანობით წარმოდგენილი პორტრეტულ ფერწერის წინ წამოწევის ტენდენციაც. გავიხსენოთ თუნდაც შირინის მშვენიერების ნიშამისეული ფერადები:

ტანმართული, ვით ხურმის ხე, ვერცხლის ასულის, ხურმის საკრეფად ორთ ზანგი ხეზე ასული.

რომ მოგონა სილამაზე იმ ტურ-ტებლისა, გავისო პირი შაქრის წვენით ხურმის ხილისა. კბილ-მარგალიტმა რომ დაიწყო სხივთა ციალი, გადასცა სადაფს შორით თავის კბილების წყალი. ორი შაქარი აყიყია თითქოს ცვრიანი, ორი ნაწნავი ქაშანდია არა გვიანი.

ნაწნავის რგოლით კაცის გულში ჩაეშვა დარლი, ნაწნავის მწვანით მოეკონა თეთი კონა ვარდის... (გვ. 75).

ან კიდევ, რაშინის გარეგნობის დამახასიათებელი აღწერილობა: „ნიკაპსა ქერეთ ცოტა ქაფურისა ფერობა ჰქონდა, ზაგენი ლალსა უგვანდეს და კბილი მარგალიტსა...“ („გვისრამიანი“, გვ. 53).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, მართალია აღმოსავლურ ლიტერატურაში ე. წ. რჩეულ ფერთა სამეულის გამოყოფის ტენდენცია მკვეთრად გამოხატულ ხასიათს არ ატარებს, მაგრამ საერთო ქრომატული გამიდან მაინც შეიძლება გამოირჩეს ყველაზე უფრო ხშირად ხმარებული, ყველაზე პოპულარული ფერები. ესენია: თეთრი, შავი და წითელი, — აღმოსავლური ლიტერატურისათვის ნიშანდობლივი პორტრეტული ფერწერის ძირითადი საღებავები.

დასავლეთის ლიტერატურაში პორტრეტული ფერწერის რაიმე კანონიზებული მხატვრული სისტემის არსებობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. აქ იშვიათად თუ გაკრთება ხოლმე სილამაზის დამახასიათებელი ფერიითი ეპითეტი ან შედარება და იპასაც ფრაგმენტული ხასიათი აქვს: მოცემულია პარისანის რომელიმე ნაკეთის სილამაზე-ფერადოვნებაზე უბრალო, ლაკონიური მითითება. მაგასეთი: „ვარდის ელფერი ლაწვთაგან შუქს მოციალეს ააოვდა“. ან კიდევ: „მრავლად იყო კოცნისათვის ვარდისფერი ბაგე მზადა“ („სიმღერა ნიბელუნგებზე“, 282.2 და 591.2), მთლიანი ფერწერული პორტრეტის აღქმა კი არ ხერხდება: უფრო მეტიც: დასავლეთის ლიტერატურა სავსებით კმაყოფილდება პორტრეტულ ფერწერაში ნათლის (ან ბნელის) სიმბოლოვით შემოსახვრით. სარაინდო პოემების პერსონაჟთა ჩვეულებრივი, რამდენაღმე კანონიზებული დახასიათება, უფრო სწორად, მინიშნება მათ გარეგნობაზე, ასეთია: „როლანდის ტანი ტურფა არის, სახე — ნათელი“ („სიმღერა როლანდზე“, გვ. 42), ან კიდევ: „გადიწია რიდე მან და მშვენიერმა მისმა ფერმა ოქროთაგან იწყო კრთომა“ („სიმღერა ნიბელუნგებზე“, 1351, 1—2). ნაგრამ ცოცხლეთის ესეც არაა. ძალზე ხშირად ავტორები გმირის გარეგნობის გადმოცემისას მის საომარ აღქმრელობაზე ზოგადი მითითებით კმაყოფილდებიან: „... და თავის მერანს მან შემოქრა ოქროს დეზები...“ („სიმღერა როლანდზე“, გვ. 54); „... შესდგამს ვესს იგი ოქროს უზანგმი...“ („ამბავი იგორის ლაშქრობისა“, გვ. 21) და მისთ.

რა თქმა უნდა, ამგვარი ან ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტული მინიმუმები პერსონაჟთა გარეგნობაზე პორტრეტულ ფერწერად ვერ ჩაითვლება, ნათქვამებში, აღმოსავლური პოეზიის ფონზე. ისინი ხომ პირველ რიგში გვიჩვენებს სიმბოლოებსა და ალიტერების სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენენ და არა პერსონაჟთა დახასიათებას. რაც შეეხება ნათლის სიმბოლიკის გამოყენებას პერსონაჟთა დახასიათების მიზნით, ამ ფუნქციით „ნათელი“ აღმოსავლურ ლიტერატურაშიც გვხვდება. მაგ., ნიზაჟი შირინისა და მისი თანმხლები ქალწულების შესახებ წერს: „როცა ქვეყანა იქცა მათგან სულ ყვაილნარად, მათი სახე ანათებდა ნათელ დღისგვარად“ (გვ. 84); მაგრამ საფიქრებელია, რომ ნათლის მსგავს ინტერპრეტაციებს დასავლეთსა და აღმოსავლეთში განსხვავებული მოტივაციები უნდა სდებოდა საფუძვლად.

საერთოდ კი, ნათლისა და ბნელის სიმბოლურ მნიშვნელობათა ფიგურატიული ლიტერატურული ნაწარმოების ფერითი სისტემის ელემენტთა მსგავსი ფუნქციებით უპირველეს ყოვლისა ნეიტრალური ფერების -- თეთრისა და შავის სიმბოლიკის უკავშირდება. ეს უკანასკნელი, განსაკუთრებით თეთრი, სიტყვის ხელოვნებაში ყველაზე ხშირად ხმარებულ ფერებად არიან აღიარებულნი. მაგ., XIII--XV საუკუნეების სლავურ ისტორიულ სიმღერებში სხვადასხვა ქრომატულ და აქრომატულ ფერთა ხმარების თვრამეტ შემთხვევაზე (12 ძეგლში) თეთრი ფერის ფიგურაციის ოცდაერთი ფაქტორი მოდის. ამასთან, ერთსა და იმავე კონტექსტში, ერთი ნაწარმოების სხვადასხვა ვარიანტშიც კი, ფერწერული ბატები ხან ნათლისა და ბნელის ფორმებითაა წარმოდგენილი, ხან კი თეთრი და შავი ფერების სახით<sup>4</sup>. ეს კანონზომიერება დამახასიათებელია როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ლიტერატურის ძეგლებისათვის.

დასავლეთის ლიტერატურისათვის სპეციფიკურ ზოგად კანონზომიერებებს ფერითი სისტემების გააზრების თვალსაზრისით ყველაზე გამოკვეთილად დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიაზე“ დაკვირვება წარმოგვიდგენს. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ დანტესა და რუსთველის პოეტურ ქმნილებათა ერთიერთდამოკიდებულების ნებისმიერი ასპექტის გარკვევა ძალზე ცასუულია თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერებისათვის.

მკვლევრები არაერთგზის მიუთითებენ დანტეს ფერითი სისტემის შეზღუდულობისა და ალიგიერის შესახებ და ამით ცდილობენ ახსნან ის ფაქტი, რომ „ღვთაებრივი კომედის“ სიუჟეტი და სახეები, მიუხედავად ამ ნაწარმოების დიდი ავტორიტეტისა, პოპულარობით არ სარგებლობდა რენესანსის ეპოქის ფერწერათა შორის და რომ მისი საუკეთესო ილუსტრაციები გრაფიკის ენის განეკუთვნება (მაგ., სანდრო ბოტიჩელის პერგამენტული სურათები).

აღნიშნული თვალსაზრისი მთლად უსაფუძვლო არაა: მაგრამ ისიც საგულისხმოა, რომ დასავლეთის მწერლობის საერთო ქრომატული გამის ფონზე დანტეს პოემა ლიტერატურული ფერწერის მაინც საკმაოდ რთული, მრავალსაზოვანი მხატვრული სისტემის არსებობას ამჟღავნებს.

საქმე ისაა, რომ მართალია დანტე იყენებს ფერებს, თანაც საკმაოდ ხშირად, მაგრამ იგი მათ მაქსიმალურად აცლის წმინდა ფერწერულ მხატვრულ ფუნქციას და ასევე მაქსიმალურად ტვირთავს სიმბოლური მნიშვნელობებით. ეს უკანასკნელი მომენტი კი იმდენად ძლიერადაა პოემაში წარმოდგენილი, რომ თითქმის საცხებით ჩრდილავს ფერის კოლორიტულობის გამოვლანების

შემთხვევათა უმრავლესობას. — შედეგი: მკითხველი ფერის შინაარსის შეცვლელ სიტყვებში ხედავს მხოლოდ სიმბოლოს, ფერადოვნება კი, ამ სიტყვებში რადიკალიზაციის გაგებით. მის ემოციურ სისტემაში ჭეშოროვანი ფიქსაციის უნაქარგავს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ფერის სიზბოლურ და ესთეტიკურ მნიშვნელობათა აბსოლუტურ გამოჩენასა და მისი მხატვრული ფუნქციონირებთან არ გულისხმობს. უბრალოდ, ფერის მხატვრული ფუნქტი შესუსტებულია მისივე სიმბოლიკის აქტივიზაციის ფონზე<sup>15</sup>.

რაც შეეხება ფერთა სიმბოლურ მნიშვნელობებს, ისინი ძირითადად ქრისტიანული სარწმუნოების კანონიზებულ შინაარსებს მოიცავენ, — ჩვენ მათზე აღარ შევჩერდებით: ვიტყვი მხოლოდ, რომ ტრადიციული სწრაფვა ბნელიდან ნათელისაკენ ამ ორ უკიდურესობას შორის მოთავსებულ ფერთა მიგრაციამდე ვლინდება და პოემის მესამე ნაწილში სამფეროვანი ცისარტყელს სახით წარმოდგენილ აბსოლუტურ ნათელს აღწევს (იხ. „სამოთხე“, XXXIII. 115--120).

განსხვავებას აღმოსავლურ ლიტერატურასთან მიმართებით დანტეს პოემამ აღვნიშნავს ფერთა სიმრავლის, სიჭრელის გააზრების თვალსაზრისითაც. მასში მთელი ძალით იჩენს თავს ბიზანტიურ მწერლობაში კანონიზებული ნეგატიური შეფასება მრავალფერადოვნებისა. ამასთან, დანტესთვის მიუღებელია მხოლოდ ქაოსი საღებავებისა და არა ფერთა ნებისმიერი კრებადობა. შესაძლოა დამოუკიდებლად განხილვისას სიჭრელით დახასიათებული საგანი ამ მოვლენა ზოგჯერ ერთი შეხედვით სილამაზისა და მშვენიერების შინაარსად კი შეიცავდეს, მაგრამ ნაწარმოების კონტექსტში იგი, როგორც წინა, ყველა შემთხვევაში უარყოფით აზრობრივ გაფორმებას ღებულობს.

შუა საუკუნეების ლიტერატურაში ფერთი სისტემების გააზრების თვალსაზრისით თავისებურ ეითარებას გვიჩვენებს ფრანგული სარაინდო რომანი „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“. საქმე ის არის, რომ მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებით ეს ნაწარმოები ხშირად აღმოსავლური ლიტერატურის ტრადიციებთან ძალზე აშკარა სიახლოვეს ამჟღავნებს. მასში ფერთი სიმბოლიკის ელემენტარული, ტრადიციული სისტემაც კი ზოგჯერ სავსებით უგებლელყოფილია, ხოლო მრავალფერადოვნება, სიჭრელი, ამასთან, ქაოსურ სიჭრელი, პოზიტიურადაა შეფასებული. მაგ., პატარა გრძნეული ძალის შესახებ ნათქვამია: „ენით არ აიწერებოდა მისი ბუნება და მშვენიერება. მის ბალანი ისეთი ფერისა იყო, რომ კაცი სახელსაც ვერ მოუძებნიდა: მის მკერდი პირველი შეხედვით თეთრი ჩანდა თოვლივით. გავა მწვანე, როგორც სამყურა ბალახი, ერთი ფერდი ძოწის ფერისა ჰქონდა, ხოლო მეორე — ზაფრანის ფერისა. მუცელი ლავჯარდი იყო, ხოლო ზურგი ვარდისფერი, მაგრამ თუ დიდხანს დააკვირდებოდი, ყველა ეს ფერი ათამაშდებოდა, ხან მარტი თეთრი ჩანდა, ხან მარტო მწვანე, ხან კიდევ ყვითელი. ლურჯი და ძოწის ფერი ყელზე ოქროს ჯაჭვი ება“ (გვ. 180).

ამავე დროს თხზულებაში თავს იჩენს დასავლეთის ლიტერატურისათვის სპეციფიკური რჩეულ ფერთა სამეულის გამოყოფის ტენდენციაც: თეთრი, წითელი და ოქროსფერი საუკეთესო მხატვრულ-ესთეტიკურ და სიზბოლურ შინაარსებს შეიცავენ და სიხშირის მხრივაც აშკარა პრიორიტეტს ღლობენ. რაც შეეხება ნაწარმოებში წარმოდგენილ სილამაზის ცნების აღმოსავლურ ტრადიციებთან განსხვავებულ ეტალონებს (მაგ., სილამაზის განმასახე-

რბელი თეთრი ან ოქროსფერი თმა), ამგვარი ანომალები საესებით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რამეთუ მათ არსებობას თავისთავად გულისხმობს ვეფხისტყაოსანად ან რასიულად დაშორებული ხალხების ესთეტიკური იდეალები.

ასეთია მოკლედ ის ძირითადი თავისებურებანი, რომელთაც ჩვენ უფლება გვაქვს შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურაში ფერითი სისტემების სისათის მიხედვით ორი მიმართულება გამოვკვეთო — დასავლეთისა და აღმოსავლეთის ლიტერატურული ტრადიციების გამოშატეული. რა პდგომარეობას გვაჩვენებს რუსთაველის პოემა აღნიშნული დეფინიციის ფონზე?

ვგონებ, შესანიშნავად უნდა გამოხატავდეს მკვლევართა უმრავლესობის აზრს ე. კასტის ზოგადი ფორმულირება: „რუსთველის ეპოპეა არც საკუთრივ აღმოსავლურია (სპარსულ-არაბული), არც დასავლურ-ევროპული. იგი არის *Sui generis*...“<sup>16</sup>. მაგრამ აქვე ვერც მ. ზაურას სიტყვებს ავევლით გვერდს: „ვეფხისტყაოსანი“ ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც ერთნაირად გასცქერის და მაინც იგი წმინდა ეროვნული ხაიათისაა“<sup>17</sup>. — ოღონდაც რომ გასცქერის!

რუსთველის პალიტრა, ისე როგორც მისი მთლიანი მხატვრული სისტემა, ურად ორიგინალურ და თავისთავად სამყაროს ქმნის მშვენიერის არსისას. ხოლო თუ მაინცდამაინც სიახლოვესა და პარალელებზე მიდგება საქმე, ფერთა-ბუნებების მხრივ იგი აღმოსავლური ლიტერატურის ტრადიციებთან სიახლოვეს ამკლავებს. — მხოლოდ სიახლოვეს (ჩვენ კიდევ ერთხელ ხაზგასმით შევნიშნავთ, რომ ეს სიახლოვე შეეხება ფერითი სისტემების მართლდენ წმინდა ფერწერული, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღწერილობითი მხატვრულ ფუნქციის ზოგად კანონზომიერებებს. სინათლის ესთეტიკასთან დაკავშირებული ქვეტექსტებით „ვეფხისტყაოსნის“ ფერთაბუნებებზეა ვიკითხვას გვაჩვენებს) და არა ნათესაობას, რადგან თვითონ ფერის უნომენის მხატვრულ-სიმბოლიკურ გააზრებას „ვეფხისტყაოსანსა“ და აღმოსავლური ლიტერატურის ზემოთ დასახელებულ ძეგლებში უმეტესწილად განსხვავებული იდეურ-თემატიკური და, რაც მთავარია, განსხვავებული მორალურ-ეთიკური პრინციპები უძევს საფუძვლად და, ამდენად, მათ ნათესაობას ან საერთო წარმომავლობაზე ვსჯელობა რეალობას მოკლებული იქნებოდა.

თუ ასეა, რით უნდა აიხსნას ფერითი სისტემების გააზრების თვალსაზრისით საერთო ლიტერატურულ პროცესში ზემოთ დასახელებული ორი მიმართულების გამოყოფის შესაძლებლობის ფაქტი, ან კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ ფერითი პალიტრის შედარებითი სიახლოვე აღმოსავლური, არაქრისტიანული ლიტერატურის ტრადიციებთან?

მართალია, ფერის ფენომენის სიმბოლიკური და მხატვრულ-ესთეტიკური პინარსები ისტორიულად სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებით სტიმულირებულია (ყოფითი, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და სხვ.), მაგრამ ამ სხვადასხვაობის მიუხედავად, ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით, საესებით თავისუფლად ხერხდება პირდაპირი პარალელის გავლება მსოფლიო ცივილიზაციის ორ ძირითად შტოს — დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა და ლიტერატურული ფერწერის ზემოთ დასახელებული ორი მიმართულების კანონზომიერებებს შორის: შესაძლებელი ხდება ფერითი სისტემების მსგავსება-



განსხვავებულა წყარო კულტურათა სხვადასხვაობის საფუძველთა საფუძველში ვეძიოთ. მეცნიერული თეორიები (მონტესკიეს, ბოკლის, მეჩნიკოვტენისა და სხვათა) ნაირგვარ ფაქტორებს ასახელებენ გალამწყვეტად ცივილიზაციათა და ნათ განშტოებათა წარმოქმნა-განვითარების პროცესში, მაგრამ საბოლოო ანგარიშით თითქმის ყველა მათგანი გარემო სინამდვილის, გეოგრაფიული ფაქტორის პრიორიტეტის აღიარებამდე დადის<sup>18</sup>.

ეფიქრობო. გეოგრაფიული ფაქტორითვე, — ოღონდ ნაწილობრივ, — შეიძლება აახსნას მსგავსება-სიახლოვე „ვეფხისტყაოსნისა“ და „ეპარამიანისა“ ან ნიზამის პოემების ფერით სისტემებს შორის. მაგრამ თუ ეს ეარაული სწორია, ამ ძეგლებსა და „ტრისტან და იზოლდას“ ფერთაშეტყველებას შორ. მრავალრიცხოვანი პარალელების არსებობა რას უნდა ნიშნავდეს? — საკითხი გადაწყვეტას ალბათ ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისითაც ექნებოდა გარკვეული მნიშვნელობა.

რაკი სიტყვა მსგავსებაზე ჩამოვარდა, ორიოდვე წინადადება მის შესახებ შემოდსახელებულ ძეგლთა მასშტაბით.

უამრავი სპეციფიკური თავისებურების გარდა, შუა საუკუნეების ლიტერატურულ ფერწერას გააჩნია საერთო, ზოგადი კანონზომიერებებიც. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, არც ერთი ფერის სიმბოლური მნიშვნელობანი არც ერთ ძეგლში ურთიერთგამომრიცხავ შინაარსებს არ შეიცავს. ეს ე იმას ნიშნავს, რომ როგორც ნეიტრალურ, ისე სპექტრულ ფერთა სიმბოლური მნიშვნელობები ყველა დასახელებულ ნაწარმოებში მსგავს ფუნქციონითვალისწინებს.

ყველა ძეგლში განსხვავებული, გაორებული შინაარსის მატარებელნი არიან ერთი და იგივე — შავი, წითელი და ყვითელი ფერები, რომლებიც სხვადასხვა სახითა და სხვადასხვა საშუალებით არიან წარმოდგენილნი და ხან პოზიტიურად აღიქმებიან, ხან — ნეგატიურად; დანარჩენ ფერთა მნიშვნელობები კი სტაბილურია.

ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ მიუხედავად უამრავი სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებისა, აღამიანის მიერ ფერის ემოციური აღქმა, ე. ი. ფერთი სიმბოლიკის საფუძველი, უპირველეს ყოვლისა საერთო კანონზომიერებებს ითვალისწინებს: მასზე გავლენას ახდენენ ზემოთ ნახსენები ფაქტორები, მაგრამ მთავარი შინაარსი, მთავარი ასპექტი ფერთა აღქმისა, ყველა ხალხში თუ ერთი და იგივე არა, მსგავსი მაინც რჩება. რა თქმა უნდა, ე მოსაზრება საეარაულოა, და ე. წ. ასოციაციური თეორიის თავისებურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს, მაგრამ ჩვენი ძეგლების მაგალითზე იგი საყესებდასტურდება.

### შ ე ნ ი შ ვ ე ნ ე ბ ი

<sup>1</sup> ასეთი აზრია გატარებული გ. ე. ი. კ. ე. ნ. ს. წიგნში — «История и система средневековой микросоциализации», СПб, 1907; ა. პ. ა. ნ. გ. ე. კ. ს. ნაშრომში — «О цвете в древней литературе восточных и южных славян», Труды отдела древнерусской литературы, XXIII, Л., 1958 და სხვა გამოცემებში. როგორც ჩანს, მეცნიერთა უმრავლესობა ცალკეულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ან მათი შედარებით პატარა ჯგუფების ფერთი სისტემების მონაცემებს ეყრდნობოდა; ხშირად კი ზოგადი ხასიათის დასკვნებს მხოლოდ საეკლესიო ძეგლების ანალიზის საფუძველზე აყალიბებდნენ.

<sup>2</sup> ნაწარმოებში გამოყენებულია ჩამოთვლილ ლიტერატურულ ძეგლთა შემდეგი გამოცემები: ნ. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, 1, ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედ., თბ., 1966; „სამღერა რილანდზე“, რ. ვეტიძის, ალ. აბაშელისა და ს. ვარდოშვილის თარგმანი, თბ., 1948; «Песнь о Сиде», переводы текстов Б. И. Ярхо и Ю. Б. Корнеева, М.-Л., 1959; „სიმღერა ნიბელუნგზე“, კ. კიკინაძის თარგმანი, თბ., 1950; „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, კ. კიკინაძის თარგმანი, თბ., 1957; დანტე ალიგიერი, ლეოთებრივი კომედია — კ. გაბესიაშვილი, რჩეული ოსტულებანი, ტ. VIII, თბ., 1967; „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასა“, გ. ქაქობის თარგმანი, თბ., 1953; „ერსამიანი“, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვასა და კ. კეკელიძის რედ., ტფ., 1938; ნიჰი ჯაჩელი, ლირიკა, ლეილი და მაგნენი, მ. თოდუას თარგმანი, თბ., 1974; ნიჰი ჯაჩელი, ხოსროვი და შირინი, ა. ჭელიძის თარგმანი, თბ., 1964.

<sup>3</sup> В. Гётте, Очерк учения о шесте, первая дидактическая часть, Избранные сочинения по естествознанию, М., 1957, გვ. 267.

<sup>4</sup> რამდენადაც საქმე ეხება მხატვრულ თარგმანთა შესწავლას, ფერის ფენომენის ზუსტ რაოდენობურ-პროცენტულ მაჩვენებლებზე დამყარებული კანონზომიერებების დადგენა (მაგ., სიხშირის კოეფიციენტისა) მათში არ ხერხდება. თარგმნის პროცესში ხომ არცთუ იშვიათად ხდება ხილვით ნებისმიერ თუ უნებლო გადახვევები დედნისეული მონაცემებიდან, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ნაწარმოების მხატვრულ აქსესუარს.

<sup>5</sup> კლასიციკალია, როგორც უხედავთ, ძალზე ზოგადია და არ ითვალისწინებს იმ სპეციფიკურ თვისებებებს, რომლებსაც ეთნიკური, ნაციონალური, სარწმუნოებრივი, სოციალური, პოლიტიკური, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორების ზემოქმედება ანიჭებს ამა თუ იმ ხალხში შემუშავებულ სიმბოლოთა მთლიან სისტემებს; ლაპარაკია მხოლოდ უზოგადეს, ფართო გეოგრაფიულ არეალში მოქმედ კანონზომიერებებზე.

<sup>6</sup> აქ შეიძლება გაიხსენოთ უზოგადეს ლიტერატურულ-ესთეტიკურ კანონზომიერებათა არსებობის ფაქტის ნ. ბრაგესისეული აზრია: «Еще задолго до того, как мировая литература окончательно осознает себя: таковой, она существует как объективная реальность, развивающаяся по общим законам, объективная бесконечными и разнообразнейшими нитями взаимосвязей отдельных национальных литератур. В этом источнике общего в эстетической мысли Востока и Запада...» — Н. С. Брагинский, Изучение вклада народов Востока в мировую эстетическую мысль; проблемы теории литературы и эстетики в странах Востока (Сб. статей), М., 1964, გვ. 7—9.

<sup>7</sup> ასეთი გამოყენება ფერის მხატვრულ-ესთეტიკური და სიმბოლური მნიშვნელობების პირობითია. საზოგადოდ, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ფენომენის „მხატვრულობა“ მისი სიმბოლურობის შენარჩუნების მოტივით (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. გვ. 62—63).

<sup>8</sup> მ. კეკელიძე, ფესტური პარადიუმები, II, თბ., 1961, გვ. 453.

<sup>9</sup> „ფერწერული კოლორიტი“ — ერთი შეხედვით თითქოს შესაბამოდ ელერს, მაგრამ თუ ყოველდღიურობაში დამკვიდრებულ გამოთქმებს — „კოლორიტული ნაწარმოები“, „კოლორიტულ გიორი“ და სხვა მსგავსს გაიხსენებთ, ლიტერატურული ნაწარმოების ფერწერულ კოლორიტზე ჰყვება (თუნდაც ზოგად „კოლორიტულობისგან“ გამოყენის მიზნით) უჩვეულოდ აღარ მოგვეჩვენება. მით უმეტეს, რომ ლიტერატურული ფერწერის შესწავლისას ძალზე ძნელდება და ხშირად შეუძლებელია კია ლიტერატურისა და ფერწერისათვის სპეციფიკური ტერმინოლოგიის ზუსტი დფინიცია.

<sup>10</sup> ამდენად, თუ ნაწარმოებში გარკვეულა ფეროთი სისტემის არსებობა შეინიშნება, ამ სისტემის ელემენტთა მხატვრულ-ესთეტიკური და სიმბოლური მნიშვნელობების საყვებით გამოიყენა ერთმანეთსგან მთლად მართებული არ უნდა იყოს (რა თქმა უნდა, თუ ეს სპეციალური კვლევითი მიზანდასახულობით არაა ნაკარნახევი). ფერის ფენომენის მკითხველისეული აღქმის ზემოთ დასახულებულ ასპექტებს, საბოლოო ანგარიშით, ერთი წყარო — ვიზუალური შთაბეჭდილება უძველესეულად (სხვა უმარავ შემაპირებულ ფაქტორთან ერთად) და, აესებება რა ერთმანეთს, ძინი უფრო ერთოთვანპირობებულობის დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

<sup>11</sup> რ. სამარინი, შოთა რუსთველა და XII საუკუნის მსოფლიო ლიტერატურული პროცესი, „მნათობი“, 1967, № 2, გვ. 164.

<sup>12</sup> А. П. Квашин, Цвет в художественной системе Никиты Хониата, Византия, Южные славяне и древняя Русь, Западная Европа, Искусство и культура, М., 1973, გვ. 132.

<sup>13</sup> შტრ. С. С. Аверинцев, Золото в системе символов ранневизантийской культуры, Византия, Южные славяне и древняя Русь, Западная Европа, Искусство и культура, М.,

1973, გვ. 46: «Самое первое, что можно сказать о золоте — что оно являет созидающую глазу и умствующему уму образ света, а потому «означает» или «символизирует» свет.

<sup>11</sup> А. М. Панченко, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

<sup>12</sup> რა თქმა უნდა, „ღეთაებრივი კომედიის“ ფერთი სისტემის თავისებურებებს მისივე იდეოლოგიური მიზანდასახულობა განაპირობებს (ლიტერატურულ ტრადიციებზე ამჭერად აღარ ფერს ვამბობთ). «Ахроматические и полихроматические цветовые определения поэмы Давид не просто называются для красоты явления внутреннего и внешнего мира, но служат цели символического обоснования мировоззрения поэта вне рамок мистических видений и более глубокого раскрытия его поэтического и философского замысла — воскресить в себе мир и человека». — В. П. Гаидук, К вопросу цветовой символики «Божественной Комедии» Данте, Дантовские чтения, М., 1971, гв. 180.

<sup>13</sup> რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ., 1976, გვ. 70.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 363.

<sup>15</sup> ასე მაგ., ანიჭებს რა ბუნებას განსაკუთრებულ როლს მხატვრული შემოქმედების განვითარებაში, ი. ტენი შენიშნავს, სწორედ ბუნებამ აქცია ადამიანი კოლორისტადო და ცდილობს ამუფაქტორით ახსნას ფლამანდიელი და ქოლანდიელი ფერმწერების საუკეთესო წარმომადგენელ ნაწარმოებებში სპეციფიკური ქრომატული გამის დომინირების ფაქტი. ერთ-ერთი მაგალითი, ტენის მიერ მოხმობილი, ასეთია: ფლამანდიური ქალაქი შოფიტალო, მოყაეისფერო ფერისაა, რადგან იქ საშუა მასალად გამოიწვიარ თახას ან აგურს იყენებენ; ეს ფერები კი ასახვას ქპოვებენ ფერმწერო ნამუშევრებში. საკითხის ამგვარად დაყენება, რა თქმა უნდა, პრობლემის ოპტიმალურ გადაწყუტად ვერ ჩაითვლება.

Р. П. БАРБАКАДЗЕ

## «ВЕПХИСТКАОСАНИ» И СРЕДНЕВЕКОВЫЕ ЛИТЕРАТУРНЫЕ ТРАДИЦИИ С ТОЧКИ ЗРЕНИЯ ОСМЫСЛЕНИЯ ЦВЕТОВОЙ СИСТЕМЫ

Резюме

В работе путем сопоставления цветových систем важнейших литературных памятников средневековья представлены их специфические особенности и сделана попытка на основе этих особенностей установить определенные закономерности.

С точки зрения осмысления цветových систем в средневековой литературной цветопиcи можно выделить два основных направления, выражающие, с одной стороны, западные, а с другой — восточные литературные традиции. «Вепхистკаосანი» проявляет значительную близость к этим последним.

წარმომადგენი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება

## დღეის დღეზაჲე

სატირული ნაკადის შესახებ სულხან-საბა ორბელიანის  
„სიბრძნე სიცრუისაში“

სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული სამყარო თავისი მრავალფეროვნებით განუმეორებელ სიმშვენიერეს იტევს. საყოველთაოდაა მიღებული თვალსაზრისი, რომ მისი შემოქმედების სტილური ნაშანდობლივი თვისება აზრის ნათლად გამოხატვაა, ფრაზა უაღრესად ეკონომიურია, სიტყვა ბუნებრივად მოედინება. აქ ყველაფერი თავის ადგილზეა, თბრობა განტვირთულია ზედმეტი დეტალებისაგან. ამნაირი მანერით მომუშავე მწერლის წინაშე დგას საკმაოდ რთული პრობლემა: ყოველ გამოჩაბქვამს ზუსტი ფუნქცია, მიზანდასახულობა დაუძებნოს, ყოველი ფრაზის მიღმა უნდა იდგეს, უაღრესად ნათელი აზროვნების მხატვარი.

მწერლის მხატვრული სამყაროს, ნაწარმოების შინაგანი სტრუქტურის დახასიათების ცდა უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ცალკეული პოეტური ელემენტების ზედმიწევნით წარმოჩენა-დახასიათებას. იმ ელემენტებისა, რომლებიც საბოლოოდ ქმნიან იმას, რასაც ნაწარმოების შინაგანი სამყარო ჰქვია. თქმულის ნათელსაყოფად დაევიწროვებთ აკად. დ.ს. ლიხაჩოვის ზოგადმეთოდოლოგიურ ზიითობას იმის შესახებ, რომ „ყოველი მხატვრული მეთოდი განსაზღვრული, შეგნებული მხატვრული მიზნების მისაღწევად მოიცავს დიდი და წერილმანი საშუალებების მთელ სისტემას“<sup>1</sup>, ან კიდევ „ჩვეულებრივად ჩვენ მხატვრული ნაწარმოების შინაგან სამყაროს არ შევიმეცნებთ როგორც მთლიან რასმე... ამის გამო ნაწარმოების მხატვრული სამყარო ჩვენს გამოკვლევებში გამილილად, გაფანტულად წარმოდგება და ეს მიპართება სინამდვილისადმი დანაწევრებულია, მოკლებულია მთლიანობას“<sup>2</sup>.

მწერლის მხატვრული სამყაროს სათანადო გათვალისწინებას კი მეტად პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. იმავე ლიხაჩოვის კონკრეტულ მასალაზე დაფუძნებული ასეთი დასკვნა აქვს გამოტანილი: „XI—XVII საუკუნეების რუსული ლიტერატურის მხატვრულ თავისებურებათა მთლიანი გამოვლენის გარეშე შეუძლებელია რუსული ლიტერატურის ისტორიის შექმნა“<sup>3</sup>. ამ მხრივ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება. არგუმენტირებულად და დროულად ითქვა იმის შესახებ, რომ „ლიტერატურის შესწავლის საბოლოო მიზანია მისი მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების დადგენა“<sup>4</sup>; გ. ფარულავა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის პროგრამის შესავალში საგანგებოდ გამოყოფს ერთ ასეთ საკითხს — „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკა როგორც პერსპექტივა პოემის ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევისათვის.

მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების იმ მრავალმხრივი სისტემისგან, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან სულხან-საბა ორბელიანის პოეტურ სამყაროზე, ამჟამად გვსურს გამოვეყოთ სატირული ნაკადი მწერლის ერთი თხზულების — „სიბრძნე სიცრუისას“ მიხედვით. თავიდანვე უნდა შეე-

ნიშნით, რომ წმინდა სატირულ-იუმორისტული ნაწარმოები XVII—XVIII საუკუნეებამდე, უფრო ზუსტად „სიბრძნე სიცრუისამდე“ არ შექმნილა თუმცა სატირული ტენდენციები წინა პერიოდის ქართული ლიტერატურისათვისაც არ ყოფილა უცხო. პოეტებშია სატირულ-იუმორისტული მიდევომა სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი სტილური თვისებაა. მწერლის მკაცრი და მრისხანე სიცილი შეუბრალებლობითა და ზემოქმედების დიდი ძალითაა აღჭურვილი. ამავე დროს იგი ჰუმანური მიზანსწრაფვის მქონე სიცილიცაა. მანკიერებათ მხილება მისთვის თეოთმზანი არ არის. გამოამკარავებული ნაკლი უსათუღ უნდა გამოსწორდეს. ამისთვის კი მრავალი გზა და საშუალება არსებობს. სულხან-საბა ორბელიანის სატირა სწორედ ამ ნათელ მიზანს ემსახურება. მის შემოქმედებაში კანონზომიერად მონაცვლეობს მსუბუქი იუმორი და მკვეთრი სატირა.

„სიბრძნე სიცრუისაში“ სიცილისა და სასაცილოს ნაირნაირი შესაძლებლობები წარმოჩენილი. საბა კოპიუტრის გაგების ფართო უნარით დაჭიდოებული მწერალია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სასაცილოს სატირასა და იუმორში გამოვლენის შემთხვევები მასთან და იმ ტენდენციათა ნათელყოფა, რომელიც ახასიათებს მწერლის მიერ გამკლავებულ დამოკიდებულებას უარსაყოფი ფაქტებისადმი.) სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ ამ თვალსაზრისით განხილვა ნათელყოფს მის დიდ შინაგან მხატვრულ ფანტაზიას, მისი მხატვრული სამყაროს ერთ უმთავრეს ასპექტს, რაც სატირულ-იუმორისტული პოზიციების მკვეთრ გამკლავებაში იჩენს თავს. მწერლის თავისთავადი და განუმეორებელი ნიჭი, ინდივიდუალური შემოქმედებითი ხმა სიტყვიერი მასალისათვის მომწესხველი ძალმოსილების შთაბერვით, ნაირნაირი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მომარჩევით ღრმად სწვდება კოპიუტრს, ბელისის სიტყვებით რომ ვთქვათ, ესთეტიკური განათლების ამ მწვერვალს.

[ძველი ქართული მწერლობის ისტორია არ იცნობს ადამიანის, საზოგადოების სწავლას მანკიერებათა ისე ფართოდ მაშხილებელ მეორე მწერალს, როგორც სულხან-საბა ორბელიანი. სულერთია, იქნება ეს მხილება პირდაპირი („სწავლანი“) თუ არაპირდაპირი („სიბრძნე სიცრუისა“) ავტორის მიზანყველგან ზნეობრივი ნაკლის მხილება, მისი გამოზნეურება არსებულის განკურნვა შეადგენდა. საგულისხმოა, რომ ცნებას „მხილება“ თვითონ საბა თავის ლექსიკონში ასე განმარტავს: „მხილება ესე არს სიტყვითა და საქმის გარჩევით ბოლოს დანახვება, შენაცოდარისა პირს თქმა, რათა არღარა ქმნას“. „სიბრძნე სიცრუისა“ ამ თეორიული განმარტების პრაქტიკულ დადასტურებას წარმოადგენს.)

ასეთია უშუალო შთაბეჭდილება, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების გაცნობა ქმნის. და მანც ესაა სუბიექტური თვალსაზრისი, რომელსაც ობიექტური საფუძველი თუ არ მოენახა, ისე დამარწმუნებლობას მოყვებული იქნება და არგუმენტად არ გამოდგება.

ჩვენ შევეცდებით ფაქტურ მასალაზე დაყრდნობით ვაჩვენოთ ის ნიუანსებრივი სახეცვლილებანი, რომლითაც სულხან-საბა ორბელიანის სატირა აღჭურვილი. (საერთოდ სასაცილოსა და კერძოდ სატირულის კონკრეტულ შემთხვევაში მკვეთრი გაიჩნვა ძნელია. ვინაიდან აქ გამოირიცხული არ არს

პიროვნული საზომის მომარჯვება, სუბიექტური ფაქტორი. ის, რაც ერთისათვის სასაცილო ან გასაკიცხია, სხვამ შეიძლება სრულიად ნორმალურ და ბუნებრივ დამაბნელებელ მოვლენად მოიხსიოს. ერთი ჩამ კი ცხადი და დადგენილია: სატირა ვლინდება ადამიანის სინამდვილისადმი შემფასებლურ დამოკიდებულებაში, მაგრამ სინამდვილისადმი მიწარების ეს შემფასებლური ვხა ნაირნაირია. ამიტომ კონკრეტული მასალის დასასიათებისას ხშირად სხვადასხვა სახეობის სატირული ფაქტის გამოვლენის შემთხვევები იჩენს თავს<sup>6</sup> რაშიც უსათუოდ ჩანს სატირის ის ზოგადი ნიშანი, რაც ზევით მოვიხსენიეთ. სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების ამ ასპექტით განხილვაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული, რადგან ამ მწერლის სატირის გაცნობისას შეიძლება მსგავსების ასოციაციები გავვიჩინდეს ბევრ სხვა გამოჩენილ სიცილის ოსტატთან, რომელთაგანაც ჩვენი მწერალი რაღაც სპეციფიკური თავისებურებებით გამოირჩევა, რაც, ცხადია, მსგავსებას არ გამოირიცხავს. მაშასადამე, იგი განსხვავდება სატირული ფაქტის წარმოდგენის საშუალებებით ცნობილი სატირიკოსების სტილისაგანაც. ცნობილ სტილთა მიღმა დგომა კი თავისთავად გულისხმობს საკუთარ სტილს.

შემთხვევითი, ზედაპირული მოვლენები არ იქცევა ნამდვილი სატირის ობიექტად. „თუ კი მწერალი ცხოვრებაში მხოლოდ უმნიშვნელო ნაკლოვანებებს აჩვენებს, იგი იუმორისტის მსუბუქი და უბოროტო დაციწვით კაპოფილდება, ხოლო თუ სინამდვილის მახინჯი მხარეები მწერალში მრისხანებას და აღშფოთებას აწვევენ, მას აღარ შეუძლია გაჩერდეს იუმორის საზღვრებთან და იგი სატირიკოსის მახვილ ისარს იმარჯვებს“<sup>7</sup>.

კვმარატი სატირის საგანი ყოველთვის აქტუალური, განზოგადებული საზოგადოებრივი მომენტებია. მისი დანიშნულება მხოლოდ ეპოქის მოთხოვნილებებით არ შემოიფარგლება, უძლებს დროის გამოცდას, არ კარგავს თავის მხატვრულ ღირსებასა და აქტუალობას მაშინაც, როცა არსებობს წყვეტენ ის ობიექტები, რომლებიც დაციწვის საგანს წარმოადგენდნენ<sup>8</sup>. „ამა თუ იმ ეპოქის სატირულ ლიტერატურაში ადვილად შეიძლება დავინახოთ ის უარყოფითი მხარეები, რომელიც მოცემულ საზოგადოებას ახასიათებდა და აწუხებდა“<sup>9</sup>. მიუღებელ, მანკიერ მოვლენებსა და თვისებებს საბოლოო წერტალს ყოველთვის სიცილი უსჯამდა. „მსოფლიო ისტორიული ფორმის უკანასკნელი ფაზისი მისი კომედია... კაცობრიობა სიცილით ემშვიდობება თავის წარსულს“<sup>10</sup>.

სატირის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ცხოვრების მხატვრულად ასახვის ოპორტუნობის, განსაკუთრებულ ფორმასთან<sup>11</sup>. ელსბერგის მითითებით, „სატირა ჩვენ უნდა განვიხილოთ. როგორც სინამდვილის ასახვის განსაკუთრებული მხატვრული პრინციპი, როგორც გვარი ლიტერატურისა“<sup>12</sup> ბოლო დროის საპეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „განსაზღვრა სატირის ცნებისა დიდხანს რჩებოდა და ნაწილობრივ დღესაც რჩება საკამათო, დაუდგენელ პრობლემად“<sup>13</sup>. ამ აზრის გასამაგრებლად დამოწმებულია ჰეგელის სიტყვები, რომ „ჩვეულებრივი თეორიები უძლური იყო სატირის რაობის გარკვევაში, რამეთუ სატირაში სრულიად არაფერია ეპიკური, ხოლო ლირიკას იგი, საკუთრივ რომ ვთქვათ. არაფრით ენათესავება“.

ქართული სატირისა და იუმორის აღმოცენება-განვითარების ისტორია მონოგრაფიულადაა გაანალიზებული პროფ. გ. კიკნაძის წიგნში „ქართული სა-

ტირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის) (თბილისი, 1953; 1972). ესაა პირველი და დღემდე ერთადერთი განმარტებული გამოკვლევა, რომელშიც გარკვეულია სატირისა და იუმორთან დაკავშირებული თითქმის ყველა ძირითადი და საკვანძო საკითხი, გადაჭრილია მრავალი სპეციფიკური თეორიული პრობლემა. [სატირისა და იუმორის რაობის განსაზღვრისას მკვლევარი წააღიარებდა გამოყოფს მათ შორის არსებითად განსასხვავებელ ნიშანს: „სატირამი არსებითად გაიგივებულია ადამიანი და მისი ქცევა... მათ შორის სატირა არაერთად განსხვავებას არ აწყობებს. იგი გმობს მთლიანად ადამიანს. როდესაც იუმორისტი ადამიანის მხოლოდ ქცევას დასცინის. ამგვარი დაცინვა უკვე გამოხატავს რწმენას ადამიანის ღირსებისადმი და მისი გარდაქმნის შესაძლებლობათა იმედს.“] მონოგრაფიაში ცალკეა გამოყოფილი სატირა და იუმორი ძველ ქართულ ლიტერატურაში. ჩვენი შრომის ეს ნაწილი, ისევე როგორც საერთოდ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ამ კუთხით დაწერილი გამოკვლევები, დიდადაა დავალებული გ. კიკნაძის დასახელებულ წიგნით.

აღორძინებას პერიოდის ქართული მწერლობა ამ თვალსაზრისით საინტერესოდ და ვრცადაა შესწავლილი ლ. კეკელიძის ჩვენ მიერ უკვე დამოწმებულ წიგნში.

სატირისა და იუმორის ძირები ხალხური შემოქმედებიდან მოდის. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი სრულყოფილადაა შესწავლილი.

სატირისა და იუმორის პრობლემებით დაინტერესებული მკვლევარი გვერდს ეწერ აუვლის დ. ლიხაჩოვისა და ა. პანჩენკოს, ა. ბერგსონის, ოზმიტელის, ა. ეფიმოვის, ი. ბორევის, ვ. პროპის, ა. ბუშმინის, ა. ვულისის, გ. პოსპელოვის, მ. ბახტინის, მ. გორიჩკინას, ლ. ერშოვის, ლ. სპირადონოვის, პ. ბერკოვისა და სხვათა შრომებს.

სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში, კერძოდ მის „სიბრძნე სიცილისაში“, მწერლის სატირული პოზიცია რამდენიმე სახით ფორმდება. იგი მრავალგვარი საშუალებას იყენებს, რათა სიცილის ფონზე წარმართოს დასაგმობი. კომიზმის მისაღწევად მწერალი მიმართავს ერთი შეხედვით უხემ ხერხსაც, მაგრამ ეს უხეშობა მხოლოდ გარეგანი მხარეა იმ გაფაქიზებულ შინაარსისა, რომლითაც მისგან გამოწვეული სიცილი ხასიათდება. ეს არაა ვთქვათ, ფიზიკური ნაკლის შემჩნევის შედეგად წარმოშობილი უხეში სიცილის, უფრო ზუსტად, დაუხვეწავი სიცილის გრძნობა. როგორც მიუთითებენ, ნიკიტა ევგენიანეს რომანში ტიპური მედიევალური მოვლენაა „მოხუცების კომიკურ სიტუაციაში ჩაყენება, სიბერის ნაკლოვანებათა იუმორის საგნად ქცევა“<sup>13</sup>. სულხანთან ასეთი რამ არ ხდება. მისი სიცილი სულ სხვა შინაარსითაა აზრდებული. ამგვარი კომიზმი სიხლოვეს ხალხური შემოქმედებას კომიკურ ხასიათებთან ავლენს. ესაა იმგვარი თვისება, რომლის შედეგად მონიჭებული სიცილი გაფაქიზებულია ბავშვური მიაპიტობით, აღსაყვანა სიფაქიზით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამგვარი სიცილი ზომ უფრო იუმორისტულ მდგომარეობაში იჩენს თავს, ვიდრე სატირულში? შეიძლება ასეც მოხდეს ასეა სულხანთანაც. მაგრამ არის მომენტები, როცა მწერლის პოზიცია იუმორისტულიდან სატირული მდგომარეობაში იხრება. ასეთ მომენტებში იმდენად ძლიერია იუმორისტული განწყობილებიდან მიღებული სიცილის ძალა, რომ იგი ძალაუხერხურად გადადის ფაქტის სატირულად შეფასების პროცესზე.

და, მართალია, რამდენადმე ასეთ შემთხვევაში ვერძნობთ განსხვავებას მწერლის იუმორისტულსა და სატირულ თვალსაზრისს შორის, მაგრამ არა გამოკვეთილად, არა ურთიერთშერწყმით, უფრო ინტუიციით, ვიდრე გონების. კარნახით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა არაკი „უმეცარი დალაქი“. მასში ამბის თხრობა იუმორისტულ ტონში მიმდინარეობს, ხოლო ფაქტი, შედეგი სატირულ თვისებათა ერთიანობას ქმნის. მწერალი კიცხავს უფიცილებას და ამავე დროს დალაქის უსაფუძვლო სურვილსამართლებდეს თავის დანიშნულებას. სიტუაციასე ზედამირული დაკვირება იუმორისტულ განწყობილებას ბადებს, მაგრამ საკმარისია თავისთავად ფაქტს ჩაუეყვირდეთ, რომ ვიგარძნოთ მწერლის სატირული შეფასების ხასიათი. სულხან-საბა ორბელიანი მიმართავს ხალხური შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ზერხსაც: სატირული წარმოდგენის შესაქმნელად მოკლენას ან გმირს ხატავს არა დეტალებში, არამედ ზოგადი შტრიხის მიხედვით. ამის შედეგად იქმნება შთაბეჭდილება არა მთლიანობაზე, როგორც ასეთზე, არამედ კონკრეტულ თვისებაზე, უფრო ზუსტად, ერთ მხარეზე მითითებით წარმოდგენა გვექმნება პიროვნების ან მოკლენის მთლიან ხასიათზე. ასეთია ჩვენ მიერ დასახელებული იგავის ერთი ნაწილი. თავისთავად ის, რომ პიროვნება ცდილობს ნაკლის მიჩქვალვას, სასაცილოა, მაგრამ ეს ფაქტი კიდევ უფრო მკაფიოვდება და იეტ სიმკვეთარეს იძენს მაშინ, როცა ვხედავთ მის დაუდევრობას — თავგასისხლიანებულ მომხმარებელს ეს ვითომ დალაქი დანაშაულის დაფარვის მიზნით თავზე ღმირხშირად ბამბას აფენს. ამასთანავე იგი ანგარების მოყვარულიცაა. უსახურ თვისებათა ეს მთლიანობა ქმნის მყარ საფუძველს იმისას, რომ ამგვარ პიროვნებათა მიმართ მწერალთან ერთად მკითხველმაც სატირული პოზიცია დაიჭიროს და მიუხედავად მხიარულების შემცველი სიცილისა მწვავე ვაიციხვის საგნად აქციოს იგი.

სატირული-იუმორისტული ეფექტის ზრდას განსაკუთრებით ხელს უწყობს მწერლის მიერ იმგვარი ხერხის გამოყენება, რასაც პირობითად გულუბრყვილო სერიოზულობა შეიძლება ეწოდოს. ეს კი თავის ერთადერთ გამოხატულებას მხოლოდ ენობრივი მასალის თავისებურ შერჩევაში პოულობს. ავიღოთ ასეთი მაგალითი:

-დაუწყო ერთსა თავსა პარსვა. თერმე დია შეაჰირა.

მღმა აქლემი ღრიალებდა.

მან კაცმან თქვა: მას აქლემსაც თავს პარსავენო და მისთვის ასე მწარედ ყვიროსო...

მეორეს დაუწყო პარსვა და დიდად შეაწუხა. ამიილო ხუთი ბისტი, მისცა და უთხრა: ვაჟო. ცოცხლი ვერ კავაგირჩები. შენი ხელეჟი არ შემარჩეს, მას სოფელსა ვალად არ დამედილოსო.

ნესანეს დაუწყო პარსვა. მოკორტნა თავი და სისხლმღინარეს ბამბა დააკრა, სხვაგან მოკორტნა და დააკრა ბამბა. მართ ათამდე ადვილს დაკორტნა, ნახევარი მოპარსა. და რომ ვეღარ ვაძლო და შეაჰირა. ეგრე უთხრა: მშაო. ნახევარი ბამბა დაგიოთსაეს, ნახევარი იყოს, ეს ნესვად მინდა დაეთესოო...

მეორესს პარსვა დაუწყო. რომ შესვირდა. მე ვკითხე: რადენი იმანი ხართ-მეთქი?

მან ეგრე მიაპსუხა: თუ ამ ცაცს მოვრჩი, ექსინი ვართ, თუ არა ხუთენილა ჟარჩეპიანო.

რა მქე დამიწყო პარსვა. დია შეეკვირდი. მარა თავს არ დავიტყუე. რა გაათავა, ფასი მზეც და მადლად ვუთხარი: ასევე მამა-დედათ შენთა სული განსვენებს. ვითა მე განმასვენე-მეთქი.

მათ ჩემთა ამხანაგთა გამოცხეს: ხმელი ვირის თავი დაიყვირებდაო, შენ რა მადლს აუვიო? და ა. შ.

— ეს და ამგვარი სიტყვები არა მარტო გარკვეულ სასაცილო ენობრივ ერთეულებს წარმოადგენენ, არამედ გამოკვეთილი მხატვრული საშუალებების



სახითაც ფორმდებიან. ამაში მელაგნდება სულხანის, როგორც დიდი მწერლის, დიდი უნარი სიტყვის ეკონომიური ხმარებისა. სათანადო ადგილას მისი მომარჩვებისა.

სასაცილოა და ამავე დროს ემოციურიც თავის საქმეში ნაკლებად გათვითცნობიერებული დალაქის ნამოქმედარი — „მოკორტნილი თავი“, მასზე ბამბის დაკვრა, თავიდან მოშლინარე „სისხლმდინარე“ და ამ რთული პროცესისაგან „შევირვებული“ ადამიანები. ეფექტს საცნაურს ხდის თავმოკორტნილი პიროვნების „ხმელი ვირის“ ღრიალთან შედარება და მისი მისაბაძი მოთმინება. იუმორიზარევი სტილი თხრობისა თითქოს ანელებს, სიმბაფრეს უკარგავს იმ მიძმე შედეგს, რაც უხეირო დალაქის ქმედობას მოჰყვება. ზედმიწევნათ ფაქზად შესრულებულ დიალოგებში მკვეთრად გამოსჰვივის მწერლის ორგანული კავშირი ხალხურ შემოქმედებასთან, ხალხურ მეტყველებასთან. უბრალო ადამიანთა ფიქრი ქვეულა მისი მსჯელობის საგნად. განხილული ეპიზოდი ეუმორისტულისა და სატირულის ფაქზად შერწყმის თვალსაჩინო ნიჰუშა. გარდა იმისა, რომ მწერალი გვაცინებს გულიანად და ლაღად, ამავე დროს მწარედაც ჩაგვაფიქრებს.

საზოგადოდ იგავ-არაკული ენარის ნაწარმოებთა თვისებას შეადგენს ნართული გამოთქმების სიჭარბე. ე. ი. იმგვარი თქმები, რომლებიც არაპირდაპირი გზით გვიხსნის, გვიხასიათებს მოვლენისა და საგნის შინაარსს. აქ უკვე იმის შესახებ კი არ მიდის მსჯელობა, სასაცილო ან გასაკიცხია თუ არა ესა თუ ის ფაქტი, არამედ სწორედ საპირისპირო მოვლენა დახასიათებული და გადაკვრითი გამოთქმით ნინისმებულია მისი მიუღებლობა. სულხან-საბა ორბელიანის ამ ქმნილების ძირითადი თვისება სწორედ ამ შინაარსში აისახება. მწერალი განყენებულ მოცემულობაში გულისხმობს კონკრეტულ ფაქტს. პერსონაჟთა ხელში გამოყენებული არაკები ქმნის მკაცრი მაზხილებლის შთაბეჭდილებას. აქ რიგ შემთხვევაში სატირულ სიცილს იწვევს როგორც სიანლოვე არსებულსა და ნაგულისხმევს შორის თვისების მხრივ, ასევე ის შეუფერებლობა, შექმნილი კონტრასტი, რომლის ხორცშესხმა სინამდვილეში შეუძლებელია. საილუსტრაციოდ მივმართოთ არაკს „აქლემი და ვირი“. სულხან-საბა ორბელიანი როცა გვიხასიათებს აქლემისა და ვირის პირვანდელ ყოფას — „მათ დიად დაღლეთილობას“, „ზურგის სიმკლესა და სიმპლეს“ და შემიდგე უპირისპირებს რა მას და დროთა მსვლელობის ფონზე გვიხატავს შემთხვევითი თავისუფლებით გალაღებული ვირის წინდაუხედაობას, ამით მწერალი მიზნად ისახავს არა ვირის შეუფერებელი ქცევის მხილებას. არამედ ადამიანებში ამგვარი ნიშან-თვისების გამოვლენის საეალალო ფაქტს. ემოციურ სიმბაფრეს აძლიერებს მწერლის მიერ დადასტურებთა ნაწ-ლექის — „დიად“-ის ხმარება სიტყვა „დაღლეთილის“ წინ. ის, რომ პატრონისაგან გაპარულ აქლემსა და ვირს, უკვე გასუქებულთ, დაავიწყდათ „სიმკლე და ზურგის სიმპლე მათი“ და აქედან გამომდინარე მათი ქცევის გულუბრყვილობა სიცილის ნათელ ფორმებში გამოვლენის ფაქტორია, ესაა ეზოპური ენათ გადმოცემა იმისა, რისი თქმაც სინამდვილეში სურს მწერალს. საზოგადოების მანკიერი მხარეების ამგვარი სატირით მხილება სულხან-საბა ორბელიანისათვის რომ არაა სპეციფიკური. ამაზე მიგვითითებს თვითონ გამოთქმა „ეზოპური“. ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის გამოჩენილმა მოიგავარაკემ ძირითადად მოხაზა საკითხთა ის წრე, რომლის შინაარსს სიმახინჯის ამგვარი არა-

პირდაპირი გზით ნხილება შეადგენდა. შემდგომი დროის, და განსაკუთრებით საშუალო საუკუნეების, ბევრმა გამოჩენილმა მწერალმა მნიშვნელოვნად გააფართოვა და გააღრმავა შინაარსი ამ ცნებისა. ეზოპურის ცნებამ მოიპოვა უფლება იყოს საზომი სინამდვილისადმი მწერლის იმგვარი მიდგომისა, რომელიც გასაიციოს ობიექტის გადატანით, ალეგორიული თუ პარაბოლური ენობრივი გზით დახასიათებას გულისხმობს. ცნობილია, თუ რამდენად დიდი როლი მიანიჭა ამ ჟანრს ისეთმა დიდმა მწერალმა, როგორც ლაფონტენი იყო. ყველა-სათვის თვალსაჩინოა ის გარემოებაც, თუ რაოდენ სიღრმეს მიაღწია მან რუსეთის ისეთი პოპულარული მწერლის შემოქმედებაში, როგორცაა კრილოვო, ხოლო უდიდესი გაქანებისა და სატირული გამიზნულობის მწვერვალზე იგი აღის ისეთი დიდი სატირიკოსის შემოქმედებაში, როგორც სალტიკოვ-შჩედრინია. ის, როგორც მიუთითებენ, ეზოპური ფორმულების სახითაც კი ქმნიდა თავის სატირებს<sup>14</sup>. სიცილი შჩედრინის მითითებით ძლიერი იარაღია. ბიჭიერებას ისე არაფერი არ უბნევს თავგასას, ვიდრე შეგნება იმისა, რომ ის უწყვეტად გამოცნობილია, რომ მასზე უკვე იცინიან. ასეთ შემთხვევაში კი სიცილი ესთეტიკური განხილვის საგნად იქცევა<sup>15</sup>.

ასე რომ, სულხან-საბა ორბელიანის მიერ გადმოცემული ეზოპური შინაარსის ემცველი ცხოველთა სამყაროს სატირული დახასიათება მწარე სიცილს იწვევს იმდენად, რამდენადაც ჩვენ იქ იმნაირ თვისებებს შევცნობთ, რაც საერთოდ ადამიანთა საზოგადოებისთვისაა ნიშანდობლივი. ჩერნიშევსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოველებში სასაცილოს ვხედავთ იმდენად, რამდენადაც მათში ადამიანურს ვამჩნევთ. მწერლის ეზოპური გამონათქვამები ისეა ჩართული ამბის თხრობის ბუნებრივ ქსოვილში, რომ ძნელია მისი გამოცალკავება და ცალკე ნიმუშის მიხედვით დახასიათება. იგი ბუნებრივი და მოუცილებელი ნაწილი გამხდარა ნაწარმოების მთელი კონსტრუქციისა. ამიტომ ამ საკითხს ვაჩვენებთ თავისი ღირებულება მხოლოდ ნაწარმოების საერთო აღნიშვნათან თანაფარდობაში, მწერლის იდეური მიზანდასახულების გათვალისწინების მომენტში თუ აქვს. ჩვენ ვვარაუდობთ იმ ფაქტს, რომ მწერალი ეზოპურს ალეგორიულ ხერხს მიმართავს, ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებლად ქმნის წარმოდგენას უპირველესად ცხოველთა სამყაროს შესახებ, მაგრამ ვხედავთ, რომ მასში ადამიანთა ცხოვრებას გულისხმობს. ალეგორიულად გამოყვანილ ცხოველთა სამყაროში ადამიანური თვისებები შეიცნობა, ზოგ არაქმი განხრახა მოქმედების არე საქართველოს გარეთ გატანილია, როგორც აღნიშნავენ, ალეგორიული გადმოცემა აზრისა კიდევ უფრო აძლიერებს წიგნის შემეცნებით-აღმზრდელობით ხასიათს, იუმორისტულ-სატირული ხერხი მეტყველებსა მეტად საინტერესოს ხდის თხზულებას. სულხან-საბას წიგნს ახლავს სატირული-იუმორისტული იერი: ირონია, დაცინვა, გაკილვა ხშირია ძეგლში<sup>16</sup>. პარალელური და იგავური თხრობის ქსოვილი როდი ფარავს ავტორს მეტწილად ირონიულ, ხშირად მწვავე და სარკასტული დაცინვის მისამართებს<sup>17</sup>. ალეგორიული და იუმორისტულ-სატირული ხერხი მეტყველებასა დადი ხელნაწილშითაა მომარჩეველი საბას მიერ. ზიგვ-არაკული მანერა შეუდარებლად აფართოებს სულხანის შემოქმედების არეს, მეტ საშუალებას აძლევს მას იყოს პირდაპირი, მოურიდებელი, აშკარა, ყოველგვარი შეფარვის გარეშე გააქვანოს თავისი აზრები, დამსახურებული კრიტიკა მიუზღას საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს, ვინც მას იმსახურებს. თავისთავად

ცხოველთა ადამიანური მოქმედება იწვევს მკითხველში იუმორისტულ განწყობილებას, რაც გაშინაარსების შემდეგ სატირული სიცილის სახით ფორმდება. ძირითადად ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებული გულუბრყვილობაა სათავე იმ იუმორისა, რომელიც შემდგომ სატირულ მდინარებას იძენს.

გარდა ამისა, სულხან-საბა ორბელიანის სატირის ობიექტად იქცა ადამიანთა სამყარო ყოველგვარი ალეგორიულობის გარეშე. ადამიანის არაპრაქტიკულობას, მის უსაფუძვლო ფანტაზიურობას მამხილებლად დასცინის საბა არაქში „გლახაკი და ქილა ერბო“<sup>18</sup>. მწერალი ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ საფუძველმოკლებულია წინასწარ ზეიმი, ოცნება იმაზე, რაც ჭერ ამ მომხდარა. გლახაკს სურვილი. ან უკეთ, წყურვილი აქვს გახდეს მდიდარი. აქ ხდება მისი ფანტაზიის სწრაფი ამოძრავება და მომავლის პერსპექტივის ნათელ ჟერებში წარმოსახვა: „აწ გამდიდრება მოინდომა ღმერთმა. ჩემი ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩილად გავყიდი: მით თორმეტს ქათმის სამაწლე წიწილებს ვიყიდი, მოვიყვან, დავზრდი. დავყვევრავ, დავასუქებ და თითოს თითო აბაზად დავყიდი. მერმე მით საეშვე გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ. დავაყვარებ და ორ-ორ მარჩილად დავყიდი. მერმე მით სახარე ზბორებს ვიყიდი, დავზრდი, მოვხნავ, მოვთესავ და აწენებულ შევიქმნები...“ ამგვარი ენობრივი ზერხით, [სგავსი შემასწინებლის გამეორებით, საბა აღწევს იხრობის იშვიათ დინამიკურობას, დრამატიზმს, არაჩვეულებრივად იზრდება ფრაზის ემოციური დატვირთულობა.

მაგრამ უმნიშვნელო რეალური ფაქტორი სატირულად უწამლავს პერსონაჟს. ფანტაზიას და ფრთას აკვეცს მის ესოდენ გატაცებას. ამით მწერალი გვაფრთხილებს, რომ ადამიანი უსაფუძვლო, არაფრის მომცემ, უპერსპექტივო გატაცებებს არ უნდა აპყვეს, თორემ ხშირად რაცა აქვს, იმასაც დაკარგავს. როგორც ეს გლახაკს მოუვიდა. ცხადია, სიცილის ფონზე წარმართული ამგვარი ფაქტის მხილებას აქვს ნეტად ზღვრეზსახეობი ენობრივი ნიშნების მიხედვით წარმოდგენილი სატირული თვისება ან აგრეთვე იშვიათი ხასიათი, რაც მას უმნიშვნელობას არა მარტო წარმავლობასთან მებრძოლ ბუნებას სძენს, არამედ მომავლის კუთვნილებადაც რომ აქცევს და ამით კონკრეტულ თვისებაში დაკვირვებულ მომენტს ზოგადობას და, მამასადამე, ერთგვარად დროის წინაშე უბერებელ შინაარსს რომ ანიჭებს. სულხანის შემოქმედების ეს ასპექტი იგულისხმება/ გ. ქიქოძის გამონათქვამში: „ზოგიერთ არაქში ისეთი ზოგადი ადამიანური ურთიერთობა და ნაკლია ასახული. რომ მისი ანალოგიები ყოველ ეპოქაში იპოვება“<sup>19</sup>!

„სიბრძნე სიცრუისა“ დაუზოგავად ამხელს იმდროინდელი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სენს: მეფესა და მის უკანასკნელ მოხელეს. საეროსა თუ სასულიეროს, მამაკაცსა და დედაკაცს. გაიკიხელია მასში სიძუნწე. ფარისევლობა. სიამაყე. ცბიერება. ანგარება. უმადურობა, მოტყუება. სხვისი ყელეფა. სარწმუნოებრივი პრპოთხეობა და იმდროინდელ ცხოვრების სხვა ამგვარი უარყოფითი მხარეები<sup>20</sup>. აქ მკითხველის თვალწინ ყოველი საზოგადოებრივი წრის წარმომადგენლები გაივლიან. აკად. ა. ბაჩაიძის ვითარებებით საბა მათ „დასცინის, მაგრამ არ წუწუნებს. „სიბრძნე სიცრუის“ სახუმარო-საოხუნჯო ჰუმორის ენაცვლება მძაფრი სატირა. სატირა კი არაიშვიათად გესლიან ირონიასა და შხამიან სარკაზმში გადადის. ხასაკერველია, მწერალი არ იბრძოდა იმ სოციალური წრის წინააღმდეგ, რომ

ლს წიაღშიც მის მიერ აღწერილი უკეთურობანი ხარობდა. მაინც მხილების ძრით ის იყო პრინციპული, უკომპრომისო, დაუზოგავი. მისი მიზანია სწავლა, უარყოფითს უპირისპირებს დადებითს, ყოველი იგავ-არაკიდან გამოჰყავს ბრძნული შეგონება. მკითხველს არიგებს, ასწავლის, მოძღვრავს<sup>21</sup>. მიუხედავად იმისა, რომ სულხან-საბა ორბელიანი გარკვეულ სიმათიას არ გამოხატავს რომელიმე კლასის წარმომადგენელთა მიმართ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი ნეიტრალიტეტს იცაედეს და ერთგვარად არ ცდილობდეს იმ მძიმე სულიერი ატმოსფეროს განმუხტვას, რომელიც ახასიათებდა მისდროინდელ საზოგადოებას. მკითხველის წინაშე ერთობ ზოგადი ენობრივი შტრიხებით, მაგრამ მეტად დამაჯერებელი თვალსაჩინოებითაა წარმოდგენილი უსამართლო შრეანშაპების, ყაღსა თუ ხალიფათა სახეები, ნოცემულია ირონიული შენიშვნები მეფეებზე, ფეოდალებზე და საერთოდ მბრძანებელ ძალთა მისამართით.

მეფის აბირებულობას, დესპოტიზმს დასციინის საბა თავის ცნობილ იგავში „მეფე და მხატვარი“. მწერალი სატირის ესარზე აგებს შარიან მეფეს, რომელიც ცდილობს მართალი, ნიჭიერი ადამიანის დაღუპვას, ანგარიშს არ უწევს პროფნების უნარს. აქ იუმორისტულ განწყობილებას ბადებს ის ფაქტი, რომ მეფე ცდილობს იმგვარი იყოს. როგორც სინამდვილეში არ არის. მაგრამ ეს იუმორი სატირაში გადადის იმ მომენტიდან, როცა ვხედავთ, რომ იგი სხეებსაც აიძულებს მსგავს სიტუაციაში ყოფნას. ხოლო ამის შეუსრულებლობის შემთხვევაში მკაცრი დასჯითაც კი ემუქრება მას. მაგრამ ერთგვარად სასიუბო განწყობილებას ბადებს ფინალი ამ ამბისა. როცა უკვე ვხედავთ, თუ როგორ იმარჯვებს ინტელექტუალურ ღიშლუნგებზე აღმოცენებულ ახირებულობასა და წინდაუხედაობაზე მხატვრის გონიერება და მოვლენათა შეფასების საღი უნარი. აქედან იქსნება ვსა იმგვარი სატირისაკენ. რომლის შინაარსი მწუხარე ტრაგიკულობით კი არ არის გამუქებული. არამედ სწორედ ამ საკლსა და სიმახინჯეზე აღმატებულის შუქით რომაა გაბრწყინებული. ეს კადეე უფრო მტებს საბას სატირას ჰუმანურობით შემოსილ- სატირის მნიშვნელობას. საბა პერიოდულად, ყოველ შესაფერის სიტუაციაში ცდილობს წარმოვიდგინოს უარყოფითი მხარე საზოგადოების იმ ფრთისა. რომელსაც მალალი მდგომარეობა აქვს მოპოვებული და საზოგადოებრივი ცხოვრების სადავე უჭირავს. აქ, როგორც ვხედავთ, მწერალი არავითარ კომპრომისზე არ მდის და ყველგან და ყოველთვის უკიყინებს მათ მათი მოქმედების უვარგისობაზე.

მაგრამ ეს სატირა არასპეციფიკური და იმ სახისვე იქნებოდა. როგორც საერთოდ არსებობს ყველა სატირიკოსის შემოქმედება. რომ მან არ გააჩნდეს თავისი ნიშანდობლივი მხარე. (საბა რომ მხოლოდ გაბატონებული კლასის სატირულ დახასიათებას ცდილობდეს. საქმე გვექნებოდა ჩაგრულთა ფენის ინტერესთა გამოხატველ. დახალი სოციალური წრის ქომაგ სატირიკოს მწერალთა. რომელიც გარკვეული ტენდენციურობითაა შეზღუდული. მართალია, საბა ამბობს: „მრავალნი მწუემსნი უნჯობეს არიან უგვანთა მეფეთაო. მაგრამ ამილ მწერალი მეფეთა არაჩსებობას იღვას კი არ ქადაგებს. ა. ბარამიძის ზემოთ მოტანილი სიტყვები რომ გავიმეოროთ, „არ ბრძანის იმ სოციალური წრის წინააღმდეგ. რომლის წიაღშიც მის მიერ აღწერილი უკეთურობანი ხარობდა. არამედ რიგიანი მეფის არსებობისათვის იღვწის. საბასათვის

ისევე მიუღებელია თავისი საქმის უცოდინარ- მაღალი თანამდებობის პირ- როგორც უმცარი დალაქი, არაპრაქტიკული და უანტაზიორი გლეხი./

თუ ბევრ გამოჩენილ მეიგავესა და სატირიკოს მწერალთან სასაცილო- სატირული შინაარსით გადმოცემის შესაძლებლობა სინამჟღვილის უკიდურეს კონკრეტულობაში განზოგადებული მოვლენებითაა შეპირობებული, თუ მწერალთა სატირას რეალური ყოფის მომენტებით დატვირთული ფაქტებს კონკრეტიზაცია აძლევს ამგვარ ხასიათს, საბასთან საკითხი ასე არ დგას.

ამ მწერლებისათვის ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს სინამდვილის უს- ხური ფაქტის იმგვარად მხილება, რომელიც დაფუძნებულია გადაჭარბებასა და მწვავე გაიციხვაზე. ამიტომ მათი შემოქმედება გარკვეულად კლასობრივ ტენდენციურობითაა შეპირობებული. მაგალითად დიდი რუსი სატირიკოსს შჩეღრიჩის შემოქმედებას თავიდან ბოლომდე გასდევს რუსეთის ბიუროკრა- ტიულ-ჩინოვნიკური აპარატისა და თავდაზნაურული ყოფის მკაცრი მამუ- ლების, მათი ზნეობრივი დაცემულობის მომენტების ძიებით გატაცებულ მწერლის კვალი. მკითხველი მის ნაწარმოებთა გაცნობისას ადვილად შეიყ- ნობს რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების პატარებელ მწერალს. ერთი სიტყვით, მასში მოაზროვნე ბალებს ხელოვანს, იდეური მიზანდასახუ- ლობა განსაზღვრავს სატირის მხატვრულ ფუნქციას. საბას „სიბრძნე სიცრუ- ისაში“ კი არსად არ ჩანს, რომ იგი რომელიმე ფენის ან კლასის იდეებს რუპორი იყოს. აქ ჩვენ წინაშე დგას ყოველგვარი ტენდენციურობისაგან დაუ- ლილი, გადაჭარბებულობისაგან თავშეკავებული მწერალი, რომელიც ადამიანს კლასობრიობის პოზიციებიდან კი არ უღვდება. არამედ ადამიანური ღირ- სების მიხედვით ზომავს, განურჩევლად იმისა, თუ რომელი ფენის წარმომავ- გენელია ის. ადამიანში ადამიანური თვისება უნდა დაფასდეს — აი, პრინ- ციპი საბას იმ ჰუმანიზმისა, რომელიც მის სატირაში პოულობს განსახიერე- ბას. საბამ თავის პერსონაჟთა დახასიათებისათვის არჩია იმნიერი გზა, რაც დეტალების გადმოცემაზე კი არაა დამყარებული, რითაც ასე აღსანიშნავია ჩვეულებრივად სატირა, არამედ ადამიანის შინაგან თვისებაზე მიმანიშნებე- ლი სილუეტები შექმნა და პერსონაჟთა გარეგნული მხარის დახასიათება მკი- თხველს მიანდო. ამით დაეყრდნო სულხან-საბა ორბელიანი ხალხური შე- მოქმედების ანკარა წყაროს/და შეითვისა მისთვის ეგზომოდ დამახასიათებელ ეს მხარე. იდეალურობა გახდა მისი შემოქმედების, კერძოდ „სიბრძნე სიცრუის“. ხალხურობის პირობა და არა ის, თუ რომელი ფრაზა, ან გამოთქმა, ან რომელი არაქის ვარიანტი ისესხა მან ხალხური სიტყვიერებიდან. თუ ამანუ მიდგებოდა საქმე, მაშინ ისეთი დიდი სახალხო მწერლებისათვის, როგორცაა რუსთველი, ვაჟა ან თვით სულხან ორბელიანი, პირველობა შეიძლებო- და ჩვენს ხალხსთან მწერლებს წაერთმიათ. მათი შემოქმედება მეტად მდ- დარ მასალას იძლევა და შეიძლება ითქვას უფრო მეტსაც, ზემოთ დასახელე- ბულ მწერლებთან შედარებით ხალხური მასალის გამოყენების მხრივ, მაგ- რამ ისინი მაინც ვერ ახერხებენ იყვნენ სახალხო მწერლები./ საბა ორბელია- ნის, ისევე როგორც რუსთველისა და ვაჟას, შემოქმედების ხალხურობას ის უღვევს საფუძვლად, რომ მწერალი ახერხებს ახსნას ხალხის ფსიქიკა. საბა ანგარიშს უწევს მკითხველის ფანტაზიას და თავის გმირთა სვე-ბედის უკიდურ- რეს განსჯას მკითხველის გონებას ანდობს. აი, სწორედ ეს ხდება საფუძველი მისი სატირის ხალხურობისა. ყველაფერი რომ აეწონ-დაეწონოთ, ადამიანს

არ შეიძლება არ განაცვიფროს იმ ხელოვნებამ, რომლითაც სულხან-საბა ორბელიანმა ერთმანეთში შეადუღა ეს ნაირ-ნაირი მასალა (იგულისხმება მწიგნობრული და ხალხური — დ. დ.), რათა მკაფიო და ჭეშმარიტი ქართული ხალხური სურნელებით გაუღენთილი ერთიანი თხზულება შეექმნა<sup>22</sup>. ხოლო ა. ფრანგიშვილის მითითებით: „სიბრძნე სიცრუის“, როგორც აღორძინების ჩინაშაყვის დამახასიათებელი ლიტერატურული ძეგლის, შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ხანის ლიტერატურაში მნიშვნელოვანი კედრითი წონა აქვს ისეთ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რომლებშიც ხორციესბმულია... ხალხურობის ტენდენცია, ადამიანის სულიერი ცხოვრების დაწესების ტენდენცია<sup>23</sup>.

წმითაა განპირობებული ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ საბა არღვევს კლასობრივი შეზღუდულობის ჩარჩოებს და ადამიანში ადამიანური მარცვალის დანახვის პოზიციაზე დგას. ეს კი იქცევა იმის პირობად, რომ ის სამყარო, რომელსაც საბა სატირულად წარმოგვიდგენს თავის თხზულებაში, დროითი და ლოკალური ჩებირებით შემოზღუდულ სამყაროს კი არ წარმოადგენს, არამედ აწმუოში ზღვარდაუდებლობის შთაბეჭდილებასაც ახდენს. ამიტომ სამყარო, რომელსაც საბა ჰქვია, უმეტესად მომავალში ძეგს.

„სიბრძნე სიცრუისა“ ამავე დროს ანტიკლერიკალური ხასიათის ნაწარმოებია. სატირა სასულიერო პირებზეც ძირითადად იმავე ენობრივი გზით ხორციელდება, როგორადაც საზოგადოების სხვა ფენების მიმართ მწერალს არ ახდენს კონკრეტობირებას სატირული ფაქტისას და მას უფრო მორალისტური პრინციპით წარმოგვიდგენს. სატირული ელემენტი საბასთან ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც სხვა მაგალითებში, შერწყმულია ამბის თხრობას ეპოპურსა და მორალისტურ ქსოვილთან, რიგი უფრო ზნეობრივი დანიშნულების მატარებელია, ვიდრე კონკრეტულად უსახურა ობიექტის გაცამტყვრების საშუალება. ასეთია აზრი არაკისა „მოძღვარი მელი“. სასულიერო ზოძღვრის წამოსასხამით წარმოდგება მელი მკითხველის წინაშე და იმგვარად გვიჩვენებს თავის შინაგან ბუნებას სასულიერო წესების შესრულების პროცესში, რომ ძალაუნებურად ჩვენს ცნობიერებაში ამოტივტივდება გამაყსხავი დამოკიდებულება არა მელის წინააღმდეგ, არამედ სწორედ იმ ადამიანური მხარის მიმართ, რომელიც მოძღვარი-სასულიერო პირის წარმოდგენას ქმნის მწერალი აწმულებს, აბუჩად იგდებს სასულიერო პირთა მოღვაწეობის პირფერულ მხარეებს. მათ თვალთმაქცობას. რაოდენ მამხილებლურია მოძღვარი მელის აღსარება: „მთელი ჩემი დღენი ცოდვაში გამიტარებიაო“. აქც, ისევე როგორც საბას მრავალ სხვა არაკში, მოძღვარი მელის გაუძღვრებას ღირსეული დასასრული აქვს. ეს იწვევს კმაყოფილების გრძნობას და იმ დრამაინარსიან სატირას, რომელიც ასახული ობიექტის მიმართაა მომართული, სიცრუის ნათელი გრძნობით ფარავს და ფანტავს იმ სეველიან განწყობილებას, რომელსაც ამგვარი ფაქტის არსებობის შეგრძნება იწვევს.

ერთი მელი დაცანცარებდა. ძველთაგან თურმე ნასოფლარი უაფილიყო. სპელებროს ქვევრი. ლილით სავეს, პირღია დარჩომილიყო. სვლასა იქი-აქა მე თურმე ჩავარდა. ამობორტყდა, ამოვიდა, მელი შავად შეღებილი შეიქმნა, — აი, პირველი აბზაცი, რითაც იწყება თხრობა. ასეთი მოკვეთილი, დამაჭრებელი, სტილიზებისაგან (თავისუფალი თხრობა, წინააწინვე განა-

წყობს მკითხველს, აინტერესებს მოსალოდნელზე და ეს ინტერესი ოდნავ დაც არ ნელდება ფინალამდე. ასეთი მანერა საერთოდ საბას მხატვრული ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა. იგი თითქმის ყველგან და ყოველთვის იყ. თხრობის ბუნებრივ ტენდენციას. სატირული და იუმორისტული ეფექტის შესაღწევად საბა არ მიმართავს გამკილავი ეპითეტების გადაჭარბებულ ხმაობას, უჩვეულო მოულოდნელობებს. მასთან ყველაფერი მარტივი და უბრალოა. არ ჩანს ხელოვნური, ძალდატანებითი სწრაფვა მხატვრული ეფექტის მისაღწევად. სპენსერს ერთგან უწერია: „სტილის ღირსება სახელდობრ ისე ში მდგომარეობს, რომ შეძლებისამებრ, სიტყვების ნაკლებ რაოდენობაში სატირის მეტი ახრი“. სულხან-საბა ორბელიანის პროზის მეტი ნაწილი საუფროსად აკმაყოფილებს ამ ძნელად შესასრულებელ მოთხოვნას.

ქმელია მელის სიარულის აღსანიშნავად უფრო შესაფერისი სიტყვის დამატება, ვიდრე „დაცანცარება“; ასევე ბუნებრივი და დამატებელია ლექსით სავსე ქვეყრიდან შავად შეღებილი მელის „ამობორტყება“; მხატვრულ ეფექტის ინტენსიფიკაციას ემსახურება ბევრათა დამსგავსების ასეთი შემთავაზება: „შავად შეღებილი შეიქმნა“ და ა. შ. |

ბელინსკი წერდა: „არაფერია სამყაროში დაცინვაზე საშინელი, ~~საშინელი~~ დასჯაა სიმბინჯისა და შეუფერებლობის“ რაც შეეხება დანერგილ მხატვრულ კიერებებს, რაც უფრო ხმაძალა ვილაპარაკებთ მათ შესახებ, რაც უფრო მეტი ენერგიით შევებრძობებით მათ, მით უფრო მეტად შევეწყობთ ზედსიკეთისა და ქვეშეობის ყოველგვარ წარმატებას“<sup>21</sup>.

ფაქტობრივად, საბაზე მეტად ძველ მწერლობაში ეს არავის გაუხეხებია მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „არც რა ენის უტკბესი იქნების და არც რა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყანისასა“ და იგი ყოველთვის სათანადო იმარჯვებდა ამ სიტყვოსა და სიმწარეს. ადამიანური ცხოვრება-ურთაერთობა სულხანის ყველა იგავის სამყაროს შინაარსში შესასვლელი საშუალებაა. მათ რამდენადმე გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ სულხან-საბა ორბელიანის სატირული გამოირჩევა თავისი ღრმა შინაარსითა და სასაცილოსა და სიცილის, როგორც ესთეტიკური კატეგორიის, თავისებური გააზრებით. სიცილი მასთან მხატვრული გამოსახვის მნიშვნელოვანი საშუალებაა. მწერალი სიცილს მეტად ატყუალურ მნიშვნელობას ანიჭებს.

სულხან-საბა ორბელიანის სატირა პერსონაჟთა კონკრეტიზაციით და გრძელთა გარეგანი სამყაროს დასრულებულ სატირულ ფერებში წარმოდგენით ხასიათდება. მასში ყოველთვის ძვეს მორალისტური შეგონება. სულხან-საბას არაკების უმეტეს ნაწილში დადებითი ყოველთვის იმარჯვებს უარყოფითზე და შინაგანი კმაყოფილებსა თუ მხიარულების გრძნობით ავსებს მკითხველს გრძნობა-გონებას. რაც, ცხადია, სიცილის ნათელი გრძნობების ხარისხს ზრდის, მაგრამ ბოლომდე ინარჩუნებს თავის სატირულ მდინარებას. ეს სიტყვით, სულხან-საბა ორბელიანმა „სიბრძნე სიცრუისაში“ „სიცილს ძალ მისცა“.

#### შენიშვნები

<sup>1</sup> Д. С. Лихачев. К изучению художественных методов русской литературы XI—XVII вв., ТОДРЛ, 1964, XX, вв. 17.

<sup>2</sup> მისივე, Внутренний мир художественного произведения, «Вопросы литературы», 1968, № 8, вв. 74—87.

- 3 მისივე, К изучению..., გვ. 5.
- 4 რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, მ., 1975, გვ. 3.
- 5 ლ. კეკელიძე, სატირა და იუმორი XVII—XVIII სს. ქართულ მწერლობაში, თბ., 1964, გვ. 21.
- 6 Б. Дземидок, О комическом, перевод с польского, Москва, 1974, გვ. 182.
- 7 ლ. კეკელიძე, სატირა და იუმორი..., გვ. 3.
- 8 К. Маркс, Ф. Энгельс, Об искусстве, Москва, 1957, т. I, гл. 54—55.
- 9 Л. И. Тимофеев, Основы теории литературы, Москва, 1976, гл. 390.
- 10 Я. Эльсберг, Вопросы теории сатиры, Москва, 1957, гл. 33.
- 11 Словарь литературоведческих терминов, 1974, гл. 340.
- 12 ა. ცანავა, სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., 1960; მისივე, წიგნი „სიბრძნე სიცურისა“ და ქართული ხალხური მახვილსიტყვეობა, თბ., 1959; მ. ჩიქიანაძე, სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, ლიტერატურული ძიებანი, II, 1955 და ა. შ.
- 13 ა. ალექსიძე, ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო (XIII—XIV სს.), თბილისი, 1976, გვ. 229.
- 14 А. И. Ефимов, Язык сатиры Салтыкова-Щедрина, Москва, 1953, гл. 492.
- 15 Ю. Боров, Эстетика, Москва, 1975, гл. 90.
- 16 ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1953, გვ. 80.
- 17 ა. გაჭვარელია, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბილისი, 1962, გვ. 41.
- 18 უნდა შევნიშნოთ, რომ ამ არაკის სიტყვები ორიგინალური არ ჩანს. როგორც აკად. ალ. ბრამიძე მიუთითებს (იხ. მისი: სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1959, გვ. 60), „ლახაკი და ქლა ერბოს“ პაროტიპის შემცველი ძეგლები სულხანის დროს ქართულად ნათარგმნი არ ენა ყოფილიყო (შემდეგში, გვიან, სულხანმა თვითონ გაჩაღა და გააწყო ქაშიფისეული „ქილილა დამანას“ ქართული პქარედი თარგმანი). „მოარულ“ სიტყვებებს სულხან ორბელიანი სპირის გზით ეცნობოდა“.
- 19 გ. ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, თბილისი, 1958, გვ. 67.
- 20 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 458.
- 21 ა. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1959, გვ. 46.
- 22 დ. ლენჯო, „სიბრძნე სიცურისა“-ს სათაურისათვის, „მნათობა“, 1975, № 5, გვ. 158.
- 23 ა. ფრანგოვილი, ადამიანის სულიერი ცხოვრების საკითხი აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში (სულხან-საბა ორბელიანის წიგნის „სიბრძნე სიცურისა“ მიხედვით), „ესპეროლოგია“, ტომი XI, 1957, გვ. 45.
- 24 ბ. ბელინსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თბილისი, 1949, გვ. 236.

Д. Д. ДГЕБУАДЗЕ

## О САТИРИЧЕСКОМ ПОТОКЕ В ПРОИЗВЕДЕНИИ С.-С. ОРБЕЛИАНИ «О МУДРОСТИ ВЫМЫСЛА»

### Резюме

В статье показано, что сатирико-юмористический подход к событиям является одной из стилистических особенностей творчества С.-С. Орбелиани.

Сатира писателя характеризуется глубиной, и, вместе с тем, смех и смешное своеобразно осмыслены как эстетическая категория. Её сатира не отличается конкретизацией персонажей и законченным представлением окружающего мира героев в сатирических тонах. В большей части притчей положительное всегда берет верх над отрицательным, что приносит читателю внутреннее удовлетворение.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა  
წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ



ილია მანისურაძე

## ქართული „გეოგრაფიული“ გვარსახელები

ქართულ გვარსახელთა ფონდში ერთ-ერთ სემანტიკურ ჯგუფს გეოგრაფიულ სახელებზე დაყარებული ერთეულები ქვნიან. მათ ჩვენ პირობითად გეოგრაფიულნი ვუწოდებთ<sup>1</sup>. ისინი საგვაროვნო კოლექტივთა აღრიხდელ საცხოვრებელ პუნქტებზე მიუთითებენ და სადაურობას აღნიშნავენ. ამგვარ გვარსახელთა რიცხვი საკმაოდ დიდია. მათ წარმოშობას, როგორც ფაქტობრივ მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, სხვადასხვა გარემოება აპირობებდა: პირველ ყოვლისა კი — მოსახლეთა ადგილმონაცვლეობა. ამ საფუძველზე მიღებული გვარსახელები, უნდა ვიფიქროთ, მეორეულია: ირკვევა, რამათ მატარებელ ადამიანებს სხვა გვარი ჰქონდათ, უმთავრესად გენეალოგიური (შთაშომავლობითი), მაგრამ საცხოვრისის შეცვლასთან დაკავშირებულ ახალი მიიღეს; ამასთან მასში ძველი სამოსახლო ადგილის სახელი ჩააქვეყნეს, პირვანდელი საგვაროვნო სახელი კი, უმეტესწილად, დავიწყებას მისცეს. შენეკრებლობითი მუშაობის პროცესში ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაქტის კონსტანტირება მოგვიხდა გეოგრაფიულ გვართა წარმომადგენლებს: ხსოვნაში აღრიხდელი (პირველადი) გვარის შემორჩენისა. გადმოცემის ნაწილად, მაგალითად, **აღლემიშვილი**, რომელიც ფუძეში სოფელ ალსახელებს, ძველად ნოჯანში ყოფილა და ჯავახეთში გადასახლებულა. ასევე **ქიზიყელაშვილითა** ძველი გვარი **ლაჯარაშვილი** ყოფილა, **მურჯიენელითა** — **ბაზლიძე**, **მუსხელიძეებისა** — **ოქრომელიძე**, **ჭიორელითა** — **რეხვიაშვილი**, **ოყხელითა** — **მანანაშვილი**; მაგრამ ჩვენთვის ცნობილი არ არის, წინათ რა გვარისანი იყვნენ, ვთქვათ, **ბაშელინი** (სოფელ ბაშიდან წამოსულნი) **გრაკელინი** (გრაკლიდან), **კორსაველინი** (კორსევიდან), **მათურელინი** (მათურიდან), **მოხლოკელინი** (მოხლოკიდან) და სხვ<sup>2</sup>. (საგანგებო გამოკითხვისა და გამოძიების შედეგად სავსებით შესაძლებელია ამ გვარების წარმომადგენელთა პირველადი გვარებიც დადგინდეს).

გვაქვს გეოგრაფიულ გვარსახელთა კიდევ ერთი განსაკუთრებული ფენა: რომლის წარმოშობა მიგრაციით არ არის განსაზღვრული. ისინი ძველად ზეგწოდებათა სახით იყვნენ წარმოდგენილნი და ფეოდალურ ხანაში საშოსახლო პუნქტების, მხარეების, სამეფო, სათავადო ან სააზნაურო ადგილ-მამულებს ციხეების მფლობელობა-კუთვნილებასა და მათ გამგებლობას აღნიშნავენ. ბევრი მათგანი ამავე დროს სამხედრო ან პოლიტიკური თანამდებობის ტიტულის მინებადაც იქცეოდა, როგორც, მაგალითად, **გაგელი**, **გურიელი**, **თორელი**, **თმოგველი**, **თუხარელი**, **მუხრანელი**, **ტაოსკარელი**, **ციხისჯვარელი**, **წიჭკაღელი**, **ჩაყელი**... მათვე მიეკუთვნებოდა უმაღლეს სასულიერო წოდებათა გამომხატველი ტერმინები: **აღავერდელი**, **გარეჯელი**, **ზედაზნელი**, **იყალთოელი**, **კუმურდოელი**, **მარტყოფელი**, **მაწყვერელი**, **შროველი**, **მღვიმელი**, **პარხელი**, **არუსთველი**, **სამთავენელი**, **საფარელი**, **ტბელი**, **ქუთათელი**, **წილკნელი**, **სრქაშენელი**... ფორმის მხრივ მათ რიცხვშივე უნდა მოვაქციოთ აგრეთვე ჩვენ ძველი მწერალ-მოღვაწეებისა და კულტურის გამოჩენილ პირთა სადაურობა.

მაჩვენებელი მსაზღვრელ-ზედწოდებანი, რომლებიც საკუთარ სახელთა დანართად გვევლინებიან და წარმომავლობას ან მოღვაწეობის ადგილზე მიუთითებენ (ისინი ფუნქციურად შეიძლება თანამედროვე ფსევდონიმებს გავუტოლოთ). ასეთებია: **ანჩელი** (იოანე ანჩელი), **კარსნელი** (ლონგინოზ კარსნელი), **მთაწმინდელი** (გიორგი, იოანე, ევთიმე მთაწმინდელები); **ცურტაველი**, **რუსთაველი**, **ხანძოელი**, **ოპიზარი**...<sup>3</sup>

ამ შაჯალფეროვან ზედწოდებათაგან ზოგი შერჩა შთაპომავლობას და ოფიციალური გეარსახელის დანიშნულება მიიღო, სხვანაირად რომ ვთქვათ, საღურთა-მფლობელობისა და გეოგრაფიულ სახელებთან დაკავშირებული თანამდებობრივი იერაოქიის გამომხატველი ტერმინები მათ მატარებლებს, როგორც უკვლად აშობდნენ, „გუგუგუარდათ“. თანამედროვე გეარსახელთაგან ამთი ნიმუშებია: **ანელი**, **გაგელი**, **თორელი**, **თხინვალელი**, **მუხრანელი**, **ცაგარელი** (ცაგერელი), **ხარკაშნელი** და სხვ.

სად და როდის იქცნენ სადაურობის მსაზღვრელი სიტყვები და ფეოდალურ-იერარქიული შინაარსის ტერმინები მყარ, მემკვიდრეობით გეარსახელებად, ამის გარკვევა ცალკეულ შემთხვევებში ჰაისტორიო საბუთების შესწავლითა და სათანადო კვლევა-ძიებით გახდება შესაძლებელი.

გეოგრაფიულ გეარსახელთა ფუძეები წარმოქმნილია ქართველური ენებისათვის ცნობილი წარმომავლობის შემდეგი ფორმანტებით: **-ელი**, **-ური**, **-არი**, **-მელი**.

ამასთანავე, ამ ლექსიკურ მიკროსისტემაში ორი ძირითადი ტიპი გამოიყოფა. I. საგვაროვნო სუფიქსებით გაფორმებულნი და II. უსუფიქსაციო ერთეულები. რომელთაც არა აქვთ დართული სპეციალური მორფემები. პირველი ტიპის ერთეულებში სიხშირის მხრივ გამოირჩევა **-ელი** სუფიქსიანი ფაქტები. მათში ტიპოლოგიურად ორგვარი მოდელი გაირჩევა: 1. ტოპონიმიდან წარმოქმნილი სადაურობის სიტყვა უცვლელადაა წარმოდგენილი (**ზონელი** — ზონელისძე, ფუძე: ზონელ). 2. სადაურობის სიტყვა ა სუფიქსითაა წარმოები (**მუსხელაძე** — მუსხელას ძე, ფუძე: მუსხელა).

ამ ორი მოდელის ნიმუშები, დღეს სემანტიკურად ნეიტრალურნი, დიპქრონიულ ასპექტში სხვაობენ. საქმე ის არის, რომ ძველ ქართულზე დაკვირვება სადაურობის გამომხატველი ლექსემების საკუთარ სახელთა სემანტიკურ სისტემაში გადასვლის საყურადღებო ტენდენციას გვიჩვენებს. ძველი ტექსტების მიხედვით საკუთარი სახელებია: **ბირთველი** (ბირთველი, ბირთვისიდან), **ლარგველი** (ლარგვისიდან), **თორელი** (თორიდან), **ფავნელი** (ფავნისიდან); ხალხური გაღმოცეპის თანახმად, შოთა რუსთაველის მამას **ჩახრახელი** ერქვა, ჩახრახი კი სამცხეში ცნობილი ტოპონიმი — სამოვრებით მდიდარ მთას ეწოდება<sup>4</sup>.

ამგვარად, სადაურობის სიტყვებში ანთროპონიმიზაციის პროცესს ფართოდ გაუკავავს გზა და შემდგომ გრამატიკულად ფიქსირებულა: ანთროპონიმს ა სუფიქსი დაურთავს. ამ სუფიქსს ჩვენ მაკერძობელს ვუწოდებთ, რადგან მისი ფუნქცია ამ შემთხვევაში, გარდა კინობიოზობის გამოსატყვისა, ისიც არის, რომ საზოგადო არსებით სახელს საკუთარ სახელად აქცევს (შდრ. ხა-ი და ხარა, რომელიც წარმოდგენილია გვარში **ხარაძე**, მგელი და მგელი — **მგელაძე**, ფოცხვერ-ი და ფოცხვერა — **ფოცხვერაშვილი**, ქათამი და ქათამა — **ქათამაძე**).

ამის შედეგია, რომ ანთროპონიმიზებული სადაფრობის სიტყვა გორელ გორელად მოგვევლინა, გრემელი — გრემელად, ოკრიბელი — ოკრიბელად, ქუთათელი — ქუთათელად, ხერკელი — ხერკელად, ხრამელი — ხრამელად და მათ წარმოქმნეს სათანადო გვარსახელები: გორელაშვილი, გრემელაშვილი, ოკრიბელაშვილი. ქუთათელაძე, ხერკელაშვილი, ხრამელაშვილი. სურათის ნათელსაყოფად აქ ცალ-ცალკე წარმოვადგინებ - ელ სუფიქსიან გეოგრაფიულ გვარსახელთა როგორც პირველ, ისე მეორე მოდელის მაგალიტებს (ფრჩხილებში გეოგრაფიული პუნქტებია აღნიშნული).

1. უცვლელი ტოპონიმიკური ფუძეების შემცველი. ა) ძე-ზე დაბოლოებულნი: აცანელიძე (აცანა, ლანჩხუთის რ.), ბარდაველიძე (ბარდავი, ისტორიული ქალაქი რანში, აზერბ. სსრ), ბრელიძე (ბრეთი, ქარელის რ.), გარბანელიძე (გარბანი, ყაზბეგის რ.), გუჭარელიძე (გუჭარეთი, ბორჯომის რ.), კაუთელიძე (კაუთა, ნასოფლარი, ყაზბეგის რ., შდრ. კეთისხევი), ლესელიძე (ლესა, ლანჩხუთის რ.), მალაკელიძე (მალაკი, წყალტუბოს რ-ნი), ოდიშელიძე (ოდიში), ორაგველიძე (ორაგვე, სოფ. ლანჩხუთის რ.), ქემერტელიძე (ქემერტი, ცხინვალის რ.), ჭაგნელიძე (ჭაგანი, სამტრედიის რ.), ხონელიძე (ხონი).

ბ) შვილ-ზე დაბოლოებულნი: ალელიშვილი (ალი, სოფ. ხაშურის ო.), ბოგველიშვილი (ბოგვი, თეთრი წყაროს რ.), დაღელიშვილი (დაღეთი, იზევ რაიონში), ვაყელაშვილი (ვაყა, ხაშურის რ.), მანგლელიშვილი (მანგლისი, თეთრი წყაროს რ.), მუსხელიშვილი (მუსხი, ახალციხის რ.), ფხოველიშვილი (ფხოვი), ყარსელიშვილი (ყარსი, იგივე კარი, ისტორიულ მესხეთში), ჭარელიშვილი (ჭარი, ისტორიული პროვინცია საინგილოში).

2. ა სუფიქსით წარმოქმნილ-ფუძიანები. ა) ძე-ზე დაბოლოებულნი. ბანძელიძე (ბანძა, გეგეჭკორის რ.), გორდელიძე (გორდი, წულუკიძის რ.), კეხელიძე (კეხეთი, გარდაბნის რ.), მუსხელიძე (მუსხი, ახალციხის რ.).

ბ) შვილ-ზე დაბოლოებულნი: არახველაშვილი (არახვეთი, დუშეთის რ.), ასპინძელაშვილი (ასპინძა), გორელაშვილი (გორი), გრემელაშვილი (გრემი, თელავის რ.), ეგრიხელაშვილი (ეგრისი), ზიარელაშვილი (ზიარეთი, სოფ. ისტორიულ მესხეთში), კარბელაშვილი (კარბი, გორის რ.), ოკრიბელაშვილი (ოკრიბა, კუთხე ზემო იმერეთში), ოძელაშვილი (ოძისი, დუშეთის რ.), ულუმბელაშვილი (ულუმბა, ხაშურის რ.), ყირიმელაშვილი (ყირიმი), ძეგველაშვილი (ძეგვი, მცხეთის რ.), ხერკელაშვილი (ხერკი, ისტორიული კუთხე, საგურამო), ხრამელაშვილი (ხრამი, ხეობა)...

საგულისხმო შენიშვნებსა და ვარაუდებს იწვევენ გეოგრაფიულ სახელთა ფუძეებზე დაყარებული სხვა გვარსახელებიც:

ა) ზოგ მათგანში - ელ ფორმანტის ნაცვლად - ურ გვხვდება. ესენია: თელაურიძე, კახურაშვილი, ქიზიყურაშვილი. აქ თელაური ფუნქციურად თელაველს უდრის, კახურა და ქიზიყურა კი — კახელსა და ქიზიყელს. ფორმანტთა ეს მონაცვლეობა, ე. ი. ადამიანის სადაფრობის გამომხატვა ნივთის სადაფრობის მაწარმოებლით, რაც აღრინდელი ვითარების გამოშხატეულია. აღმოჩნდა საქართველოს დიალექტურ მეტყველებაში ცნობილია<sup>5</sup>. იგი ტექსტშიც არის დადასტურებული<sup>6</sup>.

ბ) ფონეტიკური ცვლილება განუცდია ფავლენიშვილს. მისი ფუძე დღეს — ფავლენს გვიჩვენებს, ძველ დოკუმენტებში კი ფავნელ-ი გვხვდება. იგი

სკუთარ სახელადაც გვევლინება (მაგალითად, ფვენელ უჭარმელი)? თუმცა ელ სუფიქსით ნაწარმოები სადაურობის სიტყვაა, ჰილებული სოფლის სახელისაგან ფაენისი (ფაენისი დღეს ნასოფლარია კასპის რაიონში, ახალქალაქის ჩრდილოეთით), წყაროებში ზოგან ფაენელიშვილა ნახსენებია, ზოგან კი ფაენიშვილი. ამგვარად, აქ დასტურდება ნ და ლ თანხმოვნების მეტათეზისი: ფაენელიშვილი — ფაენიშვილი.

გ) კლარჯეთიშვილის პირველ სახელ კლარჯელიშვილია სავარაუდებელი. აქ ზმოენთაშორისი ლ დაკარგულია. ანალოგიურია ცაგარეიშვილი და ათანეიშვილი (პარალელურად იხმარება ათანელიშვილიც), ამ უკანასკნელში ლს გარდა ბირისეული რ-ც უნდა იყოს გაუჩინარებულა. მისი ფუძის არქეტიპი \*ართანელ-ი, სოფლის სახელს ართანას (თელავის რ.) უნდა უკავშირდებოდეს: ართანელიშვილი—ათანელიშვილი—ათანეიშვილი. ამავე მოდელს გვიჩვენებს ყუბანეიშვილიც, თუკი მის შინაარსს გაამართლებს რეალურ-სტორიული ფაქტი<sup>9</sup>.

ამავე რიგში უნდა ვიგულოთ ბეთანიშვილი, რომლის ფუძეში მთლიანი ელ ფორმანტია დაკარგული: ბეთანიშვილი—ბეთანლიშვილი—ბეთანიშვილი. ეს გეარსახელი ტოპონიმ ბეთანიაზე მიგვიოთავებს. საყურადღებოა, რომ ბეთანიშვილთა სავკარეულოს ზოგი წარმომადგენელა ბეთანელადაც იწერება<sup>10</sup>.

დ) აქარის ცნობილი გეოგრაფიული სახელი ხელო უნდა იყოს ჩაქსოვილი ზულელიძე-ში. აქ ტოპონიმის ბოლოსმოვანი ო მოკვეცილად გვევლინება: ზულელიძე—ზულელიძე.

ე) პარტუე მოვლენა -ელ სუფიქსისეული -ე ზმოენის დაკარგვას სავარაუდებელი ხანდოლიშვილ-ში. ხანდოს სახელწოდებით ცნობილია. სოფლები ახალქალაქისა და დუშეთის რაიონებში (ამ უკანასკნელში არის ხანდოსხევიც). ასე, რომ, ამ გეარსახელის წინარე სახელ ხანდოლიშვილი გვესახება: რევე, როგორც შესაძლებელია არბოლიშვილიც არბოელიშვილისაგან მომდინარეობდეს<sup>11</sup>.

ვ) გეოგრაფიულ გეარსახელად უნდა ვცნოთ აგრეთვე დარსაველიძე, რომელიც სტრუქტურულად ბარდაველიძის იდენტურია, ორივე ფუძე ავ ტოპოფორმანტით არის წარმოქმნილი. მათი ტიპის ერთეულები კი მწელად საბოვნელი არ არის ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში: ზოდავი, ვარგავი, ზანავი, თელავი, კორსავი (შდრ. კორსაველი), ცურტავი...

ზ) დარსაველიძის გვერდით დგას ხაჭაველიძეც. პირველი ამათგანი \*დარსავის სამოსახლო პუნქტად არსებობას გეავარაუდებინებს, მეორე — \*ხაჭავისას, ისევე, როგორც კანწაველიც გვაფიქრებინებს \*კანწავის ტოპონიმობას. ამ მხრივ ცალკე დაკვირვებისა და შესწავლის ღიხსნი არიან აგრეთვე სხვა სახის ელ-ბოლოსართიან ფუძეთა შემცველი გეარსახელებიც: ზორბო-ველიძე (სავარაუდოდ ტოპონიმი \*ზორბომი, შდრ. ბორჯომი, ღორჯომი, თორთომი), გოდაბრელიძე (\*გოდაბარი, გუდაბარი), ტოროშელიძე (—ტოროშე-ლიძე, ტოლოში სოფელია ასპინძის რაიონში), ტაველიძე, ვარახანიელიძე, ქიველიძე, (შდრ. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში — ქოეთი), ოზბეთე-ლიშვილი (ოზბეთი), ჩიხელიძე (შდრ. ჩიხა, სოფელი საჩხერის რაიონში)...

ჩამოთვლილ გეარსახელთა წარმომობაზე ვარაუდებით მსჯელობა ერთი ლაშვილი (ოზბეთი), ჩიხელიძე (შდრ. ჩიხა, სოფელი საჩხერის რაიონში)...

მკვლევარი იმის გამო, რომ ელ-ფორმანტი ორფუნქციანია (სადაურობს გარდა კნინობითობასაც გამოხატავს), დაბრკოლებას აწყდება. ძნელდება სემანტიკური ტიპის დადგენა. ასე, მაგალითად, ვარძელაშვილში ვარძელკნინობითი საკუთარი სახელის ფორმა ჩანს (ვარძელ-ა), ვარძ-ი რომ საკუთარი სახელი ყოფილა. ამაზე მიგვითითებს მისი სხვა დერივატებიც: ვარძელ-ა (შემონახული ვარძელაშვილში, ვარძია (ვარძიაშვილში) და რთული ფუძე ვარძიგულა (ვარძიგულაშვილში), მაგრამ იგივე ფუძე სადაურობს მაჩვენებელ სიტყვადაც შეგვეძლო მიგვეჩნია — ვარძიელა (ვარძიის მკვიდრი), მით უფრო, რომ არსებობს გვარსახელი ვარძიელიც. ასევე ქვათელაძე ეპონიმურ გვარსახელად მივიჩნევდით, თუ გავითვალისწინებდით, რომ ქვათ: საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო, რასაც გვაფიქრებინებს ქვათაძის არსებობა. ამ შემთხვევაში ქვათელა წარმოქმნილი სახეობა იქნებოდა ქვათა-ს (ქვათა+ელ-ა), მაგრამ არის სოფლის სახელი ქვაითიც (გეგუქკორის რ.) ამიტომ ჩნდება ვარაუდი ქვათელას წარმოშობისა ქვაითელა-საგან, იგივე ითქმის ჩიხელიძის, კოხონელიძის, ერგემიძის, კოშკელიძის, ნოხელიძის, ზედეელიძისა და ვათ მსგავსთა შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია იმ სახელთა და გვარსახელთა ნიმუშები, რომელთა საწარმოებლად მ—ელ ფორმანტებია გამოყენებული. ესენია მახანძელ, მგვებელ, მაწყვერელ, მროველ ტიპის ვინაობა-სადაურობის სიტყვები<sup>11</sup>.

ანალოგიური სტრუქტურისაა თანამედროვე გვარსახელები მაჩაბელ, მებრეველი, მარადელი<sup>12</sup>. მათ შეიძლება დამატოს მატაბელი (სავარაუდო ტოპონიმიდან \*ატაბა) და მარანელი სოფლის სახელისაგან არანისი<sup>13</sup> (თუ მს. ელ-სუფიქსიანი სადაურობის სიტყვა არ უდევს საფუძვლად და სოფლის სახელს მარანას არ უკავშირდება. პირველი შემთხვევისათვის სიტყვა ასე იქნება მ-არან-ელ-ი, მეორისათვის — მარან-ელ-ი), და შეიძლება მრელაშვილიც. თუ ეს დასაშვებია, მაშინ მრელა მერელა-საგან უნდა ვივარაუდოთ მიღებულად, მისი აგებულება კი ასე დავესახებოდა: მ-ერ-ელ-ა. მასში ძირეულ ტოპონიმად ერეთი, ერეთა თუ ჰერეთი უნდა გვეგულვებინა.

არ სუფიქსით წარმოებულ გვარსახელთა ტიპობრივ ერთეულად ხოტავარი უნდა ჩაითვალოს. რაც ხოტევე სოფლის სახელისაგან იღებს სათავეს (ამბროლაურის რ.). მის პირველსახედ ნაგულისხმევ ხოტევარში ე ხმოვნის დეფორმებაა აღსანიშნავი: ხოტევარი — ხოტივარი.

მეორე რიგის (უსუფიქსაციო) გეოგრაფიული გვარსახელები სპეციალურ პატრონიმიულ დაბოლოებას არ ირთავენ და არსებითად გვარსახელებად ქცეულ სადაურობის აღმნიშვნელ სიტყვებს წარმოადგენენ. მათი ნიმუშებია: ავაზნელი (ავაზანი, ისტორიული სოფელი ტაო-კლარჯეთში ანატორელს (ანატორი — ნასოფლარი, ხევსურეთში), ახატნელი (ახატანი სოფ. დუშეთის რ.), ბაშელი (ბაში, სოფ. ზუგდიდის რ.), ბელაქნელი (ბელაქანი, სოფ. საინგილოში, აზერბ. სსრ), ბირთველი (ბირთვისი, ციხე-სიმაგრე, თეთრი წყაროს რ.), გოკიელი (გოკია სოფ. ჭავჭავთში), გომართელი (გომართი, სოფ. დამბისის რ.), დგვარელი (დგვარი, სოფ. ბორჯომის რ. შტრ. დგერისი, სოფ. ცხინვალის რ.), ვარდიგორელი, (ვარდაგორი თერჯოლის რ.) ზანდუკელი (ზანდუკ სოფ. მთიულეთში), თუხარელი (თუხარისი, დაბა, ციხე-სიმაგრე ტაო-კლარჯეთში), კოდელი (კოდა, სოფ. თეთრი წყაროს რ.), კორიშელი (კორში, კო-

რიშა. სოფ. ხევსურეთში), **კორხელი** (კორხი, სოფ. ჯავახეთში), **ლიჩელი** (ლიჩი, სოფ. საჩხერის რ.), **მათურელი** (მათურა, ნასოფლარი ხევსურეთში), **მინდელი** (მინდა, სოფ. აქარაში, შდრ. მინდაციხე რაჭაში), **ნაბახტვეელი** (ნაბახტვეი, სოფ. ხანურის რ.), **ოკოშნელი** (ოკოშანი, ნასოფლარი სოფ. ნინოწმინდასთან. საგარეჯოს რ.), **ოცხელი** (ოცხე, ძველი ოძრხე. ოძრახე, დღევანდელი კურორტი აბასთუმანი, აღიგენის რ.), **საჩალელი** (სოფ. საჩალე, ახმეტის რ., აგრეთვე სოფ. საჩალისი, დუშეთის რ.), **სრესელა-სლესელი** (სლესა, ნასოფლარი, ციხე-სიმაგრე, ახალციხის რ.), **სხვაველი** (სხვაეა, სოფ. რაჭაში), **ქსოვრელი** (ქსოვრისი, სოფ. მცხეთის რ., ქსოვრეთი, თეთრი წყაროს რ.) **ყანჩაველი** (ყანჩავეთი სოფ. ლენინგორის რ.), **ჭირიელი** (ჭირო, სოფ. ხევსურეთში), **წერეთელი** (წერეთი, სოფ. გორის რ.) **ხირხელი** (ხირხა, ტაძარი, სიღნაღის რ.), **ხინველი** (ხინოელი, ხინო, სოფ. აქარაში) **ხორხელი** (ხორხი, სოფ. ფშავეში) და მრავალი სხვ.

აქ ყურადღებას იპყრობს გარეგნულად სახეცვლილი რამდენიმე გეარსახელი, რომელთა პირვანდელი ფორმის დასადგენად გასათვალისწინებელია მათ ფუძეებში რელიგოზური ფონეტიკური პროცესები:

ა) **ხინველის** საფუძვლად ჩანს ხინო (სოფ. ქობულეთის რ.), რომელშიც ო ხმოვანს -ელ ფორმანტთან შეხვედრისას ნაწილობრივი კუმშვა განუცდია: **ხინოელი**—**ხინველი**.

ბ) **სრესელა**-ში საფუძვლებელია რ-ს ღ-სთან შენაცვლება დისიმილაციის გზით: **სლესელი**—**სრესელი**<sup>14</sup>.

გ) ე ხმოვნის რედუქციასთან უნდა გვეკონდეს საქმე გეარსახელ **ერდელა**-ში, რომელსაც საფუძვლად უნდა ედოს სოფლის სახელი **ერედა** (მცხეთის რ.): **ერედელი** → **ერდელი**.

დ) ორი ფონეტიკური პროცესი — ბ-ს ჩამატება და რ-ს წინ ვ-ს დაკარგვა დასტურდება **ხიზაზბარელა**-ში, რომელიც ხიზაზბარელისაგან წარმომდგარა (ხიზაზბარა სოფელია ასპინძის რაიონში) — ამგვარად: ხიზაზბარელი → ხიზაზბარელი. სახეცვლა ჭარბი დიალექტის წიაღში უნდა მომხდარიყო, რასაც მხარს უჭერს ზეპირი გადმოცემაც, რომლის მიხედვით ხიზაზბარიდან გ. სააკაძის დროს ნოსტრეში ვინმე გიორგი ჩამოსახლებულა და ფალავნობით სახელი გაუთქვამს<sup>15</sup>. ამასვე ამტკიცებს ხიზაზბარელისა და ხიზაზბარელის პარალელური ხმარებაც<sup>16</sup>.

ე) კომპონიტურ-ფუფიანია **რიმნისთაველი**, რომელიც მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილედგან მიმდინარეობს — რიმნის თავი, მისი პირველი კომპონენტი, როგორც ეს აქად. აკაკი შანიძემ შენიშნა, წარმომდგარია მდინარე რიონის სახელწოდებისაგან, კერძოდ, მისი ნათესაობითი (ნაწილობრივად შეეკუმშული) ფორმისაგან **რიონის**, სადაც ვ-ს მ შენაცვლებია (რიონის → რიმნის)<sup>17</sup>. რიმნისთაველში (ძველად რეხეიაშვილები) რიონის სათავეში მდებარე სოფელ რიმნისთავიდან გადმოსახლებულან იმერეთში (ეს სოფელი დღეს აღარ არსებობს).

უსუფიქსაციო გეოგრაფიულ გეარსახელთა სტრუქტურულ მოდელს გვიჩვენებს კიდევ ბევრი სხვა პატრონიმიული ერთეული, რომელთა ფუძემდებელი ტოპონიმება დღესდღეობით უცნობია. მათ რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ: **ამაღლობელი** (და არა ამაღლებელი, ამაღლება სოფელია ვანის რაიონში), **ბოტკოველი**, **გავაშელი**, **დიდებელი** **კანწაველი**, **კახარელი**, **კაშელი**, **კეწელი**.

კვეზერელი, კოზელი, კორჩინელი, ლახარელი, ლეშაშელი, ნაპირელი, ოსკოპელი, ოშხერელი, სხიერელი, ყანჩელი, ყურელი, ჩაღყენელი, ჩხენცელი, ციხისელი, ძაგანელი, ხაბარელი, ხანდაველი, ხეთერელი, ხიდაშელი...

<sup>1</sup> ი. შაიხურაძე, ქართულ გეოგრაფიულ კლასიფიკაციისათვის, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1965, გვ. 30. მისივე, ონომასტიკის სამყაროში. „მნათობი“, 1978, № 1, გვ. 173, 174.

<sup>2</sup> საილუსტრაციო მავალითები ამოკრებილია ავტორის მიერ შედგენილ პატრონომა ლექსიკონიდან — „თანამედროვე ქართული გეოგრაფიული“ (ჭლნაწერი შრომა).

<sup>3</sup> ფეოდალური ხანის გეოგრაფიულ სახელთაგან მრეხველ ქართულ ზედწოდებათა მიმოხილვას პროფ. პ. არაჩანი სპეციალურ თავს უძღვნის თავის ერთ-ერთ გამოკვლევებაში. ავტორი ერთი შეხედვით ასხვავებს საერთო დიდებულთა და სასულიერო თანამდებობის პირთა ზედწოდებებს (მისი ტერმინით „გეოგრაფიული“) წარმოქმნის პროცესს. იხ. პროფ. არაჩანი, ეფემერული თემატიკის და მისი ავტორი, თბ., 1975, გვ. 16—24.

<sup>4</sup> ი. შაიხურაძე, მსალეები სამცხის ტოპონიმებიდან. ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. მე-17. თბ., 1963.

<sup>5</sup> ა. შაიხურაძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 129.

<sup>6</sup> ა. ჩიქობავა, ვარკეთილი დოლექტოლოგიურად. არქივ. ტფ., 1925, გვ. 77.

<sup>7</sup> თ. ეორდანიანი, ქრონიკები, I, გვ. 87.

<sup>8</sup> პროფ. ს. ყუბანიშვილმა გვაცნობა, რომ მდებარე სოლომონ მგორს მცირე გაცემულ სრულზე ეს გეოგრაფიული სახელია როგორც ყუბანიშვილი. ამ შემთხვევაში გეოგრაფიული გრამატიკული გეოგრაფიული სახელია ყუბანიანი ნაყვალ ყუბანიანი გვესახება.

<sup>9</sup> ი. შაიხურაძე, მიხეილ მეთანიშვილი, „მნათობი“, 1970, № 7, გვ. 165—173.

<sup>10</sup> მისივე, საიდან მოდის ქართული გეოგრაფიული? გზ. „კომუნისტ“, № 189, 27. VIII. 1974.

<sup>11</sup> ა. შაიხურაძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 127.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> არანისი დღეშეთის რაიონშია. ხოლო მარანი — ახალის რაიონში.

<sup>14</sup> სლესა მოხსენებელია ისტორიულ წყაროებშიც. იხ. მაგალითად. ს. ჩიქობავა, გურჯისტანის ეოლოგიის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 144 და სხვ. აქედანვეა წარმოქმნილი ძველი გეოგრაფიული სახელი.

<sup>15</sup> მ. ელიქანიანი, ხობაბერის მეგობარი, თბ., 1964, გვ. 27, 28.

<sup>16</sup> „ივერია“, № 183, 1888.

<sup>17</sup> ა. შაიხურაძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 66.

## И. Ш. ШАИХУРАДЗЕ

### ГРУЗИНСКИЕ «ГЕОГРАФИЧЕСКИЕ» ФАМИЛИИ

В труде охарактеризованы грузинские фамилии одной семантической группы, классифицированные автором как «географические». В основу таких фамилий положены географические названия, в силу чего они являются вторичными фамилиями. Их появление обусловлено разными причинами, но, главным образом, переселением народа. В связи с переселением люди принимали новые фамилии, в которых топонимически отразились названия мест, откуда они прибыли.

Основы «географических» фамилий образованы известными в картвельских языках формантами: -ელ, -ურ, -არ, მ-ელ (-el, -ur, -ar, m-el). В них можно выделить два основных типа: 1. образованные фамилиями сuffixами: ოდიშელიძე, მუსხელიშვილი, თელაურიძე, ჯიზურაშვილი, ოდიშანია, მაჩაბლიშვილი (Odişelîze, Mushelîşvili, Telaurîze, Kizikuraşvili, Odişaria, Maçablîşvili); 2. Suffixационные: გოკელი, თუხარელი, მათურელი, მაჩაბელი (Gokeli, Tuhareli, Matureli, Maçabeli) и др. Для анализа семантики и структуры фамилии оных в труде представлен фактический материал с соответствующими выводами.

ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურამა

აკაკი შანიძე

Академик АН Грузинской ССР

## НОВО ОТКРЫТЫЕ НАДПИСИ В БОЛГАРИИ


Об имеющихся в Болгарии грузинских надписях я писал в статье «Грузинские надписи в Болгарии», данной в приложении к моему исследованию «Грузинский монастырь в Болгарии и его типик. Грузинская редакция типика» (Тбилиси, 1971, стр. 353—368).

В прошлом (1977) году я получил 3 фотоснимка новооткрытых надписей, находящихся в Болгарии, но без указания места, где они именно находятся и на каком здании.

Надписи сделаны церковным алфавитом хуцури, в котором наряду с главными буквами употреблены и строчные. Судя по очертанию букв, надписи 14-го века. Имеются сокращения слов.

**Первая надпись.** Она дефектна в начале, состоит из пяти строк, которые с трудом поддаются расшифровке. Здесь читается:

ჰ1 ჟ1  
 ჰ1 ცოტ (?)  
 ჟ1ნ1 (?) ზოც  
 ჟ1ნ1 ჰ0ჟ1ჟ  
 ს1ც



В мхедრულიანი транскрипции надпись как будто читается так:

... ს1 ჟ1ნ1

მე ცოტოცა ჟ1ნ1სა ზომცეს(სე)თ.

Перевод: ... Христе! Меня грешного помяните в молитву.

**Вторая надпись.** Она состоит из двух строк и обрамлена с четырех сторон. Над верхней рамой расположены двенадцать довольно высо-



ალეანო ნიკოლაიშვილი

III სუბიექტური პირის -მს სუფიქსის -(ნ) ენ-ით შეცვლის  
ისტორიისათვის

ძველ ქართულში ზმნის III სუბიექტური პირი მრავლობით რიცხვში ნაპ-  
ყო უსრულსა და სრულში -ეს სუფიქსით აღინიშნებოდა (იგივე სუფიქსი გვექონ-  
და II თურმეობითშიც, სადაც ინვერსიის გამო იგი ობიექტს გამოხატავდა).  
თანამედროვე სალიტერატურო ქართულში -ეს დაბოლოება შერჩათ მხოლოდ  
გარდამავალ ზმნებს ნაპყო სრულში: გააკეთ-ეს, დაწერ-ეს, ჰამ-ეს, ითამაშ-  
ეს და ა. შ. დანარჩენ შემთხვევებში კი მისი ადგილი -ენს სუფიქსმა დაიკი-  
რა. ასე მოუვიდათ, სახელდობრ, ნაპყო სრულში გარდაუვალ ზმნებს, ნაპყო  
უსრულში კი ყველა ზმნას, — გარდამავალსაც და გარდაუვალსაც (ნაპყო უს-  
რულს მისდევს აგრეთვე ზოლმეობითა, რომელიც მხოლოდ ზმნისწინით განსხ-  
ვავდება მისგან და გვიან გამოიყო ცალკე ერთეულად).

ამრიგად, დღეს გვაქვს: ისინი იყვნენ, დაემსგავსნენ, გათბნენ,  
თბებოდნენ, აკეთებდნენ, წერდნენ, ჰამდნენ, და ა. შ. ძველ ქართულში  
კი იყო: იგინი იყვნენ, დაემსგავსნენ, განტყვნენ, ტყვებოდნენ, აკეთებდნენ,  
წერდნენ, ჰამდნენ, და ა. შ.

ცვლილება ძველიდან ახალი ქართულისაკენ გარდამავალ სათუხეუზზე მოს-  
და მაგრამ, სახელდობრ, როდის დაიწყო აღნიშნული პროცესი და საბო-  
ლოდ როდის დასრულდა იგი, ეს საკითხი დღემდე შეუხსწავლელია: „ენს და-  
ბოლოების გავრცელების დეტალები (ქრონოლოგიური საკითხები და სხვ.) გა-  
ზისარკვევია“<sup>1</sup>.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია სწორედ -ეს სუფიქსის (ნ)ენ-ით  
შეცვლის ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა.

ცხადია, ენობრივ ცვლილებათა ქრონოლოგიის კვლევა უნდა დაემყაროს  
პირველ რიგში ისეთ ტექსტებს, რომლებიც დედნის სახით არის ჩვენამდე  
ბრუნებული, ან იმ ნუსხებს, რომლებიც ტექსტის შექმნის მახლობელ ხანებ-  
შია გადაწერილი. მათი მეშვეობით შესაძლებელია რამდენადმე დავაზუსტოთ  
ფრო ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის წარმოშობისა და შევამოწმოთ, რამდენ-  
ხადა დაცული აღრიხდელი ენობრივი ფორმები შემდგომ.

სამწუხაროდ, ძველი ქართული მწერლობის კლასიკური ხანის ისეთი უმ-  
ნიშვნელოვანესი ძეგლები, როგორცაა: „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრანია-  
ნი“, „თაპარიანი“, თვით „ვეფხისტყაოსანი“ და სხვანი, ჩვენამდე შემონახუ-  
ლია მხოლოდ გვიანდელი ხელნაწერებით, რომლებიც რამდენიმე საუკუ-  
ნათა დამორებული მათი შექმნის ეპოქას. კრიტიკული ანალიზის გარეშე შე-  
უძლებელია, რომ ამ ძეგლებში წარმოდგენილი ყველა ფორმა XII—XIII  
საუკუნეთა ენობრივი ვითარების ამსახველად მივიჩნიოთ. მეორე მხრივ, ჩვენ  
ზედარებით მცირე რაოდენობით მოგვეპოვება XIII—XVI საუკუნეებში შექმ-  
ნულ-გადაწერილი სხვა ძეგლებიც და ამიტომ ამ საუკუნეთა ენობრივი ვითარ-  
ების ყოველმხრივ გათვალისწინება გაძნელებულია.

საკვლევად დასახულ მიზნისათვის ჩვენ შევეცადეთ, რამდენადაც ეს შე  
საძლებელი იყო, შეგვემოწმებინა ჩვენამდე მოღწეული ადრინდელი ტექსტები,  
გამოცემული თუ ხელნაწერების სახით დაცული.

როგორც ტექსტების შესწავლამ გვიჩვენა, XV საუკუნემდე გადაწერილი  
ხელნაწერები ჩვენთვის საინტერესო საკითხში იცავენ ძველ ნორმას: მრავ  
ლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად როგორც ნამყო უსრულში  
ისე ნამყო სრულში აქ იხმარება -*ეს* სუფიქსი. -*ეს* სუფიქსი სალიტერატურ  
ენაში თავს იჩენს მხოლოდ XV საუკუნიდან<sup>2</sup>.

უძველესი ხელნაწერი, სადაც -*ეს* სუფიქსი დასტურდება, ესაა „ქართლის  
ცხოვრების“ ანასეული ნუსხა, რომელიც აღმოაჩინა აკად. ი. ჯავახიშვილმა და  
შანვე დაათარქვა იგი 1479—1495 წლებით. ტექსტი მთლიანია სახით  
პირველად გამოცემა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა<sup>3</sup>.

ხელნაწერში ჭუანჭუჭის თხზულების ტექსტი „ცხოვრება და მოქალაქის  
ვახტანგ გორგასლისა“ ერთ ადგილას ასე იკითხება: „და დაჯდა მეფედ ღ  
მისი დაჩი საყდარსა მამისა თუისისასა, ხოლო ცოლი და ორნი ძენი ვახტან  
გისნი წაიყვანნეს სამთა ერისთავთა. დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რ  
მელი მთაყა ვახტანგ. და დასდეს წონდას ქალაქსა, და ზაფხულის და ნაჭ  
რის იყუნაან ობრკეს, და არა ეწოდა მათ მეფედ. არამედ ერისთავთა მთა  
რად, და იყუნენ მორჩილებასა ძმისა მათისა დაჩი მეფისასა“<sup>4</sup>.

მეორე ასეთივე ფორმა გვხვდება იქვე „ქართლის მატიაწეში“: „და თ  
ვახე გეზებოს განცდად ესევეთართა შეწვეწათა ღმრთისა მიმართ. იტილნე  
და განიცადნეთ ურიცხური ჯელის აპყრობანი ღმრთისა მიერნი ამას ღიდსა ბა  
რატს აფხაზთა ზედა მეფესა. რომელნი არავის ზედა მოწვეწულ იყუნენ სხე  
ისა მეფისა“<sup>5</sup>.

დასასრულ, ლაშა გორგის დროინდელი მემატიანის თხზულებაში, რ  
მელიც ანასეულ ნუსხას ბოლოში ერთვის და მხოლოდ ამ ხელნაწერით არ  
ცნობილი, იკითხება: „დაღწუნეს სპარსეთისა ქალაქნი და მარანდი ამოსწყუ  
დეს და ერანის ქუეყანა. ესოდენად სპორესა შინა მივიდნენ, რომელ არ  
თუ სახელი ქართველობისა ისმოდა“<sup>6</sup>.

კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ იყუნენ, მოწვეწულ იყუნენ, მივი  
დნენ ფორმები ნამყო სრულისა და აქ -*ეს* სუფიქსი უდავოდ III სუბიექტურ  
პირის ნიშანია მრავლობით რიცხვში. სხვა ხელნაწერებში, თუმცა იხინი უფ  
რო გვიანდელია, დაცულია ძველი. -*ეს* სუფიქსიანი, ფორმები.

როგორც ჩანს, ანასეული ნუსხის გადაწერს ამ ვრცელ ხელნაწერში რამ  
დენიმე ადგილას გაპარვა ძროინდელი სალიტერატურო ენისათვის უჩვეუ  
ლო, მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში უკვე ფუნქციონირებული -*ეს* სუფიქსიან  
ფორმები: თუმცა ეს ფორმები იმ დროს ცოცხალ მეტყველებაშიც ჯერ კ  
დევ არ უნდა ყოფილიყო საცხებით გაბატონებული. თორემ -*ეს* სუფიქსიან  
ფორმათა იოდენობა ასეთ ვრცელ საერო, ისტორიული ხასიათის ტექსტ  
გაცელებით მეტი იქნებოდა. განსხვავებით საეკლესიოსაგან, სადაც დაბეჭდ  
ბით ცდილობდნენ ხელი ფორმების შენარჩუნებას.

ერთი ასეთივე ფორმა მოიპოვება „შამ-ნამეს“ ქართული თარგმანის პრ  
ზაულ ვერსიაში, რომელიც ფრაგმენტს სახით არის მოღწეული (ლენინგრა  
დის საქარო წიგნთსაცავის ხელნაწერი № 50). როგორც გამოცემელნი აღ  
ნიშნავენ, „იგი გადმოთარგმნილია, ყველა ნიშნებით, არა უგვიანეს მეთხუ-

პეტე საუკუნისა“<sup>7</sup>. ამ ხელნაწერში ვკითხულობთ: „იგი პირპზენი გულისა წაძლებნი მპარინაზ და არნავაზ ახლოს გვერდითა ფარდაგთა შიგან თეთრითა პირითა და გუარითა ფრქვეულსა ზედან წითლითა ჩაგუნდითა შეკაზმულსა ტახტსა ზედან მოკანამულსა სხდენ და მათსა ბედსა სწყევლიდეს, და ზააქს ბესისხლედ ხედვიდეს, მისის შიშითა ბაგესა ვერ შესძრევდეს“ (გვ. 377,3—7). სხდენ აგრეთვე ნამყო სრულის ფორმაა. მის გვერდით იმავე ფრაზაში -ეს სუფიქსიანი რამდენიმე ზმნა გვაქვს ნამყო უსრულის ფორმით.

-ენ სუფიქსიანი ფორმა „სარჩლიდენ“ შეგვხვდა ერთ-ერთ ისტორიულ დოკუმენტში — „სასამართლო გადაწყვეტილებაში ელია ურიაყოფილისა და კოსტანტილეს შორის სასისხლო დეაზზე“, რომელიც მიჩნეულია მე-15 საუკუნის (1446—1465 წწ.) დოკუმენტად. საბუთშია: „სხევას პარტახტებს და ადგილებს სარჩლიდენ ერთმანერთსა და მისი ასრე იქმნას, რაც ბატონსა რამაზისათვის მიეცეს და დაეთვალოს, იმას მპაჟავარიანი ელიაი ნურას ეცილებს...“ და ა. შ. იქვეა: „სხევას ნამეკობრაესა სარჩლიდეს ერთმანერთსა და მისი ასრე იქმნას...“ იმავე საბუთშია: „... სხევას მოსამართლებსა დაკოდილობას ჩივოდენ იქითაც და აქეთაც“...<sup>8</sup>.

XV საუკუნის ხელნაწერებში -ენ სუფიქსიანი ფორმები ჯერჯერობით მეტი ვერ გამოვავლინეთ. ეს ალბათ აიხსნება საერთოდ იმით, რომ ამ ხელნაწერთა უმეტესობა ან სასულიერო ხასიათის, შინაარსითაც და ფორმითაც ლოგოტური, ნაწერებია, ან სამართლის ძეგლებია, რომელნიც, მათი სპეციფიკის გამო, წარსული დროის ფორმებს საერთოდ მცირე რაოდენობით შეიცავენ. ნამყო უსრულისა და სრულის ფორმები, სადაც სუბიექტად III პირია მრავლობით რიცხვში, ამ ძეგლებში ფრიალ იშვიათია და, სადაც კი შეგვხვდა, ყველგან პირის ნიშნად -ეს სუფიქსი გვაქვს.

ჩვენთვის საინტერესო ფორმები სრულიად არ გვხვდება (არც -ეს და არც -ენ სუფიქსიანი) ვაჰანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე წარწერილ ლექსებში, რომლებიც შ. ონიანმა გამოაქვეყნა<sup>9</sup>; არ გვხვდება ეს ფორმები არც „მცირე ქრონიკებში (კინკლოსების ისტორიულ მინაწერებში)“<sup>10</sup>, არც „უღსწორო კარაბადინში“<sup>11</sup>, არც ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინში“<sup>12</sup>, არც „სააქიმო წიგნში“<sup>13</sup> და სხვ.

ამრიგად, XV საუკუნის ხელნაწერებში ჯერჯერობით ვიპოვეთ სულ რამდენიმე -ენ სუფიქსიანი ფორმა: იყუნენ, მოწვენულ იყუნენ, მივიდენ, სხდენ, სარჩლიდენ, ჩივოდენ. ადვილი შესაძლებელია, რომ შემდგომი კვლევა-ძიებით -ენ სუფიქსიანი ფორმები XV საუკუნის ძეგლებში კიდევ გამოვლინდეს.

როგორც ვთქვით, ქართული ენის ძეგლები XVI საუკუნიდანაც მცირე რაოდენობით მოგვეპოვება. მათ დიდ ნაწილს ისევე და ისევე იეროდელური დოკუმენტები წარმოადგენს, სადაც წარსული დროის ზმნური ფორმები ძალზე მცირე რაოდენობით გვხვდება. სახელდობრ, (XVI საუკუნის დოკუმენტებში, რომლებიც შეტანილია „ქართული სამართლის ძეგლების“ სამ ტომში, შეგვხვდა ნამყო უსრულის (ასევე ხოლმეობითის), ნამყო სრულისა და II თურმეობითის სულ 50-ოდე ფორმა. სადაც სუბიექტად წარმოდგენილია მრ. რიცხვის III პირი<sup>14</sup>. ამ ფორმათა დაახლოებით ოთხ მეხუთედში დატულია ძველი ნორმა, ე. ი. სუბიექტური პირის ნიშნად ნახმარია -ეს სუფიქსი: გარდმოვილოდეს (II, 188,34), მოგვიკედებოდეს (III, 353,35). დაპყოლოდეს (IV, 35,34). ირჩოდეს (IV, 12,14; 13,17—27; 14,3; 35, 28; 42,13; 43,26; 46,5;

51,10), იცილებოდეს (IV, 43,30), გვიჩუენებდეს (IV, 43,34), მოვიდეს (II, 205,16; 111, 354,11), გუეაჩნეს (II, 205,19), იუუნეს (II, 205,24; II, 35, 30---31---33: 44, 3—4), იქმნეს (III, 258,37: 353,5), გეერიგებინნეს, გე-საზღურნეს, შეეწირნეს (II, 198, 16), შეეწირნეს (III, 266, 25), დაემტკიცეს (III, 266,26) და სხვ.

საპირისპირო სურათია სულ ათიოდე მაგალითში, სადაც -ენ სუფიქს-გვაქვს: მისცემდენ (II, 152,15), მოქმედებდენ (II, 152,24), განხსნიდენ (II, 155,12), სარჩლიდენ (IV, 47, 36), შეისარჩლენ (IV, 41,25). იყვნენ: (III, 250,10), იუუნენ, ყოფილიყუნენ (II, 231,3)...

XVI საუკუნის მხოლოდ ორი საბუთია წარმოდგენილი „დოკუმენტებში: თბილისის ისტორიისათვის“<sup>15</sup>. ამათგან ერთში ჩვენთვის საინტერესო ფორმები სრულიად არ გვხვდება, მეორე კი (სითარხნის წიგნი, მოცემული ლუარსაბ მეფისაგან ტფილელის ყმებისადმი 1540 წ.) შეიცავს ნამყო სრულისა და II თურმეობითის თითო ფორმას, სადაც III სუბ. პირი მრ. რიცხვში დგას. ამათგან ნამყო სრულის ფორმა -ნენ სუფიქსიანია: იყუნენ (გვ. 8). II თურმეობითისა კი -ეს სუფიქსიანია: განგუეთავისუფლნეს (იქვე).

ენ-იანი ფორმაა ფიქსირებული „ქართლის ცხოვრების“ XVI საუკუნის ხელნაწერში, ქალაშვილისეულ ნუსხაში: „[ქაოსს] ეწიენ დიდნი იგი გმირნი და დაუმტკიცეს განზრახვა იგი და გან[უ]დგეს ნებროთა და არღარა მსცეს ხარკი“<sup>16</sup>.

-ეს და -ენ (ნენ) სუფიქსიან ფორმათა სიხშირითა და ურთიერთმონაცვლეობით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „იოსებ-ზილიხანიანის“ ძველი ვერსია, გალექსილი უცნობი ავტორის მიერ. იგი შემონახულია ერთადერთი დაზიანებული ხელნაწერით, რომელიც ავრეთვე XVI საუკუნეს მიეკუთვნება. იგი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში S —1283 ნომრით. „იოსებ-ზილიხანიანის“ ტექსტი ამ ხელნაწერის მიხედვით გამოცემული აქვს გ. ჭავჭავაძის<sup>17</sup>. მუშაობის პროცესში ჩვენ ვიყენებდით ხელნაწერს.

პოემის ტექსტი ნაკლებია. ამჟამად შეიცავს 736 სტროფს. დაწერილია რუსთაველური შაირით, მდაბია ხალხური ენით, რომელიც ხშირად ანგარიშს არ უწევს სალიტერატურო ენის ტრადიციებს. ამის დამადასტურებელი ისეთი ფორმები, როგორცაა: გაწყდეს **შუვაზედა**, **გვირც** მხლებელი, **შემწარწუნებელი**, **ყვევლი** და სხვა მრავალი.

პოემის ტექსტში საკმაოდ სიხშირია როგორც ნამყო უსრულის (და ხოლმეობითის), ისე ნამყო სრულის ფორმები, სადაც სუბიექტად წარმოდგენილია III პირი მრავლობით რიცხვში. რამდენიმე სტროფში საპირთმო ერთეულზედაც სწორედ ასეთი ფორმებია გამოყენებული (ასეთებია, სახელლობრ, 7r, 18v, 22v, 30r, 34v, 57r, 65v, 67r, 110r, 115r გვირდებზე წარმოდგენილ სტროფები). სუბიექტური პირის ნიშნად ამ ფორმებში ხან -ეს სუფიქსი წარმოდგენილი, ხან კი -ენ, დასტურდება -ნენ სუფიქსიც (შედარებით იშვიათად). ორივეგვარი, — როგორც ძველი, ისე ახალი, — ფორმები გვხვდება ერთმანეთის პარალელურად, ზოგჯერ ერთსა და იმავე სტროქონშიც კი; მაგალითად: „დილას შესხდენ დაკაზმულნი, ქალაქისკენ წაცავიდეს“ (22v); „შევიდეს, დახდენ ნადიმად, დარბაისელნი შეყარეს“ (23r); **გაეგართნეს** სახსაროსა და **არჩევდენ** საქმეს ძნელსა“ (29v); „მას გარეშემო ეხვივნეს, აძლევენ ფასს უთვალავსა“ (39r) და სხვა.

ხან -ებს და ხან -ებს სუფიქსით გვხვდება ერთი და იგივე ზმნა; მაგალითად: „მოყვანეს და დატვირთეს, წინა-უკან შეხხდეს ვირსა“ (92r); მაგრამ იქვე გვაქვს: „ვირსა შეხხდენ, გაემართნენ“ (96r). ასევეა: „ლაშქარნი მოდგეს სალამად“ (17v); „მოვიდეს სრულნი პირუტყენი, ლომი, ვეფხი და მგელია“ (32v), მაგრამ: „რა მოვიდენ, კარზე მოდგენ“ (36v), „ჩემთვის საღით საღ ზოვიდენ ინდონი და აბაშ-როში“ (50v) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ საერთოდ პოემაში ვიდ ზმნა სხვადასხვა ზმნისწინით ნაშუქ სრულის III სუბიექტურა პირის მრავლობით რიცხვში 35-ჯერ დასტურდება. აქედან 22 შემთხვევაში ის წარმოდგენილია -ეს სუფიქსით, 14 შემთხვევაში კი -ენ სუფიქსით.

ჩვენ შევეცადეთ აღგვეჩვენებინა ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ფორმები ამ პოემაში. თუ რომელიმე ფორმა შემთხვევით გამოგვჩაჩა, ვფიქრობთ, საერთო სურათს ეს მაინც ვერ შეცვლის. საერთო სურათი კი ასეთია: -ეს სუფიქსი დასტურდება 87 შემთხვევაში (გარდამავალ ზმნათა ნაშუქ სრულის ფორმების ჩათვლელად), -ენ სუფიქსი — 108, -ენს კი 14 შემთხვევაში. დროკლთა მიხედვით მათი განაწილება ასეთ სურათს იძლევა: ნაშუქ უსრულნი -ეს სუფიქსი გვხვდება 13-ჯერ, -ენ — 72-ჯერ, -ენს — სრულად არა. ნაშუქ სრულში -ეს გვხვდება 71-ჯერ, -ენ — 35-ჯერ, -ენს — 13-ჯერ. II თურმეობითში 3 ფორმაში გვაქვს -ეს სუფიქსი, თითოეული -ენ და -ენს.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ პოემის ენაში -ეს და -ენ სუფიქსები თავსუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს, თუმცა სხვადასხვა მწკრივში მათ შორის შეფარდება სხვადასხვაგვარია: -ენ სუფიქსი უკვე გაბატონებულია ნაშუქ უსრულში, მაშინ როცა ნაშუქ სრულში ჯერ კიდევ მყარია -ეს სუფიქსი. რომელიც ხმარების სიხშირით ორჯერ სჭარბობს -ენს. რაც შეეხება -ენს სუფიქსს, ეს გვხვდება მხოლოდ ნაშუქ სრულში და ისიც უმეტესად პრეფიქსიან ვნები-ებში, სადაც ძველად -ენს დაბოლოება გვქონდა: იყვნენ (36v, 57r, 78v, 80v, 101v); მეშველი ზმნის ეგვეე ფორმა გამოყენებული II თურმეობითშიც: შეყრილიყვნენ (85r); დაიფანტნენ (57r), შეიცვალნენ (78v), გაემართნენ (95r), მიეგბნენ (99v), მოეკიდნენ (96v), მოეკიდნენ (101r), შეეხვეწნენ (79r), წავიდნენ (57r).

როგორც ვთქვით, თარგმანი მდებრივ ხალხური ენით არის შესრულებული და სალიტერატურო ენის ტრადიციებს ნაკლებ ანგარიშს უწყევს. სწორედ ამით ახსნება აქ -ენ სუფიქსიანი ფორმების სიმრავლე.

ამ ხელნაწერთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი დეტალიც. S-1283 ხელნაწერს ახლავს 12 ბრწყინვალედ შესრულებული მინიატიურა. გამოკვეთულია, რომ მინიატიურები სხვა ხელნაწერიდან არის გადმოტანილი და ჩაკრული ამ ხელნაწერში. მინიატიურებმა, რომელთა შიდა მხარეზე ნაწერები შენიშნეს, ვიიპყრო არამართო ხელოვნებათმცოდნეების ყურადღება. საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის სარესტავრაციო ლაბორატორიაში ახსნეს ქალაქზე დაკრული მინიატიურები და გამოვლინდა მინიატიურების შიდა მხარის ტექსტები. ეს ტექსტები ქართული იოსებ-ზილიხანიანის სპარსული წყაროების საკითხთან დაკავშირებით შეისწავლა ალ. გვახარია და გააქვია, რომ ისინი ანონიმური ვერსიის ახალი ნუსხის ფრაგმენტებს წარმოადგენენ<sup>18</sup>. ანონიმური ვერსიის ალ. გვახარია მე-16 საუკუნით ათარილებს, მინიატიურებიან ფრაგმენტებს კი უფრო ადრინდელად მიიჩნევს<sup>19</sup>.

ჩვენ გავსინჯეთ მინიატიურების შიდა მხარეზე ნაწერები ჩვენთვის სარტერისო საკითხთან დაკავშირებით. დაზიანებულ, ზოგჯერ ნაყუწ-ნაყუწ ჩაწებულ ფურცლებში, რომლებზედაც ზოგან მთლიანი სტროფებია და ზოგან მანაწილები, აღმოჩნდა ჩვენი საძებნი ფორმებიც: „მოთამაშე დაპყვრელები წინა მოუსხდებოდენ“ (მინ. 97r, 4), მინიატიურის ტექსტში ეს სიტყვა წაშლილია, მაგრამ -დენ დაბოლოება ნათლად ჩანს. ასევეა ეს სიტყვა S—1283 ხელნაწერში (67r, 1). იქვეა: „დგებოდენ“ (97r, 5). იგი არ იკითხება მინიატიურ დაზიანებულ ფურცლებზე, მაგრამ „მოუსხდებოდენ“ სიტყვასთან რიათში მოსლოდნელია -დენ. S—1283 ხელნაწერში შესაბამის ადგილზეც „დგებოდენ“ ფორმაა (67r, 2). „მოყმესა უღივლიმებდენ და...“ ეს ფორმა კარგად იკითხება (მინ. 97r, 6; S-1283 67r, 3). „ქვეშ-ქვეშ ეცინებოდენ“ (მინ. 97r, 6; S-1283 67r, 3). არ ჩანს, მაგრამ რიათში გამო -დენ დაბოლოება უნდა იყოს და ხელნაწერში ასეა: ასევეა „ენიშნებოდენ“ ფორმაც იქვე (97r, 7; S-1283 67r, 4).

გვხვდება ისეთი ფორმებიც, რომლებიც მინიატიურებიან ნუსხაში, განსხვავებით S-1283 ხელნაწერისაგან, ძველებურადაა ნახმარი. მაგ.: „წილი შეხსდეს დაკაზმულნი“ (მინ. 24r, 4) — შეხსდენ (S-1283, 22v, 10): „... გამოუდეს, ისარი ჰკრეს ერთსა თხასა“ (მინ. 31r, 2) — გამოუქდენ (S-1283, 32r, 11), „... უკუბრუნდეს და წავიდეს“ (მინ. 31r, 1) — წავიდენ, უკუბრუნდენ (S-1283, 32r, 10).

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ ეს ანონიმურ ვერსიას მკვლევარი მე-16 საუკუნის შუაწლებით ათარილებს, ფრანგ მენტები (მინიატიურებიანი ნუსხა) XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე უნდა ვივარაუდოთ, რადგან, ამავე მკვლევრის აზრით, ამ ნუსხას „ხმარების ხანგრძლივი გ. უნდა გაეელო, რომ მწყობრიდან ასე გამოსულიყო“, და მისი ხელიც „უფრო აღრიხდელია, უფრო მსხვილი და კუთხოვანი, უფრო არქაულია ენობრივი მონაცემები“.

საყურადღებოა, რომ „იოსებ-ზილიხანიანის“ თეიმურაზისეულ თარგმანში რომელიც ერთი საუკუნით გვიანდელია უცნობი პოეტის ვერსიასთან შედარებით, -ენ (-ნენ) სუფიქსი გაცილებით იშვიათად გვხვდება. სახელდობრ, ნაშრომში უსრულში გვაქვს -ენ სუფიქსიანი შემდეგი ფორმები: „ყოვლს კაცსა უნდა სასყიდლად, შუღლობდენ ბევრათასები“ (22v, 3); „გულსა ეტყოდენ ყოველნი: რადგან დაებით, სრულ ებით“ (51r, 1); „ნახვის ფასად დაუფენდენ ფეინდახ: მათსავე სულსა“ (28r, 5); „აიშალა ნადიმობა, ვერა სჭამდენ, ვერცა სმიდეს“ (32v, 2); „ქალს უძახდენ ბაზიყასა, მას სახელად იგი სძესა“ (32r, 3); „მას უკრეტდენ გაკვირებთ“ (16v, 3); „სრულ იცნობდენ მას მნათობსა, მიჯნურნი: სჭირდა სენად“ (31v, 5); სთხრიდენ (53r, 3); იცოდენ (28v, 5); გმირობდენ (14r, 2); ძვირობდენ, უპირობდენ, მონადირობდენ (14v, 2); არჩევდენ (13r, 5), სხიდენ (11v, 5), გძრახვიდენ (31r, 2)<sup>20</sup>.

სულ რამდენიმე შემთხვევაა -ენ სუფიქსის ხმარებისა ნამყო სრულში: „ბრძანა, დახვდენ სრულ ქალაქნი. ყველამ ძღვენი მიიტანა“ (33r, 3); „გაპყვრდენ, ზედან შემოკრფენ მოქალაქენი კრებული“ (21r, 2)<sup>21</sup>. „ეაზირნი დახვდენ, არჩევდეს, ჰქონდათ ჭანყი და ყრილობა“ (50v, 1); „დახალვათდენ, დაჩეულნი სხვანი კარში გამოყარეს“ (31v, 3); დავალდენ (13v, 3)<sup>22</sup>.

-ენ სუფიქსზე უფრო ხშირად ნამყო სრულში გვხვდება -ნენ სუფიქსის ხმარების შემთხვევები: „წადგნენ და ჰკადრეს, მეფეო. ვიკადრებთ მიწა-მტვერებო“

(51r, 2); „მივიდნენ და თაყვანი სცეს, მდაბლად მოღრკნენ მიწის პირსა“ (50v, 2); „ყმას შეადგნენ საილათოდ, უნდა, თუმცა გაარეტეს“ (40r, 1); „ყოვლგნით შემოკრბნენ მიჯნურნი“ (13v, 4); „გვერდთ იახლა მას ღამესა, ტკბილად იყვნენ ჟო და ღებით“ (34v, 1); „ვიასის ღედამან პამიანს იყვნენ ჯამშედის გვარები“ (12r, 3).

„იყვნენ“ ფორმა გვხვდება სათაურში: „ამბავი მისრ-ეგვიპტისა, მცნვიერ-ი იყვნენ და მეყრობა მოიგონეს“ (28v, 17 სტრქ.), იქმნენ (36v, 3), წამოვიდნენ (52v, 5), წაადგნენ (15r, 2), იღგნენ (43v, 2; 20v, 3)<sup>23</sup>.

II თურქობითშია: „თვით ქმნილ იყვნენ სააქიმოდ, მისთვის რალა შეე-გონა“ (32v, 4); „რა კარგს ჭკვაზედ დამდგარიყვნენ, თავს ევლაზი დაეყარა“ (28r, 3)<sup>24</sup>.

ამრიგად, „იოსებ-ზილიხანიანის“ თეიმურაზისეული თარგმანის ან ვარი-ანტიში (ხელნაწერი S--403) -ეს სუფიქსის ხმარებასთან დაკავშირებით შემ-დეგი ვითარებაა: -ეს გვხვდება ნამყო უსრულში 16-ჯერ, ნამყო სრულში 6-ჯერ, -ნენ სუფიქსი 13-ჯერ (ყველა ნამყო სრულში, ვნებითი გვარის ზმნებში). როგორც ვარიანტებიდან ჩანს, თეიმურაზის კალამს ყველა ეს ფორმაც არ ეუთვნის და ზოგი მათგანი უთუოდ გადამწერთა მიერ არის შეტანილი.

-ენ სუფიქსიან ფორმათა საპირისპიროდ გვაქვს ასამდე მაგალითი, სადაც III სუბიექტური პირის (მრ. რ.) აღნიშვნის მხრივ ძველი ნორმაა დაცული და ეს სუფიქსია წარმოდგენილი (მაგალითები ნამყო უარულსა და სრულს შო-რის დაახლოებით თანაბრად ნაწილდება).

მაშასადამე, თეიმურაზი პეტ ანგარიშს უწევს სალიტერატურო ენის ტრა-დიციებს და ცდილობს დაიცვას ძველი ნორმა, თუმცა ყოველთვის ვერ ახერ-ხებს ამას, რადგან -(წ)ენ სუფიქსიანი ფორმები ამ დროისათვის ცოცხალ შე-ტყველებაში უკვე ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

რა თქმა უნდა, -(წ)ენ სუფიქსის შეჭრა სალიტერატურო ენაში და ძვე-ლი -ეს სუფიქსის გამოყენების თანდათანობითი შეზღუდვა ცოცხალი მეტყვე-ლების გავლენის შედეგია, მაგრამ საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თით-ქოს ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში XVI ან თუნდაც XVII საუკუნეში -ეს(ებ) სუფიქსი უკვე საბოლოოდ იყო გაბატონებული. როგორც ჩანს, კარ-გ ხნის განმავლობაში ხალხის მეტყველებაშიაც პარალელურად იხმარებოდა ირივე სუფიქსი და სწორედ ამიტომ მათი კიბილი სალიტერატურო ენაშიც საკმაოდ დიდხანს გავრცელდა.

საინტერესოა ჩანს ჩვენს საკითხთან დაკავშირებით იტალიელი მისიონერის პეტრი ბერნარდეს არქივში მიკვლეული ქართული ზღაპრები (XVII საუკუნის ში-იანი წლები)<sup>25</sup>. ამ ზღაპრებში ჩვენთვის საინტერესო ფორმებში ქარბობს ეს სუფიქსი, მაგრამ -ენ (ნენ) სუფიქსიც საკმაოდ ხშირია. მათ შორის შეფარ-უბა დაახლოებით ასეთია: 3:1.

აღნიშნული ზღაპრების ტექსტში -ეს და -ენ(ნენ) სუფიქსიანი ფორმები პა-რალელურად გვხვდება ზოგჯერ ერთ ფრაზაში და ერთსა და იმავე ზმნაში; მა-გალითად: „წავიდეს და ერთის მთის ძირში დადგეს... იარეს იმ კაცებმა და საუცის ვაჟარი იყო, იქ მივიდნენ... წავიდენ და მთის ძირში დადგენ“ (10v—11r); წამოვიდენ ბაღდაღისაკენ. მოვიდეს შუა გზაზედა. დადგეს“ (28v, 1—2); „მოზღვედეს მრავალი მკარდაქილილი და თმადამლილი. მოზღვედენ, ტი-

როდენ და თავს იცემოდეს, ზარს იტყოდეს“ (37v, 15—16); მოეგებნენ რაც ქალაქის უფროსი კაცნი იყუნეს“ (67r, 7).

ზღაპრებში ძალიან ხშირად ვეხვდება ვიდ ზმნა (სხვადასხვა ზმნისწინით), რომელიც ნამყო სრულის 111 სუბ. პირში (მრ. რ.) მეტწილად -ეს სუფიქსიანია: „მოვიდეს და კელმწიფობა მიულოცეს“ (13v, 9); „სადაც ის ვაჟარი იდგა, იქ მოვიდეს“ (11r, 9); „წავიდეს და ყოველი ქუეყანა შოიარეს და ვერა შეიტყუეს რა“ (10v, 10); „წამოვიდეს ერთს ქალაქში“ (13v, 15); შევადეს (4v, 2). შემოვიდეს (73v, 10), ჩავიდეს (21r, 2), ჩამოვიდეს (39r, 1), გომოვიდეს (19r, 10), გარდავიდესო (62r, 4)...

მაგრამ იქვე ვეხვდება აგრეთვე -ენ და -ენს სუფიქსიანი ფორმებიც: „სადაც ის ვაჟარი იყო, იქ მივიდენ“ (10v, 14); „შეიყარნენ და წამოვიდენ წამოვიდენ და მოვიდენ ერთს საველმწიფოშია“ (58r, 2); წავიდენ (40v, 16) „... წავიდნენ ქაჭნი, დაიფანტნენ ყოელის ქუეყანასა“ (7v, 1); წამოვიდნენ (იქვე); „მივიდნენ კელმწიფეთსანა“ (8v, 12)...

-ეს და -ენ სუფიქსები თავისუფლად მონაცვლეობენ დღე და სხედ ძირსაგან ნაწარმოებ ფორმებშიც: „აღდგეს და უთარეს“ (38r, 6); „იმ ლამესა იქ დადგეს“ (30r, 2); „გამოიღვიძეს, დაიარადღეს და წაუდგეს. ზოგნი ბაჩეს მოუდგეს“ (62r, 1—2).... „მიდგენ მრავალი ჯარი თოფითა და ისრითა“ (49r, 6); „მეორე დღეს მცველნიც უქუმოდგენ“ (58r, 4)...

„დასბდენა ლხინად“ (23v, 10); „შესბდეს კელმწიფე და მისი შვილი ცხენა“ (35v, 11); ისბდეს (62v, 5).... „ორმოცი მუახლე დევების მჭარს შეუსბდენ“ (35v, 1); დასბდენ (58r, 6)...

მეშველი ზმნა უპირველეს შემთხვევაში წარმოდგენილია იყუნეს ფორმით: „სანადღის შეიტყობდეს რასმე, ამ სიმწუხარესა და ვაებაში იყუნეს“ (47v, 15); „იყუნეს ლხინსა და სიმხიარულეშია“ (57r, 6); „ლხინობდეს და ერთათ იყუნეს“ (64r, 2); „მოკვლენი უფროს-უფროსი დედაკაცი იყუნეს“ (43v, 3) და სხვ. თუმცა გვხვდება აგრეთვე იყუნენ: „არაბი და ვინცა ვინ იყუნენ, წინ წავიდენ“ (33v, 6); „სრულ შეყრილნი დაბაისელნი იქ იყუნენ“ (72r, 8)...

-ეს და -ენ სუფიქსებს შორის რაიმე დიფერენციაცია არც სხვა ზმნებში შეინიშნება, — ნამყო უსრულშიცა და სრულშიც ერთი და იმავე ტიპის ზმნათაგან ზოგი ერთ სუფიქსს დაირთავს, ზოგი — მეორეს.

სახელდობრ, ნამყო უსრულში გვაქვს: აძლევდეს (55v, 2), ეხვეოდეს 55v, 11), აკოცებდეს (55v, 12), იარებოდეს, იკითხევდეს (39v, 1—2), გამოდიოდეს (70r, 6); მეორე მხრივ: იცილებოდენ (6v, 2), ასარგებლებდენ (62v, 14), ნალობდენ (57v, 2), მოვიდოდენ, მითხოვდენ (67r, 1), იყრიდენ (70r, 9).

ნამყო უსრულში -ეს და -ენ სუფიქსები ზღაპრების ტექსტში დაახლოებით თანაბარი რაოდენობით გვხვდება. ნამყო სრულში კი -ენ იშვიათია, გაცილებით ხშირია -ეს სუფიქსიანი ფორმები: მიახლოვდეს (34v, 2), ჩამოვდეს (33r, 1), დალონდეს (38v, 8), გამხიარულდეს (29r, 6), გაჰკვირდეს (28r, 8), ხევარდეს (39v, 7), შეიქნეს (50v, 10), მოიქცეს (58v, 10), აიყარნეს (33v, 4), დაიკარგნეს (23r, 3), მოეგებნეს (43v, 15), შემოეხეივნეს (61v, 8), დაეშაჯნეს (44r, 3), გამოეცალმნეს (30r, 10), შეეხვეწნეს (38v, 13), დაწუნეს (13v, 2), უწუნეს (32r, 4), დაგვესხნეს (10v, 15) და სხვ. შეადარეთ -ენ სუფიქს-



ან ფორმები: შერიგდენ (8v, 10), გაეროდენ (63v, 2). გაკუიოდენ (43v, 6) და სხვ.

II თურქობოთის სათანადო მაგალითები ზღაპრებში იშვიათად გვხვდება, ზღაპრები კი გვაქვს, ყველგან -გს სუფიქსია წარმოდგენილი: დაეყარნეს (43r), ნიახლოებოდეს (61v), ამოწყუფებელიყუნეს (45r), მოსულიყუნეს (56v).

საერთოდ, როგორც აღინიშნა, -გს სუფიქსიანი ფორმები სამჭერ სკარბობს -ენ(ნენ) სუფიქსიანი ფორმებს, მაგრამ განხილული მაშალის მიხედვით ასე ამჟღავნა, რომ ეს ფორმები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს და იხპაჩებთან ერთმანეთის პაძალელურად, რაც უთუოდ იმდროინდელი ცოცხალი ენის მდგომარეობის ანარეკლია.

ცოცხალი მეტყველების სფეროს გასათვალისწინებლად ფრად მნიშვნელოვანია ვრცელი ქართული ეპოქის „რუსულდანიანი“, რომელიც მკვლევართა წიგნს XVII საუკუნეში შექმნილად მიიჩნია, ზოგი კი მას უფრო აღრიზულად მიიჩნევს. ასეა თუ ისე, „რუსულდანიანი“ უძველესი ნუსხები XVII საუკუნისაა და ენაც ამ ეპოქის ამსახველია. ნუსხათაგან ერთი (B ნუსხა — S—3698) დასავლეთ საქართველოშია გადაწერილი და, როგორც აღინიშნავენ, „საქსეა გურული დიალექტობებით. სხვა ხელნაწერებში (A, C და სხვ.) ეს დიალექტობები ასეთი დიდი რაოდენობით აღარ გვხვდება, მაგრამ მაინც საკმაოდ მოიპოვება. ეს ნუსხები ერთმანეთისაგან მოქდინარე არ ჩანს, მათ საფუძვლად სხვა ნუსხა თუ ნუსხები დასდებიან. ეს კი იმაზე მიგვიჩივებს, რომ მათ წყაროდ ეს დიალექტობები ასევე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და B ხელნაწერის გადაწერისას შენატანი არ უნდა იყოს“<sup>27</sup>.

ჩვენ განვიხილეთ „რუსულდანიანი“ -გს და -ენ(ნენ) სუფიქსიანი ზმნები (ყველა ფორმის აღნიშვნა და დეტალური ანალიზი აღარც კი გახდა საჭირო, იმდენად ნათელია ტექსტში წარმოდგენილი სურათი). გაიკვია, რომ ამ ვრცელი თხზულების სხვადასხვა პონაქეთი (კარი) და სხვადასხვა ხელნაწერი ამ ზმნათა ხმარების მხრივ რამდენადმე განსხვავებულ სურათს იძლევა. ჰაგრამ, რაც მთავარია, ყველა კარში და ყველა ხელნაწერში პარალელურად გვხვდება როგორც -გს, ისე -ენ სუფიქსი (გზადაგზა დასტურდება აგრეთვე -ენ). ისინი განურჩევლად იხმარება ერთმანეთის გვერდით, ხშირად ერთ ფრაზაში და ერთსა და იმავე ზმნაში. სახელდობრ, თხზულების ენისათვის და მახასიათებელია ასეთი ადგილები: „რა ნახეს, გაკვირდნენ მისსა შენებანსა და ტანისა ნაკეთიანობასა, რომელ დიდად საფალავნოდ შექმნილი იყო. ეზარათ მისი ისეთი აგებულება და გულსა შინა სიკვდილსა გაჰპარდეს და სინკედენ მკლავისა მისისა ძალსა და ბეჭისა მისისა ფართობასა“ (4, 14—18). „მეოთხესა დღესა აიყარნეს... და მივიდეს ინდოეთისა ქალაქთა, ტურფად მიკაზმულთა. გამოეგებნეს მოქალაქენი... თავსა აყრიდენ გვარსა და ღმერთსა მადლობდენ მისსა ხილვასა. მივიდენ დარბაზთა“ (80, 35—81, 2). „წავიდნენ სანადიროსა. მივიდეს კარგსა სანადიროსა და ინადირეს“ (332, 8—9). „ტროდენ და ევედრებოდეს ღმერთსა ყაისის გამარჯვებისათვის“ (334, 38). „კაცი ყველა მითვე რიგითა იყვნენ, განა სხვარიგად უტურფესად შემეულნი იყვნენ და სახლ-კარნიცა უამესნი და უშენიერესნი იყვნეს“ (141, 1—3). „ადგენ ორნივე და, მანვე ქვაბში იყო მისი კარი, გააღეს და შევიდეს“ (60, 11—12). „მიეხვიენეს სრულად ჩინელნი დიდებულნი... ხელსა და ფეხსა კოც-

ნიდენ და ღმერთსა ევედრებოდენ მისი ნახვისათვის და სიხარულისა ცრემლსა აფრქვევდენ“ (102, 12—15). „უპრვედეს ამოსა ხმასა და იტყოდენ ლექსსა“ (329, 29). „მრავალსა გვემოციქულნენ და მრავალფერად ეცადნენ, რომ ბადესი შეევედნით, მაგრამ თვით მათვე დიდებულთა არა ქნეს. ბევრს შფოთვედეს იგი გრძნელნი, მაგრამ რაღას გააწყობდეს!“ (557, 18—21). „ტიროდენ მწარედ და გოდებდეს მშობლისა გაყრისათვის“ (599, 4). „მოგხვივნენ ერთმანეთსა... დიდსა ხანსა ყელგადაქდობით იღგეს. მერმე მობრუნდეს და... ნადიხად დასხდეს“ (83, 16—18). „პირველ რომ შეიბნენ, დღე მესამელი აი იყო. მისნი ლაშქარნი გაკვირვებულნი უპვრეტდეს და ამას იტყოდეს“ (293, 29—31). „წაგვიძღვეს და ერთი კვირა ასე ვიარეთ. მივედით ფახფურ მეფის სრასა. დიდებულნი და ხელმწიფის მოხელენი მოგვეგებნეს... წაგვიძღვენ და... იქ ჩამოგვახდინეს“ (441, 35—38). „აიყარნენ და წაოვიდნენ შინათ და წა მოიტანეს თანა ჩრდილოეთისა ხელმწიფე ბორკელითა დაბეჭდილი... და თვით წამოვიდნენ გამარჯვებულნი... იარეს მრავალი დღენი და მოვიდეს სი მეფოსა თვისსა. მოეგებნეს მოქალაქენი... და აყრიდეს ყიის თვალსა და მარგალიტსა და უფენდეს მის ცხენსა სტავრასა და ნახლსა... გარდახდეს ცხენსაგან და შევიდეს პალატსა სამეფოსა... და შევიდნენ მეფენი სადუდოფლოსა და მოეგებნეს დედოფალნი წინა“. (373, 22—36) და სხვა მრავალი.

-ეს და -ენ ნიშანთაგან „რუსულდანიანში“ უკვე გაბატონებულია -ენ მაგრამ -ეს სუფიქსიც საკმაოდ ხშირად გვხვდება. ზოგ მონაკვეთში იგი სპარბობს კიდევ -ენ-ს (მაგალითად, IV კარში — იხ. გვ. 332, 333, 335, 351, 352, 353, 359, 360, 372, 373 და სხვ.). ასე რომ, ვერ ვიტყვით, ის მხოლოდ ნაშთს სახით არის შემორჩენილიო<sup>28</sup>.

რაც შეეხება -ენ-ს, მისი ხმარება აქაც ზმნების მცირერიცხოვანი ჯგუფით, ძირითადად პრეტექსიანი ვნებითებით. შემოიჯარგლება (იყენენ, შეყარნენ, შეიჭიდნენ, მოეხვივნენ, მოეგებნენ, დაეზავნენ. გაემართნენ, შემოგვებნენ, შემოგვეჯეჯენენ. შეგვიძღვენენ, გაჰკვირდნენ, ადგნენ, მოვიდნენ, შეაქცევდნენ...). რასაკვირველია, იგივე ზმნები გვხვდება -ენ და -ეს სუფიქსებითაც.

საერთოდ, თუ მე-17 საუკუნეში ჩაწერილ ქართულ ზღაპრებში -ეს და -(6)ენ სუფიქსებს შორის შეფარდება იყო 3:1 -ეს სუფიქსის სასარგებლოდ. „რუსულდანიანში“ დაახლოებით ასეთივე შეფარდება გვაქვს -(6)ენ სუფიქსის სასარგებლოდ.

ერთისა და იმავე ეპოქის ძეგლებს შორის ასეთი სხვადასხვაგვარი თანაფარდობა აღნიშნულ სუფიქსთა ზმარებაში შესაძლოა სხვადასხვა დიალექტური წრის გაელენით აიხსნებოდეს. ამ მხრივ საგულანსპოა, რომ „რუსულდანიანი“ მკვლევრებს დასავლეთ საქართველოში შეთხზულად მიაჩნიათ. როგორც ცნობილია, -ენ სუფიქსი დღესაც დასავლურ კილოებში უფრო აქტიური<sup>29</sup> (იგი შეჭრილია გარდამავალ ზმნათა ნამყო სრულშიც) და სავარაუდებელია, ისტორიულადაც აქ უფრო ადრე იყო გავრცელებული. ასე რომ, ამ კილოებს დიდად უნდა შეეწყობოთ ხელი სალიტერატურო ენაში მისი დამკვიდრებისათვის.

ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ XVII საუკუნის სხვა ლიტერატურულ თუ არალიტერატურულ ძეგლებზე, როგორიცაა: „მეფეთა საღარო“. (A—617), „უანჩათის ქამნგულანი“ (H—1452), „ქამნგულანი“ (H—1738), მე-17 საუკუნის სამართლის ძეგლები, თბილისის ისტორიული დოკუმენტები მე-17 საუკუნისა, ამავე ხანის ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და

გერია-ოდონის სამთავროებისა (წიგნი I (1466—1770), ტექსტი გამოსცა, წინასწარ და საბიბლიო დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958), „შაჰნამეს“ მე-17 საუკუნის ხელნაწერები (H—61, H—921, S—1594, Q—1440) და სხვ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მათში მეტნაკლები სიზშირითაა წარმოდგენილი მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის -გს და -(6)ენ სუფიქსები; ზოგ ძეგლში ქარბობს -გს სუფიქსი, ზოგში -(6)ენ, მაგრამ მთლიანობაში მინც გარკვევით ჩანს, როგორ თანდათანობით ხშირდება -(6)ენ სუფიქსიანი ფორმები და შესაბამისად მცირდება -გს სუფიქსიანი ფორმათა რაოდენობა.

თუ მე-17 საუკუნის ძეგლებში არ იძებნება ისეთი, რომ თავიდან ბოლომდე სისტემებურ იცავდეს ერთ-ერთ სუფიქსს, მე-18 საუკუნის დასაწყისშივე უკვე გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა ერთი ავტორი სისტემატურად მარბობს -(6)ენ სუფიქსს. ამ მხრივ საინტერესო სურათს იძლევა ვახტანგისეული „ქილილა და დამანას“ და საბას ავტოგრაფის ურთიერთშედარება.

ცნობილია, რომ ვახტანგ ბაგრატიონმა „ქილილა და დამანას“ თარგმნა ირანი ყოფნას 1712—1716 წლებში. მან თავისი თარგმანი „გასახალხავად“ გაუგზავნა სულხან-საბა ორბელიანს. „სულხან-საბა ორბელიანს „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანი საფუძვლიანად გადაუმუშავებია როგორც ლექსითს, ისე პროზითს ნაწილში. გამოჩენილ ქართველ მწიგნობარს ვახტანგის ტექსტი მართლაც „გემოანად გაუჩაღხავს“ და მისი სრულიად ახალი რედაქცია მოუცია“<sup>30</sup>.

ვახტანგისა და საბას რედაქციების ურთიერთშედარებით იჩვენება, რომ ვახტანგი, ცოცხალ მეტყველებაზე დაყრდნობით, ძირითადად -გს სუფიქსიანი ფორმებს ხმარობს. საბა კი სწორად ცვლის სხეულებულ ფორმებს -გს სუფიქსიანი ფორმებით. ქვემოთ მოყვანილი პარალელური აღგილები ამ რედაქციების ტექსტებიდან ნათლად წარმოაჩენს ამ განსხვავებას (ჩვენ ხელთ გეჰონდა ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ვახტანგისეული ხელნაწერის M—53-ის ფოტოპირი, Rt II 20, დაცული ხელნაწერთა ინსტიტუტში, და საბას ავტოგრაფი S—31).

ვახტანგი:

საბა:

- ქანი ამხანაგი წადგენ და უთბრეს (209,5);
- დაეყმ მისის ამხანაგებთ ბადე წაიღეს და ხორციელდენ (335,10);
- წინველი ერთგან დაგროვდენ და ამაზე შეიქმნენ (423,3);
- ქუ ერთმანერთთან ყოფნით იხარებდენ (33,1);
- არ ლომის სასახურიდავ გამოვიდენ (25,14);
- ქ შორიდავ და ახლოდავ მისის ბატონობისა და მისის ლოცვის შესაწვეწველად მიყვოდენ და წაუილოდენ (275,16);
- ელნი მისის ბრძანების მაყურებელნი იყუენ (401,17);
- წინაღმ ორი თავის ამაღლებულნი კაცნი მინებით და ვრდებულობით კაცის ანგაჩიზი ჩაგდებული ყვანდენ და რჩევითა და სუთით შემკობილ იყუენენ (47, 4—6).

- სქანი ამხანაგი წადგეს, უთბრეს (45r, 37);
- მათუჲ და მინი ამხანაგი ბადიან შიფრინვიდეს (73r, 23);
- ფრინველნი მოყრბეს და ერთად შეითქვენს (92r, 20);
- ერთმანეთთან ყოფითა იხარებდეს (85v, 31);
- იგნი ლომის სამსახურით გამოვიდეს (44v, 14);
- მახლობელნი და შორიელნი მისის ნახვისა და პატიონის ლოცვის მიღებად მივიდოდეს (59v, 12);
- ყოველნი მისის ბრძანების მორჩილნი იყუნეს (87v, 11);
- დიბოშლიმ ორი თუნსი საჩინონი ერთგულნი და მისანდობელნი დიდებულნი კაცნი ჰყუენს რჩევითა და კვეის გზით სრულნი იყუნეს (14r, 11—12).

ამგვარი მაგალითებიდან, რომლებიც საკმაოდ ხშირია, ცხადად ჩანს, რომ საბა მეტ ანგარიშს უწევს სალიტერატურო ენის ტრადიციას და უპირატესობას აქლევს -**ეს** სუფიქსს. მაგრამ ბოლომდე თანამიმდევრობას დიდი მწერალიც ვერ იცავს: მის ავტოგრაფშიც ერთმანეთის პარალელურად გვხვდება როგორც **-ეს**, ისე **-ენ** და **-ენე** სუფიქსები. თუ ერთ შემთხვევაში ვახტანგისეული მოვიდენ საბას შეცვლილი აქვს მივიდენ ფორმით (მღრ. ვახტანგ- 231,9—საბა 50r. 18). მეორე შემთხვევაში ვახტანგის მივიდენ-ის ადგილას საბასთან იკითხება: მივიდენ (მღრ. 208,7 ვახტანგი და 45r. 19 საბა); მესამე შემთხვევაში პირიქით, ვახტანგის **-ენე** სუფიქსიან ფორმას საბა ცვლის **-ენ** სუფიქსიანით: „ვეზირნი მეორე ღლეს კელმწიფის სამსახურში მივიდენ, ალავი რომ განწესებული ქონდათ, მუნ დადგენ და კელმწიფის ბრძანების მოსმენას ყური მიუდღეს“ (ვახტ. 48,7—9) — „მეორეს ღლეს ვეზირნი კელმწიფის წინ მოვიდენ და განწესებულს ადგილს დადგენ და კელმწიფის ბრძანებას ელოდენ“ (საბა, 14r. 34—35). შეადარეთ სხვაგვარი შესწორების ნიმუში: გამოეგბნენ (ვახტ. 609,1) — მიეგბნენ (საბა 140v, 31).

ასეთ ვითარებაში ძნელია თქვა, რა პრინციპს იცავს საბა. თითქოს იგი ცდილობს **-ეს** სუფიქსის დაცვას სალიტერატურო ენაში, მაგრამ **-ენ** და **-ენე** სუფიქსებსაც არ მიმართავს იშვიათად. მის ორიგინალურ თხზულებებში **-ენ(ენე)** უფრო ხშირადაც კი გვხვდება, ვიდრე **-ეს**; მაგალითად, „სიბრძნესიკრის წიგნი“ **-ენ** და **-ეს** სუფიქსების შეფარდება ასეთია—4:1. „მოგზაურობაში“ ერთი-ორი მაგალითია ძველი წარმოებისა. საბას „სწავლანიც“ კი ვერაა დაზღვეული ამ ახლებური ფორმებისაგან. თხზულებაში, სადაც საბა ცდილობდა ფორმაც შინაარსს შესაფერად ჰაღალი, საეკლესიო, ძველებური ყოფილიყო, არაერთი შემთხვევა აღინუსხა (**-ენ**)-იანი ზმნებისა. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ აბზაცს: „უცხოთა ვირით მომავალსა ჩვილით ოსანას უგალობდეს, მოხუცებულნი პირთა მირიდებდეს; უცხოთა გლახანთა წინა მიეგებვიდეს და მდიდარნი კართა დაუჭვიდეს; უცხოთა მოწაფე გაცემელ ექმნებოდა, ერნი შეიკრობდენ, მღვდელნი მოიძაგებდენ. მწიგნობარნი მოიპტლებდენ. მღვდელთ-მოძღუარნი შეიკრივდენ, მსაჯულნი სიკვდილად მისცემდენ... ბოროტსა უყოფდენ... განბასრედენ... განკიცხვდენ... აკინებდენ... შებორკლვიდენ... მოაელბდენ... შელებდენ“ და ა. შ. (A—479, გვ. 277—278, მე-18 ს. დასაწყისს ხელნაწერია).

სიზუსტისათვის ისიც უნდა ვთქვათ, რომ ვახტანგ VI-სთანაც, რომელიც სისტემატურად ხმარობს **-(ენ)** სუფიქსს, თითო-ორიოლა შემთხვევაში მაინც არის **-ეს** სუფიქსიანი ფორმები: „ამად სახელად ზაქუსტარაი ეწოდებოდა და უმაუნფალ არას საქმეს უივისოდ კელს არ მიჰყოფდა და მის ურჩველად არც დიღსა და არცა მცირესა საქმესა არ მოუვლიდა. ასპარეზსა ბრძოლისასა და სიმხიარულის მასნათსა და დორზედან უივისოდ არ დაჭდებოდა და არ ილტენდა. ყოველთვის თუ მეფენი და კელმწიფენი და ამალლებულნი კაცნი კუიანსა და მოხუცებულს არ ჰკითხვდეს და რჩევით არ იქმოდეს, ბრძანების შემზადებაში არ უნდა გაერეოდეს და თუ უნდა რომ სულ ძალი და შემძლებლობა დიდროვანთა კაცთა თავისს კელთა ჰქონდეს კარგის ვეზირათა...“ (15. 14—20).

როგორც აღინიშნა. ამ დროის წერილობითი ძეგლებიდან ცხადად ჩანს,

რომ III სუბიექტური პირის მრავლობითობის -ეს სუფიქსი უკვე სისტემატურადა იცვლება -(ნ)ენ სუფიქსით გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან ნამყო უსრულში, გარდაუვალებთან ნამყო სრულშიც. ასეა ეს ესოპეს იგავებში, ველის წიგნში, ასეა დავით გურამიშვილთან, ვახუშტის „ქართლის ცხოვრებაში“... მე-18 საუკუნის ერთ-ერთი პოპულარული ძეგლის „თიმსარიანის“ ხელნაწერში (A—860), რომელიც მიჩნეულია ერთ-ერთ კარგ და მნიშვნელოვან ხელნაწერად<sup>31</sup>, -(ნ)ენ-იანი ფორმები ნამყო უსრულში 25-მდე აღწევს, მაშინ, როდესაც -ეს-იანი ფორმები მხოლოდ სამიოდე შემთხვევაში გვხვდება: ნამყო სრულში -(ნ)ენ-იანი ფორმა 75-მდეა, -ეს-იანი 12 შემთხვევაშია.

ასევე ჩვეულებრივია -(ნ)ენ სუფიქსი „თიმსარიანის“ მეორე ხელნაწერშიც, ისიც მე-18 საუკუნისეულია — S-1538<sup>32</sup>, ოღონდ A-860-ისავე განსხვავებით აქ სისტემატურად -ნენ გვაქვს -ენ-ის მაგიერ; A-შია: შეიყრებოდენ (286v, 38) S-შია: შეიყრებოდნენ (49r, 9), A-შია: მისდევედენ (284v, 6—7), S-შია: მისდევედნენ (41r, 8) და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი სდება, რომ -ეს და -(ნ)ენ სუფიქსების კიდილი არსებითად მთავრდება XVIII საუკუნეში -(ნ)ენ-ის საბოლოო გამარჯვებით. მართალია, -ეს სუფიქსიანი ფორმები აქა-იქ შეიძლება XIX საუკუნის თხზულებებშიც შეგვხვდეს, მაგრამ მხოლოდ როგორც ძველი სალიტერატურო ნორმის ანარქული ან სტილიზაციის საშუალება. ცოცხალ სასუბრო მეტყველებაში ასეთი ფორმების არსებობა XVIII საუკუნის ბოლოს უკვე აღარ არის სავარაუდებელი.

ასლა ორიოდ სიტყვა თვით -ენ და -ნენ სუფიქსთა ურთიერთობის თაობაზე. როგორც აღვნიშნეთ, -ენ სუფიქსის წინ ნ თავდაპირველად მხოლოდ ენებითი გვარის ზმნებში გვხვდებოდა. პრეფიქსიან ენებითებში მის ხმარებას რეგულარული ხასიათი ჰქონდა ძველ ქართულშიც — -ეს სუფიქსის წინ. წარმოშობით იგი მიჩნეულია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშნად. რომელიც მოქმედებითიდან ენებით გვარში არის გადმოყოლილი. ძველ ქართულში გვქონდა: იყვნეს. შეითქუნეს, აღესრულნეს... როცა -ეს სუფიქსი -ენ-მა შეცვალა, ბუნებრივია, მივიღეთ: იყვნენ, შეითქვნენ, აღესრულნენ...

რაც შეეხება მოქმედებითი გვარის ზმნებს, -ეს სუფიქსის წინ ნ აქაც გვქონდა ნამყო სრულში. ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირდაპირი ობიექტი მრ. რიცხვში იყო წარმოდგენილი: მათ იგინა დაწერნეს, შეკანეს. მოკლნეს. მოსრნეს, წარიყვანნეს... ესაა გარდამავალი ზმნები, სადაც -ეს სუფიქსი დღევანდლამდე უცვლელი დარჩა და, ცხადია, -ნენ არ შეიძლება მიგვეღო. ნამყო უსრულში ობიექტი (პირდაპირიცა და ირიბიც) მიცემთ ბრუნვაში დგას და მისი მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება, ასე, რომ, ძველად აქ -ეს სუფიქსის წინ ნ არ გვქონია.

ამრიგად, -ენ სუფიქსის -ნენ-ით შეცვლა ენებითი გვარიდან მოდის. იმავე პერიოდში, როცა -ეს სუფიქსი -ენ-ით იცვლება, შეინიშნება კიდევ მეორე პროცესი: ნ-ს გაჩენა სხვა ზმნებშიც. -ეს სუფიქსის წინ ნ-მ თავი იჩინა ასეთ ფორმებშიც. სადაც იგი ძველი ქართული ენის ნორმის მიხედვით არ იყო მოსალოდნელი. სახელდობრ, „შაჰ-ნამეს“ პროზაულ ვერსიაში გვხვდება ასეთი ფორმები: მოვიდნეს, ამოუვიდნეს (გვ. 372), გამოვიდნეს (გვ. 389; 392; 395), წაივინეს (395), შეუბერნეს (396; 421) და სხვ.

ამრიგად, ერთდროულად მიმდინარეობდა ორი პროცესი: -ეს სუფიქსის შეცვლა -ენ-ით და ნ-ს გაჩენა მის წინ. როცა -ეს სუფიქსმა საბოლოოდ დათმო ასპარეზი, მის ადგილზე აღმოჩნდა ორი პარალელური ფორმანტი: -ენ და -ნენ. ენებითი გვარის ფორმებში უფრო ხშირი იყო -ნენ, დანარჩენ შემთხვევაში — -ენ. მათი ჰილილი ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებამდე გაგრძელდა. საბოლოოდ სალიტერატურო ენაში საკოხი გადაწყვიტა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაზღვევა მულტიმედა სახელმწიფო კომისიამ, რომელმაც უპირატესობა მიანიჭა -ნენ სუფიქსს<sup>1</sup>.

### შენიშვნები

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. ზორდოლოგია. მეორე გამოცემა, 1973, გვ. 453.

<sup>2</sup> უფრო ადრინდელი ძეგლებიდან -ნენ სუფიქსის ხმარების ორივე შემთხვევა შენიშნულა „ამირანდარეჯანისში“ (წაეიღ ნ ე ნ 162, სქ. 5; ი ყ ე ნ 6. 355. 1—იხ. ლ. ათაიელიშვილი, მოსკოვის „ამირანდარეჯანისი“, გამოკვლევა ერთჯერ: ანგლის გამოცემას — 1967, გვ. 064—065). მაგრამ თხზულების ხელნაწერები XVII საუკუნეზე ადრინდელი არ მოგვეპოვება და მასში შემოხსენებული მსგავსი ფორმები გადაწერათა კადრს წაყოფად უნდა მივიჩნიოთ. ასევე ექვით უნდა შევხედოთ მსგავს ფორმებს კლასიკური ხანის თხზულებათა გვიანდელ ხელნაწერებში. რა თქმა უნდა, ახალი და უჩვეულო ფორმა, რომელიც სალიტერატურო ენის ტრადიციით არ არის განმტკიცებული, ავტორსაც ისევე შეიძლება გაეპაროს, როგორც გადაწერს, მაგრამ მისი ავტორისეულობა მხოლოდ მაშინ იქნება უეჭველი, თუ მსგავსი ფორმები ავტორის ეპოქაში სადმე სხვა ხელნაწერებთანაცა დადასტურებული.

<sup>3</sup> „ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლისეული ნუსხა. დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ სრმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942. ხელნაწერი დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, Q ფონდი, № 795.

<sup>4</sup> ხელნაწერი Q 795, გვ. 229. იხ. სრმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, 1942 წ., გვ. 140, 8. სხვა ხელნაწერებში იკითხება: იყენეს (იხ. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 205, 3).

<sup>5</sup> ხელნაწერი Q 795, გვ. 306. იხ. სრმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, 1942, გვ. 181, 23. სხვა ხელნაწერებშია მოწვევულ იყენეს (იხ. „ქართლის ცხ.“, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, გვ. 290, 5).

<sup>6</sup> ხელნაწერი Q 795, გვ. 419. იხ. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, 1942, გვ. 242, 6.

<sup>7</sup> აბულ ყასიმ ფირდოუსი, შამ-ნამე, ქართული ვერსიები, ტ. II, იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით, თბილისი 1934, წინასიტყვაობა, გვ. 111.

<sup>8</sup> იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ისტორიული დოკუმენტების კატალოგი, Hd ფონდი, 1797, № 33, 1, შეადგინეს თ. ენუქიძემ, რ. პატარიძემ, E. შოშიაშვილმა და მ. ჩანდოვამ, თ. ენუქიძისა და E. შოშიაშვილის რედაქციით, თბილისი, 1964.

<sup>9</sup> შ. თანიანი, ვაჰანის ქვაბების პოეზია, ტურნ. „დროში“, 1957, № 6.

<sup>10</sup> მეორე ქრონიკება (კინკლოსების ისტორიული მინაწერება), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჭუმბერ ოდიშელმა, თბილისი, 1968.

<sup>11</sup> ხელნაწერი დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, — Q—26. იგი XIV—XV საუკუნისაადა მიჩნეული.

<sup>12</sup> ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, Q 877, გამოსცა მ. სააკაშვილმა 1950 წელს. წინასიტყვაობა ეკუთვნის კ. გრიგოლიას, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XV საუკუნის II ნახევრით ათარიღებს ამ ხელნაწერს.

<sup>13</sup> ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, S—1274, იგი დაწერილებით აღწერილი აქვს ე. თყაიშვილს და მიაჩინა XV—XVI საუკუნისად; გადმოთარგმნილია უფრო ადრე, მე-13 საუკუნეში (Описание рукописей, 1, გვ. 640—686). ტექსტი გამოც. აქვს ლ. კოტეტიშვილს: „წიგნი სააქიმო“, 1936.

<sup>11</sup> ჩვენ ვიმოწმებთ დოკუმენტებს, რომლებიც გამოსცა პროფ. ი. დოლიძემ: ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა. შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II, თბილისი, 1965, ტ. III, 1970; ტ. IV, 1972 (I, V და VI ტომებში XVI საუკუნის სამართლის ძეგლები არ შედის). ამჟამად ვამზადებულა და გადაცემულა დასაბუჯლად ხელნაწერთა ინსტიტუტში დატული დოკუმენტები, თ. ენუქიძისა და ნ. შოშიაშვილის რედაქციით. ჩვენთვის ცნობილია, რომ ზოგი დოკუმენტი აქ განსხვავებულადაა დათარგმნებული, არის ტექსტოლოგიური განსხვავებები.

<sup>12</sup> დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.). წიგნი I, შეადგინეს ნიკო ბერეჟნივილი და შამსა ბერქნიშვილი, თბილისი, 1962.

<sup>13</sup> დატულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, — Q—207, გვ. 19; იხ.: „ქართლის ცხოვრება“, გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, 1942, გვ. 3, 14.

<sup>14</sup> გ. ჭაქობია, იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები, კრიტიკული ტექსტი ლექსიონისა და საძიებლების დართვით, ტფილისი, 1927.

<sup>15</sup> ალ. გვახარია, „იოსებ-ზილიხანიანის“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროები. I, ანონური ვერსია, თბილისი, 1958, გვ. 104—113.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 143—144.

<sup>17</sup> შავალითები დამოწმებულია „იოსებ-ზილიხანიანის“ თეიმურაზისეული თარგმანის ყველაზე ადრინდელი ვარიანტიდან. S—403 (ხელნაწერთა ინსტიტუტი). იხ. გ. ჭაქობია, დასახ. წიგნი, გვ. 06—011. ამ უკანასკნელ შავალითში S—1511 და S—2694 ხელნაწერები იძლევა ძველ ფორმას: გ ძ რ ა ხ ე ი დ ე ს.

<sup>18</sup> იქვე გვხვდება მეორე „გაკვირდენ“. რომელსაც ვარიანტული წყაროებში მოუპოვება სხვა ხელნაწერებში: განაკვირდენ (S—3189). გაკვირდეს (H—59, S—3693), განკვირდეს (S—1546), განკვირდეს (S—1511), გაკვირდეს (S—2694).

<sup>19</sup> ეს ფორმა მხოლოდ S—403 ხელნაწერშია, S—3693 და S—1511-ში არის „დაეარდეს“, სხვებში — „დადედეს“.

<sup>20</sup> მეორე შემთხვევაში (20v, 3) სხვა ხელნაწერებში ზმნა მხოლოდითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

<sup>21</sup> ხელნაწერებში ეს სტრიქონი სხვადასხვაგვარადაა მოცემული, ოღონდ „რევენ“ ზმნა ყველგან ამ ფორმით გვხვდება ამ სტრიქონის შესაბამის ადგილას, გარდა S—1511 და S—2694 ხელნაწერებისა, იქნა: იყენეს.

<sup>22</sup> ზღაპრების შესახებ პირველი ცნობები ეყუთენის ცნობილ აესტრიელ ქართველოლოგს ჰუგო შუხარდტს: (H. Schuchardt, Georgische Handschriften in Torro del Greco, Beilage zur Allgemenein Zeitung, Ausburg-München, 1896. ამ ზღაპრების ხელნაწერი ინახება ნეაპოლის ცენტრალურ ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. მისი მკითხვერი და ფოტოპირები დატულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. მუშაობის დროს ჩვენ განიოყენეთ დედნის ფოტოპირი: „ნ“—1. ზღაპრები გამოცემული აქვთ ე. ვირსალაძეს: მალაბი ქართული ფოლკლორის ისტორიისათვის, „ლიტ. ძიებანი“, ტ. IV, თბ., 1948 და მის. ჩიქოვანს: მე-17 საუკ. ჩაუერილი ქართული ზღაპრები, „შრავალთავი“, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების კრებული, I, თბ., 1964. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მსასაზრება, რომ ეს ზღაპრები თარგმანია და არა ქართული ფოლკლორის ნიმუშები (ლ. კოტაშვილი, ბერნარდოსეული კოლექციონი (XVII ს.) ზღაპრები, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, 1975). ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ზღაპრები არამეცნიერული, თავისუფალი ენითაა დაწერილი და ცოცხალი ნეტყვლების ძლიერი გავლენა ემჩნევა როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკული ფორმების მხრივ. დამახასიათებელა ფონეტიკურა დაწერილობის პრინციპი (გვერდ=გვერდს, ერთათ, კარგათ და მს.).

<sup>23</sup> „რუსუდანიანი“, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957. ანთის ივ. გიგინეიშვილის გამოკლევა: „რუსუდანიანი“, იხ. გვ. X—XVII.

<sup>24</sup> იქვე, გვ. XVII.

<sup>25</sup> შდრ. „რუსუდანიანი“, გვ. XXVI.

<sup>26</sup> შდრ. ხევსურული და თეშურის, სადაც დღემდე გარდამავალ ზმნებთან და გარდაუვალებ-ნასტორიისათვისა — ეს სუფიქსა: ა. შანანიძე, ქართული კილოე მითაში, თხზულებანი, I, თბილისი, 1957, გვ. 16; ა. ქინიძე, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 101.

<sup>27</sup> ალ. ბარაშვილი, ქილილა და დამანა (წინასიტყვაობა); სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II, თბილისი, 1962, გვ. 12—13.

<sup>31</sup> „თმსარიანი“ თარგმნილია სპარსულიდან მეფე თეიმურაზ II-ის (1700—1762) მიერ, გადაუწერია იგი ცნობილ გადამწერს ნიკ. ჩაჩიკაშვილს 1774—1779 წლებში (М. Джаишвили. Описание рукописей церкви. музея..., кн. III, 1908, გვ. 85—90; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A ფონდი I, II, III...). „თმსარიანი“ გამოსცა, ტექსტი დაადგინა, შესავალი და ლექსკონი დაურთო თენგიზ გორელიშვილმა, თბილისი, 1965, ჩვენ ხელთ გვექონდა მიკროფირი.

<sup>32</sup> ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (Описание, I, გვ. 390—391) და საფუძველედ უღებს „თმსარიანის“ მისეულ გამოცემას, (1903 წ.).

<sup>33</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, თბილისი, გვ. 185—190.

Е. Г. НИКОЛАИШВИЛИ

## К ИСТОРИИ СУФФИКСА $-(b)en$ В ГРУЗИНСКОМ ГЛАГОЛЕ

### Резюме

В работе представлен опыт датировки одного морфологического изменения в грузинском языке.

В древнегрузинском языке III субъектное лицо глагола во множественном числе в прошедшем несовершенном и совершенном обозначалось суффиксом  $-en$   $-es$ . В современном грузинском литературном языке этот суффикс сохранился лишь в прошедшем совершенном переходных глаголов, а в остальных случаях его заменяет суффикс  $-(b)en$   $-(n)en$  (в прошедшем несовершенном всех глаголов и прошедшем совершенном непереходных глаголов). Хронологические границы этого изменения не были установлены.

Замена одной морфемы другой в вышеуказанных случаях прослеживается с XV века. В письменных памятниках XVI—XVII вв. суффиксы  $-en$   $-es$  и  $-(b)en$   $-(n)en$  встречаются параллельно, а к XVIII столетию процесс замены можно считать законченным. Употребление суффикса  $-en$   $-es$  в текстах этого периода имеет реликтовый характер.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება



თეზისი გოგოლაური

ფშაური კილოს თავისებურებანი

ფშაური კილო ქართული ენის ერთ-ერთი საყურადღებო კილოთაგანია. ის, როგორც დიალექტის, დამოუკიდებელი მნიშვნელობის გარდა, ამ კილისადმი ინტერესს აძლიერებს, ერთი მხრით, ის ფაქტი, რომ იგი ფართო-და გამოყენებული ვაჟა-ფშაველას ნაწერებში, ხოლო, მეორე მხრით, ფშაურისადმი ინტერესს აღვივებს ამ კილოზე შექმნილი უმდიდრესი ხალხური პოეზია. ფშაურის თავისებურებათა გაუთვალისწინებლად არც ვაჟას პოეზიის შესწავლა შესაძლებელი და არც ფშაური ხალხური პოეზიისა.

წინამდებარე წერილის მიზანს შეადგენს ფშაურის ძირითად პორფოლიო-გერ და სინტაქსურ თავისებურებათა აღწერა ავტორის შიერ ადგილობრივ, ვშაურში, უმთავრესად უკანაფშაურის, მალაროსკარის, ჟინვალისა და ხეობის სა-საფლო საბჭოებში შემავალ სოფლებში, ჩატარებული დაკვირვებებისა და მის შერეე ჩაწერილი დიალექტოლოგიური ტექსტების საფუძველზე<sup>1</sup>.

1. სახელთა ბრუნება.

სახელობითი ბრუნვა. ა-ზე დაბოლოებულ სახელებს სახელობით ბრუნ-ვაში ბრუნვის ნიშანი -ი მოეპოვება: აი ლამთაიცი ანთებულ გაწირეს; ქელში გიქერავ წინდაი, ზედა ზღებ ოქროს შიბააო; თავით დაუშვეეს ჯროშაიო; ანდლ ზიძა როსტიაი ხარო: ქუბდიაი, ფარტე-ნაი, მართაი, ვაჟაი...

ეს ბოლოკიდური -ი ფშაურში მარცვალს ქმნის, მაშინ როდესაც ძველ ქართულში ანალოგიური მონაცემი დიფთონგის ნაწილი იყო და მარცვალს აქმნიდა. მსგავსი ფორმები დამახასიათებელია ქართული ენის ზოგი სხვა დიალექტისთვისაც<sup>2</sup>.

ზოგჯერ სრულიად გაქრალია სახელობითი ბრუნვის ნიშანი როგორც ბოლნისში, ისე ბოლოთანხმოვნიან სახელებთან: ბეზოს თავის ჯღენ აღარ აქსონან; ხუთმეტას ცხვარ შავყარეთ, ახლა რამთ-ვენ ძროხა; მათუდის ემანდ ზოგ ვინ, ზოგ ვინა; იქნება ხვალ-ხვალე-სეგო ბერათ ქალ დავსვათ ჯარზედაო; სამან ბულულან დავაქე-ნენ; ცის მეტ არაი გვხედავს; ვაჟა ხვარ გინახაე?

მოთხრობითი ბრუნვა. მოთხრობით ბრუნვაში დასმულ თანხმოვანფუ-ნან სახელებს ბრუნვის ნიშნად შეიძლება ჰქონდეს -ში: თხეჰი (—თხებში) ჯარ ჩამიარეს? ქარმ დამიშალა თამაქო; მათურულ დედაკაცემ მსწავლა: სხვემ კი მოგიაბებსთა რაიმა? ნიავემ არცით დავიკრასო; ეველ სიკედლიმ ეგრ იცის; თაქარმ, ლევეანმ, ვახ-ჯანგემ...

შიცემითი ბრუნვა. სალიტერატურო ქართულის ში თანდებულისანი ფორ-მის ნაცვლად ფშაურში ზოგჯერ უთანდებულო შიცემითი გვაქვს. იგი გამოხა-ვეს უბრალო დამატებას ან ადგილის გარემოებას.

ა) უბრალო დამატებას: ღმერთმა მშვიდობას მოგაქმაროსთ, ყუყუთასა, ბედნიერობასა!

ბ) ადგილის გარემოებას: კიჩოს ვიყვენით შალშვობა; კადაჩილი დადგა სასახლეო ქალაქის სკოლასავითაო; გოგოლაურთას ვერ ჩხვალთო, კიბულნი მქქონან გზანიოო. ჩოგასაც ლამაზს შავიგერაო, მაყარად გუზავნი ნოჭიკეთსაო; აჯადს ნუ მიხვალ, ანაოო...

ფშაურში ამ შემთხვევაში დატულია ძველი ქართულის ნორმა.

ზოგჯერ უთანდებულო მიცემითი ენაცვლება ზე თანდებულებიან ფორმას: ვალამყარის ცერის თავზედაო ერთურთზე თავდაყირასაო; დისწულ დედნიშათასაო სკამს უკრძალავად დაჯდებაო...

ფშაურში ისევე უთანდებულო მიცემითი ზოგჯერ გამოიყენება მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის ფუნქციით.

ა) მოქმედებითი ბრუნვის ნაცვლად: დააბეს ქორაქიანიო, იმ დღეს სკვასქდა ყვირილსაო; დედნიშა მოგვეშველებაო, ცემას დაწვევითი წლებიო: ე ბალღებ იგოცებიან ტირილსა; სუ სიცოცხლს ამაღლება მარამ(მ) ხალხი: მე ცოტას უმტროს ვიყავ: ცოტას ვასცდა, თაჯარ მოკალ: წყევას მასთხარაო...

ბ) ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად: არას მამწონ გაურჯელიო, ძრუბებ კუტად ჩავყარიო: მე ყვარა არას მეწუნებაო; მზას არი სუყვლაი; საჩქარ-მარქაროს რაიმ მოგვიჯდა წამოსვლა; სახთან მარქვეს ვიყვენით: მზორას მიდგა, თუ ერთ ქვა ამოიღე. შდრ. ხევსურული: ლაღნო, სად მიზდით, კევსურნო. სად მიხქრით ქორებულასა (ხევს. პოეზ., 171,1).

უთანდებულო მიცემითი გამოსატყვის დროის გარემოებას: ამალღებას. აღდგომას, მარიანობას, გიორგობას, შობას გსხვ.

წანათესაობითარი მიცემითის ფორმები გამოყენებულა ადგილის გარემოების აღსანიშნავად: ბარისას ვაღაიარესო, ვადმოჩნდებიან მთისასაო; ჩვენ მთისას აურევიან: ქალაისას აღარ წავიდა; აეცხეთანისას დეგემ გაჯდეთ. თორღვათ კარისას ამუავლიეთ; გვქაჯარუთვე: ფარკათას. დედნიშათას. გიორგითას, იოსებთას...

მიცემით ბრუნვას ერთვის ვით, თან, ზე ში თანდებულები. ში თანდებულის პარალელურად ფშაურ კილოში გვხვდება ჩი სახეობა. ყველგან სადაც კი მხოლოდობითის ადგილას წარიანი მრავლობითის ფორმებია ჩვეულებრივი, მიცემით ბრუნვაში ში თანდებულის დართვისას ვიღებთ ჩი-ს; ლამჩი შავამჭკრა (შდრ.: ლაშნი, ლაშთა; ვეღარც არ ლაშთა მჭკრეს); მუშაჩი დამიპატრიქსო სამი-ოთხ პირად წვეულთაო (შდრ.: მუშანი=ნაღმუშათ შავყრი)...

ჩვენ გვგონია, რომ, როცა თ-სუფიქსიან უორმებს ში თანდებულ დავრთვს, მიღებული თშ კომპლექსი გვაძლევს ჩ-ს და ვიღებთ ჩი-ს: მეზობელჩიაც ეგეთაიად შინ ქალაფჩიაცა; ძროხებ მოგარჩება კარჩიაც: სთველჩი ხუთმეტ წელ გამიკდება. სუ ბნელაჩიაც შამოჯდა საჯარეჩიო. სისქარ მეგონა დილისაო; ჩემ ველჩი არ დაბერდა ჩემ ველჩი არ მოკვდაა? ცხვარ-მემცხეარეჩი ნათქვამა

ჩალ პირჩი ჩამოგხედავდაო: ჩაპაზდის ა ე თმა ლაშჩია, თვალი  
ჩია; სწორჩიით გამოსარჩევი ...

ჩი თანდებული ახასიათებს ქართული ენის სხვა კილოებსაც.

ფშაურ კილოში ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებს თან (თანა) თან-  
ფებული ზოგჯერ ბრუნვის ნიშნის გარეშე დაერთვის: კლდეთანა, ტბათანა,  
ციხეთანა, მუხათანა ... ამგვარი ფორმები -თ სუფიქსის დაკარგვის შედეგად  
უნდა იყოს მიღებული: კლდეთანა (-კლდეთანა), ტბათანა (-ტბათთანა),  
ციხეთანა (-ციხეთთანა), მუხათანა (-მუხათთანა) ... მრავლობითობის სუ-  
ფიქსისა და თანდებულის საწყისი თანხმოვნის თავმოყრის შედეგად ერთი თ-ს  
ჩავარდნა ხდება<sup>4</sup>.

ზე, ში, თან თანდებულის ფორმებს ხშირად დაერთვის დაწყებითი  
ბრუნვის -ით სუფიქსი და მიიღება -ზეით, -შიით (|| ჩიით), თანით: ორას  
ძროხაშიითა ერთა კბუა გაუწირავ გოპურშია; ბაღ კინაღართა კელ-  
ჩიით გამამეცალა: ცერას თავზეით ჩავხედაო, ჩხუბად გამვლარა  
ქეასაო: ცეცხზეით იღეს ქობებო: ვაშკაცსა წენისთანასაო წელ-  
ზეით ვმალსა მკვსნაანო: ფარების კარებთანით თოფ მივავალე;  
გიორგისთანით წამოჩენა ცხერის უქვენანი: მარიამთანით... ამ-  
გვარი ფორმები მთის სხვა კილოებსაც ახასიათებს.

თანა თანდებულის სახელებს ზოგჯერ მღე ემატება და ვლებულობთ თა-  
ნანდე: თორღვათ სახთანამდე ცხენებზეით არ ჩამოვკვიდით; გო-  
პურთანამდე, ბაღთანამდე და სხვ.

ნათესაობითი ბრუნვა. ა-ზე დაბოლოებულ სახელებში ნათესაობითი  
ბრუნვის ნიშანი -ის დაერთვის უკვეცელ ფორმებს: დამალინე არაყი ჩემ  
ბუქულაის ნანაყო; დარაიის კბანიო, სამაჯურანი მკლავზე-  
ნაო: წინთ სახს ვერ შაუფერებსო დედუნაის გაუჭრთნილიო: ჩემ-  
თან ჩამოდი, რუსაოო, ერთ კუთულაის მუშაო; მშიერა ჯოგის მგელ-  
სა იგავ ვაშლოვანაის ტყისასაო ...

ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ზოგჯერ გავრცობილია ი ხმოვნით<sup>5</sup>. ი  
ჩნდება როგორც მხოლოდობით. ისე მრავლობით რიცხვში: თორმეტას ცხვარ  
წილეს თუ შისიცა, ფშავლისიცა; ხვარამზე გაუტაცებავ პაპა-  
თი: რომნისი შქედეს მაყარიო: ვაშკაც რაიმა ყოფილა შეიდმეტის  
წლისი...

მსგავსი ფორმები დამახასიათებელია თუშურ-ხევსურულისთვისაც.

ფშაურ კილოში ნათესაობითის უთანდებულო ფორმა დროის გარემოების  
გამოსახატავადაა გამოყენებული: ერთხელის ფკვიშველიო მარბინე  
ტურათ კარისაო: ზათხულისაე წაყვანეო. ზამთრის ველარ მაჰ-  
კელაო: ზათხულის რაღას მასწველავსო: თოფი რო და(გ)კრეს, შამ-  
ნასაო. ვინ შაიგონე მაშინისაო: შარშანისა შაიყარნეს დარო-დ'  
ეგე გვაქვს: მოსევს (|| მოსეის) = მოსელისას: შანევს (|| შანეის) = როცა  
შეარეს. შევლასას: ალა მასეეს უთვლავ: ძოღანის, გუშინის, ნახ-  
ნის = როცა: ნახანის დამიქროლნებენო. იავსარ უღვა ლახტითაო:  
ნახანისა მეტყვის, მენც მეტყმენება: როცანის = როცა: მიძახე კარა-  
ტიელოო. როცანის = ხინკალს ჩამაყრიაო.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმას თვის თანდებულის ნაცვლად ზოგჯერ თვის  
ან თვი დაერთვის.

ნათესაობითის ფორმებთან გვხვდება აგრეთვე დ(ა) თანდებული, რიპ-ლიც მნიშვნელობით თვის თანდებულს უდრის: მაგალითები: წინაე არ მ-მირჩენავისო მოსისხლეებთად თავიაო; ერთ კვერ ჩემდ გამაე: ზანაო, სუ წინწლითა მწოვს კელეხსაო; ჰაელ დანალევ იმათად უ-დეინებაე: ერთ თოფ დეეკრა ორთადაეა, იქალ-ვაჟათადა; კინა: ეშმაკთად შაუცხაე; აჯადისად გამაუხენდენინებაე...

გვხვდება გან თანდებულიანი ფორმებიც: პაპაისაგან ძალიან ჯ-ერჩეგრენით: ნაცარ წმენდილისგანაოთ გაწითდა ექობი.

გამო თანდებულის მნიშვნელობით აქა-იქ გვხვდება საგარდნობით: ჩ: დელიშაის საგარდნობით მიყვარან გეგებიცა: შენის საგარდნობითა...

სიტყვის ფუძეს დართვისას გან თანდებული კან სახით გვხვდება: ბერისა კარი გავალეო, ბევრკან ავჯალე საყოშიო: ურემს მაუკვლეს აშმენეო, ათასკან გააშვირს ჩხირებო; თივა სუ ერთკან შაეაოდით: ზოკან-ზოკან შალეე მოსაფარებნაო.

კან თანდებულს აიკარგება, როცა თანდებულს -ით ან -ურ სუფიქსები მოჰყვება: ცხრა-ათკნით, ხუთმეტ-თექვსმეტკნით...; სხვაკნიური: მანდ სხვაკნიური ვინამ იყუა მასწავლებელი?

ყველგან-სიტყვის ნაცვლად ფშაურში გვაქვს ყველყან. ყველყან (←ყველყან-ყველგან): ყველყან მუანაოგრებთ ბებო-ქალნი; მაგ: ბაიყუმ რადა ხარო, ყველყან ეგრ იცის ზამთრისაო; ემაგის მალექსებელსაო სუ ყველყანითა აქონ გზანაო; წინაე სუ ყველყან ვაიციოდან...

კენ თანდებულის ვარიანტებია ფშაურ კილოში კი||კ: იმ ბნელათაკე იბრუნებდეს თვალპირსა; წყაროთაკე სადამ დეემართა; ო დედო სადლა მგლეობისაკე მიზდით; წავე სალეველთაკე; გქელა ველაისაკე წავიდაა საქონი?

საითკენ ფორმას ენაცვლება საისაკე (||საისკე) ან საისაყ: საისაკე მიხვალ, ძმობილო, სად მიუქეჩებ ცხვარსაო.

სა—ო თავსართ-ბოლოსართიანი სახელებიც კენ თანდებულიანი სახელების მნიშვნელობით გამოიყენება: სამაისტელოს ვაეხსაო ბაკნით ასმიო ლუდიო: ღმერთო, შენ ჩაასწავლნოდიო სახოშარონი გზანაო...

ზოგჯერ ამგვარი სახელები ვითარებით ბრუნვაშიც შეგვხვდება: წამუდით საშინაოდა, სამთოდ, საკეობოდ, სახატოდ...

მოქმედებითი ბრუნვა. ფშაურ კილოში, მსგავსად ძველი ქართული ენისა, უთანდებულო მოქმედებითი იხმარება გამოსვლითის ფუნქციით: ცითამც მეს დასცა მათურელთაო: ცხენ გამააქქევიყო შინაითა; რძე გუდარახით ჩამაქო, ჩაიში გასაცხელებო: არტნით იპარეს ცხენებო, უდედო წირეს კვიცებო...

ო-ზე დაბოლოებული სახელები მხოლოდ ფუძითა და -თ ბოლოსართით არის წარმოდგენილი, ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი კი იკარგება: გადმოცვიენილნი მითხოთაო დადიან მშიერტიტელებო; შუაფხოთა ვაგამოთხოილო; კვიანა იყენით, გემოთა, სიტკბოთა: შნოთ ესე იჯობაე.

შნოთ (←შნოთ←შნოით); სიტკბოთ (←სიტკბოთ←სიტკბოით)...

მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება -ით მთლიანადაა შემონახული ა-ზე დაბოლოებულ სახელებთან: კარატელს რას გააძლებსო ჯელადაით ნაზიდ ღვინოო; თავის ჭამაგირით იცოშსა, თუ სხვით რაითამა; ერთა ვურაით ნაცხოვრებ კაც რაიგილა არი; არცაითა მცალიან; ვეღარცაით რას შორტანთ: ამინიმც შამოგყევაბო, ყველაით მულარალ იქნებო...

მოქმედებითი ბრუნვის ფორმას ფშაურ კილოში დაერთვის თანდებული ე (=შემდეგ): ორის კვირეთ გე კიდენაც გამოსაქდელ მექნება; ზოგმ ტარ-მატყულ გაიჩინა წინით გევა: ჩემის მოსვლით გეა გამოთხოლო; ჩე(მ) მაშის ჩასვლით გე: თოფის სროლით გე; ხალარ-ქობით გე... (მდრ. ხევს.: სოფელ დაღაშებით გეს აღარ დასხდების ჭვარში. გაბ., 127, 24-25).

ვითარებითი ბრუნვა. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებად ფშაურში ყოველთვის -ა(ღ) არის (ღ-ს დაყრუება არასოდეს არ ხდება). საგულისხმო მოვლენა, რომ ა-ზე დაბოლოებულ სახელებთან ვითარებით ბრუნვაში გვხვდება ად ფორმანტიკული ა-ც ფუნქსიულ ა-სთან ერთად: ყიდულავ, რაად მალეჭყო; ისრიკ რო რაად გავხედნო. ტირილნ მაშერევიან; აბა, ნასწავლ არაად დაღონდება; ხვალ ავლალთო, იმაადა ვართ: სუ ყველაად უაშურია; საწინდი აად მაინც ღეგემ გამოდგესო: ან შინავ ხეარად გასწირავდენ. მაგაად არ ვეშეტებო: ბიძაად, დედოდაად... ვითარებითი ბრუნვის თანდებული მდის (||მდე) ზოგჯერ მდენი|მდინ სახითაც გვხვდება.

ფშაურ მეტყველებაში არ დასტურდება დამ და ებრ თანდებულები (ვა-ვა-ფშაველას ნაწერებში კი მრავლად მოიპოვება: „ნეტავ თუ კიდევ სხვასაცა ხემებრივ გული სტკიოდეს“: „ამაოდ ჩამოსხდებიან ცილამ ვარსკვლავნი ბარადა“)...

იმისთვის, მაგისტვის ფორმებს ენაცვლება სა- --- -ო აფიქსიანი სახელები ვითარებითი ბრუნვის ფორმით: სამაგაოდ, სამაოდ: არც ლევან გვექმურება სამაგაოდა; არ იყვნენ სამაგაოდაო გასამეტ-გასაქმურებნო...

წოდებითის ფორმა. წოდებითის ნიშანი -ო||-ვ ფშაურში ყოველთვის წარმოდგენილია: ტილო, დიდ შობანაოო: კაფიას გამოგვიზავნიო, ვუნჩიავ, კვირა დილასაო; ქურსიკავ||ქურსიკაო, მართავ||მართაო, რუსულანო, ქეთავანო, ზურაბო, ვახტანგო...

თანამოვანზე დაბოლოებულ ადამიანთა სახელებს ყოველთვის -ო აქვს წოდებითის ნიშნად, მაგრამ, როცა კნინობითს -ა სუფიქსს ირთავენ, უერთებთან ხმოვანფუძიანებს: ბეჩაო მარიამავ; რუსულანავ, ბასილავ, ვახტანგავ და ა. შ.

იღა ე ხმოვანებო დაბოლოებული პირის სახელებთან წოდებითის ნიშანი: თავს იჩენს ხმითნატირლებსა და კაფიებში. მაგალითები: გზანიმც გიჟიან, სალომეო; შე(ნ)ს მკართ ვენაცულე, ივანეო; შენ მე ვერ გაბტენ, პეტრეო, ცხრა თავ რო გებას, შეიდ კელიო; ალექსივ. სტუმარნ მოკლიანო...

როცა წოდებითი ბრუნვის ფორმას სხვათა სიტყვის ო დაერთვის, ორი ო

მოიყრის ერთად თავს: გამაიღვიძე, ფრუ შკაოო, რაიგი მნახე სიზმარო: ბერაო ელიზბარაოო, ქალ-სიძეების ნაწეწოო...

**მრავლობითი რიცხვი.** სახელთა მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად ფშაურში გვხვდება როგორც ებ სუფიქსი, ისე -ნ და -თ სუფიქსები: ქალემ (=ქალებმ) დაადგეს ჩხირ-წინდაო, ისწაულეს კრელებ წიგნებო: ჰურებ რა გამუაცხვათ; დეგემ დაგარჩვას იორზო, მე დამრჩეს შენებ ყუფჩებო: მაყრემ უნდა ებძოლნონ ი საკიდელა: ქისტებისად სუ თავებ გაუკრეინებავ... ცეცხნ არ გინთიანა? რამ ზიშოროს მთანი აქქონან; აუხვენ აი ქვანი-ღ' დასთხმუხა; აე სახნიც ბეჩაენი გ(ე)ქონ; მუშტით რას უქამ ურჯულოთაო, მუშტით ურჯულოთ მეომაროო; გაბრუნე, ველარ დაგაბრუნეო, გაგები ჩოქ ბოლოთზედაო: შევიდთ მურგვლივ შამაუარაო...

-ნ და -თ სუფიქსებიანი მრავლობითის ფორმით გვხვდება ისეთი საზოგადო სახელები (გარდა სულიერთა სახელებისა), რომლებიც რეალურად ეწა საგანზე მიუთითებენ: ქარანი, აკავანნი, საგრებელანი, ჩხუტნი, ბარნელანი...

-ნ და -თ სუფიქსებიანი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი ისეთი სახელები. რომელთაც სალიტერატურო ქართულში მრავლობითი რიცხვი ფორმები არ ეწარმოებათ: ელდანი (ელდანი მღეევი), ბნელანი, ღოჯა და მისთ.

**II. ნაცვალსახელო.** ნაცვალსახელთაგან საყურადღებოა კითხვითი ნაცვალსახელები, რომელთაც ფშაურში თანამედროვე სალიტერატურო ქართულსაგან განსხვავებული შნიშვნელობა მიუღიათ. უნაწილაკო ნაცვალსახელები ნაწილაკიანის გაგებას იძლევა.

**ვინ (=ვინმე):** სად ვინ არი, რაიგა ვინ არი; არტნის ზეით აღარცად ვინ არი; ღმერთო, მიცოცხლე, საცა ვინა მყავ; მე აბა რას ვინა გხედავთ...

**რა||რაი (=რაიმე):** ვეროდის რა მუაზარკლე; ცოტმატა თუ რა მავსონ; არ თუ რა მაგონდებოდა შიშინაობა, არკი წაიღესა, რაც რა აქქონდა...

**რა (=რაც):** რა ჩექმებ არა, ფეფისამოს არ ჩაუცომ ჭერა: რა დე მამან დამეკოცნეს, მარტუაი ვარ...

**რაად (=რადმე):** გონსაოთ რაად უღეედის; რო რაად გავეხდნო ტირილნ შამერევიან ...

**რაით (=რაიმეთი):** მგლებს რაით მუალუპეინებთ აი თხა-ცხვარს: ბერწ რაით დამრჩება ე ბაითალმანი ...

**რაში (=რაიმეში):** იქაოთ რაშია მყურაე? ...

**როდის (=როდისმე):** იქ როდის გაღმონვიდი? ...

**როგორი-ს მნიშვნელობით იხმარება რარეფი||რაიგი და რაი:** ცხენმ რარეგა ჩამოგადლო, ართუ ეღვა ავშარაო; ახლა რარიგმ ითამაშის; რარიგ დამდარა: რარიგ სიზმარი მნახე წუხელისა? რაი ფეენი დამქონ რაი ჯალო დადის...

**რომელი-ს ნაცვალად ფშაურში გვაქვს რომენი:** მართაი ხარა, რომენი სჩქამობ? რომენ ძროხა არი ბაკათი? რომენი გინდა იყოს?

გვაქვს სადიური: სადიურ დედაკაცი ხარ?

რამდენი-ს ნაცვლად გვაქვს რამთვენი („რამდენი“): რ ა მ თ ე ნ ი ს ა დ ზუბნა; რ ა მ დ ე ე ნ წლისია?

რა გამოიყენება ნეტავი-ს მნიშვნელობითაც: რაი-რა (=ნეტავ რა: რაი-რა წამიკდება. რ ა ი-რა გამოვალის? ხად-რა (=ნეტავ სად): ს ა დ-რა მასწრობს ქარბუქიო, ს ა დ-რა დაარჩობს ნაქარიო. რა ზოგჯერ განზგორებულია: ვის-რა-რა, სად-რა-რა, რად-რა-რა ...

განსაზღვრებით ნაცვალსახელთაგან თვითონ-ს ენაცვლება თავად; იხმა-რება აშე და აშეები (=ვილაც, რალაც, ვილაცები, რალაცები): აი თეთრ აშე გაყრავ თავშალზუნდა; აეს აშეებ კი წინავაც იყო, მემთვრალე ხალხი ...

პირის ნაცვალსახელთაგან: ისიოგი-ს ნაცვლად გვაქვს ისი, ხოლო მრავლობითში ისინი-ს ნაცვლად ისენი და ისენები (იმათ || იმეებს, ამათ || ამეებს). მაგალითები: ჭერ ისეებ არ დამიკვლავ; ისენ კარვადია მავსონან მენა; უშეცარ მუედ აშეებ ის კელჩია; იშეებს ვინ არ სადამ იცნობდა ...

გვე ძველი ქართულის მსგავსად სრულადაა წარმოდგენილი: რაივა და ვითერნით მე და ეგე ...

ჩვენებითი ნაცვალსახელები ხშირად მოკვეცილი სახით გვხვდება: ეღმეხილები, ესეები: ჩამაზღის ეთმა ა ელაშჩია; აივადოს თვალეზებით იკელი; კოთ მიზლითღის ი ჩვენ ცმა; ნეტარ ი ბალეებ იქავ იქნებიანა? უნდა ჩაქდეს და ჩაქონეს ი ძმანი...

ასეთი მოკვეცილი ნაცვალსახელები წინადადებაში გვხვდება დამოუკიდებლადაც: ე რო დავგონდები, უგონთ რარივამ გავვლები; ა ე მავოლება სუ ეკალდამეებია ...

ეთი მეორე პირსაც მიმართავენ, თუ ის ახლობელია, შინაურია. მაგალითები: ლექს ხვარა იცი, ე! ჩამაიყვანე, ე! ... ე ამგვარ შემთხვევაში მნიშვნელობით უახლოვდება შენ ნაცვალსახელს.

ახეთი-ს მაგიერ ფშურ კილოში გამოყენებულია ესეთი (||ესეთა), ხოლო ესეთი გვხვდება ისეთა ან ისითა სახითაც: ესეთას რას ვინ გაიგონებს; სუ ესეთა ბეჩაობაშია ვარ; ა ისითა ის გადაწყერილი ვარ; განა კი-რაიმ მიჭირს ისეთა იო ...

ა (შემოკლებული აი) ხშირად წინ უძღვის ჩვენებით ნაცვალსახელებს: აგეთა (=აი ეგეთა). აესეთა (=აი ესეთა): აეგეთა ხიბალ-კუდიანია; აეგეთა ია უსაქმ-უსაგნო კაცი; რა თავ მავსონ, სუ აეგეთა ეებია ...

ეგეთა-ს ზოგჯერ ენაცვლება, ეგეთურა, ესეთა-ს — ესეთურა: ჩხუბი-ღეგეთურა არა იცოდენ იმთვნადა; ესეთურეებ ბევრ ვიცოდი ...

მაგ ნაცვალსახელს ეკვეცება ბოლოკიდური თანმყოფანი და მა-ს სახით გვევლინება: მაღურბელათ ყოფაქცევო ამიტყდება საგონადაო; ემა ივანეს უთხარიო, ნუ დგა მა სხლების ძირშიო.

კუთვნილებითი ნაცვალსახელებიდან შენი და თქვენი იმ მხრივია საყურადღებო, რომ მიცემით ბრუნვაში ზოგჯერ ექარგებათ ნ: ვაიპ, შეს დელასა-და მიწანიო; რა ამბავია თქვეს თავსაო ...

... თვას ვერ ეაშევე შეს კარებსაო,  
დახელდებიან, ვერ შეაბამო,  
ვერ მავგლოთნებ შეს ლურჯასაო,  
გათამამდება, ვერ შეეკმაზაო...

მსაზღვრელი კუთვნილებითი ნაცვალსახელები მიცემით ბრუნვაში ზოგჯერ ბრუნვის ნიშნის გარეშეც გვხვდება: შენ დედას, თქვენ თავს ...

უპირველესი ნაცვალსახელებიდან ფშურში იხმარება:

არა (= რაიმე არ): თქვენ არა საქმე გაქვით: ეხლა კი არაი მაქ მოქსოილი; არაფერ არა მაცხონ, არაფერ არა ვიცი ...

არცარა (= არც არ რა—არც არა რა): არცარა სისხლით გაგბანეს, არცარა ნალწ მოგხვდაო: იმის მეტ არცარაი მძყვანდა ...

ალარაის: მე კი აღარაის გამოსადეგ კელნი მქონან ...

ალარცარა: აღარცარა ყურშით შაქის: აღარცარა იღამათ მათუტანეს ...

ალარა: მაგის მეტ აღარა მეფიქრება ...

ვერცარა (= ვერც არ რა—ვერც არა რა): მე კი ვერცარა ლექს ვეცი—ღ ვერცარა სხვა; არცარა ებადება ...

ნურა (= ნურ რა რა): ღმერთმა ნურა შაგანანოსთ.

### III. ნაწილაკები.

ა) აი ჩვენებოთი ნაწილაკია. ეს ნაწილაკი ფართოდ გამოიყენება ფშურ მეტყველებაში. მიუთითებს ისეთ რამეზე, რაც თვალწინ არა, მოხდა ან ხდება: მთაში წავიდენ ვუშინისა აი შხეკალაიცა, აი ქალიცა; აი ღუმ მანძე არი, რა მენა ვარ: ევრ კი გამიგონავ აი ანდრეზადა ...

ბ) ვე ნაწილაკი ხმოვანმოკვეცილია და გვხვდება ვ-ს სახით: ძველებურივე სახელებ მიქვიან ბალებსა; ისრივე აქა მძყუღინარათა? ეგენიკ შირჩეენიან ...

თუ ვ(ე) ნაწილაკი თანხმოვნით დაბოლოებულ ფორმას დაერთო, ვ-სა და თანხმოვანს შორის აღდება მადრცობი ან ფუძის ა ხმოვანი: მეკრე მეზნავ შაპეხეწუნეს; მეორესავ დღესავ რძენ შამიდღებინა; ოთხისავ ფეკით კოჭლიაო ...

ზოგჯერ მოკვეცილ ვ-ს ცვლის ა ხმოვანი და ვლებულობთ ვა-ს: ბაღს ცოტაივა მქემაობს; ემანდავა მყარავის ...

ვე ნაწილაკი ზოგჯერ სრული სახითაც დაერთვის სიტყვას: ორივენი ძმანი რარუნია, ორივენი ერთურთის უყეთენია ...

გ) მე ნაწილაკი გვხვდება მ-ს ან შა-ს სახით: კი-რარისიმ კუნძიოთა ძეო; კი-საღამ ვინამ რარიმ გაქმიათა? ერთ რარიმ შავ ჩამყევა; ზოგებ რეებიმ ექ დეყარა; ამხანიგ კი-ვინამა გყავითა? ქვეთ ვინებებმა სთიბენ: ორ-სამნიც რანიმ იყენიან ...

საღამ (=სადამე) ზოგჯერ გვხვდება ხამ-ის სახით: საღამ (=სადამ-სამ): აე მარამნიც რარია სამ ჩამტერია, აე თექათ ქალიცა; რძალა რარიმ მათუყვანაო; მგონავ, ისიც ყროლ სამ არიო ...

გვაქვს უნაწილაკო ფორმები, რომლებიც მე ნაწილაკიანის მნაშვნელობით გამოიყენება: რაად (=რადამე): კიოთ რაად გივლავის მა წობანისაყ; ვინ (=ვინამე): რარია ვინა ხართ? რაი (=რაიმე): იქნება მადლ რარი ექნაო ...

დ) ფშურ მეტყველებაში ფართოდ გამოიყენება დადასტურებითი ნაწილაკი კი. ფშური კი, განსხვავებით სალიტერატურო ენაში ხმარებული კესგან, უშუალოდ უძღვის ზმნებს, რომლებიც მეტწილ შემთხვევაში კითხვით-



ნაწილაკიანია, მისა (=მე) ნაწილაკიან ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს, აგრეთვე არ, ოთ და თუ ნაწილაკებს:

ეხლა ე კბულებ კი-მამეთხეიან მენა- ერთმ კი-უყარაულეთ: ა ფურ-ღეაქულან კი-მოვეკარგენით: ნეტარ კი-იქშერებდენაჲ კ-რ-და მძშლიტენა მიწანიო; კი-შაიდღეობებაა ეგედ-ქლანდელ მონაწველი? სხვაკან კი-ვინამ რაიმ გითხრაა? ჯერ კი-რ-ასამ აპირობთა ქორწილსა? კი-რ-აა დამ მინდოდა, მენახეენით; შენ კარტყელთ ქალი ხარო, მე კი კი-რ-აით შავრცხევიო; რადარ შაამქმანზე, კი-რ-ა ღვენდია? არვი კ-რ-და ვთვალთა, თუ კი-რ-ა: არ ვალექსებდეთ ერთურთაო, მეც კი-რ-ა თ დავისევენებდით: მამუკამ ტირილი დაიქყო; კი-რ-აუ ჩავაწვენთ ტყავშიაო ...

ე) ფშაურში აღსანიშნავია კიდევ ნაწილაკი ოდ. ამ ნაწილაკს ფშაულები ნარკვარი აზრობრივ-შინაარსობრივი გაგებით ხმარობენ.

1. ოდ (=მეტად): რ ბებერ ძალიანაოდ მცოდნ იყის, ბევრი-ოდ აკონდის; წელს სულეოდ დაუსტრდი ...

2. ოდ (=ნამდვილად, სწორედ): ასახელებულ კურეტი გვეყანდა, შავ ზებერიოდ იყეს; ჩემ სტეფანე შაოდ წაიყვანა; ჩემ ქალის სახთ პირ-ხედოდ აღ-ჩადის; იმის ქალიოდა ყოფილა: ნათელაიცი იქაო-და გვეყანდა: ჩემ ძმის მონათლულიოდ იყო; კალაზედოდ ვი-ყვ, ის კაც რორცა მოიდა ...

ოდ ნაწილაკი იხმარება თუშურ კილოშიც, ნიშნავს -ც... კმ.

ე) ფშაურ კილოში გვხვდება კიდევ ნაწილაკი ოთ (=აღმათ, მე მგონი): ზეი აროთა ცდილობს. კი-რ-ა თ სად არი ქორწილიო, ტოშიოთ სა-და ტყვრებო; ი მუქლაიცი მოქრილიოთა გ(ვ)ქონდა: რამოდენა-საოთ ეძახის. ჩიტებიოთა მჭექენ: ჩვენ აქაოთ გვიპირობენ და-ქიყასო; ეხლა რალასაოთ მიქმენო: ავამტყოფიოთ მორჩებო-დაო ...

ზ) თუ ნაწილაკი ფშაურ მეტყველებებში გამოიყენება ოთ ნაწილაკის მიშენლობით: იმას თუ რასამ ამზადებს: ხე თუ რაიმ მასტყლაო, და-ბერბენა ე გულმა: არ-თუ (=აღმათ არ): არ-თუ რა მამგონდებოდა ში-ნაინობა; კი-თუ (=აღმათ კი): კი-თუ მასწონ: ვერ-თუ (=აღმათ ვერ): ვერ-თუ რას გავდა.

თ) აღსანიშნავია ნაწილაკი ო. სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავე-ბით ო ნაწილაკი ფშაურში იხმარება თავისივე წინანდელი ნათქვამის (თუ გა-ნხრახ-ნადიქრის) გადმოცემისასაც. (შეთქი ნაწილაკი ფშაურში არ იხმარება)... აგრაი, ქისტ მოდისო, უთხარ, რაად დამძსხედითო? არვი გითხრა. ზღარ წახვალო! ბალებს (ე)უძახე, აქავ დავქუჩდეთო: წავი-ვეო— იმადა ვარ ...

ჩვეულებრივ, სხვათა სიტყვის ო გამოიყენება, როცა მოუბარი პირი ზისგან გაგონილ ამბავს გადმოგვცემს: მიშველე, ნათლიაოო, დედუკაის ზღამ მიძახა, წაიყვანეს ჩემ ბიძაიო ...

როცა ო-ს კითხვითი ნაწილაკი ამოპყვება, ოა→უა: კელ-მქარ არ შა-გიშინაულა დღეში ოროლვა რქემო? კი-მოხვედუა, დისწულოო?... აქვენ სახლის უფროსმ მიატანაო: ქვა არიუა, ხე არიუა, კუნი-ძიაუა... ვერ მაიწყინეთოუა დედა-ქალთაო?...

პოეზიაში ხშირი მოვლენაა ო და ა სალექსო სტრიქონის ბოლოს (ე.წ. პრასოდრულ სმოვნები). ამ სმოვნებს არაერთაბი გრამატიკული ფუნქცია არ მოეპოვება. მაგალითები:

ბატარაი სწოეს ახოსაო,  
გააქურა ლომპარიაო,  
თორმეტნ ჩაწენა კუთუღანიო,  
ბიძილას, როგორიაო,  
შაიჩიოდა ქალოქროსაო:  
ერ გავესე გოდორიაო,  
რით გაავსებ, დამეხილოო,  
ცოტა შინე მოქსოვიო.

სტრიქონის ბოლოს აო მაშინ მიიღება, როცა პრასოდრულ ა-ს სხვაჲ სიტყვის ო მოსდევს:

რა უკაე, შამამილაოო, თინიბექ ჩემი ქმარიაო?  
თინიბექ ფშავში გავწირუ წითელ არაყით მთერალიაო;  
თავით დაუსუვე დროშიაო, უღრიალებდა ქარიაო.  
ფუქთით დაუბი ლურჯაიო, ტირიდა როგორც ქალიაო...

ი) ფშაურ კილოში მცა (მც) ნაწილაკი მოიპოვებს თხრობითი კილოს ფორმას, ნაცვლად კავშირებითისა. ცითამც მეს დასცა მათურელთაო, პაპალიასა-დ' ჭარისაო; მე-დ' ფუნჩიამც გაგვყარნაო, მოგვავწერინა კელებიო; ჭვარიმცა გწერავ შვეთურიო, წადი-ღ' ი გზანიმც გიყოიანო, იანიმც გათესიანო; ჯალაფთასამც წამიყვანა: მიწანიმც დაილოცებიანო...

შდრ. ძველი ქართული: ნუ უკუემცა მოკლეს იგი კაცთა (შექმნათაჲ)?

კ) ფშაურში გვაქვს დადასტურებითი ნაწილაკი შოდ (—შო-დ'—შო-და): იხმარება დამოუკიდებელი სახით: შოდ. იპას არ ვამბობდია? შოდ, აბა რაისად რა უნდა ზა დამწვარსა ...

#### IV. ზმნათა უღვლილება.

ზმნისწინი, მო- ფშაურ კილოში მა-ს სახითაც გვხვდება, თუ ამას ფონეტიკური გარემო უწყობს ხელს.

მა- გვხვდება პირველი ობიექტური პირის ფორმებთან (მა-მიქსოვა, მა-მიქელა, მა-მიქნა): მეორე სუბიექტური პირის ფორმებთან (მა-მაქნა; მა-მაქსოვე, მა-მაქელე...), გარდა იმ შემთხვევისა, როცა თანხმონით დაწყებული ზმნა ბრძანებითის ფორმაშია (მო-ქსოვე! მო-ქან! მო-კელე! მო-რეკე!...); მეორე მხრივ, მეორე პირის სათავისო ქცევის ფორმებთან (მა-იქან, მა-იქსოვე, მა-იქელე) და მესამე სუბიექტური პირის ფორმებთან (მა-მაქსოვს, მა-მაქელავს, მა-მაქნავს; მა-ირეკავს, მა-იწელს...).

მო- გვხვდება პირველი სუბიექტური პირის ფორმებთან (მო-ვქსოვ, მო-ვქნავ, მო-ვქელავ, მო-ვწელ...), მეორე ობიექტური პირის ფორმებთან (მო-გიქნავ, მო-გიქსოვ, მო-გიქელავ, მო-გიწელ, მო-გირეკავ...).

ასეთივე სურათი გვაქვს -მო-ს შემცველ რთულ პრევერბებთანაც: ამა (ჩამო), გამა (||გამო), წამა (||წამო), ჩამა (||ჩამო), გადმა (||გადმო).

მა- (||მო-) ზმნისწინი ზოგჯერ გამოყენებულია სუბიექტის ან ობიექტის

სიზრავლის აღსანიშნავად: საქონ ყანას შეეცა (—შა-ეცა): კბუები მყავის მო-  
კარგულეები: არ მაიკარგნეთ: ძროხებ მოგჩეხება კარჩა...

-მო-პრევერბზე ა ჩმოვნის დაბოვით მიღებული ოა ჭგუფი იქცევა უა-  
ბიქა—შუა: გამშართვი (—გამოართვი — გამოვართვი). გამშაღვიძე, ამშაღ-  
ღეთ...

მსგავს შედეგს იძლევა მო-ს შემცველი რთული პრევერბები პირველი სუ-  
ბიექტური პირის ნიშნისა და ქცევის ა-საან ვნებითი ე-ს წინ: ჩამუასთავ (—ჩა-  
მოასთავ—ჩამოვასთავ), გამშურიღენით (—გამოერიღენით—გამოვერიღენით)...

ეგვე შედეგია ძირეული ვა და ვეს წინაც: წამშარდა (—წამოარდა  
—წამოვარდა, ამშე (—ამოე—ამაღე)...

შე-ზმნისწინი შა-ს სახით გველინება: შა გვავლიეს ი გორი; მე-ღ'  
ღლა შამაუსხდებითო, ქამას დაუწყებო ქმელასო, შაუსაქ-  
ღურებთ კიდნაო გამემარსა ხეოსკვერასაო ...

სუბიექტის ან ობიექტის სიძრავლის აღსანიშნავად გამოიყენება და-ზმნის-  
წინი: და-ვიქცენით (=გამოვიქცეით); ძროხებ და-ვკვლე: ქალმებ და-  
ვიკეთე; დედამ და-ვგვზავნა: არ ცხვრებიც მგელს სადამ და-აპკიო...

პირის ნიშნები.

ა) პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ იკარგება ო და ი ხმოვანთა მო-  
რის, აგრეთვე უ-ს წინ: ნეტაი რა მოიგონო: წისქვილს არ დევაფქვე-  
ნეო, წამოიღღურე ცუკანო: კერცაით მოიკალე: დაუსხი.  
მაუთმინე, დაუგულე ...

ბ) ფშურ კილოში S<sub>2</sub>O<sub>3</sub> პირის ნიშნებ ბ-სათანადო ფონეტიკურ გარემო-  
ში იძლევა ს-, ზ-, შ- (აშ-). მბ-, მ- ვარიანტებს.

ს- გვაქვს შემდეგ თ, ტ, ც, წ თანხმოვნებში წინ: ს-თბები, ს-ტანავ.  
ს-წუნობს, ს-ცრის ...

ზ- გვაქვს დ, ძ-ს წინ: და-ზ-ღგმენ. მა-ზ-ღიხარ, ა-ზ-ძრახდი ...

სოფ. გუდრუხში, ავალეში. ნებისსა და სწროდაუშო მცხოვრებთა მუტუვე-  
ლებში ამგვარ შემთხვევაში ზ-ს ნაცვლად მ- ჩნდება: და-მ-ღგმენ, მა-მ-ღი-  
ხარ, ა-მ-ძრახდი ...

მბ- გვაქვს პ, ფ, ქ, კ, ყ, კ-ს წინ: მა-მბ-პარვენ, ამა-მბ-ქონდა, მა-მბ-ფიქ-  
რებია, მა-მბ-კლიენებია, მბ-ქელვენ ...

შ- (||აშ-) გვაქვს ჭ, ჩ-ს წინ: შ-ჭამ (||აშ-ჭამ). შ-ჩეჩავ (||აშ-ჩეჩავ)...

მსგავსი ვითარება გვაქვს რ ბგერის წინაც, როცა იგი რჩ კომპლექსში  
შედის: და-აშ-ჩა (||და-მ-ჩა), გადა-აშ-ჩა (||გადა-მ-ჩა). ჩამა-აშ-ჩი (||ჩამა-  
მ-ჩი) ...

ა- გვაქვს მეღერებთან. ბ, გ, ვ, მ, ნ, რ, ლ, ჯ, უ, ზ-ს წინ: ა-ბერდები.  
ა-გვეხარ, მ-მართებ, მ-ნახე, მრეცხს, მა-ი-ლამს, მ-ზიხარ და ა. შ.

ფშურ კილოში, მსგავსად ძველი ქართულისა, უწყვეტლსა და წყვეტლში  
მესამე პირის სუბიექტის მრავლობითობა გამოხატულია -ებს სუფიქსით რო-  
გორც მოქმედებით, ისე ვნებითი გვარის ზნებში. -ებს სუფიქსი კარგადაა და-  
ცული უკანაფშაველი მოხუცების მუტუველებში. მაგალითები: შეიდ ქისტა.  
ჭეჩე ფშაველიო გავიდეს მუქარაზედაო. შვიდთ შურგვლოვ შამაუა-  
რო, ცურავდეს სისხლის ტბაზედაო: ქისტებ კორცა ხარშავდეს.

ქობებში ჩამოყრიდეს. საიღოს ამზადებდეს: კვესბრებ იყენებს, ისენ ასამართლებდეს: თუ მოსაკლავ იყო. მამაკლავდეს, ჩამაქოლავდეს: კელითა მსომდეს ცხენზე, კელით მაქდენდეს: ქმას აღარა მცემდეს, აღარა (მ)მეზობლობდეს...

მღაროსკარის, ვინვალისა და ზეობის სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლების მეტყველებამი, აგრეთვე თიანეთის რაიონის ფშაურ სოფლებში (არტანი, ჩაბანო, თეთრახევა, ჩეკურაანთგორი) -ეს სუფიქსს იშვიათად შევხვდებით უწყვეტლის ფორმებთან ანდა გარდუქვალის ზმნებზე წყვეტილში. უკვე გაბატონებულია -ენ ბოლოსართი: ჩაკდენ გზის ძირზედა: ვადმოდოდენ, იტაცებდენ საქონსაც, ხალხსაც: ცოლ-ქმარს ვეძახე მოციკვდენო, ირთავ იორღა ცხენებით...

აწმყოში ზოგიერთ გარდაუვალ ზმნას მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს ეყარება: მაქვ, მუავ, გვაქვ, ვუავ, დგა ...

თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით ფშაურ კოლოში ობიექტის მრავლობითობის -თ სუფიქსის წინ შემონახულია მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს (მხოლოდობითში) და სუბიექტის მრავლობითობის -ენ, -ნ სუფიქსები: მქედელი გყავისთ თავისიო. რა გიჭირსთ გომეწრელებსაო! ... სუყველა საბლით გიბავისთო ტაგან-ჩხუტი, საჩქეულიო: რად გიკვირსთ ჩემ სიმღერეო?... ბასილ სადა გყავისთ? ბრალი კი არი, ფმავლებო. გედექსებიათ ქისტებო... ბატენებსაც აქვე ჩამოგილაღვენთ...

**ღრო-კილოთა მეორე ჯგუფის ფორმები.**

ა) ნამყო წყვეტილს მანწარმობლად გამოყენებულია ე- სუფიქსი. სხვა შემთხვევებში ჩვეულებრივია უსუფიქსო ფორმები ისევე, როგორც ძველ ქართულში: მოვეერ, მოვკან. მამაკალ, უთხარ და ა. შ.

**ბ) ხოლმეობითის წარმოება.**

**უწყვეტლის ხოლმეობითი.**

მს. რიტხი

მრ. რიტხი

- |                                   |                                  |
|-----------------------------------|----------------------------------|
| I ბ. ვასთელი, ეწნელი, (ვ)უერებლი  | ვასთავლით, ეწნავლით. (ვ)უერებლით |
| II ბ. ასთელი, აქწნელი, უერებლი    | ასთავლით, აქწნავლით, უერებლით    |
| III ბ. ასთელის, აქწელის, უერებლის | ასთავლიან, აქწნავლიან, უერებლიან |

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ფშაურსა და ხევსურულში ვრცელდება აქედან ნაწარმოები ხოლმეობითი პირველის ფორმები. რომლებიც თავისი წარმოშობით სრულებით ახალი ჩანს. ეს ახალი ფორმები იწარმოება უწყვეტლის ფუძეზე იმავე -იდ, -ოდ სუფიქსების დართვით, რაც წყვეტილის ფუძესთან ქმნის ხოლმეობითს<sup>10</sup>. მაგალითები: სუ იმას ვეუბნებოდოდო ჩემ ჭალაფა, აქად მამწონო: რამოდენას ვიღუპებოდოდით სიცილსა: შუალამისას დაედოდოდო. შდრ. ხევს.: ბექის ძირჩი ვეკრიდოდოდო, ტომრის ძველა მეკრისაო (ხევს. პოეზ. 731,3); ჩვენც გზაჩი ვესხდოდოდო ავ<sup>11</sup>; ზეპირად ვიარებოდოდოდო...

**მეორე ხოლმეობითი.** წყვეტილის ხოლმეობითს პირველად და მეორე პირი -ოდ სუფიქსით აქვს ნაწარმოები: ლამაზა გავავლიოდოდო. საცა გაკვალულ თოელ იყო; შორს გავრეკნოდო ძროხანიო: ... მოვკლოდი ბოლოწითელიო, შაეწოდო ცეცხლის აღზედაო, დაეაყაროდო მა

ჩილო, ეკამოდი გულის ჯაერზედაო; გამისუქოდი კარგადაო. ჰოპბრენი მყვან ბახტრითაო; ჩაეიციოდი აი ფაფანავნი ...

ფშაურ ხალხურ პოეზიაში შეიძლება შეგვხვდეს მეორე ხოლმეობითი ჰიქველი პირის ამგვარი ფორმებიც: წავედი (სურვილის გახელბულიო ქალს წავედი წყალზედაო); გავთხარი, გავაკეთი და სხვ. ჩვეულებრივ ფშაურ მეტყველებათაში კი ამ სახის ხოლმეობითი არ დასტურდება: მაგავსე ღირებები შემონახულია მთიულურ-გუდამაქარულში.

წყვეტილის ფუძეს მრავალგზისობის აღსანიშნავად -ოდ სუფიქსი ზოგჯერ განმეორებით დაერთვის:

... მთაში ავიაროდოდი, თანა მყვანდის ივანია<sup>12</sup>. მენაც ქვრივად ვიყოდოდი; იმაად ვიყნოდოდიო, დეგემ რა ვაიხარონო: ვთქოდოდი, გავლალოდოდი...

ფშაური ხოლმეობითი ძველი ქართულის მეორე ხოლმეობითს მხოლოდ ზუსამე პირში ემთხვევა<sup>13</sup>.

მეორე ხოლმეობითის ფორმით ფშაურში გამოიხატება ბრძანება და ამავდროს თხოვნა-წაქეზებაც. ფშაურს თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითის გამოსახატავად მოეპოვება ორნარი სუფიქსი: -ოდი და -ოდე. ოდე სუფიქსიანი ფორმა კავშირებითისაა. აღნიშნული სუფიქსი იხმარება სამივე პირში: რაიგალა ვნახოდე ი ძალუაი; გავიყოლოდე თ გიორგო, სამნივ წაიღეთ მშანიაო: ესე ვთქოდე, ნუ დამეიწყდებაო; ჩემ დედიდათას დაერჩოდეთ; არა გეინდა, ავიდოდეთ, ავცოცდოდეთ; ცხენს ხურჩინ მააქადოდე (||მააქადოდი): საკვლეველა გადმამიტანოდე (||გადმამიტანოდი): ნაბად წამამილოდეს: ე ბაღღ წამოიდოდეს: საღამოზედა, ცეცხნ დაანთოდეს; სამ ქადა გაამააცხოდენ; ქამარ-ხანჯარ გიორგის მისცოდენ. ჩოჯა ბასილმ გაევითოდესო ... შდრ. ვაჟა-ფშაველას: პირჯვარი დაიწეროდეს. შთამ საყდარში არია, დაიპატიყოს სტუმრები, დაამწკრიოდეს ჯარია (აჟლდა ქეთელაური“).

თხოვნითი ბრძანებითის ამგვარი ფორმები დამახასიათებელია მოხეურის-ფისაც<sup>14</sup>. შდრ. ალ. ყაზბეგის: მაშამა, ბატყნებს უყურეო, სიცხეში ყინულზედ არეკოდეო („ციცია“).

ზოგჯერ (მისცემს-ზმნაში ყოველთვის) კავშირებითის მაწარმოებლად აც შეგვხვდება ხევსურულის მსგავსად: გავიქცა იქნება რაიგა გაეიასწერა; სუ ფეკზე იდგას; არაფერ არამისცათ; ღმერთმა დიდ დეუ მოქცათ...

მეორე კავშირებითის მრავლობითობიექტიან ფორმებში კავშირებითის ნიშნი არის -ფ; მაგალითები: ნეტანა, მალე დაცვითნეს წინდანიო, რი ვოქოდი; დასწყვიენეს ჩემს გამის სალოცავმა, დააქშამანთნეს: ღმერთმა გამყოფნესო. დაგლოცნესო: ე კერან უნდა დავწმინდნე: ღმერთმა აცხონეს ორნივაო, ისი-ღ' გოგოაურ მშანიაო: როდის ავრეკნეთო-ღ' დავეშორნეთ, დავკოცნეთო: დაიცა. რა დავილოცნეთ. კაცო!

როგორც ვხედავთ. ფშაურში ამ შემთხვევაში ძველი ქართულის ფორმები დატული.

პრეფიქსიანი ვნებითები მრავლობით რიცხვზე გამოავლენენ -ენ (-ი) სუფიქსს: აბა და ილოცენით: დავიქცენით. ამოიქოცენით ტირილსა; დავითვრენით მე და ესე. მეუ<sup>ა</sup> თეა დავიქირენით. მოგვიდიოდა სწორულიო...

**ღრო-კილოთა მესამე ჯგუფის ფორმები.** ფშაურ კილოში -ავ, -ემ, -გს -ობ, -ევ თემანიშნიან. აგრეთვე უთემისნიშნო ზმნებს პირველ თურმეობით აქვს ავ (||ავის) დაბოლოება. ამაურეკავ||ამაურეკავის, მაუხარშავ||მაუხარშავის. გაუკეთებავ || გაუკეთებავის, ჩაუწყვავ || ჩაუწყვავის. უცემავე || უცემავეის, უწივავ || უწივავის და სხვ.

ასეთივე დაბოლოება აქვს სტატიკურ ვნებითებსაც აწმყომი: ხცვავე (||ხცვავეის). აწყვავე (||აწყვავეის), სწერავე (||სწერავეის). აჰყუღავე (||აჰყუღავეის), აჰყუღავე (||აჰყუღავეის)...

ფორმათა წარმოების მხრივ ყურადღებას იპყრობს -ამ თემისნიშნიან ზმნათა პირველი თურმეობითიც. მაწარმოებლად ექნება ამ (||ამის): წაუსხამ! წაუსხამის, დაუღამ || დაუღამის, ამაუსხამ || ამაუსხამის...

I თურმეობითში გვხვდება ომ (||ომის) დაბოლოებიანი ზმნებიც, რომლებიც -ამ სუფიქსიანებისაგანაა მიღებული ვ ბგერით დაბოლოებულ ზმნებზე (ვ+ა—ო): გამაურთომ || გამაურთომის, უთქომ || უთქომის, ჩაუცომ || ჩაუცომის ...

ფშაური ურთიერთისაგან განასხვავებს გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების თურმეობითას წარმოებას. სუბიექტური წყობის გარდამავალი ზმნებს პირველი თურმეობითი ერთგვარად იწარმოება ფშაურსა და ხევსურულში. ხოლო ამავე ზმნების ინვერსიული, გარდაუვალი ფორმები სხვადასხვაგვარადა წარმოები:

ხევსურულში ორპირიანი გარდაუვალი ზმნების თურმეობითი I -ივ სუფიქსით იწარმოება (დაზმინებ-ივ-ა, მაშჩევენებ-ივ-ა. შახტანებ-ივ-ა...), ფშაურში კი ამავე ფორმებს სალიტერატურო ქართულს მსგავსი დაბოლოება აქვს: ბასილს ფეჟ მასტეხისა; გუშინწინაც გონ ამაჰქდომი: მთვრალე რეებმ შაჰჰყრიან; უყვენ გამაზდგომი...

-ებ-სუფიქსიანი გარდამავალი ზმნები მეორე თურმეობითში იყენებენ მეორე სერიის ფუძეს: დამებარა (=დამებარებინა), გამეკეთა (=გამეკეთებინა), ამეშენა (=ამეშენებინა), გამეღლაგა (=გამოღლაგებინა)...

ორპირიან ვნებითებს მეორე თურმეობითას ფორმები ფშაურში მეშველ ზმნით ეწარმოება. ნეტაი ი ბალა შაგრიომიყო; ბევრ რაიშა სცოდნიყო; საღლა უნდა დავმდგარიყვენით: ბატკნებ დაჰჰქოციყი თორღვათა. „იყო აღმოსავლურ კილოთა კუთვნილებას წარმოადგენს“<sup>15</sup>.

**ვნებითის ფორმები.** ფშაურში შეინიშნება ვნებითის სუფიქსური წარმოების გავრცელება: დამხარბდა, შამბრალდა, შაინანდა, შამხათრდა და სხვ. ანალოგიური ვითარება გვაქვს მოხეურ კილოშიც<sup>16</sup>.

აწმყომი ძველი ქართლისებური დაბოლოება შემოუნახავს ზმნას უხარის, ხევსურულ-თემურში კი დგების, ჭდების, იყოცების, იქნების და მისა ჩვეულებრივი მოვლენაა.

ამგვარი ფორმები იშვიათია ჩვეულებრივ ფშაურ მეტყველებაში, მაგრამ ზშირია ამ კილოზე ნათქვამ პოეზიაში:

ღაქვი, ღაქმხე თქენ კორკიო,  
ჩემი ღახატო აჭობისა:  
გაეაბა ექეს-ექეს თივასა,  
ბარანოტეიო შოღისა.

ზღ. ვაჟა:

გაღაარღება ცხენზეთ,  
ყელთაქვე ეკიდებისა;  
ნატყუარი სკირს ბეჭის თავს,  
ზეღ ცეცხლო ეკიდებისა;  
ამხანიგმოკლულ ღიღღეღი  
ჩახმხსა ეზიდებისა („აღღა ქეთღაური“).

**კაუნატივის წარმოება.** კაუნატიურ ფორმათა საწარმოებლად ფშურში გამოიყენება ე-ინ (—ეე-ინ) სუფიქსები: ჩვენ წანაკელ უნდა გვეზღვე-  
ნა; მიუპყარ, დაასხმეინე. ფხიკლეთ პაპაის მათარა; არაყ დეე-  
ღეინა, ტანისამოს ჩეეცმეინა; უნდა მოგვეწრად' ი საქონ რაი-  
გა და გვეყრდინა; დამაფქვეინე, შამაქნეინე ...

მსგავსი ფორმები ზეღსურულში ეე-ი სუფიქსითაა ნაწარმოები: არ-  
მევიებს, დაეახარქეთ და სხვ. მარტივი ეე || -ი(ვ) სუფიქსიანი  
კაუნატივი ფშურშიც გვაქვს: ავლებს — ავლი(ვ)ა, აქმევს — აქმი(ვ)ა, ახმევს  
— ახმი(ვ)ა ...

ფართოდაა გამოყენებულ-ინ სუფიქსი ისევე. როგორც საღატერატუ-  
რი ქართულში.

**V. კომპოზიციები.** კომპოზიტების ერთი რიგი ფუძის გაორკეცებითაა  
ნიღბული. გაორკეცებული ფუძის მეორე კომპონენტში ძირისეული ხმოვა-  
ნი, ჩვეულებრივ, უ ხმოვნით არის შეცვლილი:

ა — უ: კარი-კური; ძახილ-ქუხილი; ბაღღ-ბუღღი, ქალ-ქულაი, ტყლაპ-  
ტყლუპი, ნამალ-ნუმალი, შამბ-შუმბი ...

ე — უ: სხვა ტანისამოს ჩავიკომ ლეგ-ლუგას ლეკებისას; ავაი-  
ზე, შმაო ლეგ-ლუგაო: ბებერ-ბუბრებიღღა გყავისთო სათ-  
რველები ციგაითაო; ქეე-ქუეე, ბექ-ბუქი ...

ო — უ: გორ-გური.

არის შემთხვევები, როცა თუ მასდარი ან მიმღობა ორკეცდება, გაორ-  
კეცული ფუძის მეორე კომპონენტში შეცვლილია პრევერბი: მიღენ-მოღე-  
ნა, წახვლა-მოხვლა, დაქაულ-მოქაული, დაწყა-მოწყა, დავღონდ-მოვ-  
ღონდი, დავგონდ-მოვგონდი ...

ზოგჯერ მეორე კომპონენტში დასაწყისი მარცვალი შეცვლილია მათი:  
ცოტ-მატა, წარა-მარა, თიკვ-მაკი, ძონძ-მანძი ...

მნიშვნელობის თვალსაზრისით ფშური ყოფისათვის დამახასიათებელი  
ტოლღმერწყველი (ორმნიშვნელობიანი) კომპოზიტებია: პურ-საჭამაღი, სახ-  
ვეუ-სამოხი, წინდა-ხაფუყარი, კორ(ც)-წვენი, წინდა-კალათაი. ტარ-ხოკერი,  
სწელ-სადღვები, შამ-კარი. თოფ-იარაღი, ქამარ-ხანჭარი და სხვ. ასეთი  
კომპოზიტები არააშეიფთავდ მრავლობითი რიცხვის ფორმით იხმარება: რძე-  
სქონი, გულ-ნაწლენი, ხანწორ-ჩარქენი, ტარ-ფარტენანი, დედა-ქალნი, მამა-  
ძინი ...

გვხვდება ზმნისართული კომპოზიტები: წვერწაღმე, თავშაღმე. პირთავ-  
ქა, გულიგულში, მალიმალა ...

VI. სახელთა წარმოება. კინობითობის სუფიქსები. ფშურზ- (და საერთოდ მთის კილოებში) მეტად გავრცელებულია -ა სუფიქსიანი კინობითის ფორმები: ერთა სარაილა მიღვა; ემაში ვიჭე, პურა უნჯ; მეჭამა; კარგა ქალაი, თათრულა ფარდაგაი ...

ზშორად -ა სუფიქსს მოსდევს მრავლობითის მაწარმოებელი -ნ, მაგრი: ეს სუფიქსი ამ შემთხვევაში არ გამოხატავს სიმრავლეს: ერთან ფარდაგან მაყენეს, ერთან ნაბადან; ერთ-ორან ხვარან მოგონდებთან: კარგ ალებან წამივიდენო, ბეგრ ხინკალან შავჭამიო; წყალანიც არავინ მააწვადის; მოკლიან პალტუანი სციან; ერთან მკარტყავან მაკრიანო წინდ' უკან ჩამოხეულიო; ძველან ჩოქანი მცვიანო ...

კინობითის მაწარმოებელი -ა მრავლობითი რიცხვის -ებ სუფიქსთან შეედრისას ამ სუფიქსის ე-სთან ასიმილაციას განიცდის და ე-დ იქცევა: აე-ფე; ქალეები, ცხვარეები; ვარჩევ აი ცხვარეებისა და: აბატკანეები, ქორფეები, აისეებილა მაძრჩომიან; ესეებ დავითოს ქალეებიან?

ა-ზე დაბოლოებულ სახელებში ამ პროცესის შედეგად მიიღება კინობითის მნიშვნელობის მქონე ფორმები, რომელთა მაწარმოებლად აგრეთვე -ფ გვევლინება: შეშეებ რაიმა ვკრიფე; რამთენანი გყვანთ, დედავ, ძროხეები? მე და გიორგის ჩაგვიწყვესო ნაშალაის წინდეებიო; შეშეები, ძროხეები, წინდები ... კინობითის მნიშვნელობა მქონე სახელებია: ხოლო შეშეები, ძროხეები, წინდები და ა. შ.— არა.

როცა ა-ზე დაბოლოებულ სახელებს კინობითის ა მაწარმოებელი დაერთვის, აა ია-ს გვაძლევს: ემდრონი მოიდენ თავდანებებულან ძროხიანი; ავდგოდი, მიუყაროდი აი ძროხიებესა; ჩემის მოტანილის შემთხასტებო — შეშეიან მითხრენ შენ! გვაქვს: კახაიო, ბოთლიაო, თიფაიო ...

კინობითობის სხვა სუფიქსებია:

-იკ-ა: ბატარიკა, მოკლიკა.

-უნ-ა: ბატარუნაი, ბაწიყუნაი.

-უნ-ელ (|| უნ-ც-ელ): კარგუნელი || კარგუნცელი.

-ურ: თუნგურა (= ბატარა თუნგი); კნუტის ფშური სახელწოდება კანთურა ან კანთურა. -ურ აქაც კინობითობის სუფიქსი გვეკონია (შღრ. ხეჟა: კინთა).

-ელ. ეს სუფიქსი ფიცლის ფორმულებთან გვხვდება: თორმეტნ ჩაწენა წუთულანიო, ბიძაილას. როგორიაო: სუყველა დავიწყული მაქვის დედილამა: დედილას, არ დაივიწყო, უთბროდე; ძმაილამა, მამილანა, დაილამა (|| ძმაილას, მამილას, დაილას ...).

გვაქვს ამგვარი ფორმებიც ბებოლიაი (= ბებოს მსგავსი); პაპილიაი (= პაპის მსგავსი), დედაილიაი (= დედის მსგავსი) ... ა ბეჩავ, პაპაილაყ; ესე მყავის ჩემფერი, დედაილაი ...

19. მიმლეობა. თავისებური წარმოება ახასიათებს ფშურში ზოგ მიმლეობას. გვხვდება მიმლეობის ამგვარი ფორმები:

მღე: კარი ჩნდა მღე; მღე იყო, არ იყო დაჭრილი.

მღირკლე (= ოღნავ ლია): მღირკლე დაეაგდე.

მგღე: ყურის მგღე.

მარგე: არაის მარგენია.



**მამრე** (=მოპრევი): თავის თავის მამრე აღარვინა აგონავის.

**გადაადე** (წყალგადაადე) — იტყვიან, წისქვილზე, როცა წყალი კოღში აღარ ჩადის, სხვა მხარეზეა გადაშვებული (გადაადებული).

**მამგონე** (=მომგონებელი): მამგონეებ გაუმრავლენს, უცოცხლენს.

**დამფასე** (=დამფასებელი); თქვენამც იხეირებო. მოტირალნოდ' დამფასენო!

**დამრჩო** (ვინც დარჩნენ, ისინი): დამრჩუებ უცოცხლენს, მოზარდენს.

**შამწყო** (=შემწყობი): კელის შამწყო აღართუ ვინა მჰყვანდა.

**გაუგო** (=გაუგებელი): ჭულურაის გაუგო არა დამრჩალა.

**დაუნდო** (=დაუნდობელი): ეგენ დაუნდუებ არ არიან.

სხვა აფიქსებოთ ნაწარმოებ მიმღეობათაგან აღსანიშნავია: მ-ერ (|| მ-ელ).

**მწყურიელა** (=ვისაც ან რასაც სწყურია): ოროხებ დამრჩენ მწყურიელეები: მწყურიელეებ ამოიგოცენით ... მყუდიერა (=ვინც ფეხზე უღას, „მჰყუდა“): ფეჯზე მყუდიერამ იკოდის სჰა.

**მ-არ: გამცივარი** (=გაცივებული): თავი მაქვის გამცივარი: დამსიყარი (=დასივებული): დამსიყარ ფეჯნი მჰქონან.

-ილ: ამობრუნვილი, გაგორვილი, დადუპვილი, გაწურვილი, გატუსვილი. იღვილი (=მოშხამული). შანახილი (=შენახული)..

-ულ: გათაული, დაცხაული, გაბეჩაული, დამფაული, დაჟამული (=დამფიფებული)..

-ხა: საკლავი (=ცხვარი): საკლავები მყავის ჩაპოსალალაეები.

სა-ო: საჰმო, საშიშო, ხახათრო, შახამრიგაო; სამრისხველო, სამეშლო. გახაგო, სანაწყო...

სა-ეე: საწამლევი: წამალ-საწამლეე აღარასა მრგებს.

VII. **სინტაქსური თავისებურებანი**. შეთანხმება ბრუნვა-საღარიცხვში. ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის ერთად ბრუნებისას საზღვრულის წინ მოთავსებული თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ზირად უცვლელად (ფუძის სახით) გვხვდება. მაგალითად: სახ. ფშაურ ფარდაგ-ი, მოთხრ. ფშაურ ფარდაგ-მა, მიც. ფშაურ ფარდაგ-ს, ნათ. ფშაურ ფარდაგ-ის, მოქმ. ფშაურ ფარდაგ-ით, ვით. ფშაურ ფარდაგ-ად, ჟიდ. ფშაურ ფარდაგ-ო. ასეთივე ვითარება გვაქვს მაშინაც, როცა საზღვრული მრავლობით რიცხვშია.

არაიშვითად ფშაური ძველი ქართლის წესს იცავს და მიცემითსა და წიქსობითში მსაზღვრელს სრული დაბოლოება აქვს შემონახული: აქ იყავ, ყრუ გიორგო, ჩვენ გიქამ კარგსა ქორწილსაო: სუ მაგას გაზუზოგო სამს წელს კარაქიდ' ნაეპკიო; იქაცაოთ გამივლენ ჩემის ხეშარაის სულნი: დისწულა, ხვარა გბრიყობენო ჩვენის მემცხეა-რის გერებო; ამოიარე, გზანი ვკოცენო ჩემის ქალების ნავალნაო; ჩემის მამის სალოცაო; ბებრის კაცების ნათქომებო...

ზოგჯერ ბრუნვის ნიშნები მოუღის ხმოვანფუძიან მსაზღვრელსაც: ... ლილს მოზიდარს ამბობენო, წითელას ფურას — მეწველსაო: კარგას ქალას ამბობენ, ბეჩავას კაცას...

მოქმედებითს ზმირალ ნათესაობითი ენაცვლება, ხოლო ვითარებითს — მიტეპითი: შავის ტანისამოსით, მწვანის ქათიბით, საყეს მინდვრად ...

მსაზღვრელი შეიძლება გათიშული იყოს საზღვრულისაგან წინადადებებსვა რომელიმე წევრით ან წევრებით. მსაზღვრელ-საზღვრულს შორის მეტწილად შემასმენელი იგნეს თავს: თორმეტ ჩაწვანა კუთუღანით: ეფხვსა აგავ გაავებულსაო სპეროზიის კლდისააო ... მოკაულსა აგავ ჩანგალსაო: ერთ ცხეარ-ბატკან (6) აქ მოკვარგენოთ ლეეანისანო: ტილო დიდ წობანაო. რა ბევრს ვენეშრომასაო; იმთუენ მეიდან არ არიო, კაცო დაქდეს დაღალულო: მარია ამბობდა. ბებოშემ(მ) იცოდისო. კიდუათი; ნეტარქალეპ კი — ამოვლენა დღესა. თორღვათებო?...

მიტეპით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითობა ზმნაში არ აღინუნება: იბალღებს საქონ ზეითისაყ ეელალა, კალ გეეზილ: იმღებს ჩერქეზულ ტანისამოს ეცვა: წყემსებს ეთოფა... სრელოად უცხოა ფშურისათვის მოუვიდათ. ეთქვათ. ეცვათ და მსგავსი ფორმებო.

ფშურ კოლოში ნ-სუფიქსიან მრავლობითის სახელობითში დასმულ სახელის — სუბიექტისა თუ ბრუნვაცვალებადი ობიექტის — მრავლობითობა: ზმნაში აღინუნება მსგავსად ძველი სამწერლობო ქართულისა: ეკაბან საღლა გადაეყარნე. მიწანიმც დაილოცებიანო, შიშველნ მოგიმალნა კორცნიო: ზენ საღამ ისენ იღგიან; რქენ დამიქენჩღებიან: ჩქაჰნ არ დაუყრიან; თოფის ტყვიანიმც დასცნა: იმის ნატირალნ მავსონან: ქობნ მინდანან, საარყენე ქობნი: პერანვანიც წამეეხვენეს; შამიციენა იგუდის საქელნი: მაგათ დამხურნეს თავზე ცანიო... ჩავტეხენ საყურ-ბეჭედნი. იმთ ჩავლიშნენ გზანიან ჩამოიარე, მთანი ეკოცნენო. ჩემის ვაეებნის ნათიზნო: გვსარდნა, რამთენჯერა გკმალნა: ქისტებ გაგვრეკენეს: წაგვასხნეს; ღმერთმა გამყოფნესთ, გაცოცხლმგსთ. გაღღეგრძელნესთ: მკარნ უნდა ვნახნე მშისანიო ...

ნნიშნითაა გამოხატული ობიექტის სიმრავლე ვიცო ზმნაშიც: ჩემ სპაყ ლექსნ რანიმ ეიცნოდი. ანაბანან. არ ეიცნი, რაუუნბო. რა ვილაპარეკო: საფლავ-სამარენ მინც იცნი; ლექსნიცნი ...

ზოგიერთ ზმნას ნ-სუფიქსიან მრავლობითში დასმული ობიექტი აქვას: 'აღარ უჩანს, შაგრამ მრავლობითობა მინც აღნიშნულა: ვეჭქეწეწე არ ბალდასა; შავ-შულამეში ძროხა ეეძებენ; ეეძახენ აი ქალს: გაღმა გავხედენ: ბოჩოლამ შაძყვირნა. შასტირნა, დაძყეფნა და სხე.

ზმნებში ზოგჯერ აღინიშნება -ებ სუფიქსიანი სუბიექტ-ობიექტის მრავლობითობაც: შენ ცხერებ როგორც გინდან. ისრე გაუშვენ თუნდა დარიენ. თუნდა ცალკე გვვანდენ: ვბუებ ჩამოყარენ და ემა ქვეში ჩაყარენ: ქისტებ(ბ)მ გაგვრეკენეს, წა: ვასხნეს... ჩვეულებრივ კი ფშურში ამ მხრავ ძველი ქართულისებურ

ვითარებაა დაკული. -ებ სუფიქსიანი არც სუბიექტის და არც ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება.

ასევე, მსაზღვრელი ძირითადად მხოლოდობითში დგას ებ-იან მრავლობითში მდგომ საზღვრულთან (ჭრელ კაბები, გრძელ თმები, თეთრ ჩიქილეები). მაგრამ აქა-იქ შეიძლება მსაზღვრელიც მრავლობითში შეგვხვდეს: რამსი-ზირაზ მთანი მჭქონან, დ ი ნ თ ე ბ გ ზ ე ბ ი, საქსოვრად დარჩება ფ შ ა უ რ ე ბ ნ ა ე ო ლ რ ე ბ ს ა ხ ლ ე ბ ი, მ ჭ ვ ა რ ტ ლ ი ა ნ ე ბ კ ა რ ა დ ე ე ბ ი: შენც მალე გამოგეღევაო ქერჩოს ნ ა ზ ი დ ნ ე ბ თ ა ე - მ ჭ რ ე ბ ი ო. ლაშართ და პ ა რ უ ლ ე ბ ი ო ჯ ვ ა რ - გ უ მ მ ა თ ე ბ ი, თ ა ს ე ბ ი ო: ისეთებ ქ მ ა რ - მ ა ზ ლ ე ბ ი მყავ. მთას ქორებლივა მჭქრინაო; ჭ რ ე ლ ე ბ ნ ა ბ დ ე ბ ი, ლ უ ბ ე ბ ც ხ ე რ ე ბ ი...

### შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

<sup>1</sup> ფშავური კილოს ფონეტიკურო თავისებურებებს ეხება ავტორის წერილი — „ძირითადი ფონეტიკური პროცესები ფშავურ კალოში“. იხ. ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1972, № 1.

<sup>2</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დილექტიზმების საკითხისათვის „ეფთხისტყაოსანში“, ენმკის მოამბე, III, თბილისი, 1938, გვ. 225.

<sup>3</sup> არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, თანდებული ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1946, I, გვ. 218.

<sup>4</sup> შდრ. ჩენი „ძირითადი ფონეტიკური პროცესები ფშავურ კალოში“, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1972, № 1, გვ. 25.

<sup>5</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 92—93.

<sup>6</sup> შდრ. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ფშავური კილო, თბილისი, 1960, გვ. 60.

<sup>7</sup> იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 632.

<sup>8</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, მცა ნაწილაკი ძველ ქართულში, თხზ., I, თბილისი, 1957, გვ. 33.

<sup>9</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა კილოებში, თხზ., I, თბილისი, 1957, გვ. 236—237.

<sup>10</sup> ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი, 1962, გვ. 22.

<sup>11</sup> ალ. ჭ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი, ხევისურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 358.

<sup>12</sup> ირ. გ ო გ ო ლ ა უ რ ი, მთიბლურთა ტრადიციისათვის ფშავში, ქართული ლიტერატურის საკითხები, II, თბილისი, 1971, გვ. 187.

<sup>13</sup> ვაჟა-ფშაველას ნაწერებში გვხვდება ასეთი ფორმებიც: გაუშინჯილის, გაფხავილის, რაც ფშავურ მეტყველებაში არ დასტურდება.

<sup>14</sup> ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, მოხუერი კილო ყაზბეგის ენაში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXV, თბილისი, 1949, გვ. 49.

<sup>15</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დილექტიზმების საკითხისათვის „ეფთხისტყაოსანში“, ენმკის მოამბე, III, გვ. 214.

<sup>16</sup> ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

Т. ГОГОЛАУРИ

## ОСОБЕННОСТИ ПШАВСКОГО ДИАЛЕКТА ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

### Резюме

Среди диалектов грузинского языка пшавский занимает особое место. Помимо большого значения этого диалекта для истории грузинского языка, возрастающий интерес к нему обуславливается, с одной

стороны, его широким употреблением в произведениях Важа-Пшавелა с другой — богатейшей народной поэзией, созданной на этом диалекте. Без учета особенностей пшавского диалекта невозможно изучение ни творчества Важа-Пшавелა, ни пшавской народной поэзии.

Цель настоящей статьи — описание основных грамматических особенностей<sup>1</sup> на материале, записанном автором, главным образом, в селах, входящих в Уканапшавский, Магароскарский, Живвальский и Хсобский сельсоветы, и на основе личных наблюдений автора над диалектом.

В соответствующих главах и подглавах статьи рассмотрены: в морфологии — склонение существительных, местоимения, частицы, спряжение глаголов, приставки, формы второй и третьей группы времен и наклонений, формы страдательного залога, образование каузатива, композиты, именное и глагольное словообразование; из синтаксиса — согласование в надежде и числе, синтаксические функции беспосредственных имен.

<sup>1</sup> Фонетические особенности рассмотрены в статье автора «Основные фонетические процессы в пшавском диалекте», см. журн. «Картული ენა და ლიტერატურა სკოლაში», 1972, № 1, на груз. яз.

დუშეთის რაიონის სოფელ ბორხის რეაწლიანი სპეციალი  
სკოლა  
წარმოადგინა საქართველოს უსრ მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსმა თ. გოგოლაძემ

იოსოფა ჯოლბოროდი

იოზ ცისკარიშვილის ხელნაწერი წოვა-თუშური გრამატიკა  
ენობრივი მასალაზე და ანტონ შიფნერის  
მონოგრაფიის მიხედვით მასთან

რამდენადაც ცნობილია, იბერიულ-კავკასიურ ენათაგან სამი ენის გრამატიკა დაიწერა ყველაზე ადრე: ადიღეური (ყაბარდოული) ენის გრამატიკა შორა ნოღასი (1835—40 წწ.), უღური ენის გრამატიკა კარაპეტ ყარამანიანისა (1845 წ.) და ბაცბური (წოვა-თუშური) ენის გრამატიკა იოზ ცისკარიშვილისა (1848 წ.).

იოზ ცისკარიშვილის ხელნაწერი გრამატიკა<sup>2</sup> ამჟამად ლენინგრადში ინახება, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფონდში. იგი აკად. მარი ბროსემ ჩაიტანა პეტერბურგში და 1849 წელს გამოაქვეყნა კიდეც ცნობა ამის შესახებ<sup>3</sup>. როგორც ცნობილია, მ. ბროსემ საქართველოში იმოგზაურა 1847—48 წლებში. მან სოფელ ალვანში გაიცნო „წიგნობარი თუში იოზ ცისკარიშვილი, რომელმაც მ. ბროსეს თხოვნით შეადგინა წოვური ენის მოკლე გრამატიკა და ამ ენაზე თარგმნა ნაწყვეტები „ახალი ალექსის“ წიგნებდან“<sup>4</sup>.

ანტონ შიფნერი „თუშური ენის მოკლე დახასიათებაში“ წერს, თუ როგორ დაინტერესდა დალესტის ენებით, კერძოდ, ლეზგიურის თავისებურებებით, მაგრამ „როცა ჩემი პირველი ცდა, მომეძებნა ამ ენის მცოდნე ადამიანი, უშედეგოდ დამთავრდა, მე ვცადე გადავსინჯა თუშური ენის მასალები, რომლებიც ბატონმა ბროსემვე ჩამოიტანა კავკასიიდან. ეს მასალა წარმოადგენდა: 1. პლუშარმის მიერ გამოცემულ ბიბლიური ისტორიების თარგმანებს, 2. სულხანოვის ქართულ-ფრანგულ-რუსული ლექსიკონის მიხედვით შედგენილი სიტყვების ნუსხას, 3. რამდენიმე თუშურ სიმღერას ქართულად, თუშური თარგმანითურთ, 4. სასულიერო შინაარსის რამდენიმე თუშურ ფრაზას, დაბოლოს — 5. თუშურ გრამატიკას<sup>5</sup>, შედგენილს ნ. გრეჩინ<sup>6</sup> მოკლე რუსული გრამატიკის მიხედვით.

ა. შიფნერმა „თუშური ენის მოკლე დახასიათებაში“ გამოქვეყნებიდან ირი წლის შემდეგ გამოსცა ვრცელი მონოგრაფია ამავე ენის შესახებ<sup>7</sup>. ორივე ამ ნაშრომს საფუძვლად დაედო იოზ ცისკარიშვილისეული ენობრივი მასალა. ა. შიფნერმა ბიბლიური ტექსტები თავის მონოგრაფიას დაურთო მეტყველების ნიმუშების სახით, ხოლო სიტყვათა ნუსხა სალექსიკონო მასალად გამოიყენა, გრამატიკა კი ენათმეცნიერების თვალსაზრისით უმნიშვნელოდ მიიჩნია. ამგვარად, ა. შიფნერმა გვერდი აუარა ი. ცისკარიშვილის გრამატიკას, როგორც არამეცნიერულ ნაშრომს, თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახებთ, ამ გრამატიკაში რიგი მეტად საყურადღებო საკითხი დაცვა.

იოზ ცისკარიშვილის გრამატიკასთან ერთად ინახება მისი პირადი წერილები. სადაც ადრესატი დასახელებული არაა, მაგრამ აშკარაა, რომ ისინი პირი ბროსეს მიმართაა გაგზავნილი. ამ წერილებიდან ჩანს, რომ ი. ცისკარიშვილი გარკვეულ მითითებებსა და შენიშვნებს იღებდა იმ პირისაგან,

ვისთანაც მიმოწერა ჰქონდა. ეს წერილები დაწერილია 1847—48 წლებში. სწორედ იმ პერიოდში, როცა მარი ბროსე საქართველოში იმყოფებოდა.

„მოკლე წოვა-თუშური გრამატიკა“, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს: მარი ბროსესადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში, შედგენილია ნაყოლოზ გრუნის „პრაქტიკული რუსული გრამატიკის“ მიხედვით. იგი შედგება შესავლისა, მორფოლოგიისა და სინტაქსისაგან («О словосочетании», «О словопроявлении»).

ნ. გრეჩი ამგვარად განსაზღვრავს რუსული გრამატიკის დანიშნულებას: „რუსული გრამატიკა გვასწავლის სწორ კითხვასა და წერას რუსულად“; ამჟღეროლს აკისრებს ი. ცისკარიშვილი თავის გრამატიკას: „წოვა-თუშური გრამატიკა ... გვასწავლის სწორ კითხვასა და წერას წოვა-თუშურად“.

ი. ცისკარიშვილი თავის გრამატიკაში წოვა-თუშური სიტყვების გადმოსაცემად ქართულ ანბანს იყენებს. იგი 38 წოვა-თუშური ბგერის შესაბამის ასო-ნიშნებს ჩამოთვლის. აქედან ოთხი ბგერისათვის იგი თავისებურ ნიშნებს გეთავაზობს.

როგორც ი. ცისკარიშვილის საპასუხო წერილებიდან ჩანს, მარი ბროსეს თხოვდა მას დაეხასიათებინა ამ ასოებით აღნიშნული ბგერები, მაგრამ ი. ცისკარიშვილმა ეს ვერ შეძლო.

მიუხედავად იმისა, რომ ი. ცისკარიშვილის გრამატიკის ფონეტიკურ ნაწილი დაუმუშავებელია და იგი ბგერების დასახელებითა და ხმოვნების, ნახვების გარხმონებისა და თანხმონების გამოყოფით ამოიწურება, გრამატიკის სალუსტრაციო და ცალკეულ ტექსტებში გამოვლენილი ენობრივი მასალა გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ ენის ბგერით შედგენილობა იმგვარივე უნდა ყოფილიყო საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, როგორც იგი დღესაა.

როგორც ცნობილია, წოვა-თუშურში ქართულთან საერთო 33 ბგერა გარდა გვაქვს ძველ ქართულში არსებული და ამჟამად დიალექტებში შემორჩენილი ფარინგალური სპირანტი ჭ, გარდა ამისა, ფარინგალური მჟღერი სპირანტი შ და მისი შესაბამისი ფშვინვიერი ჭჷ, მჟღერი სპირანტოიდი ' და ლარინგალური სპირანტი ' , ამას გარდა, ლატერალური ლ' თანხმოვანი, შედგენილი ნიშნები ანუ ინტენსიური თანხმოვანი — ლლ, თთ, სს, კკ, ყყ, ტტ; ფონემატური მნიშვნელობის ხუთი ნახალური და ოთხი მოკლე ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ; ე, ე, ა, ა) და რიგ შემთხვევაში გრძელი ხმოვნებიც.

ი. ცისკარიშვილმა ქართული ასოებით მოცემულ ანბანთარეში შეიტანა ე, ჰ, მ', — სპეციფიკური თანხმოვნები.

ი. ცისკარიშვილის მიერ ქართული ანბანით მოცემულ ენობრივ მასალაზე ვლინდება ლ' ლატერალის შემცველი რამდენიმე სიტყვა, რომლებშიც ლ' ლლ-თი, ცხადია, გადმოცემულია ჩვეულებრივი ლ-საგან განსხვავებული ფონემა-ლატერალი -ლ': მელლარ (=მელ'არ) „სმა“, ალლარ (=ალ'არ) „თქმა“. დალლარ (=დალ'არ) „მიცემა“, მელლ (=მელ') „არადენი“.

ი. ცისკარიშვილისეულ მასალაში დასტურდება აგრეთვე სამი გემინირებული თანხმოვანი: ლლ (დილლარ „დადება“), ტტ (ხეტტარ „კითხვა“, ოტტ „თი“), თთ (ოთთდალარ „დადგმა — დაყენება“), თუმცა ისინი ყოველთვის არაა გარჩეული მათი შესაბამისი ჩვეულებრივი თანხმოვნებისაგან.

ი. ცისკარიშვილის ჩანაწერის მიხედვით არ ჩანს ' ლარინგალი. მაგალთად: დაარ „მოსელა“, კაარ „დაჯდომა“ (უნდა იყოს: და'არ, კა'არ)...

ი. ცისკარიშვილის ენობრივ მასალაში გრადეკულად არაა ასახული მოკლე ვა ნაზალური ხმოვნები. დღეისათვის მოკლე თუ ნაზალურ ხმოვნებზე დასრულებული სიტყვები ი. ცისკარიშვილის მასალაში ხან სრულ ხმოვანს ან თავდაპირველ ნ-ს გვიჩვენებენ სიტყვის ბოლოს, ხან მათ გარეშე წარმოგვიდგენ. ცხადია, ასეთი სიტყვები იმ დროისათვის შესაბამისად მოკლე ან ნაზალურ ხმოვნებზე თავდებოდა, რადგანაც ისინი დღესაც ან მოკლე ხმოვნების სახით არიან შემორჩენილი აუსლაუტში, ანდა ნაზალობის სახით წინამავალ ხმოვნებში. შდრ., ცისკ.: ქორთო „თავი“, ასე „ხბო“; ბაყ „კეცი“; გაუგ „ჭეხლი“... დღეისათვის გვაქვს: ქორთო, ასე, ბაყ, გაუგ; ცისკ.: ზაფრან „ზაფრანა“, ანბან „ანბანი“; გაზა „თხა“, ქარსა „საბელი“... დღეისათვის გვაქვს: ზაფრა<sup>ა</sup>, ანბა<sup>ა</sup>, გაზა<sup>ა</sup>, ქარსა<sup>ა</sup>.

წოვა-თუშურში სპეციალისტები ოცამდე დიფთონგს ითვლიან. ცისკარიშვილმა კი მხოლოდ ორი მათგანი დაადასტურა და ისიც რუსულის მიხედვით. შდრ.: აა—ა, აუ—ა; მაგალ.: япаа—აფხა „საბო“, юкюа—აყულობ „შუაკობა“, яшю—აშო (=აშო) „ლა“, ააქარ—აქარ „წაღება“, Юстин—იუსტინე (-აუსტინე) „იუსტინე“.

ამრიგად, ი. ცისკარიშვილის მიერ ქართული ტრანსკრიფციით თითქმის ყველა სპეციფიკური თანხმოვანია ნაჩვენები. მისი ჩანაწერები ადასტურებს აგრეთვე მოკლე და ნაზალური ხმოვნების არსებობასაც იმ დროისათვის.

ნ. გრეჩის მსგავსად, ი. ცისკარიშვილი წოვა-თუშურშიც მეტყველების ცხრა ნაწილს გამოყოფს: 1. არსებითი სახელი, 2. ზედსართავი სახელი, 3. საცვალსახელი, 4. ზმნა, 5. მიმღეობა, 6. ზმნიზედა, 7. თანდებული, 8. კავშირი, 9. შორისდებული.

რიცხვითი სახელი ამ სათვალავში არ შეაქვს არც ნ. გრეჩს. როგორც ნ. გრეჩი, ასევე ი. ცისკარიშვილი მეტყველების ყველა ამ ნაწილს განიხილავენ ცალცალკე თავებად, ხოლო რიცხვით სახელს პირველი ორი თავის დამატებულ თვლიან (I თავი — არსებითი სახელი, II თავი — ზედსართავი სახელი...). ნ. გრეჩი: პირველი ორი თავის დამატება — რიცხვითი სახელი. ი. ცისკარიშვილი: გრამატიკის პირველი და მეორე თავებში დამატება — რიცხვითი სახელი. არსებითი სახელის განხილვისას აღნიშნულია, რომ იგი შეიძლება იყოს — საკუთარი, საზოგადო, კრებითი.. და დასახელებულა სათანადო მაგალითები.

განსაკუთრებით საინტერესოა ი. ცისკარიშვილის მიერ „სქესის“ ანუ თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული ტერმინით — გრამატიკული კლასის მიხედვით სახელთა დანაწილება. აი, რას წერს იგი სახელის „სქესის“ შესახებ: სახელის სქესი შეიცნობა საუბრის მომენტში, სიტყვის შინაარსის მიხედვით.

1. მაშაკაცის „სქესში“ ერთიანდება მხოლოდ მამრობითი სქესის ადაზანის აღმნიშვნელი სახელწოდებები: სტაკ „კაცი“, დოლოვ (=დონდოვ) „გმირი“ — სიტყვისიტყვით „მხედარი“. ბმელოვ „მემომარი“ „კნათ ბიკი“, ყონლოვ „ქაბუკი“ და ა. შ.

2. ქალის „სქესს“ განეკუთვნება ქალის აღმნიშვნელი და მხოლოდ ქალთა ჰერ ხმარებული სახელების სახელები, მაგალითად: ბსტუმანო (=ბსტუმანო) „ქალი“, მოპ > „ქალაშვილი“, შერო (=შერო) „ქერივი“, მაქაიან (=მაქაიანი), სტაშო (=სტაშო) — გულსამკაულის სახეობანი.

3. სოვად „სქესს“ კი მიეკუთვნება ორივე სქესის ცხოველები, ფრინველები და ავრგთვე ყოველგვარი ნივთი. მაგრამ ნათ ორი რიგის ნიშანი აქვთ — **ბა და ღა**, მაგალითად: **ტათებ და „ფული არის“**, **ღო ბა (- ღონ) „ცხენი არის“**, **ქოთამ და „ჭააამი არის“**, **ჟე და „ცხვარი არის“**.

როგორც ვხედავთ, ი. ცისკარიშვილი თითოეული სახელის „სქესს“ აჩვენებს ვა, აა. ბა, ღა მეწველ ზმნებთან შეხამების მიხედვით. მაგრამ ცალკე ოდენობებზე არ გამოყოფს ვ, ა, ბ, ღ გრამატიკული კლასის ნიშნებს.

რაც შეეხება ავტორის იმ დებულებას, რომ **აა მხოლოდ ქალის აღნიშნულ სახელებსა და მის მიერ ხმარებულ ნივთთა სახელებს შეეწყობაო**, არა ზუსტია: რადგან **აა** ნიშანი მიეკარება როგორც ქალს, ასევე შრავალ ნივთს და არა მხოლოდ ქალის მიერ ხმარებულ სახელებს.

წოვა-თუშურისათვის ი. ცისკარიშვილი შვიდ ბრუნვას გამოყოფს:

1. სახელობითი — **მე (= მე<sup>ნ</sup>) „ვინ“**, **უხ (შდრ. ვუხ) „რა“** — **სტაკ „კაცი“**, **წა „სახლი“**.

2. ნათესაობითი — **ჰაინ (= ჰაინ<sup>ნ</sup>) „ვისი“**, **სტეინ (= სტეინ<sup>ნ</sup>) „რისი“**, **-სტაკო (= სტაკო<sup>ნ</sup>) „კაცისა“**, **წენი (= წენი<sup>ნ</sup>) „სახლისა“**.

3. მიყენითი — **ჰაინს „ვისა“**, **სტენ „რასა“** — **სტაკონ „კაცს“**, **წენის „სახლს“**.

4. ბრალდებითი — **მე (= მე<sup>ნ</sup>) „ვინ“**, **უხ (შდრ. ვუხ) „რა“**, **სტენ (= სტენ<sup>ნ</sup>) „რა“** — **სტაკ „კაცი“**, **წა „სახლი“**, **ჟაგნ „წიგნი“**.

5. წოდებითი აღნიშნავს საგანს, რომელსაც ზიმართავენ, მაგალითად: **ღაღე**, **ღეტ სო (= სო<sup>ნ</sup>) „ღმერთო, მიწველე!“**

6. მოქმედებითი — **ჰაგრეღაჰს (= ჰაგრეღაჰს) „ვისგან“**, **„ვისით“**, **სტენგრეღაჰს (= სტენგრეღაჰს) „რისგან“**, **„რითი“** — **სტაკგორეღაჰს (= სტაკგორეღაჰს) „კაცისაგან“**, **„კაცით“** **წენგორეღაჰს (= წენგორეღაჰს) „სახლისაგან“**, **„სახლით“**.

7. გამოსვლითი — **ჰაა (= ჰაა<sup>ნ</sup>) „ვინ“** — **სტაკოვ „კაცმა“**, **წენივ „სახლმა“**. ამ შვიდი ბრუნვის ჩამოთვლის შემდეგ ი. ცისკარიშვილი შენიშნავს: სახელობითი, ბრალდებითი და წოდებითი ბრუნვები ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს ფორმით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში წოდებითი გამოვლენილ **ღაღე** ფორმას.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ წოვა-თუშურში არ არსებობს ბრალდებითი და წოდებითი ბრუნვები.

რჩება ხუთი ბრუნვა — სახელობითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, მიყენითი და გამოსვლითი.

ი. ცისკარიშვილი რომ მოქმედებითს უწოდებს, ეს სამთანდებელიანი ბრუნვაა — **შდრ. სტაკგორეღაჰს (= სტაკ-გორეღაჰს) „კაცისაგან“**, **ხოლო ოთხი დანარჩენი ძირითადი ბრუნვებია.**

აი, რას სწერს ი. ცისკარიშვილი მ. ბროსეს გამოსვლითი ბრუნვის შესახებ: **„მეექვსე ბრუნვა წოვა-თუშურში გამოსვლითია, ეს იგივე ბრუნვაა, რაც ქართული მოთხრობითი. მაგალ.: კაცმან“**.

რა ნიშნის მიხედვით უწოდა ამ ბრუნვას ავტორმა გამოსვლითი, ანღა თუ სხვა რომელიმე გრამატიკიდან გადმოიღო ეს სახელწოდება, ჩვენთვის უცნობია.



როგორც ვხედავთ, - ცისკარიშვილი ფორმათმაწარმოებელ ელემენტებს ცალკე კი არ გამოყოფს. არამედ მზა ფორმებს გეთავაზობს. როგორც აღვნიშნავდით. მას ცალკე არ გამოუყვია გრამატიკული კლასის ანუ მისი ტერმინი — „სქესის“ ნიშნები — ვ, მ, ბ, დ და არც ბრუნვის ნიშნები გამოუცალკევებია სახელის ფუძისგან.

ბრუნვების ჩამოთვლისას გამოსვლითისათვის ანუ ერგატივისათვის მხოლოდ ვ ნიშნიანი ფორმები მოჰყავს: სტაკოვ „კაცმა“, წენივ „სახლმა“.

როგორც ცნობილია, წოვა-თუმურში ერგატივისა და ინსტრუმენტალის ქვესანიარო ნიშანი -ვ. იობ ცისკარიშვილის მიერ გამოსვლითი ბრუნვისათვის მოყვანილ — სტაკოვ, წენივ — მაგალითებს ერგატივის ფორმით იმიტომ წარგმნით, რომ რუსული თარგმანი ასეთი აქვთ: человек, дом. აქ რომ ინსტრუმენტალის გულისხმობდეს ავტორი, დაწერდა — человеком, домом. ნიშანდობლივია ისიც, რომ გამოსვლით ბრუნვას არ უწერია კითხვა — სტევ „რითი“.

ი. ცისკარიშვილის მიერ მოცემულ ბრუნვათა პარადიგმებში გამოსვლითს განწერივ ჩანს ერგატივის ს ნიშნიანი ფორმებიც: სახელ.: „მოდოვ „მეობარი“, გამოსვლ.: ბმედოვას; სახელ. აინდრ (=აინდრძ) „ანდრია“. გამოსვლ.: აინდრის. გრამატიკის სინტაქსურ ნაწილში აშკარაა, რომ ი. ცისკარიშვილს სწორად ესმის ამ ბრუნვის ფუნქცია. იგი წერს: „გამოსვლითი ბრუნვის ფუნქცია იმ იარაღის ან სასუქალების დასახელება. რითაც მოქმედება ხდება, მაგალითად: ახ ლელე ქოკივ „მე დავდივარ ფეხით“, ახ ლეი მატტავ „მე ვლახარაკობ ენით“: ახ ვილოლ ხივ „მე ვაბანები წყლით“, ე. ი. იობ ცისკარიშვილი გამოსვლითს ბრუნვაში გულისხმობს ერგატივი-ინსტრუმენტალისს.

სინტაქსში, მართვის საკითხების განხილვისას ერგატივის ახ „მე“, ოქუს „მან“ ფორმები მოაქვს და ბრალდებითი ბრუნვის სახელით იხსენიებს მათ. ვა აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ბრალდებითი სახელობითისაგან იმით განსხვავდება. რომ ეს პირველი მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნებთან უკავსო: ახ თეგოდო ღუმილა (=თეგოდრ ღუმილა) „მე ვაკეთებ საქმეს“, ოქუს ახო ქაირცხ (=აბრ ქაირცხრ) „ის კარავს სამოსს“.

აპრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ ი. ცისკარიშვილის მიერ გამოყოფილი გამოსვლითი ბრუნვა და სინტაქსურად დასასიათებული ბრალდებითი ეტოლდება ერგატივი-ინსტრუმენტალისს, რადგანაც იობ ცისკარიშვილს გამოსვლითი ბრუნვისა და მის მიერ ბრალდებითი ბრუნვისად მიჩნეულ ერგატივის ფორმებზე მსჯელობისას მათ ფუნქციად, ერთი მხრით, მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტის გამოხატვა მიჩნია. მეორე მხრით — მოქმედების იარაღის ან სასუქალების დასახელება.

ავტორი ცდილობს, წოვა-თუმურში რუსულის ანალოგიით. სახელთა მუქადასხვა დაბოლოების მიხედვით გამოყოფს ბრუნვების ოთხი ტიპი: I ტიპს ბრუნვაში აერთიანებს მამაკაცის „სქესის“ სიტყვებს და ამავე დროს. თანხმოდანზე გათავებულ სახელებს, II ტიპისაში — ა, ე-ზე დაბოლოებულებს. III-ში — ო-ზე, ხოლო IV-ში ე-ზე.

ბრუნების ტიპების გამოყოფას აზრი აქვს გარკვეული რიგის სახელების შუაგული წარმოების შემთხვევაში.

ი. ცისკარიშვილის მიერ ბრუნების I ტიპში თანხმოდანფუძიანი სახელების გაერთიანება მიზანშეწონილია, რადგანაც, თანხმოდანფუძიანი სახელები,

მართლაც, ბრუნების დამოუკიდებელ ტიპს ქვნიან, ხოლო სამი დანარჩენი ტიპის გამოყოფა რაიმე პრინციპს არ ექვემდებარება. როგორც ცნობილია, ბრუნების ტიპთა გამოყოფა წოვა-თუშურში ორფუძიანობის პრინციპით ხდება.

ზედსართავი სახელი წოვა-თუშურში საგნის თვისებას აღნიშნავს — წერს ავტორი და შემდეგი მაგალითები მოჰყავს: „**დოჯო წა** (= **დაჯო**) „**დიდი სახლი**“, „**ყაინ სტაქ** (= **ყაინ**) „**მოხუცი კაცი**“. **ლახუ ხე** (= **ლახუ<sup>ნ</sup> ხე**) „**დაბალი ხე**“. „**დაქი ბსტუინო** (= **დაქი<sup>ნ</sup> ბსტუინ<sup>ნ</sup>**) „**კეთილი ქალი**“. შემდეგი ამისა აღნიშნავს — ზედსართავი სახელი შეიძლება იყოს: **თვისებისა**: „**არკი უისტხ** (= **არკი<sup>ნ</sup> უახთხ<sup>ნ</sup>**) „**შვი ცხვარი**“. **წევეე** (= **წევე ვე**) „**წითელი ღვინო**“, **ნიწყლი სტაქ** (= **ნიწყლი<sup>ნ</sup>**) „**ძლიერი კაცი**“; **ვითარები**: **ბსარეშლუ აშე** (= **ბსარეშლუ<sup>ნ</sup> შაშე**) „**გუშინელი სტუმარი**“. **ბათხელუ ბახოლ** (= **ბათხელუ<sup>ნ</sup>**) „**წინანდელი სიმდიდრე**“, **დუშარე ვაქინ** (= **დუშარე<sup>ნ</sup> ვაქინ<sup>ნ</sup>**) „**პირველი ნაცნობი**“, **კუთენილებითი**: **დონე მულ** (= **დონე<sup>ნ</sup>**) „**ცხენის კული**“, **ჩაი პაპა** (= **ჩაი<sup>ნ</sup> პაპა<sup>ნ</sup>**) || **ჩააღე პაპა** (= **ჩააღე<sup>ნ</sup> პაპა<sup>ნ</sup>**) „**დათვის ტყავი**“, **დაღე კნათ** (= **დაღე<sup>ნ</sup>**) || **დაღე კნათ** (= **დაღე<sup>ნ</sup>**) „**მამის შვილი**“.

როგორც ვხედავთ, ი. ცისკარიშვილი ზედსართავ სახელებს მხოლოდ შესაბამის საზღვრულ არსებით სახელებთან ერთად გვაწვდის და არა გამოცალკევებულად.

ზედსართავ სახელს თავისი „სქესი“ არა აქვს, — აღნიშნავს ი. ცისკარიშვილი. იგი „სქესში“ ეთანხმება სახელს. რომელთანაც იგი გამოდის. რა თქმა უნდა, ამ დასკვნის გამოსატანად ი. ცისკარიშვილს რუსული არსებობის სახელოსა და ზედსართავის სქესში შეთანხმება ეხმარებოდა, მაგრამ, ცხადია, მან შეიცნო ზედსართავ სახელებში გამოვლენილი პრეფიქსების მონაცემები სათანადო არსებითი სახელების გრამატიკული კლასის ანუ მისი ტერმინით — „სქესის“ შესაბამისად.

ზედსართავი სახელისათვის ავტორი გამოყოფს აღმატებითი ხარისხის აქნიშნანს და შემდეგი მაგალითები მოაქვს: **ლაზეჰ ვე** (= **~ზე<sup>ნ</sup>**) „**საუკეთესო ღვინო**“, **დოჯოჰ ზი** „**უდიდესი მდინარე**“, **ლაქეჰ ხე** „**უმალესი ხე**“, მაგრამ არ ასახელებს შედარებითი ხარისხის — **უხ** მაწარმოებელს. როგორც ცნობილია, აქ მინიტენსივებელი ნაწილაკია და იხმარება არა მარტო ზედსართავებთან, არამედ მეტყველების სხვა ნაწილებთანაც.

რიცხვით სახელს ავტორი ყოფს რაოდენობითად, რიგობითად, წილობითად და კრებითად. მოჰყავს შესაბამისი მაგალითები და ბოლოს მათ ბრუნების პარადიგმებსაც იძლევა.

მეტად მნიშვნელოვანია ავტორის დაკვირვება წოვა-თუშური თელს ოტობითი სისტემის შესახებ. იგი წერს: „**თუშური თელის სისტემა არა ჰგავს სხვა ენებისას; აქ ცალკე სახელწოდებები კი არა გვაქვს ასისათვის, ათასისათვის, მილიონისათვის, არამედ გვაქვს — სამჯერ ოცი, ოცჯერ ოცი, ორმოცჯერ ოცი და ა. შ.**“

ი. ცისკარიშვილი ჩამოთვლის რვა რიგის რიცხვით სახელებს: პირისა, უკუქცევითი, კუთენილებითი, ჩვენებითი, მიმართებითი, კითხვითი, განსაზღვრებითი და განუსაზღვრელი. ნაცვალსახელთა ამგვარი დანაწევრება პირდა-

პრ მისდევს ნ. გრეჩის გრამატიკაში წარმოდგენილს. ამათგან, როგორც  
 ზ. გრეჩი, ასევე ი. ცისკარიშვილი განარჩევენ არსებითი სახელისშიერ და  
 ხელსართულ ნაცვალსახელებს.

არსებითი სახელიპშიერად ასახელებს ასეთებს: ხო „შე“. ზი „შენ“, ო „ის“, შარნ „თვით“, მე (=მე<sup>ნ</sup>) „ვინ“, ვუხ „რა“. ყველა ეს  
 ნაცვალსახელი სამივე „სქესისათვის“ საერთოა და ერთნაირად იბრუნება, —  
 წარს ავტორი და ამისი თქმა იმატომ სჭირდება. რომ რუსულში III პირის  
 ნაცვალსახელები სქესის მიხედვით ცვალებადნი არიან; საგულისხმოა, რომ  
 ქეგი ხედავს სხვაობას რუსულსა და წოვა-თუშურ ნაცვალსახელებს შორის.

ი. ცისკარიშვილის მიხედვით, ზედსართული ნაცვალსახე-  
 ლები ისინია, რომლებიც საკანს კუთვნილები თვალსაზრისით ახასია-  
 თებენ—სე (=სე<sup>ნ</sup>) „ჩემი“, ჰე (ჰე<sup>ნ</sup>) „შენი“.

მნიშვნელოვანია ი. ცისკარიშვილის მიერ პირის ნაცვალსახელთა ნათესა-  
 იბითის ფორმების მიჩნევა კუთვნილებით ნაცვალსახელებად—სე (=სე<sup>ნ</sup>) „ჩემი“,  
 ჰე (=ჰე<sup>ნ</sup>) „შენი“, შუ (=შუ<sup>ნ</sup>) „თქენი“, თუმცა აქრს საფუძველს მას აძლევ-  
 და ისევე ნ. გრეჩი.

ზმნა მეტყველების ნაწილია, რომელიც აღნიშნავს მოქმედებას ან მდგო-  
 ზარობას, — წერს ი. ცისკარიშვილი.

ზმნურ კატეგორიათაგან იგი განიხილავს გვარს, დროს, კილოს, ასპექტს.  
 ნ. გრეჩის გრამატიკის მიხედვით გამოყოფს ოგი წოვა-თუშურში მოქმე-  
 ვებით და საშუალ გვარს.

მოქმედებითი გვარის ნიშნუებად შემდეგ ფორმებს ჩამოთვლის:  
 გავოდ (=გავოდ<sup>ნ</sup>) „უელის“, დეხკო (=დეხკ<sup>ნ</sup>) „უადის“, საშუალოსათ-  
 ვის: ბიშუ (=ბიშ<sup>ნ</sup>) „წევს“, თოჰოო (=თოჰო<sup>ნ</sup>) სძინავს“... ხელლა „ლურჯ-  
 ღება“, ბაკლა „იზრდება“. დეხტე (=დეხტ<sup>ნ</sup>) „სივდება“.

როგორც ცნობილია, გვარი ამ ენაში ჩამოყალიბებული კატეგორია არ  
 არის. მაგრამ რიგი გარდაუვალი ზმნებისა შედგენილია დაღარ მეშველი  
 ზმნით. რომელიც ზმნას ვნებითურ შინაარსს ანიჭებს. აქედნად, ი. ცისკარი-  
 შვილის მიერ საშუალო გვარისად მიჩნეული მაგალითები—სელლა, ბაკლა,  
 ბიშუ, თოჰოო, დეხტე — სხვადასხვა რიგისაა: თუმცა ყველა მათგანი აწყო  
 დროში აღებული ერთპირიანი გარდაუვალი ზმნაა. ეს უზუსტობანი კი გა-  
 მოწვეულია იმით, რომ ი. ცისკარიშვილს სშირად პირდაპირ გადმოაქვს ნ. გრე-  
 ჩის გამონათქვამები რუსულის მიმართ. მაგალითებსაც პირდაპირ თარგმნის:

ნ. გრეჩს საშუალი გვარისათვის ასეთი მაგალითები მოაქვს—травя желтеет,  
 пуха пухнет. ი. ცისკარიშვილის ბუც ხელლა, ტობ დეხტე (=დეხტ<sup>ნ</sup>)  
 იგივე მაგალითებია, რომელთაგან პირველს იგი ასე თარგმნის — „ბალახი  
 ყვითლდება“, მაშინ როდესაც უნდა იყოს: „ბალახი ლურჯდება-მწვან-  
 ღება“; მაგრამ ეს შეცდომა შესაბამისი რუსული მაგალითის გავლენითაა გამო-  
 წვეული (შდრ. травя желтеет).

ი. ცისკარიშვილი წოვა-თუშურში ნ. გრეჩისებურად სამ დროს გამოყოფს:  
 ნამყო — ას თეგდე ბსარე (=თეგდე ბსარე<sup>ნ</sup>) „მე გვაკეთე გუშინ“.  
 აწყო — თეგდოს იცე „ვაკეთებ ახლა“, მყოფადი — თაგდოს კა „გა-  
 ვაკეთებ ხვალ“.

ი. ცისკარიშვილი შენიშნავს, რომ წოვა-თუშურში სულ სამი ასპექტია:  
 ვანუსაზღვრელი, განსაზღვრული და სრული. განსაზღვრულ-განუსაზღვრელი

ასპექტის სახით მან უსრული ასპექტის ფორმები გამოყო. ხოლო სრული ასპექტის სახით დასრულებული მოქმედების აღნიშნული ზმნის ფორმებს მოგვაწოდა. განუსაზღვრელი ასპექტი მას ემპის, როგორც უნარი ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისა („ვეურავ“ საერთოდ) და განსაზღვრული, როგორც საუბრის მომენტში მიმდინარე მოქმედება („ვეურავ“ ახლა). გაჩივის ეს პრინციპიც ნ. გრაჩისეულია.

როგორც ცნობილია, ზმნის ასპექტი გაიჩნევა მხოლოდ მოქმედების დასრულებულ-დაუსრულებლობის მიხედვით: ხოლო განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის მიხედვით დაპირისპირებულ ზმნათა შინაარსით განსხვავებულ ფორმები ასპექტის დამოუკიდებელ სახეებად ვერ ჩაითვლება.

კილო შეიძლება იყოს: — თხრობითი, ბრძანებითი და განუსაზღვრელი, — აღნიშნავს ავტორი და თხრობითისათვის — **ლელე** (= **ლელეშ**) „დადიხარ, მელლოშ“ (= **მელ'ოშ**) „სვამ“ — მაგალითები მოჰყავს, ბრძანებითისათვის — **იხ** „წადი“. **მალლ** (= **მალლ'**) „დალიე“, **ლაპწათ** „ითამაშეთ“: განუსაზღვრელისათვის კი — მასდარის ფორმები — **ლელარ** „სვლა“, **თოშარ** „დაინება“, **მელლარ** (= **მელ'არ**) „სმა“.

ი. ცისკარიშვილს მოაქვს ზმნის უღლების ისეთი მაგალითები, როცა პირის ნაცვალსახელები ზმნისაგან ცალკე დგანან (ახ **თეგოდ** „მე ვაკეთებ“, ახ **თეგოდ** „შენ აკეთებ“, იკუხ **თეგოდ** „ის აკეთებს“. სამივე შემთხვევაში უნდა იყოს: **თეგოდრ**). და ისეთებიც, როცა შერწყმულნი არიან (**თეგოდის**, **თეგოდო** (= **თეგოდოშ**), **თეგოდ** (= **თეგოდრ**): პირველი რიგის მაგალითები, სრულიად სპართლიანად ამოსაელად მიაჩნია, ხოლო მეორე რიგისანი — შემდგომ მიღებულად.

საყურადღებოა ავტორის ის დაკვირვებაც, რომ ზმნა იცვლება არა მართლ პირისა და რიცხვის მიხედვით (**თეგოდის** „ვაკეთებ“ — **თეგოდოთხო** (= **თეგოდოთხრ**) „ვაკეთებთ“, **თეგოდო** (= **თეგოდოშ**) „აკეთებ“ — **თეგოდოში** (= **თეგოდოში**) „აკეთებთ“), არამედ გრამატიკული კლასის ანუ მისი ტერმინით „სქესის“ მიხედვითაც (**ხტაკ ვეე** (= **ვმ'ე**) „კაცი მოვიდა“, **ხტუანო იეე** (= **ხტუანრ ე'ე**) „ქალი მოვიდა“, **უისთხ ბეე** (= **უისთხ ბე'ე**) „ცხვარი მოვიდა“).

მაგრამ იგი მხოლოდ ფაქტებს აღწერს და ვერ ასკვნის, რომ ამ ენისათვის დამახასიათებელია ზმნის ცვლა გრამატიკული კლასების მიხედვით, ხოლო პიროვანი უღლილება ახლად აყალიბდება.

ი. ცისკარიშვილი წოვა-თუნურში გამოყოფს აწმყოსა და ნამყოს მიქლეობას.

აწმყოს მიმღობა აწმყოს ფუძიდან იწარმოება — აღნიშნავს იგი — I პირის **ოს**, ახ ნიშნების — სუფიქსით შეცვლით — **ხეტოს** — **ხეტოინ** (= **ხეტუინი**) „ვეკითხები“ — „შემკითხველი“: ნამყოს მიმღობაც ასევე — **ხაიტნას** — **ხაიტნო** (= **ხაიტნას** — **ხაიტნრ**) „ვეკითხე“ — „აკითხი“.

ი. ცისკარიშვილი აბასწორად გამოყოფს **ოს** სუფიქსს I პირის ნიშნად. აქ ოდენ ს ვაქვს პირის ნიშნად გამოყენებული, ო კი ფუძის კუთვნილებად — **შდრ**, **ხეტო ახ** (**ხეტრ** ~ „ვეკითხები მე“ — **ხეტო-ინ** — **ხეტოინ** (= **ხეტოან**, **ხეტუან**) „შემკითხველი“.

ი. ცისკარიშვილს თანახმად, მიმღობას აქვს როგორც ზმნური, ასევე ზედსართავი სახელის კატეგორიები — ზმნისა: გვარი, ასპექტი, დრო: ზედ-

სართავი სახელისა: „სქეს-“, რიცხვი, ბრუნვა (რამიც იგი შესაბამის არსებით სახელს უთანხმდება).

მიმღობის შემდგომ ნ. გრეჩი *депривастие*-ს ახასიათებს რუსულში. ი. ცისკარიშვილი კი ვერ უყენებს ამ კატეგორიას წიგნ-თუშურ ანალოგიურ ფორმებს აბსოლუტივისას (მღრ. *делая тебедом, нося дамош...*).

ზმნიზელის ექვს სახეობას ჩამოთვლის ი. ცისკარიშვილი: თვისებისა, ჯიშისა, რიცხვისა, ადგილისა, უარყოფისა, კითხვისა და სათანადო მაგალითები მოჰყავს. ეს მავალაობები არასწორადაა შერჩეული: ადრეულია მათი ფუნქციები.

ი. ცისკარიშვილი ჩამოთვლის შემდეგ თანდებულებს: წი(=წი<sup>ნ</sup>) „უ“, ჰე „ში“, ცი (=ცი<sup>ნ</sup>) „მდე“, ტუჰჰე (=ტუჰჰამჰე) „უკან“, დაჰ „დან“, მაქ „ზე“, კიკელ „ქვეშ“. = ჰაახ „წინ“, დალა (=დალა<sup>ნ</sup>) „თვის რე (=რე<sup>ნ</sup>)“ „გან. დან“.

ზემოთ ჩამოთვლილ თანდებულებიდან -- ტუჰიჰა, მაქ, კიკელ, ჰაათხ -- ახლთან თანდებულს სახით გვევლინებიან. ზმნასთან კი -- წინდებულისა. მღრ.: ერთი მხრით -- ხენენ კიკელ „ხის ქვეშ“, ოქუან ჰაათხ „მის წინაშე“, წარუანაქ „წყაროზე“. წინან ტუჰიჰა „სახლს უკან“... მეორე მხრით -- ტუჰაჰადრწადარ „უკან დაბრუნება“. მაქდიჰკარ „ზედ დაწყოება“, ჰაათხდახარ „წინ წასვლა“...

კავშირისათვის ი. ცისკარიშვილს მოყვანილი აქვს ნ. გრეჩის გრამატიკაში მიკვლეული მაგალითები თარგმანები. რომელთაგანაც მხოლოდ ზოგი შეიძლება ჩაითვალოს კავშირად -- ე „და“ -- მეგრეთებელი კავშირი, ლე „ან“. მა ჰაგრაჰ -- მავალკვევებელი კავშირი: რაც შეეხება სხვა მაგალითებს, ხილ (=ხილ<sup>ნ</sup>) „იყავ“ -- ბრძანებითი ფორმა ხილ<sup>არ</sup> ზმნისა, ჰაა „დაახ“ -- მიკვებითი ნაწილაკი. იჰუნდალა (=იჰუნდალა<sup>ნ</sup>) -- ვითარებითი ზმნიზელა, რომელიც მხოლოდ მე (=მე<sup>ნ</sup>) „რომ“ კავშირთან შეერთებისას შეიძლება კავშირის ფუნქციით გამოვიდეს წინადადებაში, უხ (მღრ.: ვუხ) „რა“ კითხვითი ნაცვალსახელია, იშტ „ასე“. ჰაყე (=ჰაყე<sup>ნ</sup>) ვითარებითი ზმნიზედებია, თურ „განა“, მაცა (=მაცა<sup>ნ</sup>) „...ღის“? -- კითხვითი ნაცვალსახელები.

დაბოლოს, ჩამოთვლილია თერთმეტი სხვადასხვა რიგის ოცდაათზე შორისდებული, მაგალითად: ვაკეირეებისა -- ა, ახხ, იი ბმა, ბჰაი სიხარლისა -- ეჰ! იი იი მოწოდებ-სა -- ეი და ა. შ.

მორფოლოგიის შენდგომ განხილულია სინტაქსი. ი. ცისკარიშვილი შენიშნავს, რომ „წიგნ-თუშური სინტაქსი რუსული სინტაქსის ფარდია“. გრამატიკის ამ ნაწილში ი. ცისკარიშვილი თითქმის მთლიანად რუსულ გრამატიკას ეყრდნობა და მისი დასკვნები წიგნ-თუშური ენის სინტაქსის თავისებურებებს ვერ ავლენს.

ერთადერთი ორიგინალური დებულება, რომელსაც ავტორი სინტაქსის განხილვისას ვეთავაზობს, ასაა. რომ მას სწორად ესმის ერგატიული ბრუნვის ფორმების ფუნქცია, რომელსაც იგი ხან ბრალდებით ბრუნვის სახელით იხსენიებს და ხან გამოსვლით ბრუნვისა.

ა. შიფნერი „თუშური ენის მოკლე დახასიათებაში“ მიუთითებს, რომ ი. ცისკარიშვილისეული ენობრივი მასალა ძირითადად ქართული ანბანითაა ვაგმოცემული, გამონაკლისს ქმნის მხოლოდ სიტყვათა ნუსხა, რომელიც რუსული ტრანსკრიფციითაა ვაგმოცემული, და აღნიშნავს, რომ ი. ცისკარიშვი-

ლის მიერ გამოყენებული როგორც რუსული, ასევე ქართული ტრანსკრიფცია სრულყოფილად ვერ ასახავს თუშური ენის ბგერითს შედგენილობას. ა. შიფნერის ეს გამოანათქვამი გვაპარაუდებინებს, რომ იგი ქართული ტრანსკრიფციის გადმოცემულ ენობრივ მასალას არ ჩაჰკვირვებია და მას მხოლოდ ინფორმატივის დახმარებით ეცნობოდა. და აი, რატომ:

ა. შიფნერის აზრით, „ი. ცისკარიშვილის თუშური გრამატიკა, სამწუხაროდ, მხოლოდ რუსული გრამატიკის კატეგორიებს იცნობს და ამის გამო არაფერს იძლევა ამ ლირსშესანიშნავი ენის თავისებურებებში გასაჩვენებლად“<sup>9</sup>.

როგორც ი. ცისკარიშვილის გრამატიკის ანალიზი გვიჩვენებს, მისმა ავტორმა რიგი შეტად მნიშვნელოვანი დაკვირვება მოგვაწოდა, რაც მას ნ. გრეჩის რუსულ გრამატიკაში არ შეეძლო ამოეკითხა.

თავის მონოგრაფიაში „თუშურა ენის შესახებ“. ზემოაღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნებიდან ორი წლის შემდეგ. ა. შიფნერი ამავე აზრისაა ი. ცისკარიშვილის გრამატიკაზე. უფრო მეტად, მას უცხოვლ ნიაჩხია ქართულისათვის. ანანსმოვანი, რომელიც წოვა-თუშურში გვაქვს: „ოცდათერთმეტი თანხმონი თუშურსა და ქართულს საერთო აქვს, მაგრამ თუშურში დასტურდება სამი ისეთი თანხმონი, რომლებიც ქართული არა გვაქვს:  $x (= \chi)$ ,  $h (= \chi)$ ,  $\zeta (= \zeta)$ “. ი. ცისკარიშვილს ქართული ტრანსკრიფციით მოცემულ ანბანთრიგში ქართულიდანვე აქვს გადმოტანილი ასო  $\zeta$ . რომელიც ხშირად ვლინდება როგორც მისი გრამატიკის საილუსტრაციოდ ქართული ტრანსკრიფციის მოცემულ მასალაში, ასევე გაბმულ ტექსტებში. 33-ე თანხმონი, რომელიც ქართულთან საერთოა წოვა-თუშურისათვის და ა. შიფნერს წოვა-თუშურისათვის უცხოვლ ნიაჩხია, არის სპირანტი  $\zeta$ .

ი. ცისკარიშვილი თავის ქართულ ტრანსკრიფციაში ასახულ 33 თანხმონს 24 რუსული ასო-ნიშნით გადმოგვცემს. რვა რუსულ თანხმონს —  $r$ ,  $z$ ,  $k$ ,  $h$ ,  $ж$ ,  $т$ ,  $ц$ ,  $x$  ავტორი ავალებს 18 წოვა-თუშური თანხმონი ბგერის გადმოცემას. შდრ.:  $r = \rho$ ,  $л (гага = გააა)$  „კეერცხი“,  $гамурз =$  ლამურაო (= ლამურააქ) „ლამურა“.  $з = \zeta$ ,  $д (зок = ზოქ)$  „ნისკარტი“,  $мезе́нар =$  მეძებარ „მეძებარი ძალე“).  $к = \kappa$ ,  $ч$ ,  $ц$ ,  $г (кнат =$  კნათ „ბიჭი“,  $корт =$  ქორთ (= ქორთო) „თავი“,  $нак =$  ნაკ „კეიტი“,  $кер =$  კერ „ქვა“).  $п = \beta$ ,  $ф (псту =$  ფსტუ „ხარი“,  $пирутк =$  პირუტყ „პირუტყვი“).  $ж = \zeta$ ,  $ч$ ,  $г (жеро =$  ეერო (= ჯერო) „ქერივი“,  $санж =$  ბაიჯ (= ბაიჯი) „ქვისლი“,  $кож =$  კოჯ „კოჭა“).  $т = \tau$ ,  $т (кнат =$  კნათ „კლდე“,  $нут =$  ბუთ (= ბუთთ) „მთვარე, თვე“).  $ц = \tau$ ,  $ф (ца =$  ცა (= ცაჰა) „ერთი“,  $пеф (пестли =$  „ქაჭკაჭი“).  $х = \chi$ ,  $г (пахал =$  ფხაკალ „ქურდული“,  $халал =$  ჭალალ „ფაშატი“). გარდა ამისა,  $дз = d$  (дзиртк:ил = ძირტკილ „ძირტკილა“) და  $дж = \zeta$ ,  $г (турпидже хе =$  თურინჯე ხე (-თურინჯე ~) „თურინჯი“,  $каджикадж =$  კაჭკაჭი“).

ცხადია, ი. ცისკარიშვილის მიერ მოცემული რუსული სატრანსკრიფციო ნიშნები სათანადოდ ვერ ასახავენ წოვა-თუშური ენის თანხმონთან შედგენილობას.

რამდენადაც სამართლიანია ა. შიფნერის შენიშვნა ი. ცისკარიშვილის მიმართ რუსული სატრანსკრიფციო ნიშნების უკმარისობის გამო, იმდენადვე უსამართლოა მისივე ქართული ტრანსკრიფციის მიმართ; ი. ცისკარიშვილს მიერ გამოყენებული ქართული სატრანსკრიფციო ნიშნები თითქმის სრულყოფილად ასახავენ წოვა-თუშური ენის თანხმონთან შედგენილობას.

ი. ცისკარიშვილისეულ „ლექსიკონში“ წარმოდგენილია თემატურად მრავალფეროვანი, საგნობრივად დალაგებული ენობრივი მასალა. იგი, როგორც სასლესრო პირი, პირველ რიგში რელიგიურ ტერმინებს გვთავაზობს:

საღმართო სიტყვები	საღმთო დაშნი
ღმერთი	ღალ
ფესო ქრისტე	ფესო ქრისტე
სული წმინდა	წაინ სა (= წაინა )

შემდგომ ამისა ჩანოთვლილია ციური სხეულები, ანუ ავტორის სიტყვივით ქმნილებანი (ყოველი) შექნაღუა ვუმა'

ცა	ღამ
მზე	მათხ
მთვარე	ბულ (= ბუთო)
ვარსკვლავები	ტერაილ (ტერაილჩ)
აწა	იღუსტ

ამას მოსდევს ციური მოვლენების, ხმელეთისა და წყლის ცხოველების. ჰრინელების, მათი სხეულის ნაწილების სახელები, მცენარეების სახელწოდებანი, მესაქემობის ტერმინები. ბოლოს მოცემულია ანბანის რიგზე დალაგებული ადამიანთა სახელების სია.

ი. ცისკარიშვილის ჩანაწერებში, გარდა იმ განსხვავებისა, რასაც ქართულ-რუსული ტრანსკრიფცია ქმნის, ზოგი სხვა თავისებურებაც შეინიშნება.

ნიშანდობლივია ავტორის მიერ ნ თანხმოვნის გამოტოვება ზოგიერთი სიტყვის ფუძეში — აგლოზ „ანგელოზი“ მაგალითში ნ სრულიად აღარ ჩანს, ზოლო სხვა რიგის მაგალითებში დაკარგული ნ-ს ადგილას წარმოდგენილია ზეზობელი თანხმოვნის იდენტური ბგერა — სხებალა „ლურჯდება“, ვოლი-გონური“, სხელა „ლურჯდება“. დევვალარ „გაოქანამრთლება“...

ე. ი. ნ ერთ შემთხვევაში შეიძლება დასუსტდეს ფუძეში, ზოლო მეორე შემთხვევაში გამოიწვიოს მეზობელი თანხმოვნის დაყოვნებული წარმოთქმა, რაც აპილაციის შთაბეჭდილებას ტოვებს. პირველ შემთხვევაში შესაძლოა მს უსუსუტებამ წინამავალი ხმოვნის ნახალიზაცია გამოიწვიოს, რაც არც მეორე შემთხვევაშია გამორიცხული. მეორე რიგის მაგალითებში ავტორის მიერ ი-ი თანხმოვნის გადმოცემა სწორედ იმით აიხსნება. რომ ნახალური ხმოვნის ჩვეულებრივ ხმოვანზე უფრო დაყოვნებული წარმოთქმა მეზობელი თანხმოვნის ინტენსიურობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჩუნი აკუსტიკური შთაბეჭდილებით შემოჩანოთვლილ ორივე რიგის სიტყვებში ნ იმდენად სუსტად მოიხსნის. რომ იგი. მართლაც, წინამავალი ხმოვნის ნახალიზაციის სახით უნდა არსებობდეს სიტყვის ფუძეში და არა — სრული თანხმოვნისა. თუ ჩუნი დამეება სწორია, მაშინ ეს სიტყვები აშკარად ჩაწერება: აგლოზ, სეზალა, გოლი, სენლა, დევვალარ.

ი. ცისკარიშვილს პარალელური ფორმებითა აქვს დამოწმებული სიტყვა აღლ: აღლ „ბატონი“. როგორც ჩანს, ვერ არჩევდა რა მოკლე ე-ს, წინამავალი ლ ინტენსიურ თანხმოვნად ეჩვენებოდა, ზოლო როცა არჩევდა, სრულ ე-დ აღქვამდა. აშკარაა. რომ ეს სიტყვა ისევე წარმოითქმოდა მაშინ, როგორც დღეს — აღლ.

აქ. ერთი მხრით, ინფორმატორთან შემოწმებული სიტყვების ტრანსკრიფცია: დაზუსტებული. მეორე მხრით -- მომზადებულია მასალა სალექსიკო-

ნოდ — სახელთან გრამატიკული კლასის, ანუ ა. შიფნერის ტერმინით — „სქესის“, ნიშნებია მიითვებულ; მიწერილია აგრეთვე ნათესაობითისა და მრ. რ. ცხვინ სახელობითი ბრუნვის ფორმები, ზედსართავებთან ნაჩვენებია შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ფორმები; ზმნასთან სხვადასხვა დროისა და გრამატიკული კლას-ნიშნის მიხედვით მონაცვლე ფორმები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენადაც ნათლად ანახავს ი. ცისკარიშვილისეული ქართული ტრანსკრიფცია წოვა-აუშური ენის ბგერებს. რამდენადაც ბუნდოვანია მის მიერ ხმარებული დიაკრიტიკული ნიშნებით განუხსნავებულ რუსული ანბანით ჩამოწერილი სიტყვების ბგერითი შედგენილობა. მაგალითად: ცისკ.: იმო „ლოკოინა“ — შიფნ.: ჰომო; ცისკ.: აკ „შებლი“ — შიფნ.: ჰაჟ; ცისკ.: ეიხკ „საფარცხელი“ — შიფნ.: ახკ; ცისკ.: აბიკ „კოვზი“ — შიფნ.: აიკ; ცისკ.: ხელაჟოლარ „შეშინება“ — შიფნ.: ხელაჟოლარ; ცისკ.: შაო „რქა“ — შიფნ.: შააო; ცისკ.: პიტ „ბაყაყი“ — შიფნ.: შაპიტ; ცისკ.: აამკ „რქინა“ — შიფნ.: ააჟჟ... თუმცა ა. შიფნერის ჩანაწერებიც არაა ყოველთვის ზუსტად შემოთ მოყვანილი — „ლოკოინას“, „რქის“, „ბაყაყის“, „რქინის“ აქვნიშნული სიტყვები ამჟამად ასე ეწერს: ჰაიმშ, შაჟჟ, ფაპიტ, 'აჰჰჟ.

ი. ცისკარიშვილის მასალაში ესა თუ ის სიტყვა ზოგჯერ პარალელურ ფორმებით გვხვდება. უმეტეს შემთხვევაში ეს იმის მაჩვენებელი კი არ არის რომ ისინი ენაში მართლაც პარალელური ფორმებით არსებობდნენ, არამედ იმისა რომ ავტორმა ისინი სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად აღიქვა და ჩაწერა.

ა. შიფნერი არ უგულვებელყოფს ი. ცისკარიშვილის მიერ მიწოდებულ ფორმებს, რომლებიც თვით მას დაზუსტებული აქვს ინფორმატორთან და მისი ინც პარალელური ფორმებით გვიჩვენებს მათ. ასეთებია ვუნე, უნე „რაც-ბაჟი, ბაიჟ (=ბაჟჟ) „ქეისლი“, იცც, ინც (=ი<sup>ნ</sup>ც) „ახლა“, ხელლა, ხენლ: (=ხ<sup>ნ</sup>ლა) „ლურჯდება“. დეჟვალარ, დენვალარ (=დენ<sup>ვ</sup>ალარ) „გამოქანბრებულია“...

ი. ცისკარიშვილის „ლექსიკონიდან“ ა. შიფნერი მაქსიმალურად იყენებს ენობრივი თვალსაზრისით საყურადღებო მასალას. პროფესიისა და წოდების აღნიშვნელ ტერმინთაგან იგი ირჩევს ამ ენასთან შესისხლბორცებულ სახელწოდებებს. მაგალითად: თავად „თავადი“. აწურ „აწნაური“. ყარულ „ყარული“. მაგრამ სამართლიანად უგულვებელყოფს ასეთებს: გრად „გრადი“, შაიბ „შაიბი“, ადიუტანტ „ადიუტანტი“. პორუჩიკ „პორუჩიკი“...

აღაძინათა საკუთარ სახელთაგან ა. შიფნერს თავის ლექსიკონში შეაქვს მხოლოდ ისინი, რომლებიც ამ ენისათვის მხოლოდ ბუნებრივნი არიან, მაგალითად: აინდრ „ანდროა“. გოგ „გოგი“. სილმა „სილომონი“, შაარამ „შარამი“, ელა „ელენე“ (უ ნ დ ა ი ყ ო ს: აინდრ<sup>ნ</sup>, გოგ<sup>ნ</sup>, სილმა<sup>ნ</sup>, შაარამ<sup>ნ</sup>); პერამ არ შეაქვს: იეხო. „იესო“. ხაბა „საბა“. შაქარ „შაქარი“, მათე „მათე“...

ა. შიფნერმა ჭეროვნად შეაფასა იობ ცისკარიშვილის ღვაწლი. აი, რა წერს იგი თავისი მონოგრაფიის შესავალში: „მე ჩემი მხრით უნდა აღვნიშნო რომ აქამდე არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვისაც ჩანსურისათვის გაეკეთებინოს ის რაც მღვდელმა იობ ცისკარიშვილმა თავისი დედანისათვის გააკეთა. სახელდობს ის, რომ თუმცა მორფოლოგია, რომელსაც ი. ცისკარიშვილი გვაუვალობს ენათმეცნიერებს თვალსაზრისით სუსტი და ნაკლებმნიშვნელოვანია, მაგრამ ცალკეული და გაბმული ტექსტები, რომლებიც მან მოგვაწოდა, მეტად ფასეულია ენათმეცნიერებისათვის. კერძოდ, დაღესტნურ ენათა მეტად უმნიშვნე-



ლა ნიშნებზე, რომლებიც ჩემს განკარგულებასაა. ნათელიყოფს, რომ დამკვლევნი ენათა გრამატიკული წყობა თვალსაჩინოდ ეთანხმება თუ შუარისა და ჩაჩხურისას, მაშინ ჩადესაც ლექსიკაში საერთო მასალა უმნიშვნელოა“ (ხაზი ჩვენია. — ი. ჯ.).

### შენიშვნები

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლას ისტორია, თბილისი, 1965, კვ-130.

<sup>2</sup> И. Цискариов. Краткая тушино-цовская грамматика. рукопись, 1848.

<sup>3</sup> Rapport de M. Brosset. sur une Traduction thouché de l' Histoire-Sainte, Bulletin historico-philologique. t. VI, 1849. გვ. 342—343.

<sup>4</sup> შ. ხანთაძე. მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი). თბილისი, 1966, გვ. 74.

<sup>5</sup> A. Schiefner, Kurze Charakteristik der Thusch-Sprache, Bulletin historico-philologique, t. XII, № 8.

<sup>6</sup> Н. Греч, Практическая русская грамматика. Санкт-Петербург, 1827.

<sup>7</sup> A. Schiefner, Versuch über die Thusch-Sprache oder die Kistische Mundart in Thuschetien, St-Petersburg. 1856.

<sup>8</sup> რ. გაგუა. ზმნის ცვლა გრამატიკული კლას-კატეგორიის მიხედვით ბაცებურ ენაში, იკვ. კვ. IV, თბილისი, 1953, გვ. 129—134.

<sup>9</sup> A. Schiefner. Kuzze Charakteristik der Phusch-Sprache, St.-Petersburg, 1854.

### И. Ш. ДЖОЛБОРДИ

## РУКОПИСНАЯ ТУШИНО-ЦОВСКАЯ ГРАММАТИКА ИОВА ЦИСКАРИШВИЛИ С ЯЗЫКОВЫМ МАТЕРИАЛОМ И ОТНОШЕНИЕ МОНОГРАФИИ АНТОНА ШИФНЕРА К ДАННОЙ РАБОТЕ

1. Несмотря на то, что грамматика И. Цискаришвили создана по образцу русской грамматики Н. Греча, автор отметил ряд специфических особенностей цова-тушинского языка. В частности:

а) установил почти все специфические согласные фонемы, однако не заметил существования кратких и назальных гласных в ауслaute, хотя его записи свидетельствуют о наличии подобных фонем в языке;

б) констатировал двадцатичленную систему счета;

в) отметил категорию «рода» (resp. грамм. класса) в именах и глаголах, хотя и не выделил отдельно показателей грамм. класса;

г) называя в морфологии отводительным падежом, а в синтаксисе — винительным, автор фактически установил существование эргатива-инструменталиса в цова-тушинском языке;

д) зафиксировал личные формы глагола с личными местоимениями, стоящими отдельно от глаголов, а также слитные формы;

е) «Словарь» И. Цискаришвили содержит богатый лексический материал, расположенный по тематическому признаку.

2. А. Шифнер использовал только лексический материал И. Цискаришвили, считая его грамматику малоценной в научном отношении, а транскрипцию — недостаточной. Последнее свидетельствует, что А. Шифнер без должного внимания отнесся к грамматике своего предшественника, содержащей весьма интересные наблюдения, в том числе грузинскую транскрипцию, позволяющую более полно отразить фонетическую систему цова-тушинского языка.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრა

ქართლში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში

## ქვეყანა ლომთათისა

საქართველოს ასრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:

კვლავ აფხაზურ-აბაზურ ანცა («ლომთაბა») სიტყვის ფშქვის  
ავტობიოგრაფიისათვის

პ. უსლარს გარკვეული მიზეზები აქვს ანცა („ლოთაბა, ლმერთი“) სიტყვის ფშქვის ავტობიოგრაფიის შესახებ. მას იგი თავისი მონოგრაფიის სალექსიკონო ნაწილში ნასოზე შეაქვს ანცა-ს სახით (ანცა) და ასახელებს მის განსაზღვრულ (უსლარის კვალიფიკაციით განსაზღვრულ) ანცა-კ (ერთი რომელიც ლმერთი) ფორმას. მოჰყავს გამოთქმა — ანცადგუქა პარაცკაშა პა: „დიდნო ლმერთნო შეგვიწყალე ჩვენ“ და თვლის მას წარმართობის დროინდელ გადმონაშთად<sup>1</sup>. სხვა ადგილას ანცა-ს შესახებ გარკვევით ამბობს, რომ მას აქვს მრავლობითის დაბოლოებაო, თუმცა როგორც ქრისტიანი, ისე ბესულმანი აფხაზები მას აღიქვამენ მტკიცედ მხოლოდობითადო<sup>2</sup>.

პ. ჯარაია თავის ეთნოგრაფიული ხასიათის სტატიაში „აფხაზეთი და აფხაზნი“, რომელიც გამოქვეყნდა გაზ. „ივერიაში“<sup>3</sup>, და შემდეგ კი თავისივე ლინგვისტურ ნაშრომში<sup>4</sup> საგანგებოდ ეხება ლეთაბის აღმნიშვნელ ამ ფშქვი იგი შენიშნავს, რომ აფხაზური მთავარი ლეთაბა pluralia tantum-ის ფორმით არის შემონახული. ანცა არის მრავლობითი რიცხვის ფორმა („ლდეა“) სიტყვისა. გრამატიკული თვალსაზრისით ამ სიტყვათა დაკავშირებას არავითარ „ცდომილებას“ არა აქვს ადგილი, ოღონდ ან („ლდეა“) სიტყვა მრავლობითში წარმოგვიდგება ანცა-ს სახით, ლმერთი კი არის ანცა-ე. ი. განსხვავება მხოლოდ მახვილშიაო. თუქცაო, განაგრძობს იგი, სასაუბრო ენაში ორივე ერთნაირი მახვილით გამოითქმისო (! — ქ. ლ.).

ამ მსჯელობის ნიადაგზე პ. ჯარაია ასკენის: აფხაზთა რელიგია იყო და დაპირველად „პოლითეისტური“ და უპირატესობა ჰქონდა მდებარეობით სქის ლეთაბას. შემდეგ კი, ერთი ლეთაბის იდეის გავრცელებასთან დაკავშირებით, მან თანდათან მიიღო მხოლოდობითის გაგება, მაგრამ თავისი პირველი მნიშვნელობით მრავლობით რიცხვში დაჩა რელიგიურ წესჩვეულებში. რომელთაც ნაკლები ცეცა ახასიათებდნო<sup>5</sup>.

ანცა-ს მრავლობითი ფორმის დასასაბუთებლად პ. ჯარაიას ძლიერ საბუთად მოჰყავს გამოთქმა -- ანცა რ-მეზუხ („ლეთის მიზეზი“) რომ ანცა მრავლობითად არ ყოფილიყო გავებულიო, სამართლიანად შენიშნავს პ. ჯარაია: საზღვრულ სიტყვაში (მეზუხ) მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი რ-მე ფიქსი (ე. ი. „ლმერთი მათ ი-მიზეზი“) არ გვექნებოდაო.

აქვე დასძენს პ. ჯარაია. ანცა სიტყვა რომ მრავლობითის ფუძითა წამოღვენილი, ეს პ. უსლარმავე კარგად შენიშნაო, თუმცა მას ამ სიტყვის ფშქვით მხოლოდობა არ აუხსნიაო.

ანცა სიტყვის ავტობიოგრაფია-წარმომავლობაზე ანალოგიური მოსაზრება კი მოთქვა ნ. ჯანაშიამ<sup>6</sup>.

შემდგომში ამავე საკითხს დაუბრუნდა ს. ჯანაშია<sup>7</sup>. მან წამოყენებულ არ-  
გუმენტებს თავის მხრივ დაუმატა მის მიერ დადასტურებული შემთხვევა ან-  
ც' სიტყვასთან საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენებისა  
(ანც' რთვება ხაქლა „ღმერთი [ღმერთები] მათი ასული ხაქულა“)<sup>8</sup> და,  
რაც მთავარია, მან გამოავლინა ლეთაების (გამჩენის) სრული ანა-  
ლოგიური ფორმა (-ც'ა სუფიქსიანი) მრავლობით რიცხვში გაქვეყნებული —  
ამაჲც', რომელსაც მრავლობითის გაგება საერთოდ დაჯარგული აქვს, მაგ-  
ნი ზოგიერთ გამოთქმაში ასევე შეჩვენია მრავლობითში შეთანხმების ოდინ-  
ველი უნარი

ქვემოთ ჩვენ გვინდა ახალი არგუმენტი შევიძინოთ საყოველთაოდ აღიარე-  
ბელ დებულებას — ანც' სიტყვის ფუძის მრავლობითად ინტერპრეტაციას  
(რომელსაც იცავდნენ პ. უსლარი, პ. ჯარაია, ნ. მარი, ნ. ჯანაშია, ს. ჯანაშია) და  
განვიხილოთ ის საკითხებიც, რაც ანც'ა („ღდეები“) და ანც'ა („ღმერთი“)  
იტყვათა ფუძეების ინდენტურობისა და შედგენილობის თვალსაზრისით  
წლებს.

თუ არ ეს გადმონაშთის სახით შემორჩენილი გამოთქმები (რომლებშიაც  
გაქვეყნებულად არის წარმოდგენილი საზღვრულ სახელში მრავლობითობის  
კუთვნილებითი რ. პრეფიქსი, რაც პითაებაა — ც'ა მრავლობითის სუფიქსის  
სუნებულ ფუძეში შეხორცენება). ანც'ა ჩვეულებრივ მხოლოდობითად გაი-  
გება და თანაც მამრობითი კლასის კუთვნილებითი მ- (მ-) პრეფიქსით ფორმ-  
ება მასთან დაკავშირებული საზღვრული სახელი.

ასეთი, ჩვეულებრივ მხოლოდობითად განზოგადებული სახით (მ- კუთვნი-  
ლებით პრეფიქსთან შეწყობილი) გამოდის ეს ფუძე აფხაზურში (და აბაზურ-  
შიაც) ფიცის ფორმულაში — ანც'ა ინგს (>ანც'ინგს) „ღმერთმანი“ (მღრ.  
აფხაზურშივე ფიცის სხვა ფორმულაც: ანც'ე-აჲმოჲჲ „ღვთის წყალობით“).

-ნგს ნაწილაკი დაირთავს სხვადასხვა კუთვნილებით პრეფიქსს (მღრ.. მ-  
გლთად, საბ იფს ანგს „მამის სულს ვფიცავ“ და მისთ.).

აბაზურში -ნგს ნაწილაკს პარალელურად შეიძლება ინსტრუმენტალისის  
და სუფიქსდართული -ნგს-ლა სახეობაც ჰქონდეს.

მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ აბაზურ ფოლკლორში  
ღმერთთან დაკავშირებულ ფიცის ფორმულაში «ანც'ა ინგს»-ის გვერდით  
აღნიშნული სიტყვის ფუძე შემონახულია მხოლოდობითის სახით, -ც'ა (მრავლო-  
ბითის) სუფიქსის გარეშე, მაგ., სოსრჲყა ...ან ინგსლა ნგხა აჲაჲტ, სოსრანფა  
ღჲაჲჲჲთა დღმურნგს „სოსრჲყვამ ...ღმერთმანი (ღმერთი) დაიფიცა,  
სოსრანისძე რომ იპოვოს და მოკლას“...

ამით უკვე რეალურად დასტურდება ამოსავალი ფუძე „ღმერთი“ სიტყ-  
ვისა და არაძირეულობა -ც'ა ელემენტისა. მისი მრავლობითის სუფიქსთან  
ინდენტურობა.

შემდეგია ავიტ ამ მარტაჲ ამოსავალი ფუძის ეტიმოლოგიის საკითხი, არის  
ჲე აჲ იგი დაკავშირებული დედა სიტყვის ფუძესთან და რა სხვაობები  
ჩვენ თავს ამ ორი სიტყვის ფუძეთა შორის.

1. ჯარაიას ზემოთ მოხსენებული მოსაზრება — დედისა (მრავლობითის  
ფორმაში მისევე ჩვენებით ანც'ა) და ღმერთის (ანც'ა) ფუძეთა იგი-

ვეობისათვის დაბრკოლება არ არსებობს, სხვაობა მხოლოდ მახვილის მიხედვით არის, რასაც მან არსებითი მნიშვნელობა არც მიაჩნია, შენიშვნებს იწვევს.

ამ სიტყვათა ფუძეებში ვოკალიზაციის მხრივ სხვაობა მაინც არის: დედის მრავლობით ფორმად ჩვეულებრივ გავრცელებულია ანაც<sup>ა</sup> (და არა ანცა, როგორც ამას იძლევიან პ. უსლარი, პ. ჯარია, ნ. მარდ. გული), მაშინ, როცა ღმერთი არის ანც<sup>ა</sup> და მასში ნ-ს მომდევნო ხმოვანი არ ჩანს. მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ გარემოებას არ შეიძლება გადაწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს, ვინაიდან ნ-ს მომდევნო ხმოვნის ოდნედი არსებობა ორსავე ფუძის ამოსავალ სახეობაშია დასაშვები.

უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ანც<sup>ა</sup> („ღმერთი“) სიტყვით თავიიდური ა-ზოგადი (ან განსაზღვრული) ფორმის პრეფიქსია და ფუძეში ა შედის (გვაქვს: ნც<sup>ა</sup>), მაშინ როცა დედა სიტყვის ფუძეში (კერძოდ ჩვენ შემთხვევაში მის მრავლობით ფორმაში) თავიიდური ა ფუძის აუცილებელი კუთვნილებაა (გვაქვს: ანც<sup>ა</sup>). ამ ფაქტმავე გამოიწვია სხვაობა მახვილ: მხრივაც ამ სიტყვათა შორის.

ამიტომ მართებულად მოიქცა პ. უსლარი, როცა „დედის“ აღმნიშვნელი სიტყვა შეიტანა ა ასოზე, ხოლო „ღმერთისა“—ნ ასოზე მოათავსა (ანც<sup>ა</sup>). როგორც ახლა უკვე გარკვეულია, ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებს, ამ შემთხვევაში კი დედის, მამის გამომხატველ სიტყვებს (ან, აბ), ახასიათებს ფუძეს შეზრდილი ა პრეფიქსი. ასე, რომ მოყვანილ ფუძეთა უშუალო წინსახეობაა ანა>ანგ, აბა>აბგ.

ამოსავალში კი ეს ა-პრეფიქსი უნდა ყოფილიყო აა-სახეობისა (შდრ. ა-აან „ცხოველის დედა“)<sup>11</sup>. აღნიშნულ სიტყვათა ძირეულ ელემენტად კი ერთ შემთხვევაში რჩება ნა (>ნგ>ნ), მეორეში ბა (>ბგ>ბ), რომლებიც შესაბამისად მდედრისა და მამრის ფუნქციით ვლინდება ფრინველთა (და ცხოველთა) რთულ ფუძეებში<sup>12</sup>.

ფუძეთა წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე აშკარა ხდება, რომ აფხურ-აბაზურში ღვთაების აღმნიშვნელი სიტყვა არის და იყო ნ<ნგ<ნა, რომელსაც დედა (ან) სიტყვისათვის დამახასიათებელი პრეფიქსული ა (<აა) ელემენტი არ ახლავს.

მიუხედავად ამისა ამ ორი სიტყვის ძირეული მასალა (ნა) საერთოა. დედა სიტყვის ეს ძირი ზემოთ განხილული გაქვავებული ა-პრეფიქსის გარეშე ყოფილა გამოყენებული ღვთაებისათვის.

დედისა და მამის ფუძეების (ან, აბ იხ. ზემოთ) გაქვავებული პრეფიქსული მონაცემის გარეშე გამოყენების შემთხვევა მდედრისა და მამრის გადმოსაცემად სხვაც გვხვდება. აფხაზურში, მაგალითად, აბ „მამა“—საც აღნიშნავს და „ბოტ“—საც (მამალ თხას), მაგრამ მათი კუთვნილებითი ფორმები განსხვავებულია—„მამა“ სიტყვას წინმავალი ა შერჩება ფორმის ცვლილებით (მაგ., ა-აბ — „მისი მამა“), მაშინ, როცა იმავე ძირის ბოტ სიტყვას იგი უკვე აღარა აქვს (შდრ. აფხაზურში იბჭა აკვ აყნ ინეან ატგვა ილბეატგეტ—„აფხაზური ზღაპრები“ — „თხის მწყემსის ერთ-ერთ ბოტთან მივიდა და მისი რქებს შუა ჩაქდა“).

ასეთსავე შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე დედისა და ღმერთის აღმნიშვნელ სიტყვებში.

ამერთი საკითხიც მოითხოვს პასუხს: თუ ღმერთს დედა სიტყვის ძე

რა გამოხატა. სათანადო გამოთქმებში (ან ძნესლა, ანც<sup>ა</sup> ძნე-ს... იხ. ზე-  
ნი) კუთვნილების გამოხატვის ფუნქციით რატომ მდებარობითი კლასის ლ  
პეფიქსი არ გამოიყენა ენამ და მიმართა მამრობითი კლასის ა- პრეფიქსს?

აქ უკვე იგივე ფაქტორი მოქმედებს, რაც გამოვლინდა ანც<sup>ა</sup> ფუძის  
მაკობითობის საკითხთან დაკავშირებით. მისი ამოსავალი მნიშვნელობის  
პარდიღისა და ლმერთის ცნების განზოგადების შემთხვევაში (როგორც პ.  
ჭაია ფიქრობდა) შესაძლებელი გახდა მხოლოდობით რიცხვში მამრობითის  
კლასის შესაბამისი კუთვნილებითი ფორმა გავრცელებულიყო.

### შენიშვნები

<sup>1</sup> П. К. У с л а р. Абхазский язык, Этнография Кавказа, Языкознание, I, Тифлис,  
1887, გვ. 151.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 78.

<sup>3</sup> გზ. „ივერია“, 1888, № 180.

<sup>4</sup> И. Ч а р а и, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Петер-  
бург, 1912, გვ. 31—33.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 33.

<sup>6</sup> Н. Д ж а н а ш и я, Религиозные верования абхазов, Х В, IV, вып. I С.-Петер-  
бург, 1915, გვ. 74—75.

<sup>7</sup> ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, უზენაესი ღვთაების აფხაზურ-სახელწოდებისათვის, წელიწადული, თბი-  
ლისი, 1923—1924, გვ. 69—73.

<sup>8</sup> ამ როგორც აგრეთვე მოსახსენებელია ბ ე ლ ზ ე ლ ის სახელწოდება ანც<sup>ა</sup> ზღეს „ღუთის  
(ჭრთების) ჩიტი“, ანც<sup>ა</sup> - ჭ ა შ ა — „ღვთის სიმღერა“ და სხვ.

<sup>9</sup> Нартырг/а Сосрыкьи Сосрапни. Цри литература б-хауа акласс ахъазла, Хрестома-  
ши, Черкесск, 1949, გვ. 7.

<sup>10</sup> ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი,  
ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი, 1978, გვ. 104.

<sup>11</sup> ამ საკითხის თაობაზე იხ. ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 83—84.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 95—96.

К. В. ЛОМТАТИДЗЕ

## ЕЩЕ РАЗ О СЛОВЕ апс<sup>а</sup> («БОЖЕСТВО») В АБХАЗСКОМ И АБАЗИНСКОМ ЯЗЫКАХ

### Резюме

В статье выдвинуто положение, что в словах «мать» ап (мш. ч. апас<sup>а</sup>)  
«божество» апс<sup>а</sup> исходными основами соответственно выступали ja-na  
и ва с общим корневым элементом па.

Ш. К. АРИСТАВА

## О СВЯЗИ КОМПОНЕНТОВ СТРУКТУРНОЙ ОСНОВЫ ПРЕДЛОЖЕНИЯ В АБХАЗСКОМ ЯЗЫКЕ

Структурная основа предложения в абхазском языке строится главным образом из именных и глагольных компонентов. Поэтому естественно рассматривается имя и глагол с точки зрения тех форм, в которых вступают они между собой в синтаксическую связь.

Известно, что имя и глагол в абхазском языке, как и в других родственных языках, по своей морфологической структуре резко противопоставляются: имя характеризуется бедностью формоизменения, глагол же — богатством формоизменения и полисинтетическим строем. В силу этого представляет определенный интерес исследование связи, которая устанавливается между ними (именем и глаголом) в структуре предикативного словосочетания, поскольку своеобразие связи слов во многом обуславливается спецификой категориальных свойств сочетающихся компонентов.

Исключается использование падежных форм имени при связи его с глаголом, поскольку имя в абхазском языке, как известно, не обладает системой склонения. Иначе обстоит дело с категориями лица, числа и класса в имени. В специальной литературе утвердилось мнение, согласно которому между именем и глаголом в предикативном словосочетании устанавливается связь в лице, числе и классе. Связь эта квалифицируется как согласование, предопределенное категориальными формами лица, числа и класса имени. В качестве примеров приводятся: *saga scejt* — «Я ушел»; *waга ucejt* — «Ты (м.) ушел»; *baга bcejt* — «Ты (ж.) ушла»; *haга hcejt* — «Мы ушли...»;<sup>1</sup> *aх<sup>o</sup>эц<sup>o</sup> dcejt* — «Мальчик ушел»;<sup>2</sup> *waг<sup>o</sup>э<sup>o</sup> иха<sup>o</sup>си<sup>o</sup>*, *sаг<sup>o</sup>э<sup>o</sup> шхэсвеjt* — «И ты два раза выстрелил, и я два раза выстрелю»<sup>3</sup>.

Однако более подробное рассмотрение этого вопроса показало, что связь между именным и глагольным компонентами предикативного словосочетания не всегда предопределяется морфологическими формами именной компоненты. Прежде всего, о категории лица. Бесспорно, что имя существительное в абхазском языке (да и в других языках) не обладает морфологической формой лица. Следовательно, исключается обусловленность связи имени с глаголом в лице категориальной формой лица имени.

Аналогичное положение мы имеем и в местоимениях. По данным специальной литературы местоимения (например, личные) обладают морфологической категорией лица. В качестве формантов лица выделяются *s-ага* — «я», *w-ага* — «ты» (м.), *b-ага* — «ты» (ж.), *l-ага* — «она», *h-ага* — «мы» и т. д. Однако нам представляется возможным высказать иное мнение по этому поводу. Дело в следующем. Личные местоимения состоят из двух расширяющихся компонентов: *sa-*, *wa-*, *ba-*, *ja-*, *la-*, *ha-*, *s<sup>o</sup>a-*, *da-*. В первом компоненте звук «а» повторяется во всех местоимениях. Следовательно, он не образует семантической корреляции и не может без предшествующего соглас-

ного составить основу. Функция семантического различия падает главным образом на первые звуки. Поэтому удаление согласных звуков первого компонента вызывает полное разрушение этих лексических единиц. Следовательно, без первых звуков эти слова не могут существовать как лексические единицы. Это значит, что отделение этих первых звуков от основы и квалификация их как морфологических компонентов не представляется возможным. Не составляет основы и второй компонент, поскольку он повторяется во всех местоимениях и является, как известно, суффиксальным элементом.

Как видно, можно допустить, что основу личных местоимений составляют первые компоненты с гласной огласовкой (а). Если это так, то значение лица (числа и класса) в местоимениях является не грамматической, а лексической их семантикой и имеет соответственно лексическое выражение.

В таком случае снимается возможность предопределения связи в лице между местоимением и глаголом морфологической формой лица местоимения. В данном случае можно говорить лишь о морфологическом обозначении в глаголе семантического значения лица (числа и класса) местоименного компонента словосочетания.

Следует отметить, что встречается неизчисляемые имена типа:  $h-w^{\circ}əz̄ag^{\circ}ə$  «мы—двое»,  $s^{\circ}-w^{\circ}əz̄ag^{\circ}ə$  «вы—двое»,  $g-w^{\circ}əz̄ag^{\circ}ə$  «они—двое»,  $h-azag^{\circ}ə$  «мы—все»,  $s^{\circ}-azag^{\circ}ə$  «вы—все»,  $g-azag^{\circ}ə$  «они—все», у которых можно допустить наличие морфологической формы лица. К основам аналогичных имен присоединяется (рефиксально) притяжательные личные аффиксы ряда L мн. числа. При связи с глаголом эти имена своей формой лица и числа редко выделяют лицо и число глагола:  $h-axw^{\circ}əq̄g^{\circ}ə$   $h-sejt$  «мы—трое ушли»;  $s^{\circ}-axw^{\circ}əq̄g^{\circ}ə$   $s^{\circ}-sejt$  «вы—трое ушли»;  $g-axw^{\circ}əq̄g^{\circ}ə$   $(i)sejt$  «они—трое ушли»;  $h-azag^{\circ}ə$   $h-sejt$  «мы—все ушли»;  $s^{\circ}-azag^{\circ}ə$   $s^{\circ}-sejt$  «вы—все ушли»;  $g-azag^{\circ}ə$   $(i)sejt$  «они—все ушли» и т. д.

Следует оговорить также категорию класса в имени. Общепринято, что имя в ахазском языке обладает формой категории класса. В качестве формантов класса выделяют суффиксы мн. числа  $-k^{\circ}a$ ,  $-s^{\circ}a$  и соизрядности  $-aa$ . Однако нельзя не заметить слабость морфологической позиции категории класса в именах.

